საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
არქეოლოგიური კომისია

გ. ქავთარაძე

# ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1985

902.6(с41)
ББК63.4(2г)
902.6(47.922)
ქ 153

ნაშრომში, ძირითადად, ძველი წერილობითი წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით, ნავარაუდევია ძვ. წ. I ათასწლეულის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლება; ნაჩვენებია ანატოლიის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის დიდი მნიშვნელობა ქართველური წარმომავლობის ტომების უძველესი ისტორიისათვის.

რედაქტორი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. ოთ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე

რეცენზენტები: პროფ. რ. გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი
პროფ. გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე

ქ $\frac{0505010000}{M607(06)—85}$ 228—82 © გამომცემლობა „მეცნიერება", 1985

# წინასიტყვაობა

ანატოლია, თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის აზიური ნაწილი, ახლო აღმოსავლეთის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს მოიცავს.

ტერმინი „ანატოლია“ მცირე აზიის ნახევარკუნძულის აღმნიშვნელად პირველად გამოიყენა X ს. ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე პორფიროგენეტმა. 'Ανατολή ბერძნულად ნიშნავს „განთიადს“, „მზეს“, „აღმოსავლეთს“. ტერმინი „მცირე აზია“, აზიის კონტინენტისაგან რომაული პროვინციის „აზიის“ განსასხვავებლად პირველად იხმარა V ს. ისტორიკოსმა პაგანოს ოროსეელმა, თუმცა, თავად ეს სახელწოდება ბევრად უფრო ადრე იყო ცნობილი.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინები „ანატოლია“ და „მცირე აზია“ ფაქტიურად სინონიმებად არის მიჩნეული, მათ შორის გარკვეული სხვაობაც არსებობს. კერძოდ, „მცირე აზიისაგან“ განსხვავებით „ანატოლია“ არ შეიცავს ტავროსის ქედის სამხრეთით მდებარე ხმელთაშუაზღვის სანაპიროს, ხოლო „მცირე აზია“ არ უნდა ვრცელდებოდეს საკუთრივ ნახევარკუნძულის ფარგლებს გარეთ, რომლის აღმოსავლეთ მიჯნას ხმელთაშუაზღვის ისკანდერუნის ყურისა და შავი ზღვის ე. წ. „შემაერთებელი ხაზი“ წარმოადგენს, რომელიც თავის მხრივ მიახლოებით თანხვდება ცენტრალური და აღმოსავლეთ ანატოლიის პირობით საზღვარს მდინარეების მელეთის (შავ ზღვაში ჩაედინება ქ. ორდუსთან) და გიოქსუს (მდ. სეიჰანის დასავლეთი ტოტი) „შემაერთებელი ხაზის“ გაყოლებაზე. ამდენად, ცნებას „ცენტრალური ანატოლია“ უნდა შეესაბამებოდეს — „ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზია“.

ანატოლია უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენების მხარეა; ამას აქ გათხრილ ძეგლთა სახელწოდებებიც მოწმობენ: ტროა და ბოღაზქიოი, ალიშარი და ალაჯა ჰუიუქი, ჰაჯილარი და ჩათალ

ჰუიუქი, ქიულ თეფე და ბეიჯესულტანი. არქეოლოგიურმა მასალამ ცხადყო, რომ ანატოლია ძველი სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაწინაურებული მხარე იყო. თვალსაჩინოა მისი წვლილი კაცობრიობის ისტორიაში; კერძოდ, საკვებწარმოებითი ეკონომიკის, სპილენძისა და რკინის მეტალურგიის, პროტოურბანული საზოგადოების, დედა ღვთაების კულტის წარმოქმნა-ჩამოყალიბებაში. საკვებწარმოებითი მეურნეობა ევროპაში ანატოლიიდან არის გავრცელებული. ანატოლიის არქეოლოგიური მასალის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ამიერკავკასიის უძველესი ისტორიის კვლევის დროსაც. როგორც ცნობილია, ამიერკავკასია სამი მხრიდან — დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან, შემოფარგლულია ბუნებრივი ზღუდეებით: შავი ზღვით, კავკასიონის ქედით და კასპიის ზღვით, ხოლო სამხრეთ-დასავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მას შესაბამისად ანატოლია და ირანი ესაზღვრებიან. ამიტომ ბუნებრივია, რომ დასავლეთ ამიერკავკასია, პირველ რიგში, სწორედ ანატოლიასთან ავლენდა ხოლმე კავშირს, ხოლო აღმოსავლეთ ამიერკავკასია — ირანთან.

ანატოლიის გეოგრაფიული მდებარეობა ძველი სამყაროს სხვადასხვა მხარეების შემაერთებელ გზაჯვარედინზე იმთავითვე აპირობებდა მისი განვითარების თავისებურებას. ანატოლია ირანთან ერთად „შემაერთებელი ხიდი" იყო ცენტრალურ აზიასა და ევროპას შორის, ხოლო კავკასიასთან ერთად ერთმანეთთან აკავშირებდა ახლო აღმოსავლეთსა და ევროპას. ჩრდილოეთ ანატოლია და დასავლეთ კავკასია, ამავე დროს, ქმნიდნენ ე. წ. ცირკუმპონტური ზონის სამხრეთ და დასავლეთ მხარეებს, ხოლო დასავლეთ და სამხრეთ ანატოლია წარმოადგენდა ხმელთაშუაზღვისპირეთული, ე. წ. ცირკუმმედიტერანული ზონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს. აღსანიშნავია, რომ ანატოლიის სამხრეთ და დასავლეთ მხარეების უძველესი (წინახეთური) ხანების კულტურა საგრძნობლად განსხვავდება ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ანატოლიურისაგან, რაც შესაძლოა, განსხვავებულ საფუძველზე მისი ჩამოყალიბების ნიშანი იყოს. ანატოლიის რთული რელიეფი, ერთმანეთისაგან განცალკევებული ხეობების სიმრავლე, კლიმატური პირობების მკვეთრი რეგიონალური სხვაობა ხელს უწყობდა მის ტერიტორიაზე განსხვავებული წარმომავლობის, კულტურისა და ეკონომიკური ბაზისის მქონე მოსახლეობის თანაარსებობას. ანატოლიური მოსახლეობის ჰეტეროგენულობას, რაც ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ისტორიკოსებს ჰქონდათ შემჩნეული, არ შეიძლებოდა ხელი არ შეეწყო „სიმბიოზური კულტურების" ჩამოყალიბებისათვის და არ

დაეჩქარებინა ადგილობრივ მიმდინარე სოციალური სტრატიფიკაციის პროცესი. ანატოლიის განსაკუთრებული სიმდიდრე ლითონის წიაღისეულით, მას ძველთაგანვე მიმზიდველ მხარედ ხდიდა.

კულტურულ-ისტორიული ხასიათის საკითხების კვლევის გარდა, ანატოლიის შესწავლას კავკასიის არქეოლოგიისათვის წმინდა სოციოლოგიური ასპექტიც ახლავს. კავკასიისათვის, განსხვავებით მესოპოტამია-ეგვიპტისაგან, დამახასიათებელია კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების ანატოლიური გზა, რომელიც, მკვლევართა აზრით, ხასიათდება კლასთწარმოქმნის პროცესის შენელებული ტემპით, მიწათმოქმედების ნაკლებ პროდუქტიულობით, მეზობლად არსებულ ცივილიზაციებთან კონტაქტების შედეგად ქონებრივი დიფერენციაციისა და ხელოსნობის განვითარების სტიმულირებით. ამავე დროს, ანატოლიაში, კავკასიასთან შედარებით, სახელმწიფოს წარმოქმნის ბევრად ადრეული თარიღი, შესაძლებლობას იძლევა დავადგინოთ ამ ორ რეგიონს შორის სოციალური განვითარების უთანაბრობის გამომწვევი მიზეზი, რაც, თავის მხრივ, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესის ძირითადი განმსაზღვრელი ნიშნების გამოყოფის შესაძლებლობას მოგვცემდა საზოგადოდ „ანატოლიური მოდელის“ მქონე საზოგადოებებისათვის და დაგვეხმარებოდა კავკასიის ადრეულ სახელმწიფოთა გენეზისის გაგებაში.

ანატოლიაში პირველი სახელმწიფოს წარმოქმნისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მის ცენტრალურ, საკვანძო ნაწილში, ვრცელი, ირგვლივ მთებით შემოზღუდული ზეგნის არსებობას (ზღვის დონიდან 1000—1500 მ), რომელსაც ხეთურ ხანაში ქვეყნის ძირითადი ბირთვის ფუნქცია დაეკისრა.

ცენტრალურ, ანუ შიდა ანატოლიას, თითქმის მთელ მის სივრცეზე გასდევს ანატოლიის უდიდესი მდინარე კიზილ-ირმაკი (ანტიკური და მომდევნო ხანების ჰალისი, ხეთური მარასანთია). ეს მხარე ჩრდილოეთიდან შავი ზღვით შემოიზღუდება, სამხრეთიდან — კონიის ნახევარუდაბნოთი და ტავროსის ქედით, დასავლეთიდან მდ. საკარიის შუა წელით, აღმოსავლეთისაკენ, როგორც აღვნიშნეთ, დაახლოებით მდინარეების მელეთისა და გიოქსუს „შემაერთებელ ხაზამდე“ ვრცელდება.

ცენტრალური, ანუ შიდა ანატოლია სამ ძირითად ნაწილად იყოფა. მის ჩრდილოეთ ნაწილს ისტორიული პონტო შეადგენს და თანამედროვე ქალაქების ჩორუმის, ზილესა და ტოკატის ჩრდილოეთით მდებარეობს. ცენტრალური ნაწილი უმთავრესად მდ. კიზილ-ირმაკის რკალის შიგნით ექცევა და ამასთანავე მოიცავს

კიზილ-ირმაკისა და საკარიის შუამდინარეთს. სამხრეთი ნაწილი, ჩრდილოეთიდან მდ. კიზილ-ირმაკითა და სამხრეთიდან ტავროსის ქედით შემოისაზღვრება.

ცენტრალური, ანუ შიდა ანატოლიის უდიდესი ნაწილი ანტიკურ და უფრო გვიანდელ ხანებში „დიდი კაპადოკიის" (ანუ „კაპადოკიის") და „პონტოს კაპადოკიის" (ანუ „პონტოს") სახელით არის ცნობილი.

ცენტრალური ანატოლიის აღმოსავლეთით მდებარე აღმოსავლეთ ანატოლია — თურქეთის რესპუბლიკის უკიდურესი აღმოსავლური ნაწილის შემცველი, ძირითადად, აღმოსავლეთ ანატოლიის მთიანეთს (სომხეთის ზეგანს) უკავია. ჩრდილოეთიდან იგი აღმოსავლეთ-პონტოს მთებით (გირესუნის, გიუმიუშჰანეს, ტრაბზონისა და ლაზისტანის ქედები), ხოლო სამხრეთიდან — აღმოსავლეთის ტავროსით (ერგანისა და ბითლისის ქედები) არის შემოზღუდული.

აღმოსავლეთ ანატოლიის მნიშვნელოვანი ნაწილი ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში სომხური და ქართული სამეფო-სამთავროების ფარგლებში იყო მოქცეული.

## თავი პირველი

# ანატოლიის, ამიერკავკასიისა და ეგეოსური სამყაროს ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი

ქართულ ისტორიოგრაფიასა და ჰაგიოგრაფიაში იმთავითვე განსაკუთრებული ადგილი ეკავა ანატოლიას, კერძოდ მის ცენტრალურ ნაწილს, კაპადოკიას. „კაბადუკიელები“ იყვნენ ქართველთა უმთავრეს პატრონად მიჩნეული წმიდა გიორგი და ქართველთა განმანათლებლად წოდებული წმიდა ნინო (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 328—330)[1]. ბიბლიის დაბადების, შესაქმეთა წიგნისა და ეზეკიელის წინასწარმეტყველების თოგარმადან (Gen., 6:4; 10:3; 1 Chr., 1:6; Ezek., 38: 1—8) მომდინარე ჰაოსისა და ქართლოსის მამის თარგამოსის (ლეონტი მროველი, I, 3—4)[2] სახელი უკავშირდება კაპადოკიის ტერიტორიაზე მდებარე ასურული წყაროების ქალაქის თილ-გარიმუს სახელწოდებას, რომელიც, თავის მხრივ, უფრო ადრეული ხანის ხეთური ოლქის—თეგარამას სახელიდანაა წარმომდგარი.[3] „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტის მიერ ქართლის პირველ მეფედ მიჩნეული აზოს (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 320) სამშობლო მხარე, „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებით, ანატოლიაშია საგულვებელი (ლეონტი მროველი, I, 23). კონსტანტინე პორფიროგენეტის მიხედვით, იბერიელები შთამომავლები არიან ჰური ხეთელის მეუღლის ბერსავიასი, რომელიც შეირთო მეფემ და წინასწარმეტყველმა დავითმა (Const. Porphyr., De adm. imp., 45). პ. ინგოროყვას კომენტარით, ქრისტიანიზაციისდამიუხედავად, თქმულების ამ გვიანდელ ვერსიაში მაინც არ არის სავსებით წარხოცილი ხეთურ სამყაროსთან კავშირის კვალი[4].

ჯერ კიდევ I ს. ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი მიიჩნევდა, რომ იბერები და მესხები ანატოლიური წარმომავლობისანი იყვნენ. ბიბლიური „თობელისა“ და „მოსოქის“ (Gen., 10:2, 23—24; I Chr., 1:5; Isa., 66:19; Ezek., 27:13; 32:26; 38:2—3; 39:1; და სხვ.) შესახებ იგი თავის ნაწარმოებში „იუდაებრივი სიტყუადასაბამობა“ შენიშნავდა: „თობელმა დააფუძნა თობელები, რომლებსაც

ახლა იბერები ეწოდებათ; მოსოხენები დაფუძნებული არიან მოსოხის მიერ, ახლახან მათ კაპადოკიელები ეწოდათ, ხოლო ძველი მათი სახელწოდების ნიშანიც ემჩნევათ; რამეთუ მათ აქვთ დღესაც ქალაქი მაზაკა, რომელიც ნათელ ყოფს იმათთვის, ვისაც შეუძლია გაიგოს, რომ ოდესღაც ასე ეწოდებოდა მთელ ტომს" (Josephus, Antiq.,I,124—125).[5] იოანე პეტრიწის თარგმანით: „დაამკჳიდრებს უკუიშ თოვილოსცა თოვილთასა, რომელნი აწ ივირად იწოდებიან, ხოლო მესაქინნი მესხიოჲს მიერ აღშენებულნი აწ კაპპადუკად იწოდებიან..."[6] ს. ყაუხჩიშვილის ვარაუდით, იოანე პეტრიწს უნდა ჰქონოდა გამოყენებული თხზულების ისეთი ნუსხა, როგორიც XVII ს. ფილოლოგს ლეო ალაციუსს და რომელშიც ტომის სახელი ბერძნულად უნდა ყოფილიყო Μεσχινοί, ხოლო მამამთავრისა Μέσχος[7]. მათი დაწერილობა ასევეა წარმოდგენილი XI ს. ბიზანტიელი მოღვაწის ლეონ გრამატიკოსის „ქრონოგრაფიაში": „იაფეტის ვაჟთაგან მომდინარეობენ... თობელისაგან—თობელები, რომელთაც ახლა იბერები ეწოდებათ, მესხოსაგან—მესხები, რომელთაც ახლა კაპადოკიელები ეწოდებათ, საიდანაც არის მაზაკა, მათი დედაქალაქი"[8]. კაპადოკიელთა ძველი სახელი „მესხენების", ხოლო მათი მამამთავრისა „ოსოხის" ფორმით წარმოდგენილია IV ს. პირველი ნახევრის ანტიოქელი არქიეპისკოპოსის ევსტათის თხზულებაში „ექვსთა დღეთა განმარტება"[9].

შენიშნულია, რომ საზოგადოდ ბიზანტიური ისტორიოგრაფიისათვის კაპადოკიელები იგივე მესხებია[10].

იმ ფაქტს, რომ მოსოხენები თუ მოსხები ქართველურ სამყაროს განეკუთვნებოდნენ, უნდა მოწმობდეს ძვ. წ. V ს. ისტორიკოსის ჰეროდოტე ჰალიკარნასელის ცნობაც აქემენიდური სპარსეთის მე-19 სატრაპიაში მოსხთა გაერთიანებისა იმ სამხრეთშავიზღვისპირეთულ ტომებთან ერთად (Herod., III, 94), რომელთა ქართველური წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს.[11] ყველა ეს ტომი—მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები, ერთნაირად იყო შეიარაღებული, ხოლო მოსხებსა და ტიბარენებს ერთი წინამძღოლიც ჰყავდათ სპარსულ ლაშქარში—დარიოს I და პარმისის (სმერდისის ასულისა და კიროსის შვილიშვილის) ძე არიომარდი (Herod., VII, 78).

მოსხთა ეთნიკური იდენტიფიცირებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ძვ. წ. VI—V სს. მიჯნის ლოგოგრაფოსის ჰეკატეოს მილეტელის „დედამიწის აღწერის" ფრაგმენტს, რომელიც შემოინახა ახ. წ. VI ს. ლექსიკოგრაფის, სტეფანე ბიზანტიონელის „ეთნიკურმა ლექსიკონმა" („ეთნიკამ"). ჰეკატეოსის ცნობით, მოსხები—კოლხური ტომია, მატიენების მეზობლად მოსახლე (Hec.,

fr. 188).[12] მოსხების კოლხურ ტომად განსაზღვრა მით უფრო ნიშანდობლივია, რომ ჰეკატეოს მილეტელის ხანაში, ისინი, პონტოში მოსახლე ტომებთან ერთად, სპარსულ სატრაპიაში შედიოდნენ, ხოლო კოლხები ფაქტიურად დამოუკიდებლები იყვნენ სპარსელებისაგან (შდრ. Herod., III, 97). ჰეკატეოსის ცნობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კიდევ იმ თვალსაზრისით, რომ იგი იძლევა მოსხების კოლხური ტომის კაპადოკიაში, მის ჩრდილოეთ ნაწილში, ლოკალიზების საშუალებას, ვინაიდან თვით ჰეკატეოსის სხვა ცნობით, მატიენების ქალაქი ჰიოპე გორდიების მეზობლად მდებარეობს და აქაური ხალხი ისეთსავე ტანსაცმელს ატარებს, როგორსაც პაფლაგონიელები (Hec., fr. 189). აშკარაა, რომ მოსხების მეზობელ მატიენებში იგულისხმებიან გორდიონელი ფრიგიელებისა და პაფლაგონიელების მახლობლად მცხოვრები დასავლეთის მატიენები. ჰეკატეოს მილეტელის ზემოთ მოყვანილი ფრაგმენტების ჰეროდოტეს იმ ცნობასთან შეპირისპირებით, რომლის მიხედვითაც მატიენები ცხოვრობდნენ მდ. ჰალისის (კიზილ-ირმაკი) მარჯვენა ნაპირზე, ხოლო მდინარის მეორე ნაპირი ფრიგიელებს ეკავათ (Herod., I, 72) და რიგი სხვა მონაცემების გათვალისწინების შედეგად — რომელთა შორის აღსანიშნავია ჰეროდოტესავე ცნობები მატიენების, პაფლაგონიელების, ლიგიების, მარიანდინების და სირიელების ერთნაირი საბრძოლო აღჭურვილობისა და მატიენებისა და პაფლაგონიელების ერთი წინამძღოლის მეთაურობით გაერთიანების შესახებ (Herod., VII, 72), აგრეთვე, I ს. პირველი ნახევრის რომაელი მოღვაწის პომპონიუს მელას მიერ ტიბარენების გვერდით „მატიანების" მოხსენიების ფაქტი (Pomp. Mela, I,2, 13), — ნ. ხაზარაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ დასავლელ მატიენებს უნდა სჭეროდათ ტერიტორია მდ. ჰალისის რკალის შიგნით, თანამედროვე ქალაქების, ჩორუმ-ზილე-ტოკატის სამხრეთითა და დასავლეთით, დიდი კაპადოკიის უკიდურეს დასავლეთ ოლქში, ხოლო მოსხებს — ქალაქების ტოკატ-კარაჰისარ-გიუმიუშჰანეს სექტორი[13].

სავსებით ვიზიარებთ რა ნ. ხაზარაძის მოსაზრებას მატიენების დიდი კაპადოკიის უკიდურეს დასავლეთ ოლქში განსახლების შესახებ, ამავე დროს არადამაჯერებლად მიგვაჩნია მისი ვარაუდი მატიენების აღმოსავლეთის მიმართულებით ქ. ტოკატამდე გავრცელების თაობაზე. პომპონიუს მელას მიერ „მატიანებისა" და ტიბარენების ერთმანეთის გვერდით მოხსენიება არ არის აუცილებელი მათ უშუალო მეზობლობაზე მეტყველებდეს, ხოლო ჰეკატეოსისა და ჰეროდოტეს ცნობების შეჯერება თითქოს სწორედ მოსხების განსახლებაზე უნდა მიგვანიშნებდეს მატიენებსა და ტიბარენებს შო-

რის. სავსებით დასაშვებია, ტერიტორია ჩორუმსა და ტოკატს შორის მოსხებს სჭეროდათ, მით უფრო, რომ ქ. გიუმიუშჰანეს დასავლეთით, როგორც ჩანს, მოსინიკებს უნდა ეცხოვრათ. ძვ. წ. IV ს. ავტორის ფსევდო-სკილაქს კარიანდელის „პერიპლუსის" ცნობით, მოსინიკები სანაპირო ზოლის გარდა მთებშიც ცხოვრობდნენ (Ps.-Scyl., 86). რაც შეეხება მატიენების საცხოვრისს, იგი ზემოთ მოყვანილი ცნობების და აგრეთვე ნ. ხაზარაძის მიერვე შენიშნული იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ „გორდ" ფუძის შემცველი ტოპონიმები დასტურდებიან დიდი ფრიგიის იმ სექტორში, რომელიც დასავლეთიდან უშუალოდ აკრავს მდ. ჰალისის აუზს,[14] საფიქრებელია, თავსდებოდეს ქალაქების ჩორუმისა და კირშეჰირის „შემაერთებელ ხაზსა" და მის დასავლეთით მდებარე მდ. კიზილ-ირმაკს შორის.

მოსხების კაპადოკიაში განსახლების საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ლეო ალაციუსის კომენტარი იოსებ ფლავიუსის ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტთან დაკავშირებით. იგი შენიშნავს, რომ ზოგიერთების ვარაუდით, მესქინები ხალხია, რომელთაც ძველი ავტორები Μοσχικοί და Μοσσύνοικοι-ს უწოდებენ. მათი თავდაპირველი მკვიდრობის ადგილი ევქსინის პონტოს სანაპირო იყო, შემდეგ ისინი კაპადოკიელები გახდნენ, ბოლოს კი ისევ ჩრდილოეთისაკენ გადაინაცვლეს[15].

მესხების კაპადოკიურ წარმომავლობაზე, შესაძლოა, მეტყველებენ ქართული მასალებიც, კერძოდ, ქალაქ მცხეთასთან დაკავშირებული ცნობები. ჯერ კიდევ გასული საუკუნიდან მეცნიერები ტოპონიმ „მცხეთას" მესხების სატომო სახელთან აახლოებდნენ. თ. ბაგრატიონი, პ. იოსელიანი და ვ. სენ-მარტინი ბიბლიურ „მეშეხ-მოსოხსა" და ეთნონიმ „მოსხ-მესხს" ქართლოსის ძის მცხეთოსისა და ქ. მცხეთის სახელებთან აკავშირებდნენ, ხოლო ა. ხახანაშვილის მიხედვით, ცნებების „მესხეთისა" და „სამცხის" ურთიერთკავშირი მნიშვნელოვნად უფრო საფუძვლიანს ხდის მცხეთასთან მათი დაკავშირების შესაძლებლობას[16]. გ. მელიქიშვილის შეხედულებით, სახელწოდება „მცხეთა" უდავოდ წარმოქმნილია მესხთა სატომო სახელისაგან, ეს ფაქტი კი უნდა მიუნიშნებდეს მცხეთის მესხური დასახლების არამესხური მოსახლეობის წიაღში წარმოქმნის შესაძლებლობაზე[17]. ჩვეულებრივ, „სამცხელ და მცხეთელ მესხებს" მცირეაზიელი მუშქების მემკვიდრეებად მიიჩნევენ[18], რომლებიც წერილობით წყაროებში პირველად ძვ. წ. XII ს. ჩნდებიან, როდესაც ასურული წყაროები იუწყებიან მათ შეჭრას აღმოსავლეთ ანატოლიის შიდა რაიონებში[19]. ამჟამად, ვფიქრობთ, არანაკლები შესაძლებლობა არსებობს მესხებთან, ბერძნული წყაროების მიერ ძვ.

წ. I ათასწლეულის შუა ხანებში, ცენტრალურ ანატოლიაში დადასტურებული მოსხების დაკავშირებისათვის. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ უდავოა, მცხეთაში დამკვიდრებული მოსახლეობა ხეთურ-მცირეაზიული კულტურული ტრადიციების მატარებელი იყო. ამ გარემოებას და აგრეთვე იმას, რომ სწორედ აღნიშნულ მოსახლეობას უნდა შეესრულებინა მნიშვნელოვანი როლი აღმოსავლურქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნაში, მოწმობს იბერიის სამეფოს წარმართული საკულტო პანთეონის ანატოლიური ხასიათი[20]. ქართლის უზენაესი ღვთაება არმაზი წარმომდგარი იყო ხეთურ-ნესიტური მთვარის ღვთაება არმასაგან, რომლის კულტიც ანტიკურ ხანაში ღვთაება მენის კულტით შემოინახა, თუმცა ფიქრობენ, რომ მცირე აზიის ზოგიერთ მხარეში იგი ისევ ძველ სახელწოდებას — Armas-ს ატარებდა[21]. ხეთური წარმომავლობის მქონედ არის მიჩნეული ქართლის ერთ-ერთი მთავარი ღვთაება ზადენიც; მას აახლოებენ ლუვიურ ღვთაება სანთასთან (სანდონთან)[22]. გამოთქმულია აგრეთვე აზრი, წარმართული მცხეთის ღვთაებების გაცისა და გას (გაიმის) კავშირის შესახებ მცირეაზიულ ღვთაებებთან ატისთან და კიბელესთან[23].

მცირე აზიისა და კავკასიის ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს ძვ. წ. I—ახ. წ. I ს. გეოგრაფთან და ისტორიკოსთან სტრაბონთან დაცული ნახევრადლეგენდარული ცნობა მცირე აზიიდან კავკასიაში ხალხთა გადმოსახლების შესახებ. სტრაბონის მიხედვით, მითიური ამორძონელები, ცენტრალური ანატოლიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე თემისკირის დაბლობიდან და მის ზემოთ მდებარე მთებიდან გამოძევებულნი (Strabo, XI, V, 4), გადმოცემების თანახმად, კავკასიაში, ალბანეთის ზემოთ მდებარე, კერავნულად წოდებულ მთებში ცხოვრობდნენ გარგარეველების[24] მეზობლად, რომლებთანაც ახლო ურთიერთობა ჰქონიათ (Strabo, XI, V, 1); შემდეგ გარგარეველები, რომლებიც აქ თემისკირიდან ამორძონელებთან ერთად იყვნენ მოსულნი, ამაძონელებს ჩამოცილებულან და, ამავე ადგილებში მოხეტიალე თრაკიელებთან და ევბეელებთან შეთანხმებით, მათთან ბრძოლაც კი დაუწყიათ (Strabo, XI, V,2).

ამაძონელებისა და გარგარეველების ანატოლიიდან გადმოსახლების სტრაბონისეული ცნობა იზოლირებული რომ ყოფილიყო, ბევრის არაფრის მთქმელი იქნებოდა, მაგრამ მას ეხმიანება ანტიკური ხანის მრავალი მწერლის ინფორმაცია კავკასიაში, ძირითადად, სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან, ხალხთა გადმოსახლების თაობაზე. ამ მხრივ, სტრაბონის ცნობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ევბეელთა მოხსენიება, რაც, როგორც ჩანს, უკავ-

შირდება ძველბერძნულ მწერლობაში ფართოდ გავრცელებულ შეხედულებას კავკასიასა და სამხრეთ შავიზღვისპირეთში პელასგების (ეგეიდის წინაბერძნული მოსახლეობის) მიგრაციის შესახებ (იხ. ქვემოთ).

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანებში ეგეოსური (უფრო ფართოდ — მედიტერანული) და კავკასიური სამყაროს ურთიერთობის საკითხების კვლევას ახალი სტიმული ეძლევა წინაბერძნული (პელასგური) და ქართველური ენების სიახლოვის დამტკიცებისა[25] და აგრეთვე სხვა ხმელთაშუაზღვისპირეთულ ენებში (ეტრუსკული, ბასკური) კავკასიური (და კერძოდ, ქართველური) ენებისათვის დამახასიათებელი ელემენტების გამოვლენის შედეგად.[26] ენათმეცნიერების ეს მიღწევები ახალ პერსპექტივას შლის არქეოლოგიის წინაშე უკვე მოპოვებული მასალის ხელახალი ინტერპრეტაციისათვის. ინგლისელი არქეოლოგი ჯ. მელართი, იმის გათვალისწინებით, რომ მცირე აზია-ეგეიდაში (განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილში) ნეოლითის შემდგომ პერიოდში არ შეინიშნება მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელიც აქ ენის შეცვლას შეიძლება დაუკავშირდეს და რადგანაც წინაბერძნული ენის გავრცელების მთელ ამ რეგიონში მეტნაკლები ლინგვისტური ერთიანობა უნდა ყოფილიყო ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ტომების გამოჩენამდე, გამოთქვამს ვარაუდს, ანატოლიის უძველესი მეურნეების, ნეოლითური ჩათალ ჰუიუქის, ჰაჯილარის და ჯან ჰასანის მოსახლეობის, ენის შემორჩენის შესაძლებლობის შესახებ გვიანბრინჯაოს ხანის კუნძულ კრეტაზე[27]. წინაბერძნული ენის ქართველურ ენებთან შენიშნული სიახლოვის შუქზე, ვფიქრობთ, დასაშვები უნდა იყოს ნეოლითური ანატოლიის მოსახლეობის შესაძლო კავშირის ვარაუდი ქართველურ სამყაროსთანაც. მითუმეტეს, რომ ანატოლიის ნეოლითურ ძეგლებს თითქოს არაერთი პარალელი ეძებნება ქართულ და აგრეთვე კავკასიის სხვა ხალხთა ეთნოგრაფიაში. საყურადღებოა, რომ ანატოლიის ჩრდილოეთ რაიონებში მოსახლე ტომებს—ლეუკოსირებს, ხალიბებს, ტიბარენებს, მოსინიკებს, მაკრონებს, ხშირად მიიჩნევენ წინახეთური ხანიდან შემორჩენილ, ანატოლიის უძველეს, ადგილობრივ მოსახლეობად[28]. შესაძლოა, ამავე გარემოების სასარგებლოდ მოწმობდეს ის ფაქტი, რომ ე. წ. ჭოროხ-რიონული ანთროპოლოგიური ტიპი, საღეისოდ, მხოლოდ ამ მდინარეთა მიმდებარე მხარეებში შემორჩენილი, როგორც ირკვევა, ადრე ბევრად უფრო ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული; მისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი სპეციფიკური ნიშან-თვისების შეხამება, დღესაც თურქეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე ვლინდება[29].

რაც შეეხება ნეოლითელი ანატოლიელების მონათესავეებად მიჩნეული, მინოსური კრეტის მოსახლეობის ეთნიკურ იდენტიფიცირებას, საკუთრივ კრეტის ა-ხაზოვანი ტექსტების მასალის გათვალისწინებით, რომელიც ნამდვილად არ არის ინდოევროპულიბერძნული, ძალზე მწირი მონაცემები მოგვეპოვება. მიუხედავად ამისა, სხვა ენების მონაცემებთან ერთად, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას, ჩვენი აზრით, საჭიროა გავითვალისწინოთ ქართველურ ენათა მონაცემებიც[30]. შეძლებისდაგვარად შევეცდებით ეს ვარაუდი ზოგიერთი მინოსური სიტყვის ეტიმოლოგიზაციის ცდით დავასაბუთოდ.

კრეტის მინოსური ტექსტების ერთ-ერთი სიტყვა, რომლის მნიშვნელობაც ზუსტად არის დადგენილი, შეჯამების აღმნიშვნელია და ტრანსლიტერირებულია—ku-ro-დ. ჯ. ჩედუიქის აზრით, რომელიმე ენაში მსგავსი სიტყვის პოვნამ შესაძლოა მინოსური დამწერლობის პრობლემა გადაჭრას; ე. პერუცი ადარებს მას აპოფონიურ ინდოევროპულ ფორმას *ger-ს—„შეგროვება“ (ბერძნ. ἀγείρω), ხოლო პ. მერიჯის მიხედვით იგი შეესაბამება საერთო სემიტურ ძირს kl—„მთელი“ (აქად. kalu, kullatu, ებრ. kol)[31]. ჩვენი აზრით, დასაშვები უნდა იყოს მინოსური სიტყვის დაახლოება ქართულ-ზანური ერთობის ხანის ფუძესთან *ḳar/ḳr—„შეკვრის, დაკავშირების“ მნიშვნელობით, რომელსაც თავის მხრივ უკავშირებენ ქართულ-ზანურ ფუძეს *ḳreb/ḳareb—„შეგროვება“[32];.

დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს „დეფიციტის“ აღმნიშვნელი მინოსური სიტყვაც—ki-ro. ე. პერუცი მასთან აახლოებს ინდოევროპულ *s(kel)—„ვალდებულება, უნდა“ (ლიტვ. skeliu და სხვ.)[33]. გასათვალისწინებელია, რომ მინოსური არ ასხვავებს r და l, ისევე როგორც b/p, g/k თანხმოვნებს[34]. მინოსურ სიტყვასთან გარკვეულ მსგავსებას ავლენს, სემანტიკურად იმავე „დეფიციტის“ მნიშვნელობის მქონე ქართულ-ზანური *ḳal (ქართულში—ḳel/ḳl, ზანურში—ḳor)[35].

მინოსურში—kunisu და qerau მიჩნეულია, რომ აღნიშნავენ მარცვლეულის ჯიშებს; მათ უკავშირებენ აქადურ kunāšu-ს „რომელიღაც მარცვლეულის ჯიშს“ და qālu-ს „მოხალულ მარცვალს“[36]. ქართველურ ენებში ყურადღებას იპყრობს ქართულ-ზანური ფუძე *kum (ქართული kum-el, ზანური kum-u)—„მოხალული მარცვლის“ მნიშვნელობით (ფშაურ დიალექტში ქუმელი აღნიშნავს ჩვეულებრივ სელს)[37] და მოხევური ხჟირი—„გამხმარი თივის, ჩალის ღერო“ (შდრ. აგრეთვე ძველ ქართულში ხმარებული—ხუარბალი—„მარცვლეული“, რომელიც ქართველური წარმავლობის სიტყვად

არ არის მიჩნეული, მაგრამ, ვფიქრობთ, თავისთავად მაინც ანგარიშგასაწევია მინოსური სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენისას)[38].

სავარაუდოდ ითვლება, რომ მინოსურში ჭურჭლეულს აღნიშნავდა ka-ti, ka-ra-re-we, qa-pa, ka-ro-pa. ეს სიტყვები წერია ჭურჭლების აღმნიშვნელი იდეოგრამების თავზე და არც ის არის გამორიცხული, რომ ჭურჭლებში მოთავსებულ ნივთიერებებს აღნიშნავდეს.[39] გ. ნოიმანი ka-ti-ს ხეთურ gazi, ლუვიურ gati —„ჭურჭელი" ადარებს და დასძენს, რომ ლუვიურში ეს სიტყვა წინალუვიური არაინდოევროპული ენიდან უნდა იყოს შესული.[40] ვფიქრობთ, საყურადღებოა ქართულ-ზანური ერთობის ხანისათვის აღდგენილი *ḳod-ფუძე, რომელიც აღნიშნავდა „ჭურჭელს გამოკვეთილს ხისგან", „ჭურჭელს ფხვიერი ნივთიერებებისათვის" (შდრ. აგრეთვე ქართ. „ქოთანი")[41]. ჭურჭლების აღმნიშვნელ სხვა სავარაუდო მინოსური სიტყვებისათვის ს. გორდონს მოყავს პარალელები ჭურჭლების უგარიტული სახელწოდებებიდან: sp, krpn, spl[42]; ქართველურ სამყაროშიც ვხვდებით მინოსურთან მიმსგავსებულ ანალოგიური მნიშვნელობის სიტყვებს: ქრონოლოგიურად ქართულ-ზანური ერთობის დროის *ḳardala-ს „მომცრო ქვაბი", რომელიც, თუმცა, ნასესხობად არის მიჩნეული (შდრ. აგრეთვე რაჭულ დიალექტში—კორვა—„ხის ჭურჭელი"), ქარა—„კეცის კიდე, ამოწეული გვერდები", გობი—„ჭურჭელი", ძველ ქართულში იგი ორმოს, მღვიმესაც აღნიშნავდა.[43]

მინოსური ხანის კრეტის მსხვერპლშეწირვის ადგილებზე და საკურთხევლებზე გვხვდება სიტყვები ta-na-no, a-ta-no, ja-ta-no, ე. პერუცი მათ ადარებს ხეთურ istananas—„ადგილი მსხვერპლთაან შესაწირავთა მიღებისათვის", თუმცა საგანი, რომელზედაც ეს სიტყვაა წარწერილი, როგორც ირკვევა, ლამპარია[44]. საყურადღებოა, რომ ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი სიტყვა თრულოში მოპოვებულ საკულტო ჭურჭელზეც გვხვდება.[45] ეგებ, ეს სიტყვები, რომლებშიც თითქოს tan ძირი გამოიყოფა, აღნიშნავს არა რომელიმე საგანს ან კონკრეტულ ადგილს, არამედ წარმოადგენს რელიგიური ხასიათის ფორმულას. ამასთან დაკავშირებით იქნებ გასათვალისწინებელი იყოს ქართული ტან-ზმნისძირი, „გატანების, ატანის" მნიშვნელობით.

რელიგიურ შინაარსს აკუთვნებენ ნიშანთა ჯგუფს, წაწერილს სელაკონოსის ჩუგლუგზე—da-ku, რაც ე. პერუცის აზრით ღვთაების სახელს უნდა წარმოადგენდეს და შესაძლებელია უკავშირდებოდეს ინდოევროპულ *dheghou-ს—„მიწა" (ხეთ. tegan, თოხარ. tkam)[46]. აღსანიშნავია, რომ მსგავსი სიტყვა აღდგენილია ქართულ-ზანური

ერთობისათვის *tiqa (ქართული tixu, მეგრული dixa, dexa) „თიხა, ნიადაგი“ (მეგრულში აგრეთვე „მიწა“)[47].

რელიგიურ შინაარსს ატარებს აგრეთვე წარწერა—a-pi', კეფალის სამაროვნის შესასვლელზე, რომელსაც ე. პერუცი შელოცვის ფორმულად თვლის და უკავშირებს ბერძნულ ὀπίσω-ს, მიღებულს ინდოევროპული—*opi-საგან (შდრ. ხეთ. და ლუვ. appa)[48]. ქართულში ამ სიტყვას ემსგავსება წარმართული ღვთაების—აპანის (რომლის თვედ იანვარი—აპნისი ითვლება) სახელწოდება, რომელიც, შესაძლოა შემოსული იყოს ქართულში სხვა წყაროდან.

მინოსური ki-ნაწილაკი, „ამიტომ რომ, ასე რომ“[49], შესაძლებლად მიგვაჩნია დავუკავშიროთ ქართულ-ზანური ერთობის ხანის დასტურის მანიშნებელ *kwe ნაწილაკს (ქართული k(w)e-; ზანური ko-)[50].

მორფოლოგიური მონაცემებიდან, რომლებიც აგრეთვე ძალზე მცირე რაოდენობით არის გამოყოფილი, აღსანიშნავია ს. გორდონის მიერ u-პრეფიქსის დაახლოების ცდა (რომლის მნიშვნელობაც, წინააღმდეგ ს. გორდონის შეხედულებისა, არ არის გარკვეული) ანალოგიურ სემიტურ პრეფიქსთან[51]. u-პრეფიქსი ქართველური ენებისათვისაც არის დამახასიათებელი, იგი გვხვდება ქართულ-ზანურ დონეზე, როგორც კლებითი პრეფიქსი და აგრეთვე აღმატებითი ხარისხის პრეფიქსული ფორმანტი[52].

მინოსურში t-ფორმანტი მიჩნეულია მრავლობითი რიცხვის მაჩვენებლად;[53] ძველქართულში იგივე ფორმანტი, გარდა სახელობითისა და წოდებითისა, ყველა ბრუნვაშია წარმოდგენილი.[54]

მინოსური სიტყვების ეტიმოლოგიზაციისას ქართველურ ენათა გამოყენების შესაძლებლობის საკითხთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია მცენარეების აღმნიშვნელი ის მინოსური ტერმინებიც, რომლებიც შემონახულია ბერძნული ენის დიალექტებში, მათ შორის ბ-ხაზოვან მიკენურში[55] და რომელთაც, ქართველურ ენებში (და მათ დიალექტებში) მეტ-ნაკლებად მიახლოებული პარალელები უნდა ეძებნებოდეთ: ἄκυλος — „რკო“, შდრ. ქართულ-ზანური დონის *ḳrḳo—„რკო“ (ქართული rḳo, მეგრული ḳə, ḳi);[56] μιμαίκυλον—„მარწყვი“, შდრ. საერთოქართველური *marc̣qw (სვანური bäsqi, bäsq)[57], საყურადღებოა აგრეთვე ბასკური maguri—„მარწყვი“[58]; βράβυλον—„კვრინჩხა“, შდრ. ინგილოური დიალექტის ბრული—„ბარდი“; ὄσπρια — „ჰოტოსანი ნაყოფი“, შდრ. ქართლური დიალექტის სპირო—„ბლის ქერქის აბგა“[59]; ζίζυφον—„ბუჩქიანი მცენარე“, შდრ. ქართულ-ზანური *ʒeʒ (w)—„ეკლებიანი, დატოტვილი

ბუჩქი"[60]; σταφυλή— „ყურძნის მტევანი", შდრ. ძველქართული სთუელი—„შემოდგომა, გინა ყურძნის მოკრეფა" (საბა) და სთული— „დართული ნართი", რომლებიც შესაძლოა ქართულ-ზანურ ფუძეს *rtw—„გადაფარება" უკავშირდებიან.[61]

სავარაუდოა, წინაბერძნულიდან იყოს შესულ ბერძნულ ენაში 'excrement'-ის მნიშვნელობის მქონე სიტყვაც — κόρος[62], რომელსაც შესაძლოა უახლოვდებოდეს ქართულ-ზანური ფუძე *qar-, „ყარს, ყროლა"[63].

გასათვალისწინებელია, რომ მინოსური ენისათვის, ქართველური ენებისა და საზოგადოდ ხმელთაშუაზღვის უძველესი სუბსტრატის ენების მსგავსად, დამახასიათებელია ცალკეული ხმოვნების თავისუფალი მონაცვლეობა და მერყეობა, რაც მეტად იშვიათია ინდოევროპული ოჯახის ენებში[64].

წინაბერძნული ენები, მინოსური და ეგეოსური (იგივე პელასგური), იდენტური ან ახლო მონათესავე ენები უნდა ყოფილიყო. ამ ენებზე მეტყველი მოსახლეობის ინტენსიური ურთიერთობის კვალი კავკასიურ და საზოგადოდ შავიზღვისპირეთულ სამყაროსთან, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ფართოდ არის ასახული ანტიკურ წყაროებში.

აღმოსავლეთი და სამხრეთი შავიზღვისპირეთი ხშირად განიხილება ანტიკურ ლიტერატურაში როგორც ეგეოსური სამყაროდან ცალკეული მითიური პიროვნებებისა თუ მთელი ტომების გადმოსახლების ობიექტი. მსგავსი შეხედულება, შესაძლოა, საზრდოობდა ანტიკური ხანის პონტოსპირეთში ბერძნული კოლონიების დაარსებისა და მათში ეგეოსის ზღვის აუზიდან წამოსული ბერძნული მოსახლეობის ჩასახლების პერმანენტული პროცესით, მაგრამ, საკუთრივ ბერძნული ცნობების მიხედვით, ხალხთა გადასახლებებს, ძირითადად, წინაკოლონიურ პერიოდში ჰქონია ადგილი და მათ მონაწილეებად, უპირატესად, წინაბერძნული მოსახლეობა—პელასგები არიან დასახელებულნი. სამხრეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობის ნაწილის ბერძნების მიერ პელასგთა ნაშიერებად მიჩნევა უდავოდ ანგარიშგასაწევი გარემოებაა; ბერძნები კარგად იცნობდნენ თავიანთი სამშობლოს წინამოსახლეობას — პელასგებს, რომლებთანაც ხანგრძლივად თანაარსებობდნენ კიდევაც. სტრაბონის აზრით პელასგები ყველაზე ძველი ტომია, რომელიც კი საბერძნეთში ბატონობდა (Strabo, VII, VII, 10). ჰეროდოტესთან შემონახული გადმოცემის თანახმად, ათენელებისათვის აკროპოლისის გალავანი პელასგებს აუგიათ (Herod., VI, 137). მისი ნაშთები აქამდე შემორჩენილია აკროპოლისზე, სადაც უძველეს, დიდრონი ლო-

დებისაგან ნაგებ, ე. წ. ციკლოპური წყობის კედელს „პელასგურ გალავანს“ უწოდებენ.[65] საყურადღებოა, რომ მსგავსი ნაგებობები დამახასიათებელია კავკასიის გვიანბრინჯაოს ხანისათვისაც. ჰეროდოტეს მიხედვით, ათენელები, ვიდრე ელადას პელასგები ფლობდნენ, თვითონაც პელასგები იყვნენ, ხოლო იონიელებს, ვიდრე ისინი პელოპონესზე ცხოვრობდნენ, პელასგები და ეგიალეები ეწოდებოდათ (Herod., VII, 94; VIII, 44). ასევე ეოლიელებიც, ვიდრე პელასგიოტიდაში (ჩრდილოეთ თესალიაში) ცხოვრობდნენ, ელინური გადმოცემით, პელასგებად იწოდებოდნენ (Herod., VII, 95). ეოლიელებისა და იონიელების, როგორც ჩანს, პელასგური სუბსტრატის მქონე ბერძნული ტომები, უფრო გვიანდელ ხანებში, შესაბამისად, მცირე აზიის დასავლეთ (ეგეოსური) ნაპირის ჩრდილოეთ და ცენტრალურ, პელასგურ ოლქებს იკავებენ. სტრაბონიც, იუწყებოდა რა, პელასგთა ფართო გავრცელებას მთელ საბერძნეთში, განსაკუთრებით ხაზს უსვამდა მათ სიჭარბეს ეოლიელთა შორის, თესალიაში (Strabo, V, II, 4). ჰომეროსი თესალიის არგოსს პელასგურ არგოსს უწოდებდა (Hom., Il., II, 681—684). სტრაბონის შენიშვნით, პელოპონესს ჰომეროსი, ისევე, როგორც მთელ ელადას (საბერძნეთს), არგოსს უწოდებდა (Strabo, VIII, VI, 5, 7, 9). ეპირეც პელასგებს უნდა სჭეროდათ, ჰომეროსი ეპირულ დოდონას ზევსს პელასგურს უწოდებს (Hom., Il.. XVI, 233—235), ჰეროდოტეც იუწყება, რომ დოდონაში პელასგთა სამლოცველო იყო (Herod., II, 52), ხოლო ძვ. წ. VII ს. პოეტი ჰესიოდე ეპირეს თურმე პელასგთა სადგომად მიიჩნევდა (Strabo, VII, VII, 10). სტრაბონისავე ცნობით, ძვ. წ. IV ს. ისტორიკოსი ეფოროს კვიმელი პელოპონესის ნახევარკუნძულს პელასგიას უწოდებდა, ხოლო ძვ. წ. VI—V სს. დრამატურგ ესქილეს პელასგები მიკენის მახლობლად მდებარე არგოსიდან გამოჰყავდა (Strabo V, II, 4). ესქილეს მსგავსად, ძვ. წ. V ს. დრამატურგისათვის ევრიპიდესათვისაც პელოპონესის არგოსი— პელასგური მიწაა (Strabo, V, II, 4). ჰეროდოტეს აზრით, მთელ ელადას წინათ პელასგია ერქვა (Herod., II, 56). ჰომეროსის მონაცემებით, კუნძულ კრეტაზეც სხვა ტომებთან ერთად პელასგებიც ცხოვრობდნენ (Hom., Od., XIX, 175—177).

როგორც ჩანს, ბერძნული ტომების მძლავრობასთან ერთად პელასგები მატერიკიდან სულ უფრო კუნძულებისაკენ ინაცვლებდნენ. ისინი შედარებით დიდხანს, დაახლოებით ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე ინარჩუნებდნენ ეგეოსის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილს. მათ ეკუთვნოდათ თრაკიაში, კერძოდ მის სამხრეთ-აღმოსავლეთ

ნაწილში, ლარისის ოლქი, ქალკიდიკაში — ქალაქი კრესტონი, „ილიადის“ „ხომალდთა კატალოგის“ მიხედვით — მხარე ჰელესპონტსა და თრაკიას შორის, კუნძულებიდან — ლესბოსი, ლემნოსი, იმბროსი, ქიოსი, სამოთრაკია (Hom., Il., II, 840—843; X, 429; Herod., I, 57; II, 51; IV, 145; V, 26; VI, 137; VII, 94—95; Strabo, V, II, 4; XIII, III, 3). სტრაბონის ცნობით, მათი ნაწილი იტალიაში გადასულა ტირენების (იგივე ეტრუსკების) ეპონიმის, ატისის ძის ტირენის წინამძღოლობით, ხოლო მათი მეორე ნაწილი, თვით ატისისა და მისი მეორე ძის ლიდის, ლიდიელთა ეპონიმის მეთაურობით ლიდიაში დარჩენილა (Strabo, V, II, 2,4). ახ. წ. I—II სს. მწერლის პლუტარქეს განმარტებით, პელასგური წარმომავლობის ტირენები (ეტრუსკები) ჯერ თესალიაში მოსახლეობდნენ, მერე ლიდიაში გადასახლდნენ, ლიდიიდან კი იტალიაში გადავიდნენ (Plut., Rom., I, 2). ჰეროდოტეს დროს, მცირე აზიაში, ჰელესპონტოს (თანამედროვე დარდანელის სრუტე) აღმოსავლეთ ნაპირზე გადასული პელასგები პლაკიესა და სკილაკეში ცხოვრობდნენ (Herod., I, 57). სტრაბონი, მენეკრატ ელეელის მონაცემებზე დაყრდნობით, მცირეაზიელი პელასგების საცხოვრისს მთელი იონიური სანაპიროთი და მისი მიმდებარე კუნძულებით განსაზღვრავს (Strabo, XIII, III, 3). სტრაბონის აზრით, ეოლიურ ქალაქ კიმეს მახლობლად უნდა მდებარეობდეს ჰომეროსის „ილიადაში“ მოხსენიებული პელასგური ლარისა (Hom., Il., II, 840; Strabo, XIII, III, 2—3). როგორც ფიქრობენ, ლარისა პელასგურ ენაზე „აკროპოლისს“ ნიშნავდა[66].

უფრო ჩრდილოეთით, პროპონტიდის (თანამედროვე მარმარილოს ზღვა) მცირეაზიულ სანაპიროზე პელასგური წარმომავლობის მქონედ მიჩნეულია დოლიონების ტომი. ისეთ მნიშვნელოვან ნაშრომში, როგორიც იყო ძვ. წ. IV ს. ისტორიკოსის, ეფოროს კვიმელის ოცდაათტომიანი „საზოგადო ისტორია“, რომლის ფრაგმენტებიც აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიონებშია შემონახული, დოლიონების ტომი, სხვა პელასგურ ტომთა დარად, თესალიიდან ელინების მიერ გამოძევებულ ტომადაა გამოცხადებული[67]. სტრაბონის აზრით, დოლიონები, ბებრიკების მსგავსად, უკვე ტროის ომის ხანებში ყოფილან ფრიგიელებთან აღრეულები (Strabo, XIV, V, 23); იქნებ, სწორედ ამ უკანასკნელი გარემოებით აიხსნას დოლიონების პელასგებთან დაპირისპირების ფაქტი, რაც ძველ მწერლებთან შეინიშნება. ძვ. წ. II ს. ავტორის, აპოლოდორეს თხზულების —„ბიბლიოთეკის“ ცნობით, დოლიონები შეჩვეულები იყვნენ პელასგთა ხშირ თავდასხმას (Apollod., I, 9, 18). აპოლონიოს როდოსელის პოემის „არგონავტიკის“ მიხედვით, ეს პელასგები მაკრი-

სელები ყოფილან: „...და მოეჩვენათ, რომ სანაპიროს უმამაცესი მაკრიელების მოადგა რაზმი პელასგიური“ (Apoll. Rhod., I, 1024)[68]. პოემის სქოლიასტის განმარტებით, მაკრისელები იგივე მაკრონებია, რომელთა შესახებაც ძე. წ. IV ს. მოღვაწეს დიონისიოს ქალკიდელს შეუნიშნავს, რომ ისინი უწინ კუნძულ ევბეაზე, ანუ მაკრისზე სახლობდნენ და სახელიც აქედან შეერქვათო: სქოლიასტი დასძენს, რომ სხვების აზრით, მაკრონებს ასე იმიტომ უწოდებენ, რომ მათ შორის ბევრია გრძელთავიანი, მაკროკეფალი (Schol. ad Apoll. Rhod., I, 1024). ახ. წ. IV ს. პოემის, ორფიკული „არგონავტიკის“ ცნობით, მაკრონები ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიაში მცხოვრები მარიანდინების მეზობლები არიან; თუმცა პოემის ერთ-ერთ ნუსხაში Μάκρωνες შენაცვლებულია Μάκριες-ით (Ps.-Orph., 747)[69]. აპოლონიოს როდოსელის მიხედვითაც, მაკრიები ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიაში ბინადრობდნენ, დოლიონების მეზობლად; დოლიონების მიწას გაცდენილი არგონავტები მაკრიადის მთებს გასცქეროდნენ (Apoll. Rhod., I, 1112). ამავე დროს, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ აპოლონიოს როდოსელი, სხვა ადგილას, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღისპირეთში მოსახლე ტომებთან ერთად, ასახელებს მაკრონებსაც (Apoll. Rhod., II, 392—397, 1242—1244). ქსენოფონტის „ანაბასისის“ მონაცემებიც ცხადყოფენ, რომ ძვ. წ. V—IV სს. მიჯნაზე მაკრონთა საცხოვრისი ტრაპეზუნტის სამხრეთით ორი დღის სავალზე იყო (Xen., Anab., IV, VIII, 8; V, V, 18; VII, VIII, 25). სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრებლებლად თვლიან მაკრონებს, აგრეთვე, სტრაბონი (Strabo, XII, III, 18), ახ. წ. I ს. ისტორიკოსი პლინიუს სეკუნდი (Plin., NH, VI, 11), ახ. წ. II ს. მოღვაწე ფლავიუს არიანე (Arr., PPE, 11) და სხვ. როგორც ვხედავთ, მაკრისელებ-მაკრონებს, გარდა სახელწოდების ორი ფორმისა, ორი განსხვავებული ადგილმდებარეობაც მოეპოვებათ და შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ისინი ორ სხვადასხვა ტომს წარმოადგენდნენ. მაგრამ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიასტის ზემომოყვანილი განმარტებების გარდა, ამას ხელს უშლის, მასთანვე დაცული ერთი ცნობა, რომლის მიხედვით ზოგიერთები მაკრისელების სახელს უწოდებენ ბექეირების ტომსაც, რომლებიც მუდმივად კიზიკელებს (ანუ დოლიონებს) ეომებოდნენ (Schol. ad Apoll. Rhod., I, 1024). მოყვანილ კონტექსტში ბექეირთა ტომის მოხსენიება სავარაუდოს ხდის იმ გარემოებას, რომ დოლიონებთან მებრძოლ ტომებში შემდგომში აღმოსავლეთ პონტოში მოსახლე ტომები უნდა იგულისხმებოდნენ. ჰეკატეოს მილეტელი ბექეირების ქვეყანას „ბექეირიკას“, ხოჟების მეზობლად, ჩრდილო-აღმო-

სავლეთ ანატოლიაში ათავსებდა (Hec., fr. 190). ძვ. წ. IV ს. ავტორის ფსევდო-სკილაქს კარიანდელის მიხედვით, ბექეირები ქალაქ ტრაპეზუნტისა და მაკროკეფალების ტომის აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ (Ps.-Scyl., 84—85) სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ერთმანეთის გვერდით მოიხსენიებს მათ პომპონიუს მელაც (Pomp. Mela, I, 19, 107), ხოლო აპოლონიოს როდოსელი და ახ. წ. II ს. ავტორი დიონისიოს პერიეგეტი ბექეირებსა და მაკრონებს ასახელებენ იმავე რეგიონში (Apoll. Rhod., II, 394, 1242; Dion. Per., 766). ა. ურუშაძის აზრით, აპოლონიოს როდოსელის პოემის სქოლიონებში დაცული ცნობა მაკრისელებისა და მაკრონების იგივეობაზე, ამ უკანასკნელთა ადრეული განსახლების ვითარების ამსახველია, როდესაც ბერძნების მიერ ეგეოსის ზღვის აუზიდან გამოძევებული პელასგური წარმომავლობის მაკრისელები-მაკრონები, სხვა პელასგურ ტომებთან ერთად ჯერ პროპონტიდის (თანამედროვე მარმარილოს ზღვა), ხოლო შემდეგ შავი ზღვის სანაპიროებისაკენ გახიზნულები, ძველთაგანვე იქ დამკვიდრებული მათი მონათესავე ტომების გვერდით დასახლებულან[70].

ჰეკატეოსისა და სტრაბონის მითითებით მაკრონები მათ ხანაში სანებად იწოდებოდნენ (Hec., fr. 191; Strabo, XII, III, 18). XII ს. მოღვაწე ევსტათი თესალონიკელი, რომელსაც დიონისიოს პერიეგეტის კომენტარები ეკუთვნის, აღნიშნავს, რომ ბექეირების სამხრეთით მცხოვრებ მაკრონებს მის დროს სანები ეწოდებოდათ, ხოლო მდაბიურად — ტძანები (Τζάνους) (Eust. ad Dion. Per., 765); როგორც აღნიშნავენ, τζ კომპლექსით ბერძნულისათვის უცხო აფრაკატი ჭ არის გადმოცემული და სანნების მდაბიური სახელწოდება უნდა ყოფილიყო—ჭანი[71]. საკუთრივ სახელწოდება „მაკრონიც", მკვლევართა აზრით, უკავშირდება ერთ-ერთ ზანურ (მეგრულ-ჭანურ) სატომო სახელს „მეგრელ ‖ მარგალ"-ს, რომელშიც გამოიყოფა არგ ‖ არკ ძირი, მიღებული სახლწოდება „მაკრონში" შემავალი აგრ ‖ აკრ ძირის მეტათეზის შედეგად; ეთნონიმ „მაკრონში" გამოიყოფა აგრეთვე სადაურობის აღმნიშვნელი ქართველური მ-პრეფიქსი და ჭანურისათვის დამახასიათებელი -ონ სუფიქსი[72]. ა. ურუშაძის აზრით, სატომო სახელის Μάκρωνες უძველესი ვარიანტი არის Μακρωες<Μακρώες, რომელიც მომდინარეობს Μάκρως-იდან და ქართულ-ზანური *მაგრალის შესატყვისია[73]. არგ ‖ აგრ ფუძე ფართოდ არის გავრცელებული ეგეოსის ზღვის აუზის ტოპონიმიკაში და პელასგური წარმომავლობის მქონედ არის მიჩნეული[74]. ტოპონიმ „არგოსში", „ველის" აღმნიშვნელ პელასგურ სიტყვას ხედავენ[75]; თუმცა იგივე სიტყვა ხშირია ეგეოსურ ანთროპონიმიკა-

ში; თ. მიქელაძის აზრით, კოლხთა მითიური მეფის აიეტესის შვილიშვილი არგოსი შესაძლოა „ქართლის ცხოვრების“ გენეალოგიური სქემის ეგრისელთა ეთნარქ-ეპონიმს „ეგროსს“ შეესაბამებოდეს; ა. ურუშაძე ზემომოყვანილი არგ-ძირიანი ეთნონიმების არსებობის საფუძველზე დასაშვებად მიიჩნევს, რომ პელასგურ-კოლხური სამყაროს ეთნარქ-ეპონიმი არგოსი უნდა ყოფილიყო[76].

საყურადღებოა, რომ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიასტის მიხედვით, მაკრონები სკვითური ტომია, წამოსული ევბეელთაგან, რომელთა საცხოვრისსაც მდებარეობის გამო მაკრისი ეწოდებოდა (Schol. ad Apoll. Rhod., II, 392). როგორც ვხედავთ, სქოლიასტი მაკრონებს ერთდაიმავე დროს მიიჩნევს როგორც სკვითურ, ასევე ეგეოსურ (პელასგურ) ტომად. ეს არ არის იზოლირებული შემთხვევა, როდესაც ანტიკური ეპოქის წყაროებში შავიზღვისპირეთის ქართველური ტომები სკვითურ ან პელასგურ ტომებად მოიხსენიებიან; პირველი განსაზღვრება, სავარაუდოა, რომ, უპირატესად, კულტურულ-პოლიტიკური შინაარსის შემცველია, ხოლო მეორე — ეთნიკური ნათესაობის გამომხატველი.

განსაკუთრებით რთულია ამ მხრივ, სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე კავკონების ვინაობის გარკვევა, რომლებიც ქალაქ ჰერაკლეიდან მდინარე პართენიოსამდე (თანამედროვე ქ. ერეგლიდან — მდ. კოჯა-ირმაკამდე), მარიანდინებსა და ენეტებს (ძვ. წ. IV ს. ისტორიკოსის კალისთენეს მიხედვით — ლევკოსირებს) შორის სახლობდნენ; მათ ზოგიერთი სკვითებად მიიჩნევდა, ზოგი პელასგებად, ზოგიც რომელიღაც მაკედონურ ტომად (Strabo, XII, III, 5). სტრაბონის მიხედვით, მათი თავდაპირველი ბინადრობის მხარედ პელოპონესს — ელიდას, ხოლო თვით მათ, პელასგების მსგავსად, არკადიულ ტომად მიიჩნევდნენ (Strabo, VIII, III, 17). სტრაბონის დროს მდ. პართენიოსთან უკვე კავკონიატებისა თუ კავკონიტების პაფლაგონიური ტომი ცხოვრობდა, ხოლო საკუთრივ კავკონების ტომი უკვე აღარსად იყო (Strabo, VIII, III, 9, 17; XII, III, 5). ასევე გაუჩინარებულა სტრაბონის დროისათვის მდ. პართენიოსის აღმოსავლეთით, ე. ი. პაფლაგონიაში მოსახლე, ენეტების ტომი (Strabo, XII, III, 5,8). სტრაბონის ცნობით, ტროის დაცემის შემდეგ მათი ნაწილი ადრიატიკის ზღვის შორეულ ნაპირზე, ენეტიკაში, გადასახლებულა (Strabo, I, III, 2,21; XII, III, 8,25; XIII, I, 53)[77]. ენეტების ქვეყნისა და პაფლაგონიის სიახლოვე თუ იდენტურობა, შეიმჩნევა „ილიადის“ „ხომალდთა კატალოგის“ მიხედვითაც, სადაც ვკითხულობთ: „პაფლაგონიელებს ხელმძღვანელობდა

პილემენე გულადი, ენეტედან, საიდანაც გარეული ჯორების მოდგმაა (ცნობილი), კიტოროსში რომ ცხოვრობდნენ და სესამოსის გარშემო სახლობდნენ, მდინარე პართენიოსის გარშემო დიდებულ სახლებში ბინადრობდნენ, კრომნასა, აიგიალოსსა და მაღალ ერითინიოსში (ცხოვრობდნენ)" (Hom., Il., II, 851—855)[78]. აშკარაა, რომ დასახელებულია ტერიტორია მდ. პართენიოსიდან კარამბისის (ამჟამად კერემფეს ) კონცხამდე, ანუ ზღვისპირა პაფლაგონიის დასავლეთი ნაწილი. სტრაბონის ცნობით, მეანდროს მილეტელი იუწყებოდა, რომ ტროის ომში მიმავალი და შემდეგ ადრიატიკის შორეულ ნაპირზე დასახლებული ენეტები ლევკოსირების ქვეყნიდან იყვნენ წამოსული, ხოლო ადგილზე დარჩენილები დროთა განმავლობაში კაპადოკიელებად იქცნენ; სტრაბონის აზრით, ამ განცხადების სასარგებლოდ უნდა მოწმობდეს, პაფლაგონიის გასწვრივ მდებარე, მდ. ჰალისის მახლობელ კაპადოკიურ ოლქებში გამოყენებულ ორივე ენაში პაფლაგონიური სახელების სიუხვე (Strabo, XII, III, 25). მაგრამ მეანდროსის ცნობის მიხედვით არ არის ნათელი მდ. ჰალისთან ეგულებოდა თუ არა მას „ლევკოსირების ქვეყანა". მდ. ჰალისის აღმოსავლეთით ენეტთა ლოკალიზების შესაძლებლობას იძლევა სტრაბონთან შემონახული ძვ. წ. II ს. ავტორის აპოლოდორეს ცნობა, ჰეკატეოს მილეტელის მიერ ქალაქ ამისოსის (თანამედროვე ქ. სამსუნი) ენეტად მიჩნევის თაობაზე, თუმცა, ამის საწინააღმდეგოდ, სტრაბონი ხაზს უსვამს მდ. ჰალისის აღმოსავლეთით, ლევკოსირების ქვეყანაში, ამისოსის მდებარეობას (Strabo, XII, III, 25).

გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ჰეროდოტეს მიერ სირიელთა (იგივე ლევკოსირთა) ბინადრობის ადგილთან მოხსენიებული მდ. პართენიოსი (Herod., II, 104), რომელიც აგრეთვე გვხვდება „ილიადის" ზემომოყვანილ ფრაგმენტში, უნდა ყოფილიყო მდ. ჰალისის (კიზილ-ირმაკის) მახლობლად, სადაც დღესაც დასტურდება მდინარე მსგავსი სახელწოდებით და რომელსაც თურქული ნომენკლატურით ბართან-სუ ან უბრალოდ ბართინე ეწოდება[79]. მაგრამ, ვინაიდან, „ილიადის" მდ. პართენიოსი დასავლურპაფლაგონიურ ქალაქებთან კრომნასთან, აიგიალოსთან, ერითინიოსთან და სესამოს-ამასთრისთან მეზობლობაში მოიხსენიება (Hom., Il., II, 853—855) და აგრეთვე, იმის გამო, რომ კალისთენეს მიხედვით, კავკონების ტომი ქალაქ ჰერაკლეადან და მარიანდინების ოლქიდან ლევკოსირებამდე და მდ. პართენიოსამდე ვრცელდებოდა (Strabo, XII, III, 5), აშკარა ხდება, რომ „ილიადასა" და ჰეროდოტესთან ნახსენებ მდ. პართენიოსში ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიაში მდებარე თანამედროვე მდინარე კოჯა-ირმაკი

იგულისხმება, რომლის ძველი სახელწოდება ამავე მდინარეზე მდებარე ქალაქ ბართინში ჩანს შემონახული. მიუხედავად ამისა, ენეტების (ჰენეტების) აღმოსავლეთისაკენ განსახლების სასარგებლოდ შესაძლოა მიგვანიშნებდეს მათი სახელწოდების სავარაუდო კავშირი ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსში“ მოხსენიებულ ხალიბთა დახურულ ნავსადგურ გენეტესთან (Γενήτης—Ps.-Scyl., 88), აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ გენეტეს კონცხთან (Γενηταίη ἄκρη — Apoll. Rhod., II, 378; იხ. იქვე, „გენეტული ზევსის კონცხი“, II, 1009), სტრაბონის „გეოგრაფიის“ მდინარე გენეტესთან (Strabo, XII, III, 17)[80]. პ. ინგოროყვა სახელწოდება „გენეტეს“ ჰენიოხთა სატომო სახელს უკავშირებდა[81]. ა. ურუშაძეს მსგავსი ვარაუდი არ მიაჩნია გამართლებულად, რადგან ბერძნულ ენას „ჰ“-ს გადმოსაცემად საუკეთესო საშუალება ჰქონდა ძლიერი ასპირაციის სახით, გარდა ამისა, მისი აზრით, ეს სიტყვა მომდინარეობს ბერძნული ზმნისაგან γεννάω, ხოლო ფორმა Γενηταῖος ზევსის ეპითეტად იხმარებოდა („მშობლიური ზევსი“)[82]. მაგრამ, სახელწოდება „გენეტესის“ სამნაირი გამოყენება ნავსადგურის, კონცხის და მდინარის სახელწოდებისათვის, სავარაუდოს უნდა ხდიდეს მის ადგილობრივ წარმომავლობას. სახელწოდება „გენეტესის“ ბერძნულად გააზრება, სავსებით დასაშვებია, მომხდარიყო ადგილობრივი სახელის კონტამინაციის შედეგად. ანალოგიური შემთხვევები ხშირია ანტიკური ეპოქის შავიზღვისპირეთის სინამდვილეში[83]. თ. მიქელაძის დაკვირვებით, აღნიშნული სახელწოდება შემონახული უნდა იყოს ამავე მიდამოებში არსებული კუნძულის თანამედროვე სახელწოდებაში — ჰანეთ კალესი.[84]

ჰენიოხები, როგორც ჩანს, ფართოდ ვრცელდებოდნენ შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთ რაიონებში. მათ ფსევდო-სკილაქსი ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში აქაიელების სამხრეთითა და კორაქსების ჩრდილოეთით ათავსებს (Ps.-Scyl., 76—77). დიონისიოს პერიეგეტის მიხედვით, დასავლეთ ანატოლიიდან მოსული აქაიელების მეზობლად ცხოვრობდნენ პელასგიდების ქვეყნის შვილები — ჰენიოხები და ზიგიები (Ζύγιοι) (Dion. Per., 682—687). სტრაბონთან დაცული, ძვ. წ. II—I სს. გეოგრაფოსის არტემიდორე ეფესელის ცნობით, ჰენიოხები დიდი პიტიუნტის (თანამედროვე ბიჭვინთის) ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ (Strabo, XI, II, 14). თვით სტრაბონისთვისაც ჰენიოხები ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ტომია, აქაიელების მსგავსად, არგონავტ იასონის ლაშქრის ნაწილისაგან წარმომდგარი (Strabo, II, V, 31;

XI, II, 1, 12—14; XI, V, 6; XVII, III, 24). ახ. წ. II ს. ალექსანდრიელი მოღვაწის, კლავდიუს პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს“ ცნობით, ჰენიოხები ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ბინადრობდნენ, აქაიელების, კერკეტებისა და სუანოკოლხების მეზობლად (Cl. Ptol., V, VIII, 25). ძვ. წ. IV—III სს. ავტორის ჰერაკლიდე პონტოელის „პოლიტიებში“, რომელიც, როგორც დადგინდა, ძვ. წ. IV ს. დიდი ფილოსოფოსის არისტოტელეს ამავე სათაურის მქონე თხზულების ექსცერპტებს წარმოადგენენ[85], ჰენიოხები კოლხეთის დაბლობის უძველეს მოსახლეობადაა მიჩნეული; აქ აღინიშნება, რომ ფასისის გაყოლებაზე თავდაპირველად უცხოვრია ჰენიოხების ველურ ტომს, შემდეგ კი — მილეტელებს, ქალაქ ფასისის ბერძენ კოლონისტებს (Heracl. Pont., De reb. publ., XVIII).

ძნელი სათქმელია, თუ სად ვარაუდობდა ჰენიოხთა განსახლებას ძვ. წ. V ს. ლოგოგრაფოსი ჰელანიკე მიტილენელი, რომლის მიხედვით, კერკეტების ზემოთ ცხოვრობენ მოსხები და ხარიმატები, ხოლო ქვემოთ ჰენიოხები, ზემოთ კი — კორაქსები (Steph. Byz., s. v. Χαριμᾶται); ყველა ეს ტომი თუ მათგან ნაწარმოები ტოპონიმი, გარდა ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისა, სამხრეთ-აღმოსაელეთ შავიზღვისპირეთშიც გვხვდება, ხოლო ძვ. წ. IV ს. ავტორი პალეფატ აბიდოსელი, თხზულებაში „ტროის ომის შესახებ“ (მისი ფრაგმენტიც, ჰელანიკეს ფრაგმენტთან ერთად სტეფანე ბიზანტიონელის „ეთნიკურ ლექსიკონშია“ შემონახული), ხარიმატების შესახებ წერს, რომ „კერკეტებს ემიჯნებიან მოსხები, და ხარიმატები ფლობენ პართენიოსს ევქსინის პონტომდე“ (Steph. Byz., s. v. Χαριμᾶται); ვინაიდან ხარიმატების პართენიოსად სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია ფსევდო-სკილაქსის მდ. პორდანისი (Ps.-Scyl., 83), ფლავიუს არიანეს მდ. პრიტანიდი (Arr., PPE, 7), ისტორიული ლაზეთის მდინარე ფორტუნა[86], იგივე თანამედროვე მდ. ფაზარი, სავარაუდო ხდება, რომ ჰელანიკესთან მოხსენიებული ჰენიოხები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლენი უნდა ყოფილიყვნენ[87]. აღსანიშნავია, რომ ახ. წ. IV ს. ავტორის ამიანუს მარცელინუსის ცნობით, მდ. ფასისის მახლობლად ცხოვრობდა კამარიტების ტომი (Amm. Marc., XXII, 23—24), რომლის სახელწოდება, შესაძლოა ეთნონიმ „ხარიმატისაგან“ მეტათეზისითა და დიონისესეულ კამარიტებთან კონტამინაციით იყოს მიღებული. ჰელანიკესთან ჩამოთვლილი ტომების სამხრეთული ლოკალიზება თითქოს მით უფრო დასაშვებია, რომ პლინიუსის მონაცემებით, სანი-ჰენიოხები (Sannorum Heniochorum) ქ. ტრაპეზუნტის მხარეში და მისგან აღ-

მოსავლეთით ბინადრობდნენ, ხოლო მდ. მტკვარს სათავე ჰენიოხურ, ანუ კორაქსულ მთებში ჰქონია (Plin., NH, VI, 12,26). თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ თვით პლინიუსის მიხედვით, ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც, სუანების ტომსა და შავ ზღვას შორის ცხოვრობდა დიოსკურთა მეეტლეების შთამომავალ ჰენიოხთა მრავალრიცხოვანი ტომები (Plin., NH, VI, 16, 30).

პლინიუსის სან-ჰენიოხებს, როგორც ჩანს, შეესაბამება ფლავიუს არიანეს „პერიპლუსში" სანების აღმოსავლეთით მოხსენიებული მაკრონებისა და ჰენიოხების გაერთიანება, რომელსაც სათავეში ედგა ერთი მეფე—ანქიალე, ხოლო მისი სასახლე მდ. პრიტანიდზე ყოფილა გაშენებული (Arr., PPE,7,11). ახ. წ. V ს. ანონიმურ „პერიპლუსში" მაკრონების ნაცვლად იმავე კონტექსტში მახელონებია დასახელებული (Anon., PPE, XLII, 8). ამდენად, თითქოს მოიპოვება საფუძველი ჰელანიკესეული ჰენიოხების სამხრეთ შავიზღვისპირეთში ლოკალიზებისათვის, მაგრამ, ამავე დროს, ანგარიშგასაწევად მიგვაჩნია ჰელანიკესა და პალეფატის ზემომოყვანილი ცნობების ადრეულობის მიმართ გამოთქმული ეჭვი: ფიქრობენ, რომ სტეფანე ბიზანტიონელთან შემონახული ეს ცნობები პონტოს მეფის მითრიდატე VI ევპატორის ომების ისტორიკოსების ტრადიციას უნდა უახლოვდებოდეს[88].

ბერძნულ-ლათინურ წყაროებში მოხსენიებული ჰენიოხების წარმომავლობის საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა ვარაუდი იმის თაობაზე, რომ დასაშვები უნდა იყოს მათი დაახლოება ურარტული წარწერების მიერ ძვ. წ. VIII ს. ჩილდირის ტბის მიდამოებში დამოწმებულ იგანიეხიელებთან, რომელთა მოგვიანებით დასავლეთისაკენ გადანაცვლებული შთამომავლები, ქ. ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით მდებარე სანაპირო მხარეში „ჰენიოხთა" სახელწოდებით უნდა გამოჩენილიყვნენ[89]. საპირისპიროდ ამისა, თ. ყაუხჩიშვილი იზიარებს შეხედულებას, ჰენიოხების, ზოგიერთ სხვა ტომთან ერთად, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ჩრდილო სანაპიროდან სამხრეთისაკენ გადანაცვლების შესახებ;[90] თუმცა იგი ამასთანავე შესაძლებლად თვლის, სტრაბონთან მოხსენებული, იასონის ლაშქრიდან ჰენიოხებთან ერთად ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვიპირეთში დასახლებული, ფთიური ანუ თესალიური წარმომავლობის აქაიელები (Strabo, XI, II, 12—14) ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანების ხმელთაშუაზღვის აუზში მიმდინარე ტომთა დიდი გადასახლებების შედეგად მოხვედრილიყვნენ კავკასიაში[91].

განსხვავებული შეხედულებებია გამოთქმული ჰენიოხთა ეთნიკური კუთვნილების შესახებაც, მათ, ძირითადად, სვანურ[92], ზანურ[93], ან აფხაზურ-ადიღური მოდგმის[94] ტომად მიიჩნევენ. ი. ორბელი

ეთნონიმ „ჰენიოხში“ გამოყოფდა ჰენ-ფუძეს[95]. ბოლო დროს, ლინგვისტური მონაცემების საფუძველზე, ბ. გიგინეიშვილი შეეცადა დაესაბუთებინა ეთნონიმების „ჰენიოხისა“ და „ჭანის“ იდენტურობა. მისი აზრით, ჰენი-(ო)-ხი ჭანების (იგივე სჭანების) სვანური სახელწოდებაა და საერთო ქართველური *წ₁ენისაგან უნდა მომდინარეობდეს; ქართულში მისი კანონზომიერი შესატყვისი *წენი უნდა ყოფილიყო, ზანურში კი — ჭანი[96]. თ. ყაუხჩიშვილის შეხედულებით, ასეთი ვარაუდი მრავალ დაბრკოლებას აწყდება, მაგრამ თავად შეხედულებას ჰენიოხების დასავლურქართული (სვანური ან ზანური) კუთვნილების შესახებ იგი იზიარებს[97].

ჰენიოხთა დასავლურქართულ კუთვნილებას, შესაძლოა, სწორედ წინაკოლონიურ პერიოდში მდ. რიონის აუზში მათი ბინადრობის ზემომოყვანილი ცნობა მოწმობდეს, რაც, ამავე დროს, უფრო გვიანდელ ხანებში, ჩრდილოეთისაკენ მათი გადანაცვლების სასარგებლოდაც უნდა მეტყველებდეს და რისთვისაც, როგორც ფიქრობენ, კოლხების მდ. ფასისზე (რიონზე) გაბატონებას უნდა შეეწყო ხელი[98]. მსგავსი ვითარება თითქოს ასახულია „არგონავტიკის“ ახ. წ. I ს. ეპიკოსი პოეტის ვალერიუს ფლაკუსისეულ ვერსიაში (Val. Flacus, V, 357), რომელშიც კოლხების მეფის ასულის მედეას ძიძად ჰენიოხი ქალია დასახელებული, ეს კი მკვლევართა აზრით, ურთიერთობის გარკვეულ ეტაპზე ჰენიოხების კოლხებისადმი დაქვემდებარებული მდგომარეობის გამომხატველია[99]. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ის გარემოება, რომ ადრეულ ცნობათა უმრავლესობა, სადაც ჰენიოხები ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არიან დასახელებული, მათი იქ ეგეოსური სამყაროდან გადმოსახლებას იუწყება. გარდა დიონისიოს პერიეგეტისა და სხვა ავტორების მიერ ჰენიოხების პელასგთა ნაშიერებად გამოცხადებისა, პელასგურ სამყაროსთან მათ სიახლოვეზე შესაძლოა მიუნიშნებდეს ანტიკური ეპოქის ავტორების მიერ ჰენიოხების ტომის წარმომავლობის დაკავშირების ცდა იასონის თანამოლაშქრეების, ტყუპი ძმების — დიოსკურების მეეტლეებთან, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იასონი და საზოგადოდ არგონავტები პელასგებად მიიჩნეოდნენ (იხ. ქვემოთ). აღსანიშნავია, რომ ეთნონიმ „ჰენიოხს“ (Ἡνίοχοι) ძველი ავტორები ჩვეულებრივ განმარტავენ „მეეტლის“ აღმნიშვნელი ბერძნული ტერმინით ἡνίοχος (მრ. რ. ἡνίοχοι). ჰენიოხებისა და დიოსკურების ურთიერთკავშირი ჩანს პომპონიუს მელას იმ ცნობიდანაც, რომ ქალაქი დიოსკურია (Dioscurias) ჰენიოხთა მიწაზე დიოსკურებმა დააარსეს (Pomp. Mela, I, 19, 111); ხოლო პლინიუსის მიხედვით, ეს ქალაქი დააარსეს თვით „მეეტლეებმა“, რომელთაგანაც წარმოიშვა

ჰენიოხთა ტომი (Plin., NH, VI, 16)[100]. ახ. წ. I ს. ავტორის,
პომპეუს ტროგუსის მიხედვით, რომლის თხზულება ახ. წ. II—III
სს. მოღვაწის, იუსტინუსის რედაქციითაა შემონახული, იასონი მრა-
ვალი წლის შემდეგ უკან ბრუნდება კოლხეთში და სამეფო ტახტს
უბრუნებს თავის სიმამრს აიეტესს, რომლისთვისაც მტრებს სამე-
ფო წაურთმევიათ. შემდეგ იასონს დიდი ბრძოლები გადაუხდია მე-
ზობლებთან და დაპყრობილი მიწა-წყლის ნაწილი აიეტესის სამე-
ფოებისათვის შეუერთებია, ხოლო ნაწილი თავის თანამოლაშქრეებისა-
თვის გაუყვია; მათ შორის, დიოსკურების—კასტორისა და პოლუქ-
სის მეეტლეებისათვის, ფრიგიასისა და ამფისტრატოსისათვის (Iust.,
XLII, 2 : 12, 3 : 1—3). დიონისიოს პერიეგეტის „დედამიწის აღწე-
რილობის" ევსტათი თესალონიკისეული კომენტარით, ახ. წ. II—III
სს. მითოგრაფოსი ქარაქს პერგამონელი იუწყებოდა, რომ, როდესაც
არგონავტები კოლხეთისაკენ მრავალი ხომალდით გამგზავრებულან
და არა მხოლოდ „არგოთი", ერთ-ერთ ხომალდს გეზი არევია და
მასზე მყოფი დიოსკურების ანუ ტინდარიდების (მათი მამის, სპარტის
მეფის ტინდარეოსის სახელიდან) მეეტლეებს ნაპირზე გადმოსვლისას
ძალაუფლება ხელში ჩაუგდიათ; მათგან ადგილობრივმა ტომებმა
ჰენიოხებისა და ტინდარიდების, ხოლო ქალაქმა—დიოსკურიადის სახე-
ლი მიიღო (Char., Hell., fr. 15; Eust. ad Dion.Per., 687). აღსანიშ-
ნავია, რომ ამიანუს მარცელინუსთან დასახელებული დიოსკურების
ერთ-ერთი მეეტლე კერკიუსი (Amm. Marc., XXII, 24), თ. ყაუხჩიშვი-
ლის აზრით, შესაძლოა წარმოადგენდა ჩრდილო-აღმოსავლეთ შავი-
ზღვისპირეთში მცხოვრები კერკეტების ტომის ეთნარქ-ეპონიმს[101].

დიონისიოს პერიეგეტის მიერ ჰენიოხებთან ერთად პელასგთა
ნაშიერებად მიჩნეული ზიგიები, რომელთაც ჩვეულებრივ აფხაზურ-
ადიღური მოდგმის ტომთან ჯიქებთან აიგივებენ[102], ჰენიოხების
მსგავსად, გარდა ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისა, სამ-
ხრეთ შავიზღვისპირეთშიც ჩანან; კერძოდ, მათ უკავშირებენ ტრაპე-
ზუნტის სამხრეთით სტრაბონის მიერ მოხსენიებული ქალაქის ზიგოპო-
ლისის სახელწოდებას (Strabo, XII, III, 17; Steph. Byz., s. v. Ζυγοί)[103].
ეს ტოპონიმი დღემდეა შემორჩენილი ამ მხარეში ზიგანის ქედისა და
უღელტეხილის სახელწოდებებში. ამავე დროს, ზიგანის უღელტეხილისა
და იქვე მდებარე დაბა ზიგანის სახელწოდებას უკავშირებენ პერსეპო-
ლისის მახლობლად ქააბა-ი-ზარდოშტში ნაპოვნ, ადრესასანიდური ხანის
ირანის შაჰის შაპურ I (ახ. წ. 242—272 წწ.) სამენოვანი წარ-
წერის პართულ-ფალაურ ტექსტში, სასანური სახელმწიფოს შე-
მადგენლობაში შემავალ ქვეყანათა და ხალხთა შორის დასახე-
ლებულ Syk(r?)n-ს, რომელსაც ბერძნული ტექსტის Μαχελονία

შეესატყვისება და, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი შავიზღვისპირეთის „მახელონებისა და ჰენიოხების სამეფოსთან" აიგივებს.[104] თუმცა, გამოთქმულია ვარაუდი, ქააბა-ლ-ზარდოშტის წარწერაში მოხსენიებული ქვეყნის აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ლოკალიზების შესაძლებლობაზე (იხ. ქვემოთ).

კიდევ ერთი ტომი, რომელიც გვხვდება როგორც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ჩრდილოეთ სექტორში, ასევე სამხრეთშიც—კერკეტებია. ანტიკური ეპოქის მწერლები მათ ჩვეულებრივ ჩრდილოაღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, აქაიებისა და ჰენიოხების მეზობლებად ასახელებენ (Ps.-Scyl., 73—74; Dion. Per., 682; Pomp. Mela, I, 19,110; Cl. Ptol., V, VIII, 25; Strabo, XI, II, 12). გარდა ამისა, ყურადღება ექცევა იმ გარემოებას, რომ სამხრეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დადასტურებულია სატომო სახელ „კერკეტთან" საკმაოდ ახლო მდგომი ფორმების არსებობა, ეკექერიელების (Ps.-Scyl., 83), ეკრეკტიკის (Cl. Ptol., V, IX, 4), კეგრიტიკის (Plin., NH, VI, 14) სახით,[105] ხოლო სტრაბონი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ტრაპეზუნტის, ფარნაკიისა და მცირე არმენიის მახლობლად ცხოვრობენ აპაიტები, უწინდელი კერკიტები (Strabo, XII, III, 18).

მკვლევართა მიერ წამოყენებულია შეხედულება სამხრეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრები მოსინიკების სახელწოდების ჩრდილოაღმოსავლეთ შავიზღვისპირელი სანიგების სახელისაგან ქართული მ-პრეფიქსის დართვით წარმომაელობის თაობაზე.[106] განსხვავებული აზრი აქვს გამოთქმული თ. მიქელაძეს; მან მოსინიკების სატომო სახელი დაუკავშირა სვანების თვითდასახელების ერთ-ერთ ვარიანტს—„მუშუნს", რომელსაც აგრეთვე ახ. წ. პირველი საუკუნეების წყაროებში დამოწმებულ მისიმიანთა ტომის სახელთან აახლოებენ [107] და შესაძლებლად მიიჩნია მისიმიელების გაიგივება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან მოსულ მოსინ-მოსინიკების ტომთან; თ. მიქელაძის აზრით, ეს გარემოება, სამხრეთული ეთნონიმიის ჩრდილოეთში განმეორების გათვალისწინებით, უნდა ნათელყოფდეს ეთნიკური ჯგუფების მოძრაობის მიმართულებას სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.[108] ჩვენ, არ გამოვრიცხავთ რა ეთნიკური ჯგუფების მოძრაობის აღნიშნული მიმართულების რეალურობას, ამავე დროს ვფიქრობთ, რომ ქსენოფონტის მიერ ნაუწყები ფაქტი მოსინიკების ხალიბებზე გაბატონებისა (Xen., Anab., V, V, 1), ზოგიერთ სხვა ნიშანთან ერთად, კერძოდ, სამხრეთ შავიზღვისპირელ ტომებთან შედარებით მათი საზოგადოებრივი განვითარების დაბალი დონე და განსხვავებული ჩვევები, აგრეთვე, თვალშისაცემად უფრო ღია პიგმენტაცია (Xen., Anab., V, V,4), მოსინიკებში თითქოს ჩრდილოეთიდან შე-

მოჭრილ მოსახლეობას უნდა გვავარაუდინებდეს. გ. მელიქიშვილის შენიშვნით, ჩრდილოკავკასიური და ჩრდილოკოლხური სახელწოდებების გაჩენა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შეიძლო გამოეწვია ძვ. წ. VIII—VII სს. კიმერიულ-სკვითური ტომების აქ შემოჭრას და უფრო მოგვიანებით მომხდარ ტომთა გადაადგილებებს.[100] თუმცა, ზოგიერთი „ჩრდილოური იერის" სახელწოდება, ალბათ არც იყო ჩრდილოეთიდან შემოტანილი; მაგალითად, სატომო სახელ „კერკეტთან" მიახლოებულ ზემოთ მოყვანილ სამხრეთულ სახელწოდებებში მკვლევრები დასავლურქართულ „ეგრ" ძირს გამოყოფენ და გამორიცხულად არ მიიჩნევენ, სახელწოდება „კერკეტის" ამავე ძირიდან წარმოქმნას.[110] გასათვალისწინებელია ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ეთნონიმ „მოსხის" დადასტურების ფაქტიც, თუკი მასში სამხრეთული წარმომავლობის ტომი იგულისხმება. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ზემოთ მოყვანილი ცნობა, ჰენიოხების პელასგურ ჩამომავლობაზე, რაც იქნებ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სამხრეთიდან მათი გავრცელების მაუწყებელი იყოს; როდესაც ანტიკურ წყაროებში შავი ზღვის ტომთა პელასგური წარმომავლობა აღინიშნება, ასეთი ტომები, ძირითადად, სამხრეთშავიზღვისპირეთში არიან ხოლმე ლოკალიზებულნი.

პელასგური მიგრაციის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად, როგორც ირკვევა, ხალიბებიც მიიჩნეოდნენ. ძვ. წ. I ს. პოეტის ვერგილიუსის „გეორგიკების" სქოლიონის მიხედვით, ხალიბებს, რკინის აღმომჩენ ტომს პონტოში, სახელი ეწოდა ევბეის სოფელ ხალიბიუმიდან, რადგან ისინი აქედან გადასახლებულან (Schol. Bern. ad Verg. Georg., I, 58). იუნილიუსისადმი მიწერილი ეს განმარტება მ. შანცის აზრით, ეკუთვნის იუნიუს ფილარგირიუსს, რომელსაც ხელთ ბევრი ძველი წყარო ჰქონია.[111] ამგვარად, სქოლიასტის მონაცემების გათვალისწინებით, გამოდის, რომ ხალიბებიც იმავე კუნძულ ევბეიდან (მაკრისიდან) არიან გადმოსახლებულნი პონტოში, საიდანაც ანტიკური ეპოქის ავტორების ცნობით, მაკრონებიც წამოსულან.

ძნელი სათქმელია, თუ რამდენად სანდოა ხალიბებისა და მაკრონების ევბეიდან გადმოსახლების ცნობა, მაგრამ ხალიბებისა და მაკრონების ერთიდაიმავე კუნძულიდან გამოყვანა, ალბათ უნდა მიუთითებდეს იმ გარემოებაზე, რომ ისინი ახლომონათესავე ტომებად იყვნენ მიჩნეულნი. ეს ორივე ამ ტომის დასავლურქართული (ზანური) სამყაროსადმი კუთვნილებითაც დასტურდება. როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, მაკრონები ძველთაგანვე ჭანებად იყვნენ მიჩნეულნი,

ხოლო ხალიბები, სტრაბონის მოწმობით, მის დროს ხალდებად (Χαλδαῖοι) იწოდებოდნენ (Strabo, XII, III, 19); ხალდებისა და ჭანების იდენტურობა კი შემჩნეული ჰქონდათ ჯერ კიდევ ადრეული შუა საუკუნეების სომეხ ავტორებს. ანონიმური „სომხური გეოგრაფიის“ მიხედვით, რომელსაც VII ს. ფილოსოფოსს ანანია შირაკაცს მიაწერენ, კოლხიდა ანუ ეგერი იყოფა ოთხ პროვინციად: მანრილი, ეგრევიკა, ლაზივი და ჭანეთი, რომელიც არის ხალტიქი (*ճանեթ որք են խաղտիք*),[112] ხოლო მოვსეს ხორენაცის ცნობით, რომის იმპერატორი „ტაციტუსი თავისიანებმა მოკლეს პონტოელთა ჭანივქში, ე. ი. ხალტიქში“ (*Մովս. Խոր.*, II, 76).[113] მიჩნეულია, რომ სახელწოდებებში ხალიბი, ხალდი და ხალტიქი გამოიყოფა ḫal -ძირი, გაფორმებული სხვადასხვა წარმოშობის მრავლობითი რიცხვის სუფიქსებით, ამასთანავე, ხალტიქში (resp. ხალტიქი) ti-სუფიქსს, სომხური ენისათვის დამახასიათებელი მრავლობითობის სუფიქსი-k აქვს დამატებული.[114] ხალიბებისა თუ მათგან დასავლეთით მცხოვრები მოსახლეობის ზანურენოვნობის ერთ-ერთ საბუთს, შესაძლოა წარმოადგენდეს ტოპონიმი თემისკირა (Θεμίσκυρα), თანამედროვე სამსუნის ყურის აღმოსავლეთით ლოკალიზებული, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ „სკირზე“ დაბოლოებული ტოპონიმები დამახასიათებელია ზანური ტოპონიმიისათვის და მათ მეგრულ-ჭანურ სიტყვას სკირს — „შვილი“ უკავშირებენ.[115] თ. მიქელაძის ვარაუდით, რადგან ტოპონიმ „თემისკირაში“ ბოლოსწინა ხმოვანი ბერძნული ι-ნაცვლად, υ-თია გადმოცემული, ხოლო მეგრულ-ჭანური „სკირის“ არქეტიპი *სკვრი უნდა ყოფილიყო, ამიტომ, ტოპონიმ Θεμίσκυρα-ში „ვი“ კომპლექსი იქნებოდა მოცემული.[116] ამავე ვარაუდისათვის დამატებით საბუთს უნდა იძლეოდეს, იქვე, თერმოდონტის ველზე, პომპონიუს მელას მიერ დასახელებული ქალაქის — თემისკურის (Themiscurum oppidum) სახელწოდება (Pomp. Mela, I, 19,105), რომელიც „თემისკირის“ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს. ვფიქრობთ, ამ ტოპონიმის მნიშვნელობის დადგენისას, მხედველობაშია მისაღები მეგრული სკურ-ელემენტის შემცველი იმ ტოპონიმების არსებობა, რომლებიც უპირატესად ღელეების აღსანიშნავად გამოიყენება და რომელთაც, როგორც ჩანს, უნდა უკავშირდებოდეს მეგრული სიტყვა სქვური (მშრალი), ნოსკირი (დანაშრობი).[117] იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სიტყვა „ნოსკირიდან“ ნაწარმოები ჩანს თანამედროვე სოფლის ნოსირის სახელწოდება,[118] რომელიც, ს. ყაუხჩიშვილის ვარაუდით, შესაძლოა ჯერ კიდევ ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანეს მიერ კოლხეთში აგებული ციხე-სიმაგრის ლოსორიონის, იგივე ლისირისის სახელწოდე-

ბაში იყო ასახული[119], მაცდუნებელი ხდება თემისკირის დაბლობზე მოსახლე სირების (ლევკოსირების) ტომის (Strabo, XII, III, 9) სახელწოდების ზანურ სკირ ‖ სკურ ძირთან დაკავშირების შესაძლებლობა.

ეგეოსური მოსახლეობის შავიზღვისპირეთისაკენ სწრაფვის ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ გამოხატულებას არგონავტების მითი წარმოადგენს. მართალია, სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ არგონავტების ლაშქრობის ობიექტს თქმულების უძველეს ვარიანტში კოლხეთი კი არ წარმოადგენდა, არამედ ლეგენდარული ქვეყანა აია, რომელიც თითქოს „ქვეყნის კიდეზე", ეთიოპიაში მდებარეობდა[120], მაგრამ უკანასკნელი ხანების კვლევა-ძიების შედეგების მიხედვით ნათელი ხდება ამ თქმულების დასაბამითგანვე მჭიდრო კავშირი პონტოსპირეთთან.

„არგონავტების თქმულების" კოლხეთის მეფის აიეტესის მიერ თავისი სამემკვიდრეოს—პელასგური ეფირეს (კორინთო) მიტოვება და კოლხეთის მიწისაკენ გამგზავრება, რაც ნაუწყებია ძვ. წ. VIII ს. ეპიკოსის, ევმელოს კორინთელის „კორინთიაკიაში", ბერძნულ წყაროებში კოლხეთის ხსენების ყველაზე ადრეულ ფაქტად ითვლება.[121] ამავე საუკუნის შუა ხანებს განეკუთვნება ურარტუს მეფის სარდური II-ის წარწერა, სადაც მოხსენიებულია კულხას ქვეყანა, რომელსაც კოლხეთთან აიგივებენ; როგორც ცნობილია, ურარტული ლურსმული დამწერლობა „ო" ხმოვანს „უ"-თი გადასცემდა.[122] ძვ. წ. VIII ს. თარიღდება, აგრეთვე, „არგონავტების მითის" ჩინებული მცოდნის, დიდი ეპიკოსის ჰესიოდეს პოემა „თეოგონია", სადაც სხვა მდინარეებთან ერთად ფასისი და რესოსია ჩამოთვლილი.[123] შესაძლოა, ჰიდრონიმ ფასისთან იყოს დაკავშირებული ძვ. წ. XII ს. ასურეთის მეფის თიგლათ-ფილესერ I-ის წარწერების მიერ აღმოსავლეთ ანატოლიაში მოხსენიებული აბეშლას ტომის სახელწოდება,[124] იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ძვ. წ. V ს. ბოლოს ქსენოფონტი მიახლოებით იმავე რეგიონში იუწყება ფასიანების ტომის არსებობას, მდ. არეზის ზემო წელს კი ფასისის სახელწოდებით იცნობს (Xen., Anab., IV, VI, 4—5), თუმცა, მისთვის ნაცნობია შავიზღვისპირეთის ფასისიც, სადაც ფასიანთა ქვეყანა მდებარეობდა და აიეტესის შვილიშვილი მეფობდა (Xen., Anab., V, VI, 36). სავარაუდოა, რომ, ქსენოფონტის მსგავსად, ჰეროდოტეც სახელწოდება „ფასისით", მდ. რიონის გარდა (Herod., I, 2, 104; II, 103; IV, 37—38, 45, 86) მდ. არეზსაც აღნიშნავდა; ეს ჩანს მის მიერ მოყვანილი, სკვითების იმ სიტყვებიდან, რომლებიც გვაუწყებენ, რომ ისინი შეეცდებოდნენ მიდიაში შეჭრას მდინარე ფასისის გასწვრივ და მოუწოდებდნენ

სპარტელებს ეფესოდან დაძრულიყვნენ და სადმე ქვეყნის შიგნით მათ შეხვედროდნენ (Herod., VI, 84). რადგან, სხვა შემთხვევებში ჰეროდოტეს, ძირითადად, სწორადა აქვს ამ მდინარის სახელწოდება აღნიშნული, როგორც არეზი (არაქსი), სავარაუდო ხდება, რომ სახელწოდება „ფასისით“, მდ. არეზის მხოლოდ ზემო წელი მოიხსენიებოდა. საყურადღებოა მდ. ჭოროხის მიმართ სახელწოდება „აფსაროსის“ გამოყენების ფაქტი (Ps.-Scyl., 81; Cl. Ptol., V, VI, 6, Plin., NH, VI, 12; Arr., PPE, 6—7; Anon., PPE, XLII, 1—2, 7, 11), რომელიც ბიზანტიური ხანის წყაროებში და მათ თანადროულ ქართულ თარგმანებში „ფსაროსის“ ფორმით არის ცნობილი.[125] მდ. ფასისის სამხრეთული ლოკალიზაციის სასარგებლოდ, შესაძლოა ის გარემოებაც მოწმობდეს, რომ მასთან ანტიკური წყაროების მიხედვით, განუყოფლად დაკავშირებული მხარე — კოლხეთი, როგორც ფიქრობენ, თავდაპირველად ისტორიული კოლხეთის სამხრეთით მდებარეობდა[126]. ჰეროდოტე ხაზგასმით იმოწმებს იმ ფაქტს, რომ არგონავტები აია-კოლხეთში ჩავიდნენ (Herod., 1, 2; VII, 193, 197), ამის საფუძველზე თ. მიქელაძე ვარაუდობს, რომ ჰეროდოტეს ამით შეიძლება სურდა განესხვავებინა აია-კოლხეთი მისი თანამედროვე რიონ-ფასისის კოლხეთისაგან; გასათვალისწინებულია, ქსენოფონტის მიერ ქალაქ ტრაპეზუნტის მხარეში კოლხების მოხსენიება ძვ. წ. IV ს. დასაწყისში (Xen., Anab, IV, VIII, 22)[127]. სამხრეთშავიზღვისპირეთულ სამყაროსთან კოლხების დაკავშირებისას მხედველობაში მისაღებია აგრეთვე შეხედულება მათი სახელწოდების მსგავსების შესახებ სპილენძის აღმნიშვნელ ბერძნულ სიტყვასთან χαλκός, რომლისგანაც, როგორც ფიქრობენ, ნაწარმოებია ეთნონიმი ხალიბი (Χάλυβες), ბოსფორის სრუტის აზიურ ნაპირზე მდებარე ქალქედონისა (Χαλκηδών) და თრაკიული მხარის ქალკიდიკეს (Χαλκιδική) სახელები, კუნძულ ევბეის სახელწოდება — ხალკისი (Χαλκίς).[128] ი. ოტკუპშჩიკოვის მიერ გამოთქმული ვარაუდით, ვინაიდან ტოპონიმი Χαλκηδών-ი, თავდაპირველად უნდა გვხვდებოდეს ხოლმე Καλχηδών-ფორმით, რომელშიც იოლად გამოიყოფა სუფიქსიალური-δών, შესაძლებლობა იქმნება ქვეყნის სახელწოდება — Κολχίς ეტიმოლოგიური თვალსაზრისით გაუთანაბრდეს ტოპონიმ Χαλκίς-ს — „სპილენძით მდიდარი ქვეყანა“[129]. ეგებ, ძველბერძნული წარმოდგენა არგონავტების ლაშქრობის მხარეზე — ლითონებით მდიდარ ქვეყანაზე, პონტოსპირეთის ბერძნების მიერ თანდათანობით ათვისებასთან ერთად, სულ უფრო შორს, აღმოსავლეთისაკენ ინაცვლებდა, ამაძონელთა ქვეყნის შესახებ თქმულების მსგავსად[130]. ამავე დროს, სავარაუდოა, რომ სამხრეთ შავი-

ზღვისპირეთში რეალურად მიმდინარე ტომთა მიგრაციებსაც, რომელთა კვალი ანტიკური ეპოქის სამხრეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტოპონიმიაში მძლავრად არის ასახული, ხელი უნდა შეეწყო წარმოდგენათა მსგავსი მონაცვლეობისათვის.

ტრადიციული შეხედულებით, „არგონავტების მითი" ტროის ომზე უფრო ადრეულ ხანას მიეკუთვნება, ამდენად მითში აღწერილი ამბის უძველესი პლასტი ძვ. წ. XIII ს. უფრო გვიანი ხანით არ უნდა თარიღდებოდეს. მის სიძველეს მოწმობს თუნდაც ჰომეროსის „ოდისეაში" ნახსენები, „ყველასათვის სანუკვარი საზღვაო ხომალდი „არგო" (Hom., Od., XII, 69—70). ტროის ომის წინამორბედ ხანაში მცირე აზიაში ძლიერი იყო ხეთური სახელმწიფოებრიობა და კულტურული ტრადიციები; ამასთანავე, ცენტრალური ანატოლიის ჩრდილოეთ ნაწილში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო წინახეთური, ხათური ტრადიციები, რომელთა შორის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ცხვრის ან თხის ტყავის (საწმისის) კულტი, რომლის მიმართებას „არგონავტების მითის" საწმისთან საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა გერმანელმა მეცნიერმა ფ. ჰაასმა[131]. არგონავტების მოგზაურობის მთავარი მიზანი—საწმისი, ხეთურ რელიგიურ რიტუალებში განაყოფიერების, სამეფო კეთილდღეობისა და ლაშქრობის დამცველი ღვთაების სიმბოლოს წარმოადგენდა და ინახებოდა ომის ღვთაების— ზაბაბას ტაძრებში[132]. ხეთური „თელეფინუს მითის" მიხედვით, საწმისი ან მუხაზე ეკიდა, რომლის ქვეშ განაყოფიერების ურჩხული იჯდა, ანდა დედა ღვთაება ხანხანას წმინდა მინდორზე, თასზე იდო; საწმისიან მუხის ხეს განსაკუთრებული ადგილი ხათური ქალაქის ნერიქის საკულტო რიტუალებში ეკავა.[133] ანტიკური წარმოდგენებით, საწმისი მდ. ფასისის პირას, ომის ღვთაება არესის ჭალაში მუხაზე იყო ჩამოკიდული და მას გველეშაპი დარაჯობდა (Apoll., Rhod., II, 400—403; Apollod., I, 9,6; Diod., IV, 48). ანტიკური ეპოქის წყაროების მიხედვით არესის კულტი დამახასიათებელია პონტოში მოსახლე ტომებისათვის; კოლხებისა (Paus., III, 19, 7) და სკვითების გარდა (Herod., IV, 59, 62) მის თაყვანისმცემლებად ჩანან ხალიბები და ამაძონები, რომლებიც არესის შთამომავლებად ითვლებოდნენ (Diod., II, 45; IV, 16; Filost., XIX, 19; Eust. ad Dion. Per., 653; Schol. ad Hom., Il., III, 189; Val. Flac., V, 140—146; Schol. ad Apoll. Rhod., II, 373; და სხვ.). საგულისხმოა, რომ ჰომეროსის ცნობით, არესი ტროელებს ელინთა წინააღმდეგ ეხმარებოდა (Hom., Il., V, 29—39).

ხეთური რიტუალების საწმისი მჭიდრო კავშირშია ხათურ ვეგეტაციურ ქალღმერთ ინარასთან (არგონავტების თქმულების მედე-

ას პროტოტიპი).[134] „ილუიანქას მითის" მიხედვით, ინარა, უბრალო მოკვდავი მამაკაცის ხუფასიას (იასონის პროტოტიპი) დახმარებით, ამარცხებს ილუიანქა გველეშაპს, მის მიერ გადაყლაპული ამინდის (ჰექა-ქუხილის) ღვთაების დასახსნელად; ინარაც, მედეას მსგავსად, ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, ურჩხულს აძინებს.[135] „არგონავტების თქმულების" ანალოგიურად, ქორწინების საშუალებით გმირის მიერ მიზნის მიღწევის თემა მოცემულია „ილუიანქას მითის" მეორე ვერსიაშიც, სადაც ამინდის ღვთაების ვაჟს ცოლად მოჰყავს ილუიანქას ქალიშვილი და მამამისს ილუიანქას მიერ მისგან ამოგლეჯილ სხეულის ნაწილებს უბრუნებს, რის შემდეგაც, გამრთელებული ამინდის ღვთაება კლავს ილუიანქას ზღვის ნაპირთან.[136] „არგონავტების თქმულების" ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, რომელიც ძვ. წ. V ს. დოურისიოსის მოხატულ კილიკის ფსკერზეა გამოსახული, საწმისიანი ვაშლის ხის ქვეშ გაწოლილი გველეშაპის ხახიდან უკან ამოიტყორცნება გონებადაკარგული იასონი, როგორც ჩანს, გველეშაპის პირისპირ მდგომი ქალღმერთის—ათენა პალადას ზემოქმედების შედეგად,[137] რომელიც გველების მფარველად ითვლებოდა (Verg., Aen., II, 225—227). საყურადღებოა, რომ ათენას ატრიბუტებად ბუსა და გველის გარდა, მიიჩნეოდა მედუზისთავიანი ეგისი—თხის ტყავის საფარი (Hom., Il., II, 446—449). ოქროს საწმისის მოტაცების ამსახველ, ორ სხვა სცენაზე, რომლებიც ძვ. წ. V ს. ატიკურ კრატერებზეა გამოსახული, გველის თავის ზედა ნაწილი, მკვლევართა აზრით, ფალოსთანაა მიმსგავსებული;[138] საფიქრებელია, რომ ეს გარემოება უნდა ეხმიანებოდეს ხეთური მითოლოგიის საწმისიანი ხის ქვეშ მჯდომ განაყოფიერების ურჩხულს. ფ. ჰააზის შეხედულებით, ურჩხულის მიერ გმირის გადაყლაპვის მოტივი, უახლოვდება ქართულ მითს პრომეთეს შესახებ, სადაც გველეშაპის მიერ ჩაყლაპული ამირანი მუცელს უფატრავს მას და გარეთ გამოდის[139].

არგონავტების ლაშქრობის ცენტრალურანატოლიური ლოკალიზაციის სასარგებლოდ თითქოს უნდა მეტყველებდეს ახ. წ. V ს. დიდი კაპადოკიელი ღვთისმეტყველის გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვები, თქმული მის თანამოღვაწეზე ბასილ დიდზე, რომელიც წარმოშობით პონტოელი იყო, მდ. ლიკოსის (თანამედროვე კელკით-ჩაის) ხეობიდან; გრიგოლ ნაზიანზელი ბასილ კაბადუკიელის წინაპრების შესახებ წერდა, რომ პონტოს ქვეყანა მათ შესახებ ისეთ ამბებს მოგვითხრობს, რომლებიც არ ჩამოუვარდება პონტოსავე იმ ძველ საკვირველებებს, რომლებითაც სავსეა წიგნები.[140] XI ს. ქართველი მოღვაწის ეფრემ მცირის კომენტარით, გრიგოლ ნაზიანზელს ნაგუ-

ლისხმები ჰქონია ქსენოფონტისა და პოლიბიოსის ნაშრომები, აგრეთვე აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“.[141] მაგრამ, ვინაიდან, აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ მოქმედების ასპარეზი მდ. ფასისის დაბლობია, საფიქრებელი ხდება, რომ გრიგოლ ნაზიანზელს იმავე წყაროთი უნდა ესარგებლა, რომლითაც ძვ. წ. III ს. პოეტ ლიკოფრონ ქალკიდელს, როდესაც „კასანდრაში“, იასონს ლიგისტიკურ კუტაიაში მისულს უწოდებდა (Lycophr., Alex., 1312), თუკი მას „ლიგისტიკურში“ მდინარე ლიკოსი—კელკით-ჩაი ექნებოდა ნაგულისხმევი. მაგრამ, ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ აპოლონიოს როდოსელისათვის „ლიკოსი“, მარიანდინების ქვეყნის მდინარესა და მდ. ფასისის შენაკადსაც ჰქვია (Apoll. Rhod., II, 724, IV, 131—135). როგორც კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოსთან“ შეთანაპირებიდან ირკვევა, სადაც მდ. ლიკოსი მდ. აფსაროსის ერთ-ერთ შენაკადად არის დასახელებული (Cl. Ptol., V, VI, 6), აპოლონიოს როდოსელის ის „ფასისი“, რომლის შენაკადიც „ლიკოსია“, მდ. ჭოროხი უნდა ყოფილიყო (იხ. ქვემოთ). ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მდ. ჭოროხის ქვემო წელზე მოხსენიებული ლიგანის ხეობა (ვახუშტი, 657, 680 და სხვ. თუმცა, უფრო ადრეულ წყაროებში იგი ნიგალის სახელწოდებითაა დადასტურებული, იხ. მატიანე ქართლისა, 251; სუმბატ დავითის ძე, 377—378)[142]. ე. ხინთიბიძის ვარაუდით, გრიგოლ ნაზიანზელის ცნობა, ძირითადად, განპირობებული უნდა ყოფილიყო იმ გარემოებით, რომ მისი დროისთვის კოლხეთი უკვე დიდი ხნის განმავლობაში პონტოს შემადგენლობაში შედიოდა, რომლისგანაც არც თავისი ეთნიკური ხასიათით იყო დიდად განსხვავებული.[143] მსგავსი შეხედულება განსაკუთრებით მკაფიოდ შეინიშნება ახ. წ. IV ს. ფილოსოფოსისა და ორატორის თემისტიოსის სიტყვაში, რომ მან „რიტორიკის ნაყოფნი მოწყვიტა... პონტოს ბოლოში, ფასისის მახლობლად, სადაც არგომ, თესალიიდან წამოსულმა დაისადგურა... სადაც ცნობილია თერმოდონტი, ამაძონთ საომარი საქმეები და თემისკვირი“ (Themistii, XXVII). აშკარაა, რომ თემისტიოსისათვის პონტო და კოლხეთი ერთ ქვეყანად აღიქმება, სადაც ფასისიც არის და თერმოდონტიც. უკანასკნელ ხანებში, ი. დიაკონოვის მიერ გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ქსენოფონტის ცნობები (Xen., Anab., V, V, 8—10; V, VI, 25) ცხადყოფენ, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში უნდა არსებულიყო შავიზღვისპირეთის მილეტური კოლონიების ფედერაცია „პონტოს“ (Πόντος) სახელწოდებით, რომლის შემადგენლობაშიც შესაძლოა ფასისიც შედიოდა[144].

„არგონავტების თქმულების“ ოქროსსაწმისიანი ქვეყნის ადგილმდებარეობის დადგენისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება შეხედულებას საწმისის აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვის κῶας-ის (უძველესი ფორმა κῶϝς) ტყავის აღმნიშვნელ ქართულ ტყავ-, დასავლურქართულ (ზანურ) ტყოუ-ტკოვ-, საერთოქართველურ ტყავ-სიტყვიდან წარმომავლობის შესახებ.[145] ნიშანდობლივია აგრეთვე ისიც, რომ წარმოდგენა წმინდა ხეზე ჩამოკიდული საწმისის შესახებ შემონახულია დასავლურქართულ კულტურულ სამყაროში, კერძოდ, სვანურ დღესასწაულებში.[146] ეგებ, ერთი და იგივე ძირი შესაძლოა გამოიყოს საწმისის აღმნიშვნელ ხეთური სიტყვიდან kurša და ანალოგიური შინაარსის მქონე ჭანური სიტყვიდან—კირიბიშჯი, რომელიც მიღებულია ზანური კჳრბისაგან (კრავი);[147] ყურადღებას იპყრობს აღმოსავლურქართულ დიალექტებში დადასტურებული სამსხვერპლო მოზვერის ან საზოგადოდ შეწირული ცხოველის სახელწოდებაც—კურატი,[148] რომელიც კურვას (პატარა კურო) მსგავსად კუროსაგან (დაუკოდავი ხარი) არის ნაწარმოები[149].

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ თითქოს მოიპოვება საფუძველი „ოქროს საწმისის ქვეყნის“ ქართველურ სამყაროსთან და კერძოდ შავიზღვისპირეთთან დაკავშირებისათვის, ძნელია კონკრეტულად იმის თქმა, რომ თავდაპირველად იგი თანამედროვე კოლხეთის დაბლობზე იგულისხმებოდა, ვინაიდან სამხრეთ შავიზღვისპირეთში ქართველური წარმომავლობის მქონე ტომების ფართო განსახლებას უნდა ჰქონოდა ადგილი.

ხეთური ხანის ცენტრალური ანატოლიის ჩრდილოეთ რაიონებში საწმისის კულტის არსებობის ფაქტს თითქოს რამდენადმე ეხმიანება სტრაბონის ცნობა, მდ. ჰალისის ქვემო წელის მარჯვენა ნაპირზე მდებარე გაზელონიტიდის მხარეში, მთელს კაპადოკიასა და პონტოსპირეთში გამორჩეული, წვრილსაწმისიანი და რბილმატყლიანი ცხვრის ჯიშის არსებობის შესახებ (Strabo, XII, III, 13). აღსანიშნავია ისიც, რომ ჰალისი ოქროთი მდიდარ მდინარედ ითვლებოდა,[150] ხოლო ოქროს საწმისი ოქროს სიმბოლურ გამოხატულებად არის მიჩნეული. შემთხვევითი არ უნდა იყოს ოქროს საწმისის კავშირი კოლხეთთან, სადაც, ანტიკური ხანაში არსებული წარმოდგენით, ოქრომრავალი კოლხები ცხოვრობდნენ.[151] სტრაბონის აზრით, მითი ოქროს საწმისის შესახებ შექმნილია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კავკასიონთან მცხოვრები სვანები მთის ნიაღვრებში ჩაფენილი ბანჯგვლიანი ტყავების მეშვეობით აგროვებდნენ ოქროს (Strabo, XI, II, 19). ძვ. წ. IV ს. ავტორის პალეფატის თხზულების „დაუჯერებელთა შესახებ“ ცნობით, ზოგიერთების აზრით,

ფრიქსეს ვერძის ტყავი ოქროსი იყო (Palaeph., XXX, 31). ძვ. წ. I—ახ. წ. I სს. რომაელი პოეტის ოვიდიუს ნაზონის სიტყვებით, იასონმა მას შემდეგ, რაც კოლხეთში ოქროს ხის მცველი გველეშაპი დააძინა და ოქროს საწმისს დაეუფლა, მედეასთან ერთად თავის სამემკვიდრეო იოლკოსში (თესალია) გაიტაცა იგი (Ovid., Met., VII, 155—158). აღსანიშნავია, რომ ხეთური რიტუალური საწმისი ოქროსაგან დამზადებული „მზის დისკოთი" ყოფილა ხოლმე მორთული[152]. ამ გარემოებას ხომ არ ეხმიანება იოანე ცეცესეული ლიკოფრონის „კასანდრას" კომენტარი, რომლის მიხედვით დიომედი საწმისის საძებრად კოლხეთიდან იონიის ზღვაში, ფეაკებთან ჩასულ ურჩხულს კლავს მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი მზეზე მოლაპლაპე ფარს შეცდომით ოქროს საწმისად მიიჩნევს და მისკენ გაეშურება (Tzetzae ad Lycophr., Alex., 615, 630).

სამეფოს მფარველი წმინდა ცხვრის ტყავის ხათური წარმომავლობის ცენტრალურანატოლიური იდეა, ფ. ჰაასის აზრით, მიკენურ-ბერძნულ სამყაროში ოქროს საწმისის სახით არის წარმოდგენილი და მისი ახსნა მოცემულია პელოპონესურ პელოპიდთა სამეფო დინასტიის შესახებ არსებულ ლეგენდაში, რომლის მიხედვით, ოქროს საწმისი თვით სამეფოს განასახიერებდა.[153] საგულისხმოა, რომ არქეოლოგიური მასალა ადასტურებს მიკენურ საბერძნეთსა და ცენტრალური ანატოლიის ჩრდილოეთ ნაწილს შორის კონტაქტების არსებობას, რაც თავის მხრივ საკმაოდ მყარ საფუძველს უქმნის შეხედულებას არგონავტების მითის არქაულობაზე და ცხადყოფს ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებიდან სამხრეთ პონტოსპირეთისადმი ეგეოსური სამყაროს მზარდ ინტერესს. ამ ინტერესის უმთავრეს ობიექტს, ისევე, როგორც უფრო ადრე, ასურელი კოლონისტების დროს, წარმოადგენდა ცენტრალური ანატოლიის უნიკალური სიმდიდრე ლითონის წიაღისეულით და აქ არსებული სპილენძის, ვერცხლის, ოქროს, ბრინჯაოს და რკინის მეტალურგიის მაღალი დონე.[154] უკანასკნელ ხანებში თურქმა არქეოლოგმა თ. იოზგუჩმა მდ. იეშილ-ირმაკის ხეობაში მდებარე ძეგლ მაშათში გამოავლინა გვიანჰელადური IIIB პერიოდის მიკენური კერამიკა[155], რითაც, ნაწილობრივ მაინც მისაღები გახადა ძველ სამსუნში (ამისოსში) ადრევე მოპოვებული ის თანადროული მასალა, რომელიც გათხრების ვითარების არცოდნის გამო, სანდოდ არ მიიჩნეოდა.[156] ძველ სამსუნში ნაპოვნ ნივთებს შორის, ყურადღებას იპყრობს ცხვრის ტერაკოტული გამოსახულება, ტანზე გრაფიტო წარწერით, რომელსაც ა. ევანსი ა-ხაზოვანი მინოსური დამწერლობის ნიმუშად მიიჩნევდა[157].

ამრიგად, არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებითაც შეიძლება ითქვას, რომ ბერძნული ლეგენდა, ტროის ომის წინამორბედ ხანაში ავტოლიკესა და მისი მეგობრების სამხრეთ პონტოსპირეთში ლაშქრობის შესახებ (Strabo, XII, III, 11; Plut., Luc., XXIII) და ამასთან ერთად „არგონავტების მითიც", ეგეოსისზღვისპირეთსა და პონტოსპირეთს შორის რეალურად არსებული ურთიერთობის საფუძველზეა აღმოცენებული. ხოლო შეხედულებას იმის თაობაზე, რომ ამ ორ რეგიონს შორის ორმოცდაათხოფიანი ხომალდის შექმნამდე, ანუ ძვ. წ. VII ს., ეგეოსის ზღვის შავ ზღვასთან დამაკავშირებელ სრუტეებში (განსაკუთრებით ბოსფორის სრუტეში) ძლიერი საწინააღმდეგო დინების არსებობის გამო შეუძლებელი იყო ნაოსნობა,[158] აქარწყლებენ, როგორც საკუთრივ ფიზიკური გეოგრაფიის მონაცემები,[159] ასევე ბრიტანელი მეცნიერისა და მოგზაურის თ. სევერინის მიერ 1984 წ. ზაფხულში ჩატარებული ექსპედიციის შედეგები, როდესაც ძვ. წ. II ათასწლეულის ეგეოსური სამყაროსათვის ტიპიური ოცხოფიანი ხომალდით განვლილი იყო არგონავტებისათვის ნავარაუდევი გზა, საბერძნეთის ქალაქ ვოლოსიდან მდ. რიონის შესართავამდე.

იმ მოსაზრებას, რომ „არგონავტების მითი" ტროის ომის წინამორბედ ხანას განეკუთვნება, ერთგვარად უნდა გამოხატავდეს ძველ ავტორებთან დამოწმებული ცნობები არგონავტთა პელასგურობის თაობაზე. შენიშნულია, რომ ჰომეროსი ილიადის II სიმღერაში, ე. წ. ხომალდთა კატალოგში, ბერძენთა ბანაკიდან ცალკე გამოყოფს პელასგთა სამკვიდრებლიდან—თესალიიდან მოსულ გმირებს და მათ იმ სიაში ათავსებს, რომელსაც „პელასგურ არგოსს" უწოდებს, აქ მოხსენიებულ გმირთა შორის კი არიან ხომალდ „არგოთი" კოლხეთში მოლაშქრეთა შვილები (Hom., Il., II, 681—715).[160] აპოლონიოს როდოსელისათვის თესალიელები პელასგებია, ხოლო თესალია—პელასგთა მიწაა (Apoll. Rhod., I, 580, 906; II, 1239; IV, 243, 265). ოვიდიუს ნაზონი იასონის სამშობლოს ქალაქებს—პელასგურ ქალაქებს, ხოლო არგონავტებს—პელასგებს ან მინიებს უწოდებს (Ovid., Met., VII, 50, 120, 131). ახ. წ. V ს. საეკლესიო მოღვაწე და პოეტი სიდონიუსიც, არგოს—პელასგურ ხომალდს, იასონს—პელასგ გმირს, ხოლო არგონავტებს—მინიებს უწოდებს (Sid., Paneg., VII, 65—75; Epith., XXIII, 272—276)[161]. შეიძლება ითქვას, რომ „არგონავტების თქმულება" მჭიდრო კავშირშია ანტიკურ ხანაში გავრცელებულ შეხედულებასთან სამხრეთ და აღმოსავლეთ პონტოსპირეთში მოსახლე ტომების პელასგური წარმომავლობის შესახებ და სავარაუდოა, რომ მასთან ერთად, ერთსადაიმა-

ვე მოვლენის, ეგეოსური მოსახლეობის პონტოსპირეთში განსახლების ამსახველი უნდა იყოს.

ანტიკურ მწერლობაში განსაკუთრებით პოპულარული იყო არგონავტებისაგან კავკასიის ხალხთა წარმოშობის თემა. „არგონავტების თქმულების“ თითქმის ყველა პერსონაჟი გააზრებული იყო პონტოსპირეთისა და კავკასიის რომელიმე ქალაქის ან სახელმწიფოს დამაარსებლად, ანდა რომელიმე ხალხის ეთნარქ-ეპონიმად[102]. ასე, მაგალითად, პომპონიუს მელას ცნობით, მარიანდინების ქვეყანაში ქალაქი ჰერაკლეა არგოსელი ჰერკულესის მიერ იყო აგებული (Pomp. Mela, I, 19, 103). ენეტების ქვეყნის ქალაქის ამასტრისის შემადგენელ ნაწილს—ქალაქ კიტორუმს სახელი ფრიქსეს ძის, აიეტესის შვილიშვილის კიტოროსისაგან მიუღია; ამ ცნობას სტრაბონი ეფოროსს დასესხებია (Strabo, XII, III, 10). ავტოლიკოსი ქალაქ სინოპის დამაარსებლად ითვლებოდა (Strabo XII, III, 11). პლუტარქეს მიხედვით, ავტოლიკოსს ჰერკულესთან ერთად ამაძონებზე ულაშქრია და უკან დაბრუნებისას სინოპი წაურთმევია სირებისათვის, რომლებიც აპოლონის ძის სირისა და ასოპეს ასულის სინოპეს შთამომავლები ყოფილან (Plut., Luc., XXIII). იასონის თანამებრძოლი ფთიელი-აქაიელები დასახლებულან პონტოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე, მათ მეზობლად ჰენიოხეთში კი—ლაკონელები (Strabo, XI, II, 12). პლინიუსი იუწყება, რომ არსებობდა ცნობა კავკასიის ალბანელების იასონისაგან წარმოშობის შესახებ (Plin., NH, VI, 38), ხოლო პომპეუს ტროგუსის ცნობით, ისინი იტალიიდან გამოჰყოლიან ჰერკულესს (Iust., XLII, 3, 4). ჰეროდოტეს შეხედულებით, ძველი სახელი „არია“ მიდიას კოლხი მედეას იქ ჩასვლის შემდეგ შესცვლია (Herod., VII, 62). სტრაბონის აზრით, მიდიაში მედეა და იასონი მეფობდნენ, ხოლო თვით ქვეყანას სახელი მედეას ძის მედოსისაგან შერქმევია (Strabo, XI, XIII, 10). ანალოგიური ცნობა მიდიის სახელწოდების შესახებ მოეპოვება ჰეკატეოს მილეტელს (Hec., fr. 171). არმენია სტრაბონის ცნობით, სახელდებული ყოფილა არგონავტ არმენოსიდან, რომელიც თესალიის ქალაქ არმენიონიდან წამოსულა (Strabo, XI, IV, 8; XI, XIV, 12), ხოლო მის თანამგზავრებს დაუსახლებიათ აკილისენა და სისპირიტიდა, ასერულ კალახენემდე და ადიაბენემდე (Strabo, XI, IV, 8; XI, XIV, 12). სტრაბონისავე ცნობით, იასონს არმენოსთან ერთად კასპიის ზღვამდე მიუღწევია და მოუნახულებია იბერია, ალბანეთი და არმენიისა და მიდიის დიდი ნაწილი, რისი ნიშანიც იქ არსებული იასონის სალოცავები და ზოგიერთი სხვა ძეგლი ყოფილა (Strabo, XI, IV, 8; XI, XIV, 12; XI, XIII, 10).

ს. ჯანაშიას შეხედულებით, იასონის, როგორც ეთნარქის, მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ სარბიელს თითქოს მერმინდელი არმენიის ტერიტორია წარმოადგენდა; ამ მხრივ, მის ყურადღებას იპყრობს სტრაბონის სიტყვები, რომ იასონმა, და არა არმენოსმა, გაუქრა კალაპოტი ბარში ტბად მდგარ მდინარე არეზს (არაქსი), თესალიის ტემპეს ხეობის მსგავსად (Strabo, XI, XIV, 13).[163] იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მდ. არეზის ზემო წელი ადრე სასპეჲრიბერებს ეკავათ, ხოლო ტაციტუსის ცნობით, იბერები თესალიელებისაგან წარმოშობილან იმ დროს, როდესაც იასონი უკან დაბრუნდა აიეტესის დაცარიელებულ სასახლეში უმეფოდ დარჩენილ კოლხებთან (Tac., An., VI, 34)[164], ს. ჯანაშია დაასკვნის, რომ იასონი იბერთა ეთნარქი უნდა ყოფილიყო და იგი უნდა იგულისხმებოდეს სტრაბონის მიერ მოხსენიებულ არმენოსის იმ თანამგზავრში, ვინც სისპირიტიდა დაასახლა;[165] ს. ჯანაშიას აზრით, ანტიკური ეპოქის წყაროების მიერ იასონის კავკასიელ ხალხთა ეთნარქად მიჩნევა ადგილობრივი, კავკასიური წარმომავლობის მქონე გადმოცემა უნდა ყოფილიყო და მას პარალელი ეძებნება ქართულ საისტორიო მწერლობაში შემონახულ თქმულებაში არიან-ქართველთა მეფის ძის აზოს შესახებ[166].

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალი XI ს. ავტორის ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთას“ ცნობით, ქართლში გამოლაშქრებულმა ალექსანდრე მაკედონელმა მცხეთაში მეფედ („ქართლის ცხოვრების“ მიხედვით — პატრიკად) მასთან ხლებული აზო („ქართლის ცხოვრების“ —აზონი) დაადგინა (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 320; ლეონტი მროველი, I, 18). „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ X ს. შატბერდული ხელნაწერით: „...ესე აზოჲ წარვიდა არ[ი]ან-ქართლად, მამისა თჳსისა და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამამძუძეთანი[167], და დაჯდა ძუელ მცხეთას და თანა-ჰყვანდეს კერპნი ღმრთად — გაცი და გა, და ესე იყო პირველი მეფჱ მცხეთას შინა აზოჲ, ძჱ არიან-ქართველთა მეფისაჲ...“[168] დავით აღმაშენებლის სულიერი მოძღვრის არსენ ბერის (მას არსენ იყალთოელად მიიჩნევენ), „ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის ავტორის, განმარტებით: „ჩვენ ქართველნი შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსრულთანი, და ენაი მათი უწყით, და ყოველნი მეფენი ქართლისანი ამათ მეფეთა შვილის-შვილნი არიან“[169]. საწინააღმდეგო ტენდენციაა ასახული ლეონტი მროველის თხზულებაში; მისთვის აზონი, არაქართველია, მაკედონელია[170]. თუმცა, „ქართლის ცხოვრების“ ცნობაშიც ყურა-

დღებას იპყრობს ერთი გარემოება; მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე მაკედონელი ქართლის დამპყრობელია, მატიანეში ხაზგასმულია, რომ ქართლში ყოფნისას მან „მოსრნა და დაატყუევნა“ უცხოტომელები, ხოლო „დაუტევნა ნათესავი ქართლოსიანნი, და დაუტევა მათ ზედა პატრიკად სახელით აზონ, ძე იარედოსისი...“ (ლეონტი მროველი, I, 18). გ. მელიქიშვილის ვარაუდით, სახელი „იარედოსი“, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტის „არიან-ქართლის“ მსგავსად კავშირშია ისეთი სიტყვების ძირთან, როგორიცაა: ირანი, არიანა და ა. შ.[171].

მკვლევართა საერთო აზრით, „არიან-ქართლი“ თანამედროვე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით არის საძებარი. ერთ-ერთი შეხედულების თანახმად „არიან-ქართლში“, შავშეთ-კლარჯეთისა და კოლა-არტაანის გამყოფი არსიანის ქედი უნდა იგულისხმებოდეს.[172] მაგრამ ამ გაიგივებას, ხელს უნდა უშლიდეს „ქართლის ცხოვრების“ ცნობა, რომ აზონის მოკვლის და მისი „სპის“ დამარცხების შემდეგ „წარვიდა ფარნავაზ და მოტყუენა საზღვარი საბერძნეთისა ანძიანძორა, და ეკლეცით შემოიქცა. მოვიდა კლარჯეთს და დაიპყრა კლარჯეთი, წარმოვიდა მცხეთად სიხარულითა დიდითა“ (ლეონტი მროველი, I, 23). ფარნავაზის ასე შორს, სამხრეთ-დასავლეთში შეჭრის ვარაუდი საეჭვოს უნდა ხდიდეს არსიანის ქედის მხარეში ან კლარჯეთში, აზონის სამშობლოს დანახვის შესაძლებლობას.[173] ფონეტიკური თვალსაზრისით უფრო მისაღები ჩანს კ. თუმანოვის მიერ „არიან-ქართლის“ კლავდიოს პტოლემაიოსის „არანესა“ (Cl. Ptol., V, VI, 18) და ხეთური წყაროების ჰარანასთან დაკავშირება, რომელიც მცირე სომხეთში მდებარეობდა, თაბალის ქვეყნის ქალაქის თოგორმა/თეგარამა/თილ-გარიმუს მახლობლად[174]; ვინაიდან, ქ. თოგორმას სახელწოდება უკავშირდება ჰაოსისა და ქართლოსის მამის თარგამოსის სახელს, და რადგანაც ეს ქალაქი ახ. წ. III ს. სასულიერო მოღვაწის იპოლიტე რომაელისადმი მიწერილი „წარმომავლობის წიგნის“ (Liber Generations) თუ „ქრონიკების“ მიხედვით (რასაც ძველ სომეხ მწერალთა უმრავლესობა ეყრდნობა) სომეხთა პირველსაცხოვრისია, ხოლო ტიბარენ-იბერები თაბალის ქვეყნიდან არიან გამოსული, კ. თუმანოვის აზრით, დასაშვები უნდა იყოს, რომ ყველა ამ გადმოცემაში, „არიან-ქართლის“ შესახებ ცნობის ჩათვლით, უძველესი ადგილობრივი ტრადიცია ყოფილიყო შემონახული[175]. რაც შეეხება შეხედულებას, რომ „არიან-ქართლში“ არიული ქართლი ანუ აქემენიდური სპარსეთის მფლობელობაში მოქცეული სამხრეთქართული რაიონები უნდა იგულისხმებოდნენ, მას ხელს უნდა უშლიდეს ის გარემოება, რომ ძველქართულში თითქოს არ

დასტურდება სიტყვა „არიულის“ გამოყენება „სპარსულის“ მნიშვნელობით.[170] საფიქრებელია, რომ გ. მელიქიშვილის ვარაუდი „არიან-ქართლიდან“ ქართველთა გადმოსახლების ცნობაში სამხრეთიდან, მცირეაზიული, მესხური ელემენტის შიდა ქართლში გადმოსახლების ფაქტის არეკვლის თაობაზე, მესხების (მოსხების) წინასაცხოვრისად, ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში, ალბათ, ცენტრალურ ანატოლიას უფრო უნდა სახავდეს, ვიდრე აღმოსავლეთ ანატოლიის მთიანეთს, სადაც ისინი ქსენოფონტის „ანაბასისის“ მონაცემების მიხედვით არ ჩანან (Xen., Anab., V). ამ მხრივ, ყურადღებას იპყრობს თვით გ. მელიქიშვილის მიერ ადრე გამოთქმული მოსაზრება, „არიან-ქართლის“ მდ. ჰალისის ზემო დინებასთან მდებარე ოლქთან, ხარსიანთან გაიგივების შესახებ; საიდანაც, მისი თქმით, უნდა ყოფილიყვნენ მუშქი-მოსხები ქართლში გადმოსულნი.[177]

ჩვენი საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ახალი ხეთური ტექსტის აღმოჩენამ, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ხეთური ხანის ქალაქის ცალფუვას მდ. კიზილ-ირმაკის შესართავთან ლოკალიზებისა,[178] დასაშვები გახადა აგრეთვე ცენტრალური ანატოლიის ჩრდილოეთ ნაწილში, ცალფუვასთან ერთად ხშირად მოხსენიებული ქალაქის, არინას ლოკალიზებაც, რომელიც იყო ხეთური ხანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რელიგიური ცენტრი, სახელგანთქმული, მზის ქალღმერთ არინას (ხათური ვურუსემუს) ტაძრით. იქნებ ამ პუნქტის სახელწოდება დაედო საფუძვლად ტერმინ „არიან-ქართლის“, პირველ შემადგენელ ნაწილს „არიანს“. აღსანიშნავია, რომ ხეთურ ხანაში ამავე მხარეში დასტურდება ტოპონიმი Kartapaḫa (Katapa-ს მახლობლად), რომელიც გრაფიკულად გადმოიცემა u̯auKarta-u̯au სახით და სადაც u̯au ჩრდილოანატოლიური ტოპონიმებისათვის ჩვეული სუფიქსია.[179] ხეთური წარწერების არინასა და ქართაპახას, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „არიან-ქართლთან“ დაკავშირების ძირითად დამაბრკოლებელ გარემოებად, ალბათ ის უნდა ჩაითვალოს, რომ ანტიკურ ხანაში ეს ტოპონიმები ამავე მხარეში აღარ გვხვდება, მხოლოდ სტრაბონს, რამდენადმე უფრო სამხრეთით, ქალაქი კარანა აქვს დასახელებული (Strabo, XII, III, 37). თუმცა, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ დიოდორეს ცნობის, მითრიდატიდების პონტოს სამეფოს ფუძემდებლის მითრიდატე კიოსელის გამგებლობაში მყოფი ქალაქი არრინა სპეციალურ ლიტერატურაში მიჩნეულია დასავლეთანატოლიურ, მისიის ქალაქ კარინად.[180] გ. მელიქიშვილს დასაშვებად მიაჩნია, რომ სწორედ მითრიდატე კიოსელისადმი დაქვემდებარებული ქალაქის— „არრინას“ სახელწოდებიდან უნდა იყოს წარმომდგარი ქართული „არიანი“;[181] ხოლო, თვით

მითრიდატე კიოსელი, პონტოს სამეფოს დამაარსებელი და აქემენიდური სპარსეთის მეფის დარიოს III სატრაპი, იგივე — მოვსეს ხორენაცისეული დარიოსის სატრაპი მითრიდატე, ალექსანდრე მაკედონელის მიერ იბერთა მმართველად დადგენილი, მისი აზრით, შესაძლოა, შეესაბამებოდეს ქართული წყაროების აზონს.[182]

მოვსეს ხორენაცისათვის „არიან-ქართლი" უცნობია. მისი გადმოცემით, დარეჰის ნახარარი მიჰრდატი წამოიყვანა ალექსანდრე დიდმა და მთავრად დაუსვა ნაბუქოდონოსორის მიერ ლიბიელთა და ივერთა ქვეყნებიდან ტყვედ მოყვანილ და პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს დასახლებულ ივერიელთა მოდგმას, ხოლო მის ნაშიერს, ასევე მიჰრდატს სომეხთა მეფემ არტაშესმა ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს გამგებლობა მიანდო (*Մովս. Խոր.* II, 8,11). ვინაიდან, მოვსეს ხორენაცი შენიშნავს, რომ ივერია (ვერია) ქვეყნიერების დასავლეთ საზღვარზე მდებარეობს (*Մովս. Խոր.* II, 8), აშკარა ხდება, რომ ივერიაში იგი პირენეს ნახევარკუნძულს გულისხმობდა. გ. მელიქიშვილის მიერ გამოთქმული ვარაუდით, „არიან-ქართლის" „არიანი" შესაძლოა „პერენეის" (პირენეს) დამახინჯების შედეგად იყოს მიღებული[183]. მართლაც, როგორც ცნობილია, ანტიკურ ხანაში გადმოცემა პონტოსთან მცხოვრები იბერიელების დასავლეთის იბერიიდან გადმოსახლების თაობაზე ფართოდ იყო გავრცელებული და სავსებით მოსალოდნელია მას თავისებური ასახვა ქართულ მატიანეშიც ეპოვნა.

ანტიკური ეპოქის მწერალთა მითითების თანახმად, ცნობა ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორ II-ის (ძვ. წ. 605—562 წწ.) მიერ ლიბიისა და იბერიის დალაშქერის შესახებ, ეკუთვნის ძვ. წ. IV—III სს. ისტორიკოსსა და პოლიტიკურ მოღვაწეს, „ინდოეთის ისტორიის ავტორს" მეგასთენეს; ახ. წ. IV ს. ავტორის ევსები კესარიელის თხზულებაში „სახარებისადმი წინამომზადებაში" ნათქვამია: „ვპოვე მე აგრეთვე აბიდენოსის თხზულებაში „ასურელთა შესახებ" ნაბუქოდონოსორზე შემდეგი: მეგასთენე ამბობს, რომ ნაბუკოდროსორი ჰერაკლეზე უფრო ძლევამოსილი იყო, ლიბიასა და იბერიაზე გაილაშქრა, დაეუფლა და მათი ნაწილი პონტოს მარჯვენივ დაასახლა" (Euseb., Praep. Evang., IX, 41, 1).[184] ეს ცნობა, ნაბუქოდონოსორ II-ის მიერ აფრიკისა (ლიბია) და პირენეს ნახევარკუნძულის (იბერია) დალაშქვრის შესახებ, რა თქმა უნდა ლეგენდარულია, მაგრამ ცნობილია, რომ მან ძვ. წ. 597—586 წწ. იუდეიდან ბაბილონში გადმოასახლა ადგილობრივი მოსახლეობის 20% და შესაძლოა შეაღწია ეგვიპტეშიც. ამის კვალს, როგორც ფიქრობენ, წარმოადგენს ქალაქ ჰელიოპოლისის მახლობლად ქალაქ ბა-

ბილონის დაარსების ფაქტი.[185] გ. მელიქიშვილი შენიშნავს, რომ თქმულებებმა ქართველთა წარმომავლობისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესახებ, მათი ფიქსირების ხანამდე, განსხვავებული ისტორიული და ეპიკური ტრადიციების მქონე ახალ მომენტებთან დაკავშირების შედეგად ბევრი ცვლილება და აღრევა-გაერთიანება განიცადეს; კერძოდ, მისი აზრით, ტყვე-იბერების ამბით გადმოცემულია ცნობა ნაბუქოდონოსორის მიერ ებრაელთა სამშობლოდან აყრის შესახებ.[186] აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში გასათვალისწინებელი ჩანს ის გარემოება, რომ ნაბუქოდონოსორის მიერ ლიბია-იბერიიდან წამოყვანილი ტყვეების შესახებ ცნობას, თითქოს, რამდენადმე ეხმიანება „ქართლის ცხოვრების“ შემდეგი სტრიქონები: „ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელი მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქჳან ზანავი და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა, აწ ჰქჳან ხერკ ხარკისა მისთჳს“ (ლეონტი მროველი, I, 15—16). საყურადღებოა აგრეთვე მოვსეს ხორენაცის შენიშვნა, რომ სომეხთა მეფემ—„ჰრაჩიამ სთხოვა ნაბუქოდონოსორს დატყვევებულ ებრაელთა ერთი მეთაურთაგანი, სახელად შამბათი; მან მოიყვანა, დაასახლა იგი ჩვენს ქვეყანაში და დიდი პატივი მიაგო. მემატიანე სამართლიანად თვლის, რომ მისგან მომდინარეობს ბაგრატუნთა გვარი“ (*Մովս. Խոր.*, I, 22).[187] X ს. ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, იბერიელები მოგვითხრობენ, რომ მათი ტომი იერუსალიმიდან არის წარმოშობილი და, რომ ისინი წამოვიდნენ იერუსალიმიდან ღვთის ბრძანების მომასწავებელი სიზმრების ჩვენებით და დაესახლნენ სპარსეთის მხარეებთან, ე. ი. ქვეყანაში, სადაც ამჟამად მკვიდრობენ (Const. Porphyr., De adm. imp., 45).[188] აღსანიშნავია, რომ სახელწოდება „იბერიას“, ზოგიერთი მეცნიერი იმ ებრაული სიტყვიდან წარმომდგარად მიიჩნევს, რომელიც უნდა აღნიშნავდეს ცნებას — „იქითა მხარე“ (მთის იქითა მხარე — კავკასიის იბერია, ზღვის იქითა — პირენეებისა).[189] ებრაული ზოგადი სახელი ʿeber—„იქითა მხარე“, კ. წერეთლის მიხედვით, ამოსავალია თვით ტერმინისათვის ʿibrī — „ებრაელი“, ისევე, როგორც სახელისათჳის „ჸევერი“, რომელიც ებრაულში ტერმინ „ებრაელის“ ამოსავალ — „იქითა მხარეს“ აღნიშნავს (მსგავსად ქართული „იმერი“ > „იმერელისა“).[190]

მაგრამ „იბერიის“ ებრაულ „ებერთან“ დაკავშირებას საკმაოდ მნიშვნელოვანი დაბრკოლებები ეღობება. უპირველეს ყოვლისა, არ უნდა გამოირიცხოს იმის შესაძლებლობა, რომ სახელწოდება „იბე-

რია“ საკუთრივ ქართულ „იმერ“ სიტყვიდან იყოს ნაწარმოები.[101] გარდა ამისა, ეს სახელწოდება უკვე ძვ. წ. IV—III სს. ავტორს მეგასთენეს ჰქონდა ნახსენები, მაშინ, როდესაც ებრაული კოლონიის დაარსება მცხეთაში, თვით ადგილობრივი ებრაული ტრადიციის მიხედვით მომხდარა ძვ. წ. 169 წ.[102] გასათვალისწინებელია ისიც, რომ ძვ. წ. I ს. ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი არაფერს ამბობს ებრაელთა გადმოსახლების შესახებ, როდესაც მოჰყავს მეგასთენეს ცნობა ნაბუქოდონოსორის მიერ ლიბიისა და იბერიის დალაშქრვაზე, ხოლო იბერებს არა ებრაელთა, არამედ თაბალელთა შთამომავლებად მიიჩნევს (Josephus, Antiq; I, 124—125).

პ. ინგოროყვას აზრით, კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებაში „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტის „არიან-ქართლის“, იერუსალიმით შენაცვლებაში, ასახულია ტენდენცია ქართველთა სამეფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის დასაბუთებისა დავით მეფესთან იბერთა დაკავშირების საშუალებით, რაც პირდაპირ კავშირში იყო ბაგრატიონთა გენეალოგიის დავით მეფემდე და წინასწარმეტყველამდე აყვანის ალიარებასთან.[103] კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვებით, იბერიელები „უწოდებენ თავის-თავს დავით მეფისა და წინასწარმეტყველის ნათესავს და აქედან ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ნათესავსაც, რადგან ისიც დავითისაგან არის წარმოშობილი“; დამახასიათებელია აგრეთვე მისი შემდეგი სიტყვებიც: „ვინაიდან იბერიელები, როგორც თვითვე ამბობენ, შთამომავლობით იერუსალიმიდან არიან, ამის გამო მათ აქვთ დიდი სიყვარული მისი და უფლისა იესო ქრისტეს საფლავისა და განსაზღვრულ დროებში უხვად უგზავნიან ფულს წმინდა ქალაქის პატრიარქსა და იქაურ ქრისტიანებს“ (Const. Porphyr., De adm. imp., 45).[104]

როგორც ჩანს, „ქართლის ცხოვრების“ ზემოთ მოყვანილი ცნობა, ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ „ოტებული“ ებრაელების ქართლში დამკვიდრების შესახებ, შედარებით გვიან ხანებშია შეთხზული და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტს უნდა იყოს დასესხებული, ოღონდ ამ უკანასკნელში მოხსენიებული, და უკვე გაუგებარი, „ჰონნები“, „ურიებით“ არის შეცვლილი. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდისეული ტექსტის მიხედვით: „...მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი, ჰონნი, და ითხოვეს ბუნ-თურქთა უფლისაგან ქვეყანაჲ ხარკითა და დასხდეს იგინი ზანავს და ეპყრა იგი, რომელ ხარკითა აქუნდა, ჰრქვან მას ხერკი“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 320).

ყურადღებას იპყრობს თითქმის სრული თანხვედრა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „ქალდეველი ჰონნების“ მიერ დაკავებული მიწების ადგილმდებარეობის და მათი აქ დამკვიდრების ხასიათისა და პირობებისა, „ქართლის ცხოვრების“ „ურიათა“ მცხეთაში დასახლების ამბავთან (ლეონტი მროველი, I, 15—16); სიტყვებიც კი ერთნაირია გამოყენებული. აშკარაა, რომ ორივე ძეგლში ერთიდაიგივე ამბავია აღწერილი, თუმცა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „ბუნ-თურქთა უფალი“, „ქართლის ცხოვრებაში“ „მამასახლისით“ არის შეცვლილი, რაც ალბათ უნდა აიხსნას ლეონტი მროველისათვის დამახასიათებელი ქართველთა ავტოქტონობის კონცეფციის ზემოქმედებით. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „ქალდეველთაგან გამოსხმული ჰონნების“ ნაცვლად „ქართლის ცხოვრებაში“ „ურიებია“ დასახელებული, აღსანიშნავია, რომ, ამავე დროს, „ქართლის ცხოვრებაც“ იცნობს ქალდეველების ქართლში გადმოსახლების ამბავს, ოღონდ „ჰონნთა“ მოუხსენიებლად: „...გამოვიდეს სხუანი ნათესავნი ქალდეველნი და დაეშენნეს იგინიცა ქართლს...“ (ლეონტი მროველი, I, 17). ეს ამბავი „ქართლის ცხოვრებაში“, ისევე როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტის „ქალდეველი ჰონნების“ მოსვლა, ალექსანდრე მაკედონელის ხანით, კერძოდ, ქართლში მისი ორი ლეგენდარული ლაშქრობის შუალედური ხანით თარიღდება (ლეონტი მროველი, I, 17: მოქცევაჲ ქართლისაჲ, 320), ე. ი. „ურიათა“ ჩამოსახლებასთან შედარებით, რასაც ნაბუქოდონოსორის ხანაში უნდა ჰქონოდა ადგილი, მნიშვნელოვნად უფრო გვიანი ხანით (შდრ. ლეონტი მროველი, I, 15—16). თუმცა, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით, ებრაელები ქართლში, მხოლოდ მეთორმეტე და მეცამეტე ქართლის მეფეების ხანაში არიან მოსულნი: „...და მეფობდა ქარძამ არმაზს და მცხეთას—ბრატმან და ამათთა ჟამთა ჰურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 321). „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტის ეს ცნობა მით უფრო ანგარიშგასაწევი ჩანს, რომ მას თანხვდება რომის იმპერატორის ტიტუს ფლავიუს ვესპასიანეს (ახ. წ. 69—79 წწ.) მიერ იერუსალიმის აღების თარიღი — ახ. წ. 70 წ.[195]. საფიქრებელია, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს—„ქალდეველთაგან გამოსხმულ ჰონნებში“ ებრაელები არ უნდა იგულისხმებოდნენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რამდენადმე ყურადსაღებია V ს. სომეხი ისტორიკოსის აგათანგელოსის „სომხეთის ისტორიის“ ბერძნული ტექსტის მასახა ჰონნები (Μασαχοῦ τῶν Οὔννων — Agath., 153), სომხური ტექსტის მათი შესატყვისი მასქუთებითურთ (*Մասքթաց—Ագաթ.*, 120/842). მასქუთებში

ზოგიერთი მეცნიერი მესხებს ხედავს;[196] თუმცა კი უფრო ხშირად სამეცნიერო ლიტერატურაში მასქუთ/მასახებს კასპიისპირა მასაგეტებად, ხოლო „ჰონნებს" ჰუნებად მიიჩნევენ.[197] მაგრამ თუ „მოქცევაჲ ქართლისაჲს" „ჰონნებს" ჰუნებთან გავაიგივებთ, გაურკვეველია — რა კავშირი უნდა ჰქონოდათ მათ სამხრეთმესოპოტამურ ქალდეასთან?

„ჰონნების" ვინაობის დადგენისათვის, ვფიქრობთ, ყურადღებას იმსახურებს ი. ორბელის შენიშვნა, რომ ძველ სომეხ ისტორიკოსებთან დადასტურებული ეთნონიმი ჰონქი (Հոնք), რომელშიც — ք მრავლობითობის სომხური სუფიქსია, სვანური ტომის— ჰონ/ჰენიოხების, ანუ იგივე სანი-სანიგების აღმნიშვნელია და არ შეიძლება მისი აღრევა ჰუნების სახელწოდებასთან.[198] რაც შეეხება ქალდეველთა სახელწოდებას, ცნობილია, რომ ბაბილონეთის გარდა, ქალდეა აღნიშნავდა პონტოს აღმოსავლეთ ნაწილს — ჭანეთს.[199] XVIII ს. ქართულ ლიტერატურაში იგი ჯერ კიდევ იხმარება ტრაპიზონის მხარისა და კერძოდ იქვე მდებარე ქალაქის გიუმიუშჰანეს აღსანიშნავად.[200] მოვსეს ხორენაცისათვისაც ჭანეთი იგივე ხალდეთია (*Մովս. Խոր.*, II, 76). თუ გავითვალისწინებთ „ჰონნებისა" და „ქალდეველების" ქართველურ სამყაროსთან დაკავშირების შესაძლებლობას, მაშინ დასაშვებად შეიძლება მივიჩნიოთ ისიც, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს" „ქალდეველთაგან გამოსხმულ ჰონნებში", პლინიუსის „სანი ჰენიოხების" (Sannorum Heniochorum—Plin., NH, VI, 12) ანალოგიური მოვლენა ყოფილიყო ასახული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს ახ. წ. II ს. ავტორის კლავდიუს პტოლემაიოსის მიერ, კავკასიის ალბანეთის გადაღმა სანარელთა ტომის (Σαναραῖοι) დასახელება (Cl. Ptol., V, VIII, 25), რაც ცხადყოფს, რომ XIII ს. სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის „მსოფლიო ისტორიის" ცნობა, წანარელთა ტომის კავკასიაში მოსვლის ვითარებისა და თარიღის შესახებ (ბიზანტიის იმპერატორის ირაკლის შემდგომ ხანებში) სინამდვილეს არ შეეფერება და საფიქრებელია, რომ მას კავშირი უნდა ჰქონდეს „მოქცევაჲ ქართლისაჲს" „ქალდეველთაგან გამოსხმულ ჰონნთა" ამბავთან. ვარდან დიდის ცნობით: „ზოგიერთი ვინმე კაცნი ხალდებისა, გამოსულნი თავიანთი სამშობლოდან, მოვიდნენ გარდმანში და მიმართეს გარდმანის იშხანს — „დაგვითმე ჩვენ ნაწილი იმ ჯვრისა, რომელიც ირაკლისაგან გაქვს მიღებული, ხოლო ჩვენ მივიღებთ ქრისტეს რჯულს და გავხდებით შენი მსახურნი". ეს კიდევაც აღსრულებულ იქნა. ბაღდადის ამირამ, შეიტყო რა ეს ამბავი, დაემუქრა მათ და ისინი შეშინებულნი გაემართნენ კავკასიის მთის ძირას. ქრისტეს შემწეობით, რომელიც

მათ ირწმუნეს, ისინი დაეპატრონენ მთელს იქაურ მეზობელ მხარეებს... ამ (ხალდებმა) თავიანთ მხარეს უწოდეს წანარქი (Ծանարք) იმ საფუძველზე, რომ მასში მათ შეიცნეს თავიანთი პირვანდელი ადგილსაცხოვრისი, და რადგანაც ისინი (ე. ი. ხალდები) ლაპარაკობდნენ ქართული ენით, ამიტომ გარდმანის იშხანმა მოიწვია მათთვის ქორეპისკოპოსი".[201] ნ. მარი და ს. კაკაბაძე სატომო სახელ წანარს, „წან“ ფორმით აღადგენდნენ, გამოყოფდნენ რა მასში სვანური ენისათვის დამახასიათებელ, მრავლობითი რიცხვის -არ დაბოლოებას, ხოლო თვით წანარებს სვანური წარმომავლობის ტომად მიიჩნევდნენ.[202] სვანებთან წანარებს აკავშირებს აგრეთვე ჯ. გვასალია.[203] ვარდან დიდის ზემომოყვანილ ტექსტზე დაყრდნობით, თ. პაპუაშვილი თვლის, რომ წანარების წინაპრები ხალდების (იგივე ჭანების, სანების) დასავლურქართული ტომი იყო, უფრო ზუსტად კი, რომ „წანი“ მეგრულ-ჭანური (ზანური) განშტოების ერთ-ერთი ტომთაგანია.[204] ყურადღებას იპყრობს სამეგრელოში დადასტურებული სამხრეთის ქარის სახელწოდება წანი-ბორია, ე. ი. წანის, ანუ ჭანის ქარი, რისი გათვალისწინებითაც ს. ჯანაშია აფხაზური გადმოცემების „წანების“ ტომს, მეგრულ-ჭანური წარმომავლობის ტომად მიიჩნევდა.[205]

აღსანიშნავია, რომ ეთნო-ტოპონიმი „წონა“ („სონა-სენა-სოენა“), ძირითადად, ისტორიული ხევის ტერიტორიაზეა შემორჩენილი[206]. უკანასკნელ ხანებში ყურადღება ექცევა არაგვის ხეობის ტოპონიმიკაში ზანური ხასიათის მქონე სახელთა ჯგუფის არსებობას და გამოითქვა ვარაუდი ადრე აქ ზანური ტომების სახლობის შესახებ[207]. რ. რამიშვილის დაკვირვებით, ზანური იერის მატარებელი ტოპონიმები აღმოსავლეთ საქართველოში, ზენასოფლიდან მოკიდებული ქვემო ქართლამდე და კახეთ-ჰერეთ-სოჯეთში, არაერთგანაა შემჩნეული[208].

წანარების ზანური წარმომავლობის ან უფრო სწორედ, ცენტრალური კავკასიონის მხარეში ზანური მოსახლეობის არსებობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამამტკიცებელ საბუთს, ვფიქრობთ, უნდა წარმოადგენდეს ინდოევროპული ოჯახის ირანული ჯგუფის ოსური ენისათვის ზანურენოვანი (მეგრულ-ჭანური) სუბსტრატის გამოვლენის ფაქტი[209].

ანგარიშგასაწევ გარემოებად გვეჩვენება აგრეთვე პლინიუსის მიერ მეოტიის ტბიდან კერავნულ მთებამდე (ანუ აზოვის ზღვიდან კავკასიონის ქედის აღმოსავლეთ ნაწილამდე) მცხოვრებ ტომთა შორის მაზაკების (Mazacae) მოხსენიება (Plin., NH, VI, 21), ამ სახელის გარეგნული მსგავსების გამო მესხების სახელთან და ხუნძურ

(ავარულ) ენაში ადრე გამოყენებულ თუშების აღმნიშვნელ სატომო სახელ — „მოსოხ/მოსოქთან".[210] აღსანიშნავია, რომ ჩრდილო-ოსეთის ასსრ ტერიტორიაზე დასტურდება ტოპონიმი — მასკა/მოსკე,[211] პირიქითა თუშეთში კი—სამციხი, თ. პაპუაშვილის მიერ სახელწოდება „სამცხესთან" დაკავშირებული.[212] თ. პაპუაშვილის ვარაუდით, მსგავსი ტოპონიმების გაჩენის გამომწვევი მიზეზი უნდა ყოფილიყო სამხრეთ-დასავლეთიდან ქართლში შემოსული მუშქ-მესხების, რაც, მკვლევართა აზრით, ტოპონიმ მცხეთაშია (მესხთა ალაგი) ასახული, ერთ-ერთი ტალღის კიდევ უფრო ჩრდილოეთით შეღწევა და კახეთის მთიანეთში დასახლება.[213] თუ გავიხსენებთ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც მოსხ-მესხებს ზანურ სამყაროს მიაკუთვნებენ,[214] შესაძლებლობა მოგვეცემა პარალელი გავატაროთ თუშების მემკვიდრეობით კავშირსა მოსოქ-მესხებთან და წანართა ზანურ წარმომავლობას შორის. ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე აგათანგელოსის თხზულების ბერძნული ვერსიის ზემოთ ნახსენები მასახოი (Μασαχοῦ), რომელსაც ს. ერემიანი ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფიაში" მოხსენიებულ მდ. მაწის-წყალს (ბელაქნისწყლის შენაკადს) და მის სათავესთან მდებარე „მაჭს", ამ მხარის ერისთავების — „მაჭელების" სარეზიდენციო ადგილის სახელს უკავშირებს.[215] ეს სახელწოდება ს. ერემიანის აზრით, საფუძვლად დაედო სასანიანი მეფის შაპურ I-ის ქააბა-ი-ზარდოშტის ბერძნულ ტექსტში მოხსენიებული ქვეყნის „მახელონიის" სახელს, რომლის ამოსავალ ბერძნულ ფორმას, აგათანგელოსის ბერძნულ ვერსიაში დადასტურებული „მასახოის" გათვალისწინებით, იგი *მასახელონის სახით აღადგენს, რაც მისი შეხედულებით, თავდაპირველად, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მდებარე მეგრულ-ჭანური „მაჭახელის" ბერძნული ტრანსკრიპცია უნდა ყოფილიყო.[216] ს. ერემიანის აზრით, კასპიისპირეთში სხვა კავკასიურ ტომებთან ერთად მეგრულ-ჭანურ ტომებსაც უნდა ეცხოვრათ, ისევე როგორც შავიზღვისპირეთში არსებობდა „მახელონთა და ჰენიოხთა სამეფო", აქაც გარდა მახელონებისა, ჩანს ჰენიოხთა ბინადრობის კვალიც; ანონიმური პერიპლუსით ჰენიოხები კასპიის ზღვის მახლობლადაც ცხოვრობდნენ (Anon., PPE, XLII, 9), ხოლო ტაციტუსს ისინი ალბანელებთან ერთად ჰყავს დასახელებული (Tac., An., II, 68).[217] როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, მითიური ამაძონებიც შავიზღვისპირეთის გარდა ანტიკური წყაროების მიერ აღმოსავლეთ კავკასიაშიც მოიხსენიებიან. ქააბა-ი-ზარდოშტის წარწერის მახელონია-სიკ(?)ნ-ის ქვეყნის აღმოსავლეთ ამიერკავკასიური ადგილმდებარეობის სასარგებლოდ შესაძლოა წარწერაში ჩამოთვლილი ქვეყ-

ნების შემდეგ კაპის მთებისა (რომელსაც ჩვეულებრივ კავკასიონთან აიგივებენ) და ალანთა (ზოგიერთი მეცნიერის მიხედვით — ალბანთა) კარის მოხსენიებაც მეტყველებდეს. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე კამარიტების ტომის ლოკალიზება, ერთი მხრივ ამიანუს მარცელინუსთან, შავიზღვისპირეთში, მდინარეების ფასისის და კალიხორის მახლობლად (Amm. Marc., XXII, 23—24), ხოლო მეორე მხრივ, დიონისიოს პერიეგეტის „დედამიწის აღწერილობაში“, ჰირკანელებთან თავდაუზოგავად მებრძოლ, პირენეს ნახევარკუნძულიდან კავკასიაში მოსულ იბერებსა და კასპიის ზღვას შორის (Dion. Per., 695—706).[218] როგორც ჩანს, სამხრეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში დადასტურებულ ეთნო- ტოპონიმების თანხვედრა ამ ორ რეგიონს შორის არსებული მჭიდრო ურთიერთობის გამოხატულება უნდა იყოს. ეს გარემოება, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ანტიკური ეპოქის ავტორებსაც აქვთ შენიშნული. პლინიუსი იუწყებოდა, რომ გადმოცემის თანახმად, ალბანელები არგონავტ იასონის შთამომავლები არიან (Plin., NH, VI, 38). ს. ჯანაშია აქ პლინიუსის მიერ ტაციტუსის ზერელედ წაკითხვას ან კალმის შეცდომას ვარაუდობდა და პლინიუსის ტექსტში „ალბანელებს“ „იბერიელებით“ ასწორებდა;[219] ტაციტუსის „ანალების“ მიხედვით, ხომ იბერები, თესალიელებისაგან იმ დროს წარმოიშვნენ, როდესაც იასონი უმეფოდ დარჩენილ კოლხებთან დაბრუნდა (Tac., An., VI, 33—34). მაგრამ, გასათვალისწინებელია, რომ საკუთრივ ალბანელთა შესახებ სხვა ავტორებსაც მოეპოვებათ ცნობები, პომპეუს ტროგუსის მიხედვით, ალბანელები იტალიური წარმომავლობისანი არიან (Iust., XLII, 3—4), ხოლო ბიზანტიელი მწერალი ქალის ევდოკიას განცხადებით, „ალბანელები ახლანდელი მინკრელებია“ (μιγκρέλιοι — Violarum 478b)[220]. თუმცა, ვფიქრობთ, ამ უკანასკნელი ცნობის სხვაგვარი ინტერპრეტაციაც უნდა იყოს დასაშვები (იხ. ქვემოთ).

ალსანიშნავია, რომ ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით, მეგასთენეს ცნობაშიც, ნაბუქოდონოსორის ლიბიასა და იბერიაზე გალაშქრებისა და მათი მოსახლეობის პონტოს მარჯვნივ დასახლების თაობაზე, შესაძლებელია იბერთა წინანდელი ბინადრობის ადგილის მონაცვლეობის მიზეზის გამოსარკვევად შეთხზულ ამბავთან გვქონდეს საქმე და ამ ცნობას იგი საყურადღებოდ მიიჩნევს, როგორც ქართველთა სამხრეთული წარმომავლობის შესახებ ძველი გადმოცემის არსებობის ერთ-ერთ დამადასტურებელ მოწმობას.[221] ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ ლიბიისა და იბერიის ერთ კონტექსტში დასახელება შემთხვევითი ამბავი არ უნდა იყოს და ხაზს უსვამს კავ-

კასიელი იბერების აღმოსავლეთით, ალბანეთში, ლუბენებისა თუ ლოპონების (რომელთაც აგრეთვე ლეპონებს უწოდებენ) ბინადრობის ფაქტს.[222] პლინიუსის ცნობით, ლუპენები (Lupeniorum) ალბანეთის საზღვრებთან, კავკასიონის ფერდობებზე ცხოვრობდნენ (Plin., NH, VI, 29). ე. წ. პევტინგერის რუკაზე აღნიშნულია სახელწოდება „ლუპონესი" (Lupones — Tab. Peut., XI, 5), ხოლო რავენის ანონიმთან მოიხსენიება ლეპონთა ქვეყანა (Patria Lepon — Anon. Rav., II, 12). კლავდიოს პტოლემაიოსის რუკაზე იბერიისა და ალბანეთის საზღვარზე სოფელი ლუბიონია (Λούβιον κώμη) აღნიშნული (Cl. Ptol., V, X, 2). აგათანგელოსის ბერძნულ ვერსიაში დასახელებულია ლიფენების (Λιφέννιοι) ტომი (Agath., 169). ლბინების ტომს იცნობენ სომეხი ისტორიკოსები ეღიშე (V ს.) და მოვსეს კაღანკატვაცი (X ს.)[223] VII ს. ანონიმურ „სომხურ გეოგრაფიაში" დასახელებულია ლბინების ტომი, რომელთა სახელწოდება, თუმცა კი აქ დეფექტური წაკითხვითაა შემონახული — ფლიქები (Փլիք), ნაცვლად ლფნიქებისა (Լփնիք).[224] თ. პაპუაშვილის აზრით, ლეონტი მროველის მიერ მოხსენიებული „დაბა ელარბინის" სახელი (ლეონტი მროველი, I, 85) უნდა იყოს ქართული ფორმით გადმოცემული სომხური წყაროების „ლრბნიკი" ანუ „ლფნიქი"; ამავე დროს, მისივე შენიშვნით, ახ.წ. III ს. ავტორის იპოლიტე რომაელისადმი მიწერილი „ქრონიკების" ბერძნულ ტექსტში მოხსენიებულ ჰერებს — Ἑρραῖοι, VII ს. სომხურ ენაზე გადამუშავებულ ვარიანტში შეესაბამებიან ლფნიქები (იგივე ლბინები)[225]. ზოგიერთი მეცნიერის მიერ გამოთქმულია აზრი ეთნონიმ „ლბინის" ტომისა და ქვეყნის სახელწოდება— „ალბანეთთან" დაკავშირების შესაძლებლობის შესახებ.[226] აღსანიშნავია, რომ ევსები კესარიელთან დაცულ მეგასთენეს ზემომოყვანილ ცნობაში არა კონკრეტულად იბერების გადმოსახლებაა ნაუწყები, არამედ ზოგადად აღინიშნება, რომ ნაბუქოდონოსორმა ლიბიასა და იბერიაზე გალაშქრების შედეგად ადგილობრივი მცხოვრებლები პონტოს მარჯვენა მხარეს გადაასახლა (Euseb., Praep. Evang., IX, 41,1). თავისთავად ცხადია, რომ ამ ცნობის მეგასთენესეულ; ე. ი. ამ საკითხთან დაკავშირებით უძველეს ვარიანტში, ნაგულისხმები იყო ლიბიელთა გადმოსახლებაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა აზრი აღნიშნული ცნობის კოლხების ეგვიპტური წარმომავლობის ჰეროდოტისეული შეხედულების (Herod., II, 103—105) საფუძველზე ჩამოყალიბების შესახებ.[227] მაგრამ, მეგასთენესთან მოხსენიებული ლიბიის ადგილმდებარეობის გარკვევისათვის, ვფიქრობთ, ყურადსაღებია ანტიკური

წყაროების მინიშნებები სამხრეთშავიზღვისპირეთული ლიბიის არსებობის თაობაზე.[228] ძვ. წ. IV—III სს. ავტორის პალეფატ აბიდოსელის თხზულების „ტროის ომის შესახებ“ მიხედვით, მაკროკეფალები ლიბიაში კოლხებს ზემოთ ცხოვრობდნენ (Pal., Tr., VII, 2). პოლუქსის (ძვ. წ. II ს.) ცნობითაც მაკროკეფალები ლიბიაში მცხოვრები ხალხია (Pollux, II, 43). ფსევდო-სკილაქს კარიანდელის „პერიპლუსი“ აზუსტებს, რომ მაკროკეფალები ტრაპეზუნტის მახლობლად სახლობდნენ (Ps.-Scyl., 85). ძვ. წ. IV ს. მოღვაწე დიოფანტი „პონტიკაში“ (სტეფანე ბიზანტიონელი ამ თხზულებას შეცდომით „პოლიტიკას“ უწოდებს) ლიბისტინებს კოლხების მომიჯნავე ხალხად მიიჩნევს (Steph. Byz., s. v. Λιβυστῖνοι). ვფიქრობთ, თვით დიოფანტის თხზულების სათაური — „პონტიკა“, ცხადყოფს, რომ ლიბისტინებისა და კოლხების საცხოვრისად პონტოსპირეთია ნაგულისხმევი. სტეფანე ბიზანტიონელიც შავიზღვისპირეთში მოსახლე ტომებს გულისხმობს, როდესაც მოჰყავს ლიკოფრონეს სიტყვები ლიგისტიკური კუტაიას არსებობის შესახებ და დასძენს, რომ ლიბისტინები, კოლხების მეზობელი ხალხია (Steph., Byz., s. v. Κύτα).

ა. ურუშაძის აზრით, ლიბია (ლიბისტიკე) უნდა დაუკავშირდეს ჰომეროსთან დამოწმებულ ალიბეს (’Αλύβη), ჰალიძონების საცხოვრისს (Hom., Il., II, 856—857) და არა აფრიკის „ლიბიას“; მას დასაშვებად მიაჩნია, რომ პონტოს Λιβύη ხელნაწერის ცდომილების შედეგად იყოს ’Αλύβη-საგან მიღებული.[229]

პონტოში „ლიბიის“ არსებობის ერთ-ერთ გამოხატულებად ალბათ შეიძლება ჩაითვალოს პლინიუსის ცნობა, ტრაპეზუნტის დასავლეთით ციხე-სიმაგრე ლივიოპოლისის არსებობის თაობაზე (Plin., NH, VI, 11).[230] აღსანიშნავია, რომ „წარმომავლობის წიგნის“ ტექსტში, იმ ტომებს შორის, რომელთაც საკუთარი ენა აქვთ, დასახელებული არიან არმენიელები, ჰიბერები, ლიბრანები, სკვითები, სანები და ბოსფორანები (LG, 25, 35); როგორც ჩანს, ლიბრანებში ნაგულისხმევია შავიზღვისპირეთში ან მის მახლობლად მცხოვრები ტომი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რამდენადმე ყურადღებას იპყრობს, პირველად აპოლონიოს როდოსელთან მოხსენიებული ფილირების ტომის სახელწოდება (Apoll. Rhod., II, 392), ეგებ ფ და ლ ბგერების მეტათეზისის შედეგად მიღებული. როგორც, ზემოთ აღინიშნა, სამხრეთ შავიზღვისპირეთის ცენტრალურ ნაწილში, სადაც ავლიონის გამოქვაბული და მდინარე კალიხორი მდებარეობდა, გადმოცე-

მის თანახმად, ინდოეთიდან მობრუნებულ მითიურ ლიბერს (იგივე დიონისიოს/ბაქხუსს) ორგიები განუახლებია (Amm. Marc., XXII, 23); ვფიქრობთ, არც ამ კონტექსტში უნდა იყოს შემთხვევითი აღნიშნულ რეგიონთან ლიბერის დაკავშირება.[231].

სამხრეთ შავიზღვისპირეთის ცენტრალური ნაწილისათვის სახელწოდება „ლიბიისა“ თუ მსგავსი ძირიდან ნაწარმოები სხვა სახელების დაკავშირებისას მნიშვნელოვან გარემოებად გვესახება სტრაბონის შეხედულება იმის შესახებ, რომ ხალიბების ძველი სახელწოდება ჰომეროსის მიერ მოხსენიებული „ალიბე“ (Hom., Il., II, 857) ყოფილა; სტრაბონის სიტყვებით: „ამჟამინდელი ხალდები (Χαλδαῖοι) ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ... ვფიქრობ, სწორედ მათ უწოდებს ჰალიძონებს პოეტი „კატალოგში“ პაფლაგონიელების შემდეგ: „ხოლო ჰალიძონებს ოდიოსი და ეპისტროფოსი მოუძღოდნენ შორეული ალიბედან, სადაც ვერცხლის სამშობლო არის“ ან ტექსტი შეცვლილა „შორეული ხალიბედან“, ან არადა ამ ხალხს ადრეულ ხანებში „ხალიბების“ ნაცვლად „ალიბები“ ეწოდებოდათ, ხომ არც ახლა იქნებოდა შესაძლებელი მათთვის „ხალდების“ შერქმევა, ამ სახელის „ხალიბებისაგან“ წარმოებით უწინ რომ არ ეწოდათ მათთვის „ალიბების“ ნაცვლად „ხალიბები“; მითუმეტეს, რომ სახელწოდებები მრავალ ცვლილებას განიცდიან, განსაკუთრებით კი ბარბაროსთა შორის“ (Strabo, XII, III, 19—20). საყურადღებოა, რომ შეხედულება, სახელწოდება „ხალიბის“ ჰომეროსისეული „ალიბესაგან“ წარმომავლობის შესახებ, სტრაბონისავე გადმოცემით, ცნობილი ყოფილა ჯერ კიდევ ძვ. წ. III ს. გრამატიკოსისა და გეოგრაფოსის დიმიტრიოს სკეპსისელისთვისაც, რომელსაც არ გაუზიარებია ეს აზრი (Strabo, XII, III, 20, 21—23). იქნებ სწორედ ალიბეელების შესახებ არსებული რაიმე ცნობა დაედო საფუძვლად ევდოკია მაკრემბოლიტისეულ წარმოდგენას ალბანელებისაგან მეგრელების წარმომავლობის შესახებ; მისი სიტყვებით ხომ „ალბანელები ახლანდელი მინკრელებია“; აღსანიშნავია, რომ ევდოკიას თავისი მითოლოგიური კრებულისათვის მრავალი ძველი წყარო დაუდვია საფუძვლად.[232].

განსხვავება „ალიბესა“ და „ხალიბს“ შორის, ვფიქრობთ, შეიძლება აიხსნას სახელწოდება „ხალიბში,“ ხათური და ქაშქური ენებისათვის დამახასიათებელი ტოპონიმების მაწარმოებელი ḫa-პრეფიქსის არსებობის გათვალისწინებით[233]. სახელწოდებების „ალიბესა“ და „ლიბიის“ შემცველი ძირი იქნებ წარმოდგენილია ხეთური ხანის ქალაქის Zalpa || Zalpuwa-ს სახელწოდებაშიც, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ხათურში არსებობდა ტოპონიმთა მა-

წარმოებელი ta-პრევერბი, ხოლო ta და za მარცვლების მონაცვლეობა დამახასიათებელი მოვლენაა ამ ენისათვის[234]. მსგავს ვარაუდს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ, როგორც ბოლო ხანებში დადგინდა, ქალაქი ცალფა მდებარეობდა შავი ზღვის სანაპიროზე მდ. მარასანთიას, შემდეგდროინდელი ჰალისის (თანამედროვე კიზილ-ირმაკის) შესართავთან.[235]. აღსანიშნავია, რომ მდ. ჰალისის სახელწოდებას ზოგიერთი მკვლევარი უკავშირებს ალიბეს ქვეყნისა და ჰალიძონების ტომის, აგრეთვე ამ უკანასკნელთა შთამომავლებად მიჩნეულ ხალიბთა სახელებს.[236]. თანამედროვე ინჯებურუნის ნახევარკუნძულის ძველი სახელწოდებაც — ლეპტე (Arr., PPE, I4), რომელიც ბერძნულ სიტყვას λεπτός-ს (წვრილი, ვიწრო, თხელი) უკავშირდება, არ არის გამორიცხული, რომ თავდაპირველად ადგილობრივ, იქნებ „ლიბ" ძირის შემცველ სიტყვასთან მიმსგავსების შედეგად იყოს აღმოცენებული. ამავე საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს ბიბლიის ტექსტში არაერთხელ მოხსენიებული ქვეყნის სახელწოდების Pwṭ-ის „ლიბიად" წაკითხვის იოსებ ფლავიუსისეული ტრადიციის არსებობა და რომელიც, როგორც ეს ი. დიაკონოვმა დაასაბუთა Pôṭ-ად უნდა იკითხებოდეს და აფრიკის „ლიბიის" ნაცვლად „პონტოს" უნდა აღნიშნავდეს.[237]. ალბათ შემთხვევითობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ „ორიენტიოსისა და ძმათა მისთა მარტვილობის" სამიდან ერთ-ერთ, მოკლე სვინაქსარულ ვარიანტში, რომელიც ბერძნულ ენაზეა შემორჩენილი, „ლაზთა ქვეყნის" — Λαζικῆν-ის ნაცვლად წერია Λιβυκήν; საყურადღებოა ისიც, რომ გიორგი მთაწმინდელის ქართულ თარგმანში, ამ ადგილას იკითხება ქვეყანა „ოვსეთისაჲ", რაც კ. კეკელიძის შენიშვნით, ქართველი მთარგმნელის გეოგრაფიული ორიენტაციის შედეგია[238].

უკანასკნელ ხანებში თ. ყაუხჩიშვილმა გამოთქვა მოსაზრება ძვ. წ. III ს. ავტორის ლიკოფრონის პოემა „კასანდრაში" ნახსენები „ლიგისტიკური კუტაჲას" ((Lycophr., Alex., 1312) „ლიბისტიკურად" შესწორების საჭიროების შესახებ[239]. იოანე ცეცე ლიკოფრონის პოემის შესაბამისი ადგილის კომენტარში, როგორც „ლიგისტიკეს", ასევე „ლიბისტიკეს" განმარტებას იძლევა (Tzetzae ad Lycophr., Alex., 1312), ხოლო სტეფანე ბიზანტიონელი პირდაპირ მიუნიშნებს, რომ „ლიგისტიკური" მას „ლიბისტიკურად" ესმის (Steph. Byz., s. v. Κύτα); ევსტათი თესალონიკელი ლიკოფრონის ციტირებისას მხოლოდ „ლიგისტურ ქალაქს" იხსენიებს; მისი აზრით, კოლხი ლიგიელები წარმოშობილი არიან ევროპელი ლიგიე-

ლებისაგან, რომელთაც იგი ლიგურებთან აიგივებს (Eust. ad Dion. Per., 76); ძველი სქოლიასტის მიხედვითაც, „კჳტაია კოლხების ქალაქია, ხოლო ლიგისტინელები კოლხების მეზობლად მცხოვრები ხალხია“, თუმცა, შემდეგ დასძენს, რომ „ლიგისტინელები პელასგებს ეომებოდნენ“ (Schol. ad Lycophr., Alex., 1312, 1356), [240].

როგორც ჩანს, „ლიგისტიკეს“ შეცვლა „ლიბისტიკეთი“ უნდა მომხდარიყო გარკვეულ ენობრივ გარემოში, გუტურალური ფონემის დაკარგვისა და ხმოვანთა შორის გლაიდის გაჩენით; კერძოდ, გამოითქვა ვარაუდი ანალოგიური ტრანსფორმაციის შედეგად ლუვიური სახელწოდება Luwija-ს ხეთური — Lukka-საგან მიღების თაობაზე[241]. ქართველურ სამყაროში მსგავსი შემთხვევა დასტურდება კლარჯეთში, მდ. ჭოროხის ქვემო დინებასთან მდებარე ოლქის ნიგალის სახელწოდების ტრანსფორმაციით: ნიგალი > ლიგანი > ლივანა. აღსანიშნავია, რომ l და n ბგერათმონაცვლეობა დამახასიათებელია ხეთური ხანის ჩრდილოანატოლიური ტოპონიმებისათვის[242]. შეხედულება დასავლურანატოლიური ტოპონიმების „ალოპესა“ და „ლიკიის“ იდენტურობის შესახებ, ოღონდ „ალოპეს“ ადრეულობის თვალსაზრისით, წარმოდგენილი ყოფილა ახ. წ. II ს. ავტორის თემისტაგორეს „ოქროს წიგნში“, რომლის შესახებ ცნობა ელიანუს ჰეროდიანს შემოუნახავს (Ael. Her., I, 28). ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის, რომ სტეფანე ბიზანტიონელისეული სქემით, სამხრეთანატოლიელ პისიდიელთა ეპონიმი პისიდასი (Πισίδης), ძე იყო სოლიმოსისა (სოლიმების ეპონიმის), რომელიც თავის მხრივ ზევსისა და ხალდენეს (Χαλδήνη — ხალდების ეპონიმის?) შვილია; ეს გარემოება პ. კრეჩმერს საშუალებას აძლევდა დაესკვნა, რომ ლიკიისა და პისიდიის თავდაპირველი მოსახლეობა ხალდენეს შთამომავლებად არის გამოყვანილი[243].

ანგარიშგასაწევად მიგვაჩნია შეხედულება „ლიგისტიკურ კჳტაჲაში“ ჩრდილოკაპადოკიური ქალაქის დანახვის შესაძლებლობის თაობაზე ლიგიებისა და ლევკოსირების სახელწოდებათა ფონეტიკური მსგავსების გამო[244]. ამავე საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს იოანე ცეცეს კომენტარი, რომ „მდ. ფასისთან მცხოვრები კოლხები, იგივე ლაზები, იწოდებიან აგრეთვე აზიელ სკვითებად და ლევკოსირებად (Λευκόσυροι)“ (Tzetzae ad Lycophr., Alex., 887). როგორც ცნობილია, ანტიკურ სამყაროში „სკვითები“, ხშირად კრებით სახელს წარმოადგენდა პონტოსპირეთში მცხოვრები ტომებისათვის, ხოლო ლევკოსირებთან (რომელთა სახელწოდებაც ასეთივე ფართო კრებით მნიშვნელობას არ ატარებდა) კოლხების დაკავშირება, საფიქრებელია მათ ეთნოკულტურულ ერ-

თობაზე მიუნიშნებდეს. როგორც ჩანს, იოანე ცეცე იცნობდა წყაროს, სადაც ნაუწყები იყო კოლხებისა და ლევკოსირების ახლობლობის შესახებ. დამაფიქრებელია აგრეთვე სოფოკლეს მიერ „ტიმპანისტებში“ კოლხების, ხალდების და სირიელების ერთად მოხსენიებაც: „კოლხიც, ხალდიც და სირიელთა ტომიც“ (Steph., Byz., s. v. Χαλδαῖοι), თუ „ხალდში“ შავიზღვისპირეთელი ხალდი არის ნავარაუდევი, მაშინ „სირიელში“ — ლევკოსირი უნდა იგულისხმებოდეს.

ლიგიებისა თუ ლიგისტინების სახელწოდების გენეზისის დადგენისათვის გასათვალისწინებელია, ჰეროდოტეს მიერ, მატიენებთან, მარიანდინებთან და სირიელებთან ერთად, დასახელებული ლიგიელთა ტომი (Herod., VII, 72), აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ მოყვანილი „ლიკასტიელი ამაძონები“ (Apoll. Rhod., II, 999), მდ. ჰალისსა და თემისკირას შორის მდებარე ქალაქი ლიკასტოსი (Pomp. Mela, I, 19, 105; Plin., NH, VI, 9—10). ამავე სახელწოდების ქალაქი ჰომეროსის ცნობით, ყოფილა კუნძულ კრეტაზეც (Hom., Il.,II, 647; Strabo, X, IV, 14). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს აგრეთვე მარიანდინების ქვეყნის მეფის ლიკოსის სახელი (Apoll. Rhod., II, 139, 752, 759 და სხვ.), ამავე ქვეყნის მდინარის სახელწოდება ლიკოსი (Apoll. Rhod., II, 724) და ანალოგიური სახელწოდების მდინარე პონტოში (Strabo, XI, XIV, 7; XII, III, 15); როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ლიკოსი მდ. ჭოროხის ერთ-ერთ შენაკადსაც ერქვა. ლიგიელთა ვინაობის გარკვევისათვის მხედველობაში მისაღებია ახ. წ. I ს. ავტორის, ისიგონე ნიკეელის ცნობა, რომ „ლიგიელები კლდეებიდან გადაისვრიან ხოლმე თავის მშობლებს, როდესაც ისინი სიბერის გამო უსარგებლონი ხდებიან“ (Isig. Nic., LXV, 1). ეს ცნობა სრულ თანხმობაშია ანტიკური ხანის მწერლების გადმოცემებთან ტიბარენების შესახებ. მაგალითად ახ. წ.III ს. ავტორის პორფირიოსის ცნობით, ტიბარენები უახლოეს მოხუც ნათესავებს ცოცხლებს გადაისროდნენ ხოლმე კლდეებიდან (Porph., IV, 21); იგივეს იმეორებენ ევსები კესარიელი (Euseb., Praep. Evang., I, 47) და ახ. წ. V ს. მოღვაწე თეოდორიტე კვირელიც (Theod.,. HTP, IX, 1045). როგორც ვხედავთ, ლიგიელთა შესახებ ცნობა უფრო ძველია და საფიქრებელია, რომ მსგავსი წარმოდგენა შედარებით გვიან ხანებში გავრცელდა ტიბარენებზე, ლიგიელთა თუ ლევკოსირთა შესაძლო მემკვიდრეებზე.

ეთნონიმ „ტიბარენზე“ მსჯელობისას გასათვალისწინებელია, რომ გარდა სატომო სახელის ფუნქციისა, მას, „ტიბარენიისა“ და „ტიბარენული ხალხების“ ფორმით ხშირად კრებითი მნიშვნელო-

ბაც ჰქონდა (Strabo, II, V, 31; VI, IV, 3; XI, XIV, 1; XII, III, 1; Ps. -Orph., 741) ერთმანეთის მონათესავე, და როგორც მრავალი მონაცემით ირკვევა ქართველური წარმომავლობის მქონე[245], ტომებისათვის, რომლებიც მდ. ჰალისის შესართავსა და კოლხებს შორის სახლობდნენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკანასკნელ ხანებში ი. დიაკონოვმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ქსენოფონტის „ანაბასისში" გვხვდება ცნობა შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიების, სინოპის, კოტიორის, კერასუნტის, ტრაპეზუნტის და, შესაძლოა, ფასისის, ერთ ფედერაციაში გაერთიანების შესახებ (Xen., Anab., V, V, 8—10), რომლის სახელწოდებაც ჯერ კიდევ მაშინ (ძვ. წ. 499 წ.) იყო — „პონტო" (Πόντος — Xen., Anab., V, VI, 25) და რომელიც ბიბლიურ ტექსტებში გრაფიკულად Pwṭ-ით გადმოიცემოდა (Ezek., 27:10—15, 30:5; Isa., 66:18—27; Jer., 25:24, 46:9); ი. დიაკონოვის აზრით, ამ სახელწოდების სემიტური ეთნიკონი უნდა ყოფილიყო *ponṭî > *poṭṭî, ხოლო თვით ფედერაციის სახელი იკითხებოდა Pôṭ, რაც „პონტოდ" უნდა ითარგმნებოდეს[246]. აღსანიშნავია, რომ ქსენოფონტის ტექსტის მიხედვით „პონტო" ეწოდება არა საკუთრივ ჩამოთვლილი ბერძნული ახალშენების ტერიტორიას, არამედ, როგორც ჩანს, მოიცავს უფრო ფართო ცნებას, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს, მხარეს სადაც ქსენოფონტის თანამოლაშქრეები იმყოფებოდნენ; ყოველ შემთხვევაში ეს დადასტურებულია ტრაპეზუნტსა და კოტიორის შორის მდებარე მიწა-წყლის მისამართით (Xen., Anab., V, VI, 25; V, VII, 15).

ყველაზე ადრე სატომო სახელი „ტიბარენი" გვხვდება ძვ. წ. VI ს. მოღვაწის ჰეკატეოს მილეტელის „დედამიწის აღწერილობაში", სადაც იგი „ტიბარის" (Τιβαροί) ფორმით არის წარმოდგენილი (Hec., fr. 193). ამავე ფორმით გვხვდება ეს ეთნონიმი ევსები კესარიელის ზემოთ მოყვანილი ტექსტის ერთ-ერთ ნუსხაშიც[247]. ს. ჯანაშიას ვარაუდით -ენ, -ან სუფიქსი სახელწოდება „ტიბარენ || ტიბარან"-ში უნდა გაჩენილიყო არაუადრეს ძვ. წ. V ს.[248] ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ თ || ტ > პ || ჲ > O შესატყვისობის დადგენა საშუალებას იძლევა „თუბალ-თაბალ-ტიბარენის" „იბერთან" დაკავშირებისა[249]. უკანასკნელ ხანებში გამოითქვა ეჭვი, რომ აღნიშნული შესატყვისობის დაშვება არ უნდა იყოს მართებული, ვინაიდან თანამედროვე ფონეტიკის მიღწევების მიხედვით არ დასტურდება ბგერათგადასვლა ნულოვანი ფორმიდან თ/ტ-მდე და შესაბამისად უარყოფილ იქნა „ტიბარენის" „იბერთან" დაკავშირების შესაძლებლობაც[250].

სახელწოდება „ტიბარენში" თავკიდურა ტ-ს ნულოვან ფორმაში გადასვლის, ანუ გაქრობის შესაძლებლობის დაშვებისას, ვფი-

ქრობთ, გასათვალისწინებელია ანტიკური ხანის შავიზღვისპირეთისა და კავკასიური სამყაროსათვის დამახასიათებელი ის ეთნო-ტოპონიმები, რომლებშიც აგრეთვე დასტურდება თავკიდური ტ ‖ თ-ს დაკარგვის ფაქტი. ასეთ ტერმინთა რიცხვს განეკუთვნება კლავდიოს პტოლემაიოსის მიერ მტკვრის გაყოლებაზე მოხსენიებული ტოტენე (Cl. Ptol., V, XII, 9), დადასტურებული II—III სს. ავტორის ასინიუს კვადრატოსის „პართიკაში" ოტენეს ფორმით (Steph. Byz., s. v. 'Ωτηνη). პტოლემაიოსთან მოცემული, მდ. მტკვართან მდებარე მეორე პროვინციის ტოსარენეს სახელწოდება (Cl. Ptol. V, XII, 9), როგორც ჩანს, ასინიუს კვადრატოსთან, ასევე მდ. მტკვარზე მდებარე და ოტენესთან ერთად ნახსენებ, ობარენეს სახით არის წარმოდგენილი (Steph. Byz., s. v. Ὠβαρηνοί). ობარენებს, ზოგიერთი მკვლევარი, ევდოქს როდოსელის (ძვ. წ. III ს.) მიერ მოხსენიებულ, ხალიბების ირგვლივ მცხოვრებ ხაბარენებთან (Χαβαρηνοί) აიგივებს[251]. თითქოს ეთნოrიმებში „ობარენი" და „ხაბარენი", იგივე ძირია წარმოდგენილი, რაც „იბერსა" და „ტიბარენში"; საყურადღებოა, რომ იპოლიტე რომაელის ცნობით, „კაპადოკიელთა გადაღმა, მარჯვენა მხარეებში, ცხოვრობენ არმენიელები, იბერები და ბერანები" (Hippol., LG, 232). თავკიდურა ტ ‖ თ-ს დაკარგვის საკითხთან მიმართებაში გასათვალისწინებელია ევსტათი თესალონიკელის შენიშვნა, რომ კასპიის ზღვასთან მცხოვრები ჰუნების სახელწოდება თუნები, უნდა დაიწეროს ϑ გარეშე, როგორც უნები (Eust. ad Dion. Per., 730); მისივე ცნობით, კასპიისპირეთში მცხოვრები ტომის, აპირების სახელწოდებას, სტრაბონი თავკიდურა τ-თი, ტაპირებად მოიხსენიებს (Strabo, XI, IX, 1; Eust. ad Dion. Per., 730). ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრები ტორეტების სახელწოდება (Ps-Scyl., 74; Dion. Per., 682) დადასტურებულია „ორეტების" ფორმითაც (Prisc., Per., 660; Eust. ad Dion. Per., 683). სავარაუდოა რომ ტ ‖ თ თავსართი ეთნონიმთა მაწარმოებელ პრეფიქსს წარმოადგენდეს[252]. ამ მხრივ, ყურადღებას იპყრობს ევსტათი ანტიოქელის (ახ. წ. IV ს.) „ექვსთა დღეთა განმარტებაში" ნაუწყები, თაბალელთა ბიბლიური პირველწინაპრის სახელი—ობელი, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ იქვე მესხენების პირველწინაპარს ოსოხი ეწოდება[253], ხოლო მ ქართველურ ენებში ეთნონიმთა მაწარმოებელი ცნობილი პრეფიქსია[254]. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შესაძლოა ნაწილობრივ გასათვალისწინებელი იყოს ის გარემოება, რომ თავკიდურა ტ-ს დაკარგვის ფაქტი დასტურდება ჰანურ ენაში შემორჩენილ სამშაბათი დღის აღმნიშვნელ სახელებში. სამშაბათის აღმნიშვნელი სახელი ჰანურში ოთხია: ერკინაჩხა, ეკინაჩხა, ტიკინაჩხა და იკინაჩხა; მათ ფუძე-

ულად ივ. ჯავახიშვილი „ერკინა"-ს და „ტიკინა"-ს გამოყოფს, ხოლო უძველეს ფორმას „ტერკინ"-ის სახით აღადგენს, რომელსაც მცირეაზიული ღვთაების სახელს „ტარკუნს" (იგივე—თარხონს) უკავშირებს[255].

შეხედულება ტიბარენთა და იბერთა დაკავშირების შესაძლებლობის შესახებ, სათავეს ალბათ იოსებ ფლავიუსის იმ ცნობიდან იღებს, რომლის მიხედვითაც თუბალები იბერთა წინაპრები არიან; იოანე პეტრიწისეული თარგმანით: „დაამკვიდრებს უკუიღ თოვილოსცა, თოვილთასა, რომელნი აწ ივერად იწოდებიან" (Josephus, Antiq., I, 124—125); ამავე დროს სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ მსოფლიოს ხალხთა ბიბლიურ ჩამოთვლისას, იაფეტის შვილებს შორის მოხსენიებულ—გომერში..., იავანში, თუბალში და მეშეხში (Mous., I:10, 2ff)—კიმერიელები, იონიელები, ტიბარენები და მუშქებია ნაგულისხმევი[256]. თუბალ-თაბალის სახელთან ტიბარენების სახელწოდების გაიგივებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ჰეკატეოსისეული „ტიბარ" ფორმის (Hec., fr. 193) არსებობას და აგრეთვე პომპონიუს მელასთან დადასტურებულ „ტაბერენებს" (Pomp. Mela, I, 19, 106), თუმცა მასთანვე გვხვდება „ტიბარანი" ფორმაც (Pomp. Mela, I, 2, 13). აღსანიშნავია აგრეთვე ევსები კესარიელთან მოყვანილი ფორმა „ტიბარინი" (Euseb., Preaep. Evang., I, VI, 181) და კილიკიაში (ე. ი. თაბალელთა ტერიტორიის სიახლოვეს) ძვ. წ. I ს. რომაელ მოღვაწესთან ციცერონთან დამოწმებული ტიბარანების ტომის სახელწოდება (Cicero, Ad. Fam., XV, 4)[257]. გ. მელიქიშვილისა და თ. მიქელაძის აზრით, ის გარემოება, რომ თაბალებისა და ტიბარენების სახელწოდებების ეტიმოლოგიის დადგენა ქართველური ენების მონაცემების საფუძველზე ხერხდება, თავისთავად უნდა მეტყველებდეს ამ სახელების მატარებელ ტომთა ეთნიკურ ვინაობაზე[258]. ნ. ხაზარაძის აზრით, ქართველური ტომის ტიბარენების სახელწოდების ფუძის—„ტიბარის" სიახლოვე „თაბალთან", „თუბალ-კაინის" ორმაგი სახელწოდების მეორე ნაწილის („კაენის") ფონეტიკურად იდენტური ვარიანტის გამოვლენა ჭანებით დასახლებულ ტერიტორიაზე ახ. წ. VI ს. ავტორის პროკოპი კესარიელის მიერ მოხსენიებული „ოკენიტის ჭანებისა", „სოფელ კენის" (Proc., De aed., III, 6) და სხვ. სახით, ქართულ ეთნოგრაფიაში „მაგარი რკინის" აღმნიშვნელი ტერმინის „ტობარინის" არსებობა და ბიბლიური თუბალის იბერების პირველ წინაპრად დასახვა, პირველ რიგში თაბალისა და ქართველური ტომების ადგილსაცხოვრისის ტერიტორიული სიახლოვით უნდა აიხსნას[259]; ხოლო თვით სახელწოდება „თაბალი" ნ. ხაზარაძეს ხეთურ-ლუვიური წარმომავლობის მქონედ მიაჩნია, რასაც, მისი თქმით, უნდა

მოწმობდეს, თაბალის ქვეყნის არსებობა უძველესი დროიდანვე ხეთურ-ლუვიური ტომების გავრცელების არეალში, თაბალის ონომასტიკონისა და ღვთაებათა პანთეონის ხეთურ-ლუვიური წარმომავლობა, აგრეთვე ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ნაპოვნი ლუვიურ-იეროგლიფურ ენაზე შედგენილი წარწერები[260]. აღსანიშნავია, რომ ამავე მიზეზებს ხელი არ შეუშლია ი. დიაკონოვისათვის გამოეთქვა უკანასკნელ ხანებში მოსაზრება, ჯერ კიდევ ძვ. წ. XII ს. ზემო ევფრატის აუზში წინასომხური მოსახლეობის ბინადრობის შესახებ; რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ძვ. წ. XI—VII სს. ადგილობრივი ონომასტიკონი და კერძოდ, დინასტიური სახელწოდებები არ ავლენენ სომხური ენის კვალს, მან ახსნა იმით, რომ, შესაძლოა, სომხურენოვანი ოლქების დინასტების სახელებმა ჩვენამდე ვერ მოაღწიეს, ხოლო ზემო ევფრატის მარჯვენა ნაპირის მხარეში ლუვიური დინასტიები ბატონობდნენ (თუმცა, მისი მოსახლეობა სავსებით შესაძლებელია, რომ უკვე სომხურენოვანი ყოფილიყო) და ამავე დროს იეროგლიფური ლუვიური იყო იქ ოფიციალური ენა[261]. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საყურადღებოა გ. მელიქიშვილის მიერ ადრე გამოთქმული ვარაუდი, რომ ვინაიდან აღმოსავლეთ მცირე აზიაში „ხეთურ-იეროგლიფური“ ლუვიური დამწერლობის ენისა და კულტურის გავრცელების არე მნიშვნელოვნად აღემატებოდა საკუთრივ „ხეთურ-იეროგლიფური“ ლუვიური ეთნიკური ელემენტის გავრცელების არეს და ძირითადად ურთიერთობის, მწერლობის ენის როლს ასრულებდა, ამიტომ ამავე ტერიტორიაზე სხვებთან ერთად ქართველური ტომების არსებობაცაა საგულვებელი[262]. წინასომხური ტომების ზემო ევფრატის აუზში სახლობას, ი. დიაკონოვის აზრით, სომხურ ენაში ხურიტულ-ურარტულ სუბსტრატთან ერთად ლუვიური სუბსტრატის არსებობაც უნდა ადასტურებდეს[263]. უფრო ზუსტად—ზემო ევფრატის მარჯვენა ნაპირზე სომეხთა წინასაცხოვრისის ლოკალიზებას, მისივე შეხედულებით მოწმობს მელიდკამანუს სამეფოს ურარტული სახელწოდება Ḫāte, რომელსაც სომხური ენისათვის დამახასიათებელი რეფლექსიის შედეგად უნდა მოეცა—hay-k‘ სომეხთა თვითდასახელებისათვის, და აგრეთვე საკუთრივ სომხური ტრადიციის მიერ სომეხთა წარმომავლობის ბიბლიურ თორგომ ‖ თოგარმასთან დაკავშირება (იხ. *Մովս. Խոր.*, I, 5, 10, 12)[264]; როგორც ცნობილია, ბიბლიური Bêt-Tôḡarmā-„თოგარმას სახლი“ (Ez., 38:2) იგივეა, რაც ასურული წყაროების Til-Garimme და ხეთური Tegarama ‖ Tagarama[265].

სომეხთა წინასაცხოვრისის დადგენისას, ჩვენი აზრით, აუცილებელია სომხურ ენაში გამოვლენილი იმ მძლავრი მეგრულ-ჭანური

წარმომავლობის მქონე ფენის გათვალისწინებაც, რომელიც სომხური ენისათვის სუბსტრატულად არის მიჩნეული[266] და წინასომხური მოსახლეობის ახალ სამშობლოში განსახლებისას, იქ ზანურენოვანი მოსახლეობის არსებობაზე უნდა მიუნიშნებდეს. სომეხთა თვითდასახლებაც—*Հայք* (ჰაიქ) არ არის გამორიცხული, რომ ზანურენოვანი ხალდი-ხალიბების—ḫal ძირის შემცველი სახელწოდებიდან იყოს მიღებული, ანატოლიური სამყაროსათვის დამახასიათებელი l და i ბგერების მონაცვლეობის შედეგად. განსხვავება თავკიდურა ფონემაში, ზემოთ მოყვანილ სახელწოდებათა დაახლოებისათვის მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ მიზეზს არ უნდა წარმოადგენდეს, როგორც ცნობილია, სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინ „ჰაიქს", ჩვეულებრივ, ქვეყნის სახელწოდებებისაგან „ხაიასასაგან" და „ხათესაგან" წარმომდგარად მიიჩნევენ[267]. ამავე დროს, საყურადღებოა, რომ გ. მელიქიშვილის აზრით, სავსებით დასაშვებია, თვით ეთნონიმ „ხალიბშიც", t და l ბგერათმონაცვლეობის შედეგად მიღებულ, „ხათის" ვარიაციასთან გვქონდეს საქმე, ხოლო მასში მოცემული ბოლოკიდური—ib, რომელიმე მცირეაზიული სუფიქსის ნაკვალევი იყოს (ḫati-ib>ḫali-ib>ḫalib)[268]. იგივე ბგერათმონაცვლეობა ასახულია ანალოგიური ძირის შემცველ ხათური (პროტოხეთური) ღვთაების Ḫalipinu ‖ Ḫatepinu-ს სახელწოდებაშიც, რომელიც შედგენილ სახელადაა მიჩნეული და მასში ხათურ binu-ს („ბავშვი") გამოყოფენ[269]. სახელწოდება „ხალიბში" ბოლოკიდური -ib-ის გამოყოფის შესაძლებლობას თითქოს იძლევა აგრეთვე ეთნონიმი „ხალირი", ჩამოთვლილი ევსები კესარიელის მიერ ტაბარინებსა და მოსინიკებს შორის (Euseb., Praep. Evang., I, VI, 18), რაც ხალიბებთან მათ იდენტურობას უნდა მოწმობდეს. არ არის გამორიცხული, რომ ḫalib-ში შემავალი ბოლოკიდური -ib, რომელიღაც ენობრივ გარემოში სუფიქსად იქნა აღქმული, ეს კი განაპირობებდა მის შეცვლას ამ ენობრივი წრისათვის უფრო დამახასიათებელი, „შესატყვისი" სუფიქსით[270]. თუმცა, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, ეთნონიმ „ხალიბში" მოსალოდნელი ჩანს ḫa-პრეფიქსის გამოყოფის შესაძლებლობის არსებობაც. სახელწოდება „ხალიბის" ეტიმოლოგიის საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ თუ მას ადრე აახლოებდნენ სპილენძის, ლითონის და ფოლადის აღმნიშვნელ ბერძნულ სიტყვებთან χαλκός-თან და χάλυψ-თან, უკანასკნელ ხანებში გამოითქვა აზრი ამ ბერძნული სიტყვების რკინის აღმნიშვნელ ხათურ ტერმინ ḫapalki-დან მიღების თაობაზე[271]. უნდა ითქვას, რომ ნ. ადონცი და კ. კეკელიძე, არსებითად, სწორად მიიჩნევდნენ რა მოსაზრებას

ფოლადის აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვის χάλυψ (ნათ. ბრ. χάλυβ-ος) სატომო სახელ „ხალიბთან“ კავშირის შესახებ, ამავე დროს უცნაურად თვლიდნენ, რომ ბერძნებმა ფოლადს უწოდეს იმ ტომის სახელი, რომელიც მას ამუშავებდა, და არა ის სახელი, რომლითაც ეს ტომი ამ საგანს აღნიშნავდა[272]. ერთ-ერთ ძირითად არგუმენტს, რომელსაც ვ. ივანოვი იყენებს ხალიბებთან ხათების დასაახლოებლად, ამ უკანასკნელთა რკინის მეტალურგიაში დახელოვნება უნდა წარმოადგენდეს, რასაც, მისივე აზრით, ხათური წარმომავლობის ტერმინის — ḫapalki-ს ძველ სამყაროში ფართოდ გავრცელება და ხეთური წერილობითი წყაროების მინიშნებები უნდა მოწმობდნენ, ხათური ხანის (ძვ. წ. III ათასწლეულის) ცენტრალური ანატოლიის არქეოლოგიურ მასალაში გამოვლენილ რკინის მეტალურგიის არსებობის კვალთან ერთად[273]. ვ. ივანოვის ვარაუდით, ხათური სიტყვა ḫapalki, გარდა ხალიბების (χάλυβες) მიერ წარმოებული ფოლადის ბერძნული სახელწოდებისა (χάλυψ) და საზოგადოდ ლითონის აღმნიშვნელი მიკენური ka-ko, ბერძნული χαλκός-ისა, აისახა მჭედლობის გამომგონებელი ტელხინების (რომელთა სახელსაც იგი მჭედლებისა და რკინის მფარველი ადიღური ღვთაების ტლეფს/ტლეფშის სახელს უახლოვებს) და აგრეთვე კოლხებისა და კოლხეთის სახელწოდებებში[274].

ხალიბებისა და ხათების (თუ ხეთების) ურთიერთდაკავშირების შესაძლებლობას თითქოს იძლევა ის გარემოება, რომ ქსენოფონტის „ანაბასისის“ დასკვნით ნაწილში, სადაც მოკლედ არის შეჯამებული უკანმობრუნებული მოქირავნე ბერძენი ჯარისკაცების მიერ განვლილი გზა, ძირითად ტექსტში მოხსენიებული მოსინიკებისადმი დაქვემდებარებული შავიზღვისპირელი ხალიბების (Xen., Anab V, V, I) ნაცვლად დასახელებული არიან კოჲტები (Κοῖται — Xen., Anab., VII, VIII, 25). ქსენოფონტის „ანაბასისის“ დასკვნითი პარაგრაფი, მეცნიერთა შორის გავრცელებული აზრით, ეკუთვნის არა ქსენოფონტს, არამედ რომელიღაც კარგად გათვითცნობიერებულ პირს და ამიტომ არის, რომ მასში მოცემული ცალკეული ცნობები ნაწილობრივ არ შეესაბამება თხზულების ძირითად ტექსტს[275]. საფიქრებელია, რომ ზღვისპირა ხალიბების კოჲტებით შენაცვლება, ძირითადად, განპირობებული უნდა ყოფილიყო, ქსენოფონტის მიერვე მდინარეების ფასისისა (არეზი) და ჰარპასოსის (ჭოროხი) შორის მოხსენიებულ, მთიან მხარეში მოსახლე ხალიბებისგან განსხვავების სურვილით (Xen., Anab., IV, VI, 4—5; IV, VII, 15—18). სატომო სახელ „კოჲტებთან“ მიმართებაში, ეგებ მხედველობაში იყოს მისაღები ხალიბ-კოჲტებისაგან დასავლეთით ორი დღის სავალზე მდე-

ბარე ქალაქი კოტიორა (Xen., Anab., V, V, 1—3), პლინიუსის კოტიორუმი (Plin., NH, VI, 11), „ილიადის" კიტოროსი (Hom., Il., II, 853) და ლიკოფრონისეული „ლიგისტიკური კუტაია" (Lycophr., Alex., 1312); თ. ყაუხჩიშვილის აზრით, ეთნონიმ Κοῖται-ს თავდაპირველი დაწერილობა უნდა ყოფილიყო Κύται და მასში იგივე ძირია საგულვებელი, რაც არის „ქუთაისის" აღმნიშვნელ Κύταια-ში[276]. საფიქრებელია, რომ ჰომეროსი ხეთებს კეტეიების (Κήτειοι) სახელწოდებით იცნობდა (Hom., Od., XI, 521); ჰომეროსისეულ „კეტეიებს" სტრაბონი ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიაში, მისიაში, ტროელ კილიკიელებსა და პელასგებს შორის ათავსებდა (Strabo, XIII, I, 69—70; XIII, III, 2; შდრ. XIV, V, 23). „წარმომავლობის წიგნის" ცნობით, კიტიელთა განაყოფს (tribu Citiensium) განეკუთვნებოდნენ კვიპროსელები და აგრეთვე ისინი, ვინც უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობდა, თუკი, ეს უკანასკნელნი, ავტორის თქმით, მისი დროისათვის ჯერ კიდევ იყვნენ შემორჩენილნი[277].

როგორც არ უნდა გადაწყდეს ხალიბებისა და ხათი-ხეთების ურთიერთსიახლოვის საკითხი, ცენტრალურ ანატოლიაში რკინის მეტალურგიის უძველესი და ძლიერი კერის არსებობა და რკინისა და საზოგადოდ ლითონის მეტალურგიის ტრადიციების ქართველურ სამყაროში განსაკუთრებული რელიეფურობით ასახვა, რაც თვალსაჩინოდაა წარმოჩენილი სპეციალურ ლიტერატურაში, ჩვენი აზრით, დასაშვებს ხდის ქართველური წარმომავლობის ტომების გარკვეულ კავშირს ცენტრალურანატოლიურ მეტალურგიულ კერასთან.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ზოგიერთ წერილობით წყაროში ცენტრალური სამხრეთშავიზღვისპირეთის აღსანიშნავად გამოყენებული ტერმინი „ლიბია" შესაძლოა ეთნონიმ „ხალიბს" უკავშირდებოდეს; ვფიქრობთ, მოიპოვება სახელწოდება „ლიბიის" წარმოქმნის ახსნის სხვა ალტერნატიული ვარიანტიც. როგორიც ცნობილია, ჩრდილოეთ ანატოლიაში დადასტურებულია ხეთური ხანის ქასქური ქვეყანა Tibia[278], რომელიც ანტიკურ ხანაში ტიბარენების ტომის მიერ დასახლებულად არის მიჩნეული[279]; პლინიუსის ცნობით, ძვ. წ. III ს. მეორე ნახევრის ბერძენი ისტორიკოსი ფილარქოსი იუწყებოდა პონტოში თიბიების (Thibiorum) ტომის არსებობას (Plin., NH, VII,17). ქვეყნის სახელწოდებას—Tibia, ანატოლიური სამყაროსათვის დამახასიათებელი t/l ბგერათმონაცვლეობის შედეგად, შეეძლო მოეცა—Libia[280].

ხათური t-ბგერის ხეთურ-ნესიტურში l-დ გადმოცემის შემთხვევები და გვიანხეთურისათვის დამახასიათებელი l>t ბგერათმონაცვლეობა თვალსაჩინოდ არის ასახული „დიდი მეფის" აღმნიშვნელ ხათური წარმომავლობის მქონე ხეთურ ტერმინში—T/Labarna[281].

ღსანიშნავია, რომ d/l ბგერათმონაცვლეობა შეიმჩნევა ეგეოსური სამყაროს წინაბერძნული სუბსტრატისა და ქართულ ენებში[282].

T/l ბგერათმონაცვლეობის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, შესაძლებელი ხდება მდ. მარასანთიის (ჰალისი) ქვემო დინების დასავლეთ ნაპირზე მდებარე ხეთური პროვინციის Taggasta-ს[283] დაახლოება აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში" მოხსენიებულ „ლიკასტიელ ამაძონებთან" (Apoll. Rhod., II, 999), პომპონიუს მელასა და პლინიუსის მიერ მდ. ჰალისის აღმოსავლეთით ლოკალიზებულ ქალაქ ლიკასტოსთან (Pomp. Mela, I, 19, 105; Plin., NH, VI,9) და ალბათ „ლიგისტინებისა" თუ „ლიბისტინების" ქვეყანასთანაც.

თუ დადასტურდება გარკვეულ პერიოდში სამხრეთ შავიზღვისპირეთის ცენტრალური ნაწილის აღმნიშვნელად სახელწოდება „ლიბიის" არსებობა, ახალი შუქი მოეფინებოდა ბერძენ-რომაელი ისტორიკოსებისა და ქართველი და სომეხი მემატიანეების ზოგიერთ ბუნდოვან ცნობას; კერძოდ, მათი მონაცემების ურთიერთშეპირისპირების შედეგად, ალბათ შესაძლებელი გახდებოდა კოლხებისა და იბერების წარმომავლობის საკითხთან დაკავშირებით ანტიკური წყაროების მიერ სამხრეთ და დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთისადმი მიწერილი დიდი მნიშვნელობა სამხრეთ შავიზღვისპირეთზე ყოფილიყო გადატანილი, მითუმეტეს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, როგორც ცნობილია, ძვ. წ. I ათასწლეულში უპირატესად ქართველური ტომებით იყო დასახლებული.

## თავი მეორე

# ცენტრალური და აღმოსავლეთი ანატოლია და ქართველური ტომები

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სანაპირო ზოლი და მის მთელ გაყოლებაზე გადაჭიმული ჯანიკის, გირესუნის, გიუმიუშჰანეს, ზიგანის, ტრაბზონის, ლაზისტანის მთების ფერდობები და აგრეთვე აღმოსავლეთ ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარეების ჭოროხის, მტკვრის, კარასუს (ჩრდილოეთ ევფრატი) და არეზს შორის მოქცეული ე. წ. „მოსხური მთების" შემადგენელი ჭოროხის, არსიანის, შავშეთის, სოღანლუღის, კოპის, აკდაღის, კარგაპაზარის, ჩახირბაბის, ალაჰიუეკბერის ქედები — ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და „დიდი მესხეთის" უმეტესი ნაწილის მომცველი, ძველთაგანვე ქართველური წარმომავლობის ტომთა გავრცელების მხარეებად არის მიჩნეული.

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და აღმოსავლეთ ანატოლიაში მოსახლე და ბერძენი ისტორიკოსისა და მოღვაწის ქსენოფონტის მიერ ძვ. წ. IV ს. დასაწყისში ნანახი და აღწერილი მაკრონები, დრილები, კოლხები, მოსინიკები, ტიბარენები, ხალიბები, ხალდები, ფასიანები, ტაოხები, ქართველურენოვან ტომებად ითვლებიან[284]. დრილები და მაკრონები ქალაქ ტრაპეზუნტის სამხრეთით ცხოვრობდნენ (Xen., Anab., IV, VIII; V, II), ძველი ავტორები მათი სანებთან ანუ ჭანებთან გაიგივების შესაძლებლობას იძლევიან; არიანე — დრილებისას (Arr., PPE, 11), ხოლო სტრაბონი — მაკრონებისას (Strabo, XI, XIV, I, 4). ქსენოფონტის ცნობით, ტრაპეზუნტი და კერასუნტი კოლხეთის მიწაზე მდებარეობდა (Xen. Anab., IV, VIII, 22; V, III, 2; ტრაპეზუნტის მიმართ ამას დიოდორე სიცილიელიც შენიშნავს — Diod., XIV, 31), ხოლო რიონისპირა კოლხეთს ფასიანთა ქვეყანას უწოდებს (Xen., Anab., V, VI, 36). მოსინიკების ტერიტორია ქ. კერასუნტის დასავლეთით იწყებოდა (Xen., Anab., V, IV, 1—2) და ქ. კოტიორას, აღმოსავლეთიდან, მათდამი დაქვემდებარებული მცირერიცხოვანი ხალიბების სამკვიდრებელი და ტიბარენთა მიწის ორი დღის სავალი მანძილი აშორებდა (Xen., Anab., V, V, 1—3). საკუთრივ ქ. კოტიორა, „ანაბასისში" აღწერილი უკანასკნელი სახმელეთო პუნქტი, ტიბარენების ქვეყანა-

ში ყოფილა დაარსებული სინოპელთა მიერ (Xen., Anab., V, V, 3). სავარაუდოა, რომ ქსენოფონტის ხანაში ტიბარენების ტერიტორია ქ. კოტიორის დასავლეთითაც ვრცელდებოდა. V ს. ანონიმური პერიპლუსის მიხედვით, მოსინიკები უწინ ცხოვრობდნენ ქ. ფარნაკიიდან ქ. კოტიორის სანახებამდე, ხოლო ტერიტორია კოტიორიდან ქ. პოლემონის (თანამედროვე მდ. ბალამანის შესართავთან) სანახებამდე, ტიბარენებს ეკავათ (Anon., PPE, XLI, 33—35). ქსენოფონტის ცნობა, მოსინიკებსა და ტიბარენებს შორის ხალიბების ლოკალიზების შესახებ, უპირისპირდება სხვა ძველ ავტორთა მონაცემებს, რომელთა მიხედვით ტიბარენებს (ტიბარებს) აღმოსავლეთიდან მოსინიკები (მოსინები) ესაზღვრებროდნენ (Hec., fr. 193; Ps.-Scyl., 87), ხალიბთა საცხოვრისი კი ჩვეულებრივ ტიბარენების დასავლეთით მოიხსენიება ხოლმე (Ps.-Scyl., 88; Apoll. Rhod., II, 374—378; Dion. Per., 767—772; Pomp. Mela, I, 19, 105—106; Plin., NH, VI, 11). ამავე დროს, ქსენოფონტის მიხედვით, ხალიბების ტომი ცხოვრობდა აღმოსავლეთ ანატოლიაშიც, მდ. ფასისის (არეზის) ზემო წელის ჩრდილოეთით (Xen., Anab., IV, VI, 4—5; IV, VII, 15—18); ეტყობა, იქვე უნდა ყოფილიყო ურარტუს მეფის—რუსა II-ის (დაახლ. ძვ. წ. 685—645 წწ.) ადილჯევაზის წარწერის Ḫaliṭu-ს ტომთა გაერთიანება[285], რომელსაც გ. მელიქიშვილი ჰომეროსის „ჰალიძონების" ქვეყანასთან აიგივებს (Hom., Il., II, 856—857)[286]. აღსანიშნავია, რომ სტრაბონი ხალიბ-ხალდებს, გარდა მცირე სომხეთამდე გადაჭიმულ ფარნაკიისა და ტრაპეზუნტის მოპირდაპირე მხარეებისა, დიდი სომხეთის დასავლეთი ნაწილის კარენიტიდის ოლქის (თანამედროვე ქ. ერზურუმის მახლობლად) ძველ მფლობელებადაც მიიჩნევს (Strabo, XI, XIV, 5) და ამით იგი თითქოს ეხმიანება ქსენოფონტის ცნობას ხალიბთა განსახლების თაობაზე; თუმცა, ფარნაკია-ტრაპეზუნტის გადაღმა მცირე სომხეთამდე ხალიბების გავრცელება, შესაძლოა, ფაქტიურად მათ უწყვეტ განფენაზე მიუთითებდეს პარიადრის ქედის გაყოლებით და უფრო აღმოსავლეთით მდებარე მთიანეთში. სტრაბონის მიხედვით, „ხალიბები"— ხალდების ძველი სახელია (Strabo, XII, III, 19—20), მაგრამ „ხალდების" სახელის საკმაო სიძველეს, გარდა ურარტულ წყაროებში ასახული „ხალიტუს ქვეყნის" სახელწოდებისა, მოწმობს ისიც, რომ ქსენოფონტი, მიუხედავად „ანაბასისში" ძირითადად სახელწოდება „ხალიბის" გამოყენებისა, ქ. კოტიორაში ჩასულ სინოპელ ელჩებთან საუბრისას აღმოსავლეთით მცხოვრებ ხალიბებს „ხალდების" სახელწოდებით მოიხსენიებს (Xen. Anab., V, V, 17), ხოლო ამავე თხზულების დასკვნით პარაგრაფში, რომელსაც ქსენოფონტის კალამს არ მიაწერენ, ხალიბები და

ხალდები ერთმანეთის გვერდით არიან დასახელებული, კარდუხებსა და მაკრონებს შორის, მაშინ როდესაც, ზღვისპირა ხალიბების ადგილას მოსინიკებსა და ტიბარენებს შორის, კოლხების ტომია მოთავსებული (Xen., Anab., VII, VIII, 25). როგორც ჩანს, უკვე ჰეკატეოს მილეტელი განასხვავებდა ხალიბთა ორ დიდ დაჯგუფებას, თუ ერთ შემთხვევაში, მისი აზრით, ხალიბებს (χάλυβοι) სამხრეთიდან არმენიელები ესაზღვრებოდნენ (Hec., fr. 195), მეორე მხრივ, მას დასახელებული ჰყავს ხალიბები (χάλυβες), რომელთაც ქალაქი სტამენა ეკუთვნით (Hec., fr. 196). ფსევდო-სკილაქსის მიხედვითაც, ელინური ქალაქი—სტამენეია, დახურული ნავსადგური—გენეტესი და ელინური აკროპოლისი—იაზონია ხალიბების მიწაზე იყო (Ps.-Scyl., 88). გამოთქმულია აზრი, რომ ჰეკატეოსის პირველ ფრაგმენტში აღმოსავლეთ ანატოლიაში მცხოვრები ხალიბები იგულისხმებიან, ხოლო მეორეში—პონტოსპირეთში, თანამედროვე იასონის კონცხის დასავლეთით მოსახლენი[287]. ხალიბების ფართოდ გავრცელების საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს პომპონიუს მელას სიტყვები, რომ „პაფლაგონიასთან ყველაზე ახლოს მყოფ ხალიბებს აქვთ სახელგანთქმული ქალაქები ამისოსი და სინოპე—ცინიკოსი დიოგენეს სამშობლო, მდინარეები ჰალისი და თერმოდონტი..." (Pomp. Mela, I, 19, 105)[288]. ამავე დროს, საფიქრებელია, რომ ძვ. წ. I ათასწლეულში ადგილი უნდა ჰქონოდა სამხრეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ტომების თანდათანობით გადანაცვლებას დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ეს პროცესი თითქოს შეიმჩნევა ლევკოსირების (სირების, სირიელების) განსახლების საკითხთან დაკავშირებით[289]. მაგალითად, ჰეროდოტემ, მიუხედავად იმისა, რომ იცის, მდ. ჰალისით პაფლაგონიელებისა და სირიელების ერთმანეთისაგან გამოყოფის ფაქტი (Herod., I, 6, 72; შდრ. Strabo, XIII, III, 9), აღნიშნავს, რომ სირიელები მდ. თერმოდონტის გარდა მდ. პართენიოსთანაც ცხოვრობდნენ (Herod., II, 104), ანუ პაფლაგონიის ტერიტორიაზე (იხ. ზემოთ). მდ. ჰალისის დასავლეთით ლევკოსირების გავრცელებაზე შესაძლოა მიგვანიშნებდეს მათი გაერთიანება პაფლაგონიელებთან და მარიანდინებთან დარიოსის მესამე სატრაპიაში (Herod., III, 90), რომელიც ლიდიის ყოფილი სამეფოს მიწებს მოიცავდა და ჰელესპონტოდან მდ. ჰალისის შესართავამდე ვრცელდებოდა[290]. ამავე საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ინჯებურუნის კონცხის (რომელზედაც ქ. სინოპე მდებარეობს) ძველი სახელწოდება—სირიადა (Marc., Epit., 9; Anon., PPE, XLI, 20), ხოლო ფსევდო-სკიმნოსის ცნობით, სინოპეში ოდესღაც ცხოვრობდა მკვიდრი მოსახლეობა—სირები, თვით ქალაქს კი სახელი ამაძონელი სინოპესაგან შეერქვა (Ps.-

Skymn., 941—943). ანტიკური ხანის მითოლოგიური წარმოდგენებით, ასოპეს ასულ სინოპეს აპოლონისაგან ეყოლა ვაჟი—სირი, ადგილობრივი სირების ეპონიმი, რომელთაც ეკუთვნოდათ ქალაქი სინოპე ავტოლიკოსის (ანუ ბერძნების) იქ გამოჩენამდე (Plut., Luc., XXIII; Dion. Per., 774—778; Apoll. Rhod., II, 946—947).

მდ. ჰალისის აღმოსავლეთით მდებარე ქალაქი ამისოსი (თანამედროვე ქ. სამსუნთან) ძვ. წ. VI ს. ბერძნული კოლონიაა. სტრაბოთან შემონახული ცნობით, ძვ. IV ს. ისტორიკოსი თეოპომპე იუწყებოდა, რომ იგი თავდაპირველად მილეტელებს დაუარსებიათ, შემდეგ კაპადოკიელებს ჩაუგდიათ ხელში და ბოლოს ათენელ ბერძნებს დაუსახლებიათ (Strabo, XII, III, 14); ლევკოსირების მიერ ამისოსის დაპყრობას ევსტათი თესალონიკელიც იუწყება „ილიადის" კომენტარებში (Eust. ad Hom., Il., B 52)[291]; როგორც ფსევდოსკიმნოსის ცნობიდან ირკვევა, ამისოსი ლევკოსირების ტერიტორიაზე ყოფილა დაარსებული, ოღონდ ფოკეელების და არა მილეტელების მიერ (Ps.-Scymn., 917). ამ გადმოცემებში ასახული ჩანს ბრძოლის კვალი ბერძენ მოახალშენეებსა და ადგილობრივ, კაპადოკიურ თუ ლევკოსირულ მოსახლეობას შორის. ტერმინები „კაპადოკიელი" და „ლევკოსირი" ერთიდაიმავე ხალხის აღმნიშვნელად გამოიყენებოდა; ჰეროდოტეს განმარტებით პირველს სპარსელები ხმარობდნენ, ხოლო მეორეს—ბერძნები (Herod., I, 72, V, 49, VII, 72; შდრ. Strabo, XII, III, 5; Plin., NH, VI, 9). ამავე დროს, აღსანიშნავია რომ ანტიკურ და ბიზანტიურ ლიტერატურაში გავრცელებული იყო შეხედულება კაპადოკიელებისა და მოსხების იგივეობის თაობაზე. იოსებ ფლავიუსის მიხედვითაც ხომ „მესხოსმა დააფუძნა მესხენები, რომელთაც ახლა კაპადოკიელები ეწოდებათ..." (Josephus, Antiq., I, 125).

იოსებ ფლავიუსის ცნობა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბოლო ხანებში, ვინაიდან „აღმოსავლელი მუშქების" (ანუ აღმოსავლეთ ანატოლიის—მდ. ევფრატის ზემო დინების მარჯვენა ნაპირისა და მისი მიმდებარე მხარეების ე. წ. „ძველფრიგიული კულტურის" მატარებელი მოსახლეობის) კუთვნილება ფრიგიული სამყაროსადმი სულ უფრო საეჭვო ხდება. ი. დიაკონოვის აზრით, ტერმინი Muški (და მისგან წარმოებული სახელწოდებები) ურარტელების, ასურელებისა და ებრაელების მიერ გადატანილი იყო „აღმოსავლელი მუშქებიდან (უფრო ზუსტად — მუსქებიდან)" ფრიგიელებზე, რომელთა სახელწოდებაც, თავის მხრივ, შესაძლოა Musa ყოფილიყო[292]. როგორც ირკვევა, ქ. კონიის მახლობლად აღმოჩენილ იეროგლიფურ-ლუვიურ ენაზე შესრულებული წარწერა, სადაც სავარაუდოდ იკითხება ეთნონიმი Muska, ხეთების სამეფოს დაცემის წი-

ნამორბედ ხანას განეკუთვნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წარწერა ფრიგიელების გამოჩენამდე ბევრად უფრო ადრეულ ხანებშია შესრულებული და მათ არ უნდა აღნიშნავდეს[293]. ი. დიაკონოვი აგრეთვე შენიშნავს, რომ ქ. კარქემიშის A7 წარწერა, ერთმანეთისაგან განასხვავებს Musa-სა და Muska-ს; პირველები, მისი აზრით, ფრიგიელები არიან, ხოლო მეორენი — პროტოარმენიელები[294]. ერთ-ერთ ძირითად არგუმენტს ი. დიაკონოვისათვის, პროტოარმენიელებად მუშქების მიჩნევისას, წარმოადგენს მათ სახელწოდებაში მოცემული სუფიქსი -ki, რომელსაც იგი სომხური ენისათვის დამახასიათებელი მრავლობითი რიცხვის -k' (ք) მორფემის კანონზომიერ ძველ შესატყვისად თვლის[295]. ი. დიაკონოვი აღიარებს რა, რომ ქართველურენოვან Mesx-ტომის აღსანიშნავად გამოყენებული ბერძნული წყაროების ეთნონიმი Μόσχοι, ფონეტიკური თვალსაზრისით ზუსტად შეესატყვისება ასურულ-ურარტულ Muški-ს, ამავე დროს, თვლის, რომ ბერძნული ტერმინი მიღებულია კონტამინაციის შედეგად და მის მატარებელ ქართველურენოვან მესხების ტომს არაფერი არა აქვს საერთო „აღმოსავლელ მუშქებთან“ (პროტოარმენიელებთან) და ფრიგიელებთან[296]. როგორც ჩანს, ი. დიაკონოვი სათანადოდ არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ფორმა mosx- > musx- ქართული ეთნონიმის Mesx-ის ზანური შესატყვისია და ამ უკანასკნელთან ერთად *masx-ფორმიდან უნდა იყოს წარმომდგარი[297]; არ ჩანს გათვალისწინებული ტოპონიმ „მუსხის“ არსებობა მესხეთში, აგრეთვე ხუნძურ ენაში ფშავ-ხევსურთა აღმნიშვნელად გამოყენებული ტერმინი „მოსოქ/მასექ/მოსოხ“-ი;[298] მხედველობაშია მისაღები თვით ი. დიაკონოვის მიერ მოყვანილი მაგალითიც, „მესხური მთების“ სახელწოდების სომხურ ენაში *Մոսքեկան* (მოსქეკან) ფორმით გამოვლენისა.[299] რაც შეეხება ი. დიაკონოვის მიერ „პროტოარმენიელებთან“ მუშქების გაიგივების ცდას, ტრადიციული შეხედულების თანახმად — სომეხი ხალხის წარმოქმნის ადგილად მიჩნეულ ზემო ევფრატის ორივე ნაპირის მხარეში, ძვ. წ. XII—IX სს., „აღმოსავლელი მუშქების“ გავრცელების გამო[300], უნდა ითქვას, რომ სომხურ ენაში ზანური სუბსტრატის არსებობის ზემოთ აღნიშნული ფაქტი, „მუშქებში“ ზანების დანახვის შესაძლებლობას თითქოს უფრო უნდა იძლეოდეს. ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ ცენტრალური ანატოლიის ჩრდილოეთ ნაწილში მოსახლე მოსხებს ჰეკატეოს მილეტელი კოლხურ ტომად მიიჩნევდა (Hec., fr. 188), ხოლო ამიერკავკასიელი მესხებისათვის, სამეცნიერო ლიტერატურაში, მეგრულ-ჭანური წარმომავლობა არის ნავარაუდევი[301]. მუშქებში ქართულენოვანი ტომის დანახვას, ი. დიაკონოვის აზრით, მნიშვნელოვ-

ნად აბრკოლებს ის გარემოება, რომ ქართული ტომები, გარდა ეგრის-იბერია-კახეთისა და ა. შ. მხოლოდ ლაზეთსა და კოლხეთში ცხოვრობდნენ[302]; მაგრამ, ძველი ბერძნული წყაროების შეჯერების შედეგად მოსხების კოლხური ტომის ცენტრალურ ანატოლიაში ლოკალიზების ზემოაღნიშნულმა შესაძლებლობამ, და აღმოსავლეთ ანატოლიაში ქართველური ტომების განსახლების შესახებ არსებულმა ცნობებმა, კერძოდ, ზემო ევფრატის აუზში ქართველურ ტომებად მიჩნეული ხალიბებით და მოსინიკებით დასახლებული კარენიტიდისა და ქსერქსენეს მდებარეობამ (Strabo, XI, XIV, 5) და აღმოსავლეთ ანატოლიის მთიანეთში სომხების მეზობლად ხალდი-ხალიბების ბინადრობამ (Xen., Cyrop., III, 1—3; Anab., IV, VI, 45; IV, VII, 15—18; VII, VIII, 25), ვფიქრობთ, განსხვავებულად უნდა წარმოგვიდგინოს ანატოლიაში ქართველური წარმომავლობის მქონე ტომების განსახლების სურათი.

ი. დიაკონოვს ეკუთვნის საყურადღებო მოსაზრება შავიზღვისპირელი ხალიბებისა და მოსხების იდენტურობის შესახებ; მან ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ჰეროდოტეს „ისტორიაში" ხალხთა ჩამოთვლისას, ჩვეულებრივ დასახელებული არიან მოსხები, ხოლო ხალიბები მოიხსენიებიან მხოლოდ ერთ ფრაგმენტში (Herod., I, 28) და ისიც ინტერპოლაციად არის მიჩნეული[303]. შეხედულებას მოსხებისა და ხალიბების იგივეობის თაობაზე, ვფიქრობთ, მხარს უნდა უჭერდეს აღმოსავლეთ ანატოლიის მთიანეთის ხალდი-ხალიბების განსახლების ზემომოყვანილი ცნობები (Xen., Cyrop., III, 1—3; Anab., IV, VI, 4—5; IV, VII, 15—18; VII, VIII, 25; Strabo, XI, XIV, 15) ასურულ-ურარტული წყაროების „აღმოსავლელი მუშქების" საცხოვრისს — ალზსა (მდ. მურად-სუს მარცხენა ნაპირზე) და მოსხურ მთებს შორის მდებარე მხარეში. ნიშანდობლივია ისიც, რომ თუ ძველაღმოსავლური წყაროების აბეშლაელები მუშქებთან არიან გაერთიანებულნი, მათ მემკვიდრეებად მიჩნეულ ფასიანებს (იხ. ქვემოთ) ხალიბებთან აქვთ სამხედრო კავშირი (Xen., Anab., IV, VI). გასათვალისწინებელია აგრეთვე შესაძლო კავშირი პლინიუსთან დასახელებულ „არმენო-ხალიბების ტომსა" (Plin., NH, VI, 29) და მოსხების ქვეყნის ერთი ნაწილის არმენიელთა ქვეყნის შემადგენლობაში მოქცევის სტრაბონისეულ ცნობას შორის (Strabo, XI, II, 18), მითუმეტეს, რომ პლინიუსის ტექსტში უშუალოდ არმენო-ხალიბების შემდეგ ნახსენებია „მოსხების მიწები" გავრცელებული მდ. მტკვრის შენაკად მდ. იბერამდე (Plin., NH, VI, 29), რომელიც მდ. იორს უნდა აღნიშნავდეს,[304] ხოლო სტრაბონის მიხედვით, მოსხების ქვეყნის დარჩენილი ორი ნაწილი — კოლხებსა

და იბერებს ეკუთვნოდათ (Strabo, XI, II, 18). მაგრამ, პლინიუსისეული მდ. იბერის მდ. იორთან გაიგივებით (რასაც ხელს უნდა უწყობდეს თუნდაც ის, რომ პლინიუსის ტექსტის აღნიშნული პარაგრაფი იბერიასა და ალბანეთს ეხება), გამოდის, რომ მოსხების ქვეყანა ფაქტიურად მთელი იბერიის მომცველია, მის ფარგლებში თითქოს მდ. ფასისის (ამ შემთხვევაში მდ. რიონი) სათავეც ექცევა (Plin., NH, VI, 13); ამავე დროს, საყურადღებოა, რომ არმენო-ხალიბები და „მოსხების მიწები“ პარიპედროს მთების იმ მხარეს არიან განლაგებული, რომელიც კავკასიონის მთავარი ქედის აღმოსავლური ნაწილის შემადგენელ კერავნულ მთებს შეჰყურებს, ხოლო მის საწინააღმდეგო მხარეს კოლხური (Colchicae) უდაბნოა (Plin., NH, VI, 29). პარიპედროს მთებთან მდებარე თასისა და თრიარის, ანუ ტაშირისა და თრიალეთის ოლქების, ასევე კერავნული მთების საპირისპირო მხარეს განლაგება, პარიპედროს მთებში თითქოს ბამბაკის ქედის დანახვის შესაძლებლობას იძლევა[305] და ამასთანავე, არმენო-ხალიბებისა და „მოსხების მიწების“ იქნებ ისტორიული გარდაბნისა და ჰერეთის მიდამოებში ადგილმდებარეობაზე უნდა მიუთითებდეს, მით უფრო, რომ არმენო-ხალიბების შემდეგ პლინიუსის ტექსტში საკასენებია (შაკაშენე, განჯის მხარე) დასახელებული (Plin., NH, VI, 29)[306]; ეს გარემოება პლინიუსის ცნობას, თუკი შეცდომა არ არის მასში დაშვებული (აღსანიშნავია, რომ შავიზღვისპირეთის ამსახველ ამავე თავის მეთორმეტე პარაგრაფში, არმენო-ხალიბები ტრაპეზუნტის გადაღმა მხარეში არიან დასახელებულნი), სტრაბონის ცნობისაგან (Strabo, XI, II, 18) უნდა აშორებდეს; მეორე მხრივ, პლინიუსის ცნობა (Plin., NH, VI, 29) თითქოს ეხმიანება ზემომოყვანილ ცნობებს, „ქალდეველთაგან გამოსული ჰონნების“, „მასახა-ჰონნების“ და „გარდმანში (გარდაბანში) დასახლებული ხალდების“ შესახებ.

მოსხებისა და ხალიბების გაიგივების საწინააღმდეგო საბუთს, ჩვენი აზრით, უნდა წარმოადგენდეს ჰეკატეოს მილეტელის „დედამიწის აღწერილობის“ შემონახულ ფრაგმენტებში, როგორც შავიზღვისპირელი ხალიბებისა (Hec., fr. 196), ასევე ცენტრალური ანატოლიის ჩრდილოეთ რაიონებში მოსახლე მოსხების (Hec., fr. 188) მოხსენიება; აგრეთვე, ურარტუს მეფის რუსა II-ის ადილჯევაზის წარწერაში ერთმანეთის გვერდით მუშკინის, ხათესა და ხალიტუს ქვეყნების დასახელება[307]. რაც შეეხება ი. დიაკონოვის შენიშვნას, რომ სტრაბონის მიერ, როგორც მოსხების, ასევე ხალიბებისა და ხალდების ერთად მოხსენიება ალბათ გამოწვეულია ავტორის მიერ სხვადასხვა წყაროების ეკლექტიკური გამოყენებით,[308] უნდა ით-

ქეას, რომ სტრაბონთან მოსხები, ხალიბები და ხალდები ერთმანეთისაგან განსხვავებულ გეოგრაფიულ გარემოში გვხვდებიან; კერძოდ, სტრაბონისეული მოსხები—ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (Strabo, XI, II, 14), ხოლო ხალდები (Strabo, XII, III, 18—19) და ხალიბები (Strabo, XI, XIV, 5)—სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და აღმოსავლეთ ანატოლიის მთიანეთში; თუმცა, ხალიბებთან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, შესაძლოა, დაკავშირებული იყო სტრაბონის მიერ ნახსენები „მოსხების ქვეყანა" (Strabo, XI, II, 18) —ისტორიული მესხეთის შესატყვისი. როგორც ჩანს, ტერმინები „მოსხი" და „ხალდი"||„ხალიბი", მიუხედავად ცალკეულ პერიოდებში მათი მნიშვნელობების ნაწილობრივი დამთხვევისა და ერთიდაიმავე ეთნიკური სამყაროსადმი კუთვნილებისა, მთლიანობაში ერთმანეთს ვერ ფარავენ და გარკვეული შინაარსობრივი თავისებურების მატარებელნი არიან, ასახავენ რა ლოკალურ თუ ქრონოლოგიურ განსხვავებებს (მსგავსად დასავლეთ საქართველოში გავრცელებული სახელწოდებებისა: „კოლხი", „ლაზი", „ეგრისელი", „მეგრელი", „ოდიშარი").

როგორც ვხედავთ, იძებნება გარკვეული შეხების წერტილები ერთი მხრივ, მოსხებსა და მეორე მხრივ, „სირიელ კაპადოკიელებსა" (ლევკოსირებსა) და ხალიბებს შორის; ეს კი, თავისთავად ცხადია, რომ უნდა აყენებდეს ლევკოსირებისა და ხალიბების ურთიერთმიმართების საკითხსაც. ჰეროდოტეს მიერ სირიელთა საცხოვრისის მდინარეებით პართენიოსითა და თერმოდონტით განსაზღვრა (Herod., II, 104), იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სამხრეთ შავიზღვისპირეთში საბადოების გარკვეული მეტალურგიული სიმძლავრით აღნიშნულ მდინარეთა შორის მდებარე მხარეც ხასიათდება, სირიელებშიც თითქოს „ხალიბების" დანახვის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს[309]. ურთიერთკავშირი შეინიშნება აგრეთვე სირიელთა მდ. ჰალისის დასავლეთით განსახლების თაობაზე არსებულ ზემოთ მოყვანილ ცნობებსა და იმ ცნობებს შორის, რომლებიც შეიცავენ მითითებებს მდ. ჰალისის დასავლეთით ხალიბების შესაძლო ლოკალიზების შესახებ[310].

მდ. ჰალისის დასავლეთით ხალიბები დასახელებული ჰყავს ჰეროდოტეს, როდესაც თავის „ისტორიაში" ჩამოთვლის ლიდიის მეფის კროისოსის მიერ მდ. ჰალისის დასავლეთით დამორჩილებულ ხალხებს, ლიდიელებს, ფრიგიელებს, მისიელებს, მარიანდინებს, ხალიბებს, პაფლაგონიელებს, თრაკიელებს, თინებს, ბითვინებს, კარიელებს, იონიელებს, დორიელებს, პამფილიელებს (Herod., I, 28). გამოთქმულია აგრეთვე აზრი, რომ ხალიბები უნდა ჰყავდეს დასახელებული ჰეროდოტეს მეშვიდე თავშიც, სადაც სპარსელთა ჯარში შემავალი ცალკე-

ული ტომების შეიარაღებაა დახასიათებული და მათი სარდლებია ჩამოთვლილი და სადაც ერთ ადგილას სატომო სახელია გამოტოვებული (Herod., VII, 76), ეს მით უფრო დასაშვები ჩანს, რომ აქ დასახელებულ ხალხს ჰქონია არესის სამისნო[311], არესი კი ხალიბების ეპონიმის — ხალიბის მამად იყო მიჩნეული (Schol. ad Apoll. Rhod., II, 373). თუმცა, ჰეროდოტეს ტექსტის გამომცემელთა დიდი ნაწილი ამ ადგილას პისიდიელების სახელის აღდგენას ანიჭებს უპირატესობას. რაც შეეხება ხალიბების მდ. ჰალისის დასავლეთით მცხოვრებ ტომთა შორის მოხსენიების ფაქტს (Herod., I, 28), ჰეროდოტეს ტექსტის ჯერ კიდევ გასული საუკუნის გერმანელი გამომცემელი ჰ. შტაინი გამოთქვამდა აზრს, რომ აღნიშნული პარაგრაფის ის ნაწილი, სადაც ტომების სახელწოდებებია ჩამოთვლილი, გვიანდელი ჩანართი უნდა იყოს, რადგან იქ ნახსენები ზოგიერთი ტომი ჰეროდოტეს ტექსტის სხვა ადგილებში არ გვხვდება, მაგ., თინების (Θυνοί) ან ხალიბებისა, მაშინ, როდესაც სხვა ადგილებში დასახელებული ტომები ამ ფრაგმენტში არ არიან ჩამოთვლილნი[312]. ნ. ლომოურის შეხედულებით, იმ გარემოებას, რომ ჰეროდოტე საერთოდ არ იცნობს ხალიბებს, მოწმობს, მის მიერ, სხვა ავტორებთან ხალიბების მეზობლად დასახელებული ტომების (მოსხების, ტიბარენების, მაკრონების, მოსინიკების და სხვ.) არაერთგზის მოხსენიებაც, ხალიბებისაგან განსხვავებით[313]. მაგრამ ძალზე ძნელი წარმოსადგენია, რომ ჰეროდოტეს არაფერი სცოდნოდა ხალიბების შესახებ. ხალიბთა სიძველეზე მიუნიშნებს თუნდაც სტრაბონის სიტყვები, რომ მათ ჯერ კიდევ ჰომეროსი მოიხსენიებდა ალიბეს მკვიდრ ჰალიძონებად თუ ალიბეელებად (Strabo, XII, III, 20; Hom., Il., II, 856—857). ხალიბები დასახელებული ჰყავს ჰეროდოტეს წინამორბედს ჰეკატეოს მილეტელს, რომლის ნაშრომსაც ჰეროდოტე კარგად იცნობს, თავის თხზულებაში საკმაოდ ხშირად იხსენიებს (Herod., II, 143; V, 36, 125—126; VI, 137) და ზოგჯერ მითითების გარეშეც კი ეკამათება მას (Herod., II, 23; IV, 36)[314]. ხალიბები ნახსენები ჰყავს ჰეროდოტეს უფროს თანამედროვეს, დრამატურგ ესქილესაც (ძვ. წ. 525—456 წწ.), როდესაც ისინი „მიჯაჭვულ პრომეთეოსში“ რკინის დამმუშავებელ, მკაცრ და სახიფათო ხალხად ჰყავს დახასიათებული (Aeschylus, Prom. vinct., 740ff).

ჰეროდოტე ხალიბებს, მათ მეზობელ ტომებთან, მოსხებთან, ტიბარენებთან, მოსინიკებთან და მაკრონებთან ერთად შესაძლოა იმიტომ არ იხსენიებს, რომ ის ფრაგმენტები, სადაც ეს ტომებია დასახელებული (Herod., III, 94; VII, 78), მომდინარეობენ განსაკუთრებული ხასიათის მქონე ორი ნაწილიდან, „სატრაპიების ანუ დარიო-

სის მოხარკეთა სიიდან“ და „ქსერქსეს არმიისა (და ფლოტის) სიიდან“[315], რომელთა თავდაპირველ წყაროს ოფიციალური სპარსული საბუთები უნდა წარმოადგენდნენ. ამ საბუთებში ხალიბები, საფიქრებელია, რომ სხვა ტომებთან ერთად იყვნენ გაერთიანებულნი და ამდენად, მათ სახელს ამოფარებულნი, ანდა, სულაც სხვა სახელწოდებით მოიხსენიებოდნენ, თუნდაც „მოსხებისა“ (იხ. ზემოთ). საყურადღებოა, რომ ურარტელების აღმნიშვნელი სახელწოდება „ალაროდიელები“ ჰეროდოტესთან მხოლოდ აღნიშნულ სიებშია მოყვანილი (Herod., III, 94; VII, 79) და ეს გარემოება სამეცნიერო ლიტერატურაში ახსნილია ჰეროდოტეს მიერ დიონისიოს მილეტელის ნაშრომების გამოყენებით, რომლებიც დაწერილი იყო ოფიციალური სპარსული დოკუმენტების საფუძველზე.[316] ხოლო სხვა კონტექსტში, როდესაც თხრობა უშუალოდ ჰეროდოტესაგან მომდინარეობდა, მას, რა თქმა უნდა, შეეძლო დაესახელებინა ხალიბებიც. ამავე დროს, ჩვენ ვერც ხალიბების სახელწოდების შემცველი ფრაგმენტის ინტერპოლაციას გამოვრიცხავთ ჰეროდოტეს ტექსტში, მაგრამ, აღნიშნული ფრაგმენტი ჩანართსაც რომ წარმოადგენდეს, ვფიქრობთ, მას მაინც უნდა გაეწიოს ანგარიში, როგორც გარკვეული, ალბათ, არც თუ შემთხვევითი, ინფორმაციის გამომხატველს, მითუმეტეს, რომ ეს ფრაგმენტი ჰეროდოტეს ტექსტში (რომლის ყველაზე ადრეული ნუსხა ახ. წ. X ს. განეკუთვნება) საკმაოდ ადრეულ ხანაში ჩამატებულად არის მიჩნეული[317]. მართალია, ისეთი შედარებით გვიანდელი ავტორი, როგორიც ლიკოფრონეს „ალექსანდრას“ სქოლიასტია, რომელსაც XII ს. მოღვაწედ მიიჩნევენ[318], ხალიბებს პაფლაგონიაში მცხოვრებ ტომად მოიხსენიებს (Schol. ad Lycophr., 1109), მაგრამ ბევრად უფრო ადრეული ხანის, ახ. წ. I ს. პირველი ნახევრის რომაელი მოღვაწის პომპონიუს მელას მიხედვითაც, რომელიც მცირე აზიის კარგ ცოდნას ავლენს, აღმოსავლეთისაკენ პაფლაგონიის უკანასკნელ ქალაქს—არმენეს (თანამედროვე ინჯებურუნის კონცხზე), ხალიბთა მიწა-წყალი მოსდევდა, მისი სიტყვებით: „.... პაფლაგონიის უკანასკნელი ქალაქია არმენე. პაფლაგონიასთან ყველაზე ახლოს მყოფ ხალიბებს აქვთ სახელგანთქმული ქალაქები ამისოსი და სინოპე, ცინიკოსი დიოგენეს სამშობლო, მდინარეები ჰალისი და თერმოდონტი...“ (Pomp. Mela, I, 19, 104 — 105).[319] ხალიბების მოსაზღვრეები აღმოსავლეთის მხრიდან ტაბერენებია, იგივე ტიბარანები (Pomp. Mela, I, 19, 106). ყურადღებას იპყრობს პომპონიუს მელას განმარტება იმის თაობაზე, რომ ქალაქები ამისოსი და სინოპე აქვთ პაფლაგონიასთან ყველაზე ახლოს მყოფ ხალიბებს, რაც უნდა მიგვანიშნებდეს სხვა, პაფლაგონიელებისაგან უფრო შორს მოსახლე ხალიბე-

ბის არსებობაზეც, ამავე დროს, ხალიბები მას იმ ტერიტორიაზე ჰყავს მოხსენიებული, სადაც სხვა ავტორები ლევკოსირებს (სირებს, ასირიელებს) ათავსებენ ხოლმე (Ps.-Scymn., 941—943; Apoll. Rhod., II, 946—947; Plut., Luc., XXIII) და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მელა თავის თხზულებაში ლევკოსირებს არსად მოიხსენიებს, საფიქრებელი ხდება, რომ „ხალიბებში" მას ლევკოსირებიც უნდა ჰყოლოდა ნაგულისხმევი. როგორც ჩანს, პომპონიუს მელას, რომელიც კომპილატორი მწერალია, ხალიბთა განსახლება მის დროს არსებული რეალური ვითარების მიხედვით კი არა აქვს წარმოდგენილი, არამედ, რომელიღაც ძველი წყაროს მიხედვით. ნიშანდობლივია, რომ მოძველებული წყაროების სრულიად უკრიტიკო გამოყენება და სხვათა ნაშრომებიდან ხშირი დასესხება მელას დიდ ნაკლად არის მიჩნეული[320]. ამავე დროს, მისი ნაშრომის მთავარ ღირსებას სწორედ ეს თავისებურება, შემდგომში დაკარგული ან ფრაგმენტულად შემორჩენილი წყაროების მონაცემთა შემონახვა წარმოადგენს. მასთან არაერთი ისეთი ცნობა არის შემონახული, რომელიც უფრო ადრე არსებული მდგომარეობის ამსახველია[321]. ჩვენი აზრით, ხალიბთა ადრეული განსახლების საკითხთან დაკავშირებით პომპონიუს მელას ცნობას გარკვეული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. რაც შეეხება იმ ბრალდებას, რომ პომპონიუს მელა ვერ ერკვევა მის მიერ დასახელებულ ტომთა ადგილმდებარეობაში[322], ჩვენ მას ვერ გავიზიარებთ. მოგვყავს ის ციტატა პომპონიუს მელას თხზულებიდან, რომლის გამოც არის ძირითადად გამოთქმული ასეთი უარყოფითი შეფასება მელას სანდოობის მიმართ: „შიდა ქვეყნებში ბევრი და ნაირ-ნაირი ხალხები ცხოვრობენ... სკვითებსა და სკვითების ტრამალებს ზემოთ დაჰები ცხოვრობენ; ხოლო კასპიის უბეს ზემოთ—კომარეები, მასაგეტები, კადუსები, ჰირკანები, ჰიბერები; ამაძონებსა და ჰიპერბორეებს ახლოს—კიმერიელები, კისიანტები, აქეები, გეორგილები, მოსხები, კორსიტები, ფორისტები, რიმფაკები; ხოლო სადაც ჩვენს ზღვებს ემხრობა—მატიანები, ტიბარანები და უკვე უფრო ცნობილი სახელის მქონენი—მიდიელები, არმენიელები, კომაგენები, მურანები, ვეგეტები, კაპადოკიელები, გალოგრეკები, ლიკაონელები, ფრიგიელები, პისიდიელები, ისავრიელები, ლიდიელები, სიროკილიკიელები" (Pomp. Mela, I, 13).[323] ტექსტის მიხედვით აქეები და მოსხები უშუალოდ კასპიის ზღვის ზევით კი არ ცხოვრობენ, არამედ ამაძონებისა და ჰიპერბორეების ახლოს (უფრო ზუსტად, მათ ზევით თუ მათს იქით—super), თუმცა სხვა ადგილას მელა მოსხებს ალბანელებთან და ჰირკანებთან ერთად ჰირკანიის უბესთან ათავსებს (Pomp. Mela, III, 5, 39)[324]. როგორც ცნობილია, ეთნონიმ „მოსხთან" მი-

მსგავსებული სახელები დამახასიათებელი ჩანს კავკასიონის ცენტრალური და აღმოსავლეთ ნაწილებისათვის; მხედველობაში გვაქვს აგათანგელოსის—მასახა ჰონნები (Agath., 153), პლინიუსის—მაზაკები (Plin., NH, VI, 21), ამ მხარეების ტოპონიმიაში და ეთნონიმიაში დადასტურებული მსგავსი ჟღერადობის სახელწოდებები (იხ. ზემოთ), ალაზნელი ჩეჩნების სახელწოდება maxis-to-bi (მათი თვითდასახელებაა maistwey)[325], „ქვეყნის“ აღმნიშვნელი ჩეჩნური ტერმინი „მოხქ“[326]. ალ. გამყრელიძის ვარაუდით, მოსხთა განსახლების თაობაზე პომპონიუს მელას ცნობა, შესაძლებელია წარმოადგენდეს რომელიმე ისეთი წყაროს ანარეკლს, რომელიც მოსხების ერთი ნაწილის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გადმონაცვლებაზე მიუთითებდა.[327] რაც შეეხება აქეების („აქაელების“) ტომის სახელწოდებას, როგორც შენიშნავენ, იგი ერთ-ერთი მკვლევარის მიერ ყოფილა ამოკითხული დამახინჯებული ადგილიდან და საკმაოდ საეჭვოცაა; ხელნაწერში კისიანტებისა და აქეების ნაცვლად ყოფილა მხოლოდ—cissi anthiacae.[328] არ არის გამორიცხული, რომ ამ ტომებში ვეინახური ტომები იგულისხმებოდეს. კისიანტების (ანუ კისიების) სახელს თითქოს უახლოვდება ინგუშების აღმნიშვნელი ბაცბური ეთნონიმი—kis-ti-y (ქისტი),[329] ხოლო აქეების სახელი, თუ კი მივიღებთ აღნიშნულ კონიექტურას, ემსგავსება ჩეჩნების ყველაზე ჩრდილოური ჯგუფის სახელწოდებას—akki[330]. მოყვანილ ციტატაში არც მიდიელები, არმენიელები, კომაგენელები... უნდა ჰყავდეს პირენეს ნახევარკუნძულზე დაბადებულ რომაელ მოღვაწეს—პომპონიუს მელას მცდარ კონტექსტში მოხსენიებული, ვინაიდან მის ფრაზაში— „ხოლო სადაც ჩვენს ზღვებს ემხრობა“, უნდა იგულისხმებოდეს მთლიანად ხმელთაშუა ზღვის აუზი და არა მარტოოდენ შავი ზღვისა.

გარდა ზემოთ მოყვანილი მონაცემებისა, ხალიბთა ლოკალიზაციისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ძვ. წ. IV ს. პირველი ნახევრის ისტორიკოსის—ეფოროსის ცნობას, რომელიც სტრაბონს აქვს შემონახული: „ეფოროსი ამბობდა, რომ ეს ნახევარკუნძული დასახლებულია თექვსმეტი ტომით, რომელთაგან სამი არის ელინური, ხოლო დანარჩენი ბარბაროსული, თუ არ ჩავთვლით შერეულ ტომებს; ზღვასთან არიან კილიკიელები, ლიკიელები, ბითვინიელები, პაფლაგონიელები, მარიანდინები, ტროელები და კარიელები; შუა ქვეყანაში მოსახლეობენ პისიდიელები, მისიელები, ხალიბები, ფრიგიელები და მილიები“ (Strabo, XIV, V, 23).[331] სტრაბონი არ ეთანხმება ეფოროსს და შენიშნავს: „...ჯერ უნდა შევეკითხოთ ეფოროსს, რატომ ათავსებს ნახევარკუნძულის შიგნით ხალიბებს, რომლებიც მოსახლეობენ ესოდენ შორს აღმოსავლეთით, სინოპესა და ამისოსი-

საგან“ (Strabo, XIV, V, 24).[332] სტრაბონისგან ვგებულობთ, რომ ეფოროსი ხალიბებს ათავსებდა მცირე აზიის ნახევარკუნძულის შიგნით, ანუ სინოპესა და ისოსის (თანამედროვე ისკანდერუნის ყურის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე) „შემაერთებელი ხაზის“ დასავლეთით; იგულისხმება სინოპის ყურის უკიდურესი სამხრეთ წერტილი და ისოსის ყურის ჩრდილო წერტილი (Plin., NH, VI, 7). არსებობდა ნახევარკუნძულის განსაზღვრის სხვა ხერხიც, რომელიც სტრაბონს უფრო მართებულად მიაჩნია—ამისოსისა და ისოსის შორის მდებარე ვიწრობის მიხედვით (Strabo, XIV, V, 22—23). სტრაბონი შენიშნავს, რომ არავინ თვლის ნახევარკუნძულის ყელის ხაზს ხალიბებზე გადამავალად, ვინაიდან მაშინ ხაზი მრუდე გამოვიდოდა, მცირე არმენიასა და ევფრატზე გადაივლიდა, ხოლო ნახევარკუნძული მთელ კაპადოკიას, კომაგენეს, ამანოსს და ისიკოსის ყურეს მოიცავდა (Strabo, XIV, V, 24). როგორც ვხედავთ, სტრაბონი იმიტომ არ მიიჩნევს ხალიბებს ნახევარკუნძულის მცხოვრებლებად, რომ მათ ნახევარკუნძულის ფარგლებს გარეთ, აღმოსავლეთით ათავსებს. ძირითადი მიზეზი, რის გამოც სტრაბონი ეფოროსს ეკამათება, ხალიბების სანაპირო ზოლისაგან დაშორება და ქვეყნის შიგნით მოთავსება კი არ არის, არამედ სწორედ მათი ნახევარკუნძულზე, ისოსიდან ევქსინამდე გამავალი ხაზის დასავლეთით ლოკალიზებაა; სტრაბონი არ გამორიცხავდა ხალიბების ქვეყნის შიგნითა მხარეში ბინადრობას, ეს მკაფიოდ ჩანს მისივე სიტყვებში, რომ ეფოროსს უმჯობესი იყო ხალიბების ერთი ნაწილი ზღვის პირას მოეთავსებინა, ხოლო მეორე ნაწილი ქვეყნის შიგნით (Strabo, XIV, V, 24). თ. ყაუხჩიშვილის განმარტებით, სტრაბონი ეთანხმებოდა ეფოროსს (და მასთან ერთად ძვ. წ. II ს. მოღვაწეს აპოლოდორეს) ხალიბების ნაწილის მათ მიერ მითითებულ ადგილზე ცხოვრების შესახებ, მეორე ნაწილს კი ზღვის პირას ათავსებდა[333]. ამავე დროს, ვფიქრობთ, ნათელია, რომ ეფოროსისათვის ხალიბები ისოს-სინოპესა და ისოს-ამისოსის შემაერთებელი ხაზის დასავლეთით ცხოვრობდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სტრაბონის სიტყვებისა არ იყოს, „თუ ხალიბების ქვეყანას ნახევარკუნძულის ნაწილად მივიჩნევთ, მით უფრო უნდა ჩავთვალოთ ასეთებად კატაონია, ორივე კაპადოკია და ლიკაონია...“ (Strabo, XIV, V, 24). აშკარაა, რომ ეფოროსი იმიტომ თვლიდა ხალიბებს ნახევარკუნძულის მოსახლეებად და არ თვლიდა ასეთებად ზემოჩამოთვლილ ხალხებს, რომ ხალიბებს, მათგან განსხვავებით, უფრო დასავლეთით ათავსებდა. საყურადღებოა, რომ ფსევდო-სკიმნოსის „პერიეგესის“ მიხედვითაც, ხალიბები ასევე ნახევარკუნძულის, ამისოსსა და ისიკოსის ყურეს შორის მდებარე აზიის უვიწროე-

სი ყელის დასავლეთით, ქვეყნის შიგნით და კაპადოკიელების მახლობლად მოიხსენიებიან (Ps.-Scymn., 921—939). ფსევდო-სკიმნოსის ცნობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეფოროსთან დასახელებული ხალიბების ადგილმდებარეობის გარკვევისათვის, ვინაიდან „პერიეგესის“ ერთ-ერთ ძირითად წყაროს სწორედ ეფოროსი წარმოადგენდა, ამას ფსევდო-სკიმნოსი თვითონვე აღნიშნავს, როდესაც ჩამოთვლის იმ ავტორებს, ვისგანაც არის იგი დასესხებული (Ps.-Scymn., 109—127). თუმცა, თ. ყაუხჩიშვილის შენიშვნით, „პერიეგესის“ ის ფრაგმენტი, სადაც ხალიბებია ნახსენები, უნდა მომდინარეობდეს წყაროდან, რომელიც ძვ. წ. III—II სს. თარიღდება[234]. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ ფსევდო-სკიმნოსი ეფოროსისაგან განსხვავებით კაპადოკიელებს ნახევარკუნძულზე ათავსებს; ისინი, მისი თქმით, პისიდიის ქვეყანაში და ხალიბების მახლობლად ცხოვრობენ (Ps.-Scymn., 938—939). ფსევდო-სკიმნოსის ეს ცნობა, ამავე დროს, ხალიბთა ქვეყნის შიგნით მდებარე საცხოვრისის განსაზღვრის საშუალებასაც იძლევა პისიდიის ქვეყანაში მცხოვრები კაპადოკიელების მეზობლად. კაპადოკიელების პისიდიის ქვეყანაში (სამხრეთ ანატოლიაში) მოთავსება ხალიბების უფრო ჩრდილოეთით მდებარეობაზე უნდა მიგვანიშნებდეს, შესაძლოა, შემდეგდროინდელი გალათიის მიდამოებში, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ეფოროსთან ქვეყნის შიგნით მცხოვრები ხალხების — პისიდიელების, მისიელების და მილიების, ზღვიდან დაშორების მანძილს, არ არის გამორიცხული ხალიბთა საცხოვრისიც ნაპირიდან სულ 20-30 კმ-ით ყოფილიყო დაშორებული. გარკვეულ ეჭვს აღძრავს ნახევარკუნძულზე და ქვეყნის შიგნით მოსახლე ხალხებს შორის ეფოროსის მიერ კაპადოკიელთა მოუხსენიებლობა, ვინაიდან ისოსის, როგორც სინოპთან, ასევე ამისოსთან დამაკავშირებელი ნახევარკუნძულის ყელის ხაზი კაპადოკიელების მიწაზე გადიოდა; ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეფოროსის „ხალიბებში“ — კაპადოკიელები ან მათი რომელიღაც შემადგენელი ნაწილი იგულისხმება; იქნებ ამავე გარემოებას უკავშირდება პომპონიუს მელას მიერ ხალიბების ლოკალიზაცია ლევკოსირების ტერიტორიაზე (იხ. ზემოთ), რომლებიც ჰეროდოტეს მიხედვით, იგივე კაპადოკიელები არიან (Herod., I, 72; V, 49; VII, 72).

კიდევ ერთი ძველი ავტორი, რომელიც იუწყებოდა ხალიბების ნახევარკუნძულზე ბინადრობას, როგორც ამას სტრაბონისაგან ვგებულობთ, ყოფილა აპოლოდორე, რომელიც თავის თხზულებებში „ტროელთა საბრძოლო წყობა“ და „ხომალდთა კატალოგის შესახებ“, შენიშნავდა, რომ ჰომეროსთან ჩამოთვლილი ტროელთა ყველა აზიელი მოკავშირე, ე. ი. მათ შორის ჰალიძონებიც, ნახევარკუნძულ-

ზე, სინოპ-ამისოს ვიწრობების დასავლეთით ცხოვრობდნენ (Strabo, XII, III, 24; XIV, V, 22—24). როგორც სტრაბონი გვამცნობს, აპოლოდორეს ერთმანეთთან შეპირისპირებული ჰქონია ჰომეროსისა და ეფოროსის ცნობები: „ცხადია, რომ აპოლოდორემ სათანადოდ ვერ გაარჩია ეფოროსის განცხადება და აურია და დაამახინჯა პოეტის (ჰომეროსის) სიტყვები" (Strabo, XIV, V, 24). მიუხედავად სტრაბონის მიერ იმ გარემოების აღნიშვნისა, რომ აპოლოდორესათვის უცნობი იყო ჰალიძონთა ვინაობა (Strabo, XII, III, 24), რაშიც სტრაბონი ალბათ ხალიბებისა და ჰალიძონების მის მიერ ნავარაუდევ იგივეობას უნდა გულისხმობდეს (შდრ. Strabo, XIV, V, 20), აპოლოდორეს მიერ ჰომეროსის „ხომალდთა კატალოგში" დასახელებული ტროელთა მოკავშირეების, მათ შორის ჰალიძონების, ნახევარკუნძულის მცხოვრებლებად მიჩნევა, და აგრეთვე ის ფაქტი, რომ იგი, როგორც ეს სტრაბონის სიტყვებიდან ირკვევა, იზიარებდა ეფოროსის ცნობას, ნახევარკუნძულზე ხალიბების ბინადრობის თაობაზე (Strabo, XIV, V, 24), სავარაუდოს ხდის, რომ აპოლოდორესათვისაც ცნობილი უნდა ყოფილიყო შეხედულება ხალიბებისა და ჰალიძონებისა თუ ალიბეელების იდენტურობის შესახებ; ეს მით უფრო დასაშვებია, რომ მსგავსი აზრი საკმაოდ გავრცელებული ჩანს მის ეპოქაში; სტრაბონი იუწყება, რომ აპოლოდორეს წინამორბედ დემეტრიოს სკეპსისელისათვის (ძვ. წ. II ს.) ცნობილი იყო ზოგიერთების მიერ ჰეროდოტეს „ხომალდთა კატალოგში" მოხსენიებული „შორეული ალიბეს" (Hom., Il., II, 856) „შორეულ ხალიბედ" შესწორების ფაქტი (Strabo, XII, III, 23).

აღსანიშნავია, რომ სტრაბონი, როგორც ჩანს, სწორედ იმის გამო, რომ ჰალიძონებსა თუ ალიბეელებს ხალიბებთან აიგივებდა (Strabo, XII, III, 20), არ იზიარებდა შეხედულებას ამაძონებისა და ჰალიძონების იდენტურობაზე, რაც ზოგიერთ ავტორს დასაშვებად მიაჩნდა (იხ. Strabo, XII, III, 21—24); მაგალითად, ეფოროსი „ხომალდთა კატალოგის" „ალიბელ ჰალიძონებს" „ალოპელი ამაძონებით" ცვლიდა და მათ საცხოვრისს მისიას, კარიასა და ლიდიას შორის ათავსებდა (Strabo, XII, III, 21). სტრაბონის განცხადებითაც, ეს მხარე, შემდგომში ეოლიელებითა და იონიელებით დასახლებული, თავდაპირველად ამაძონელებს ეკუთვნოდათ, მაგრამ მისთვის გაუგებარია, თუ როგორ შეიძლებოდა აქ „ალიბეს", ანუ „ალოპეს" თუ „ალობეს" დანახვა, ანდა; რითი გამართლდებოდა ამ შემთხვევაში ჰომეროსის სიტყვები აღნიშნული მხარის სიშორისა და ვერცხლით მისი სიმდიდრის შესახებ (Hom., Il., II, 856—857; Strabo, XII, III, 21). დასავლეთ ანატოლიის ეგეოსისზღვისპირეთში „ალოპეს"

მდებარეობის შესახებ ცნობა ჰქონია თემისტაგორესაც „ოქროს წიგნში“, რომლის ფრაგმენტი ელიანეს ჰეროდიანს შემოუნახავს; ამ ფრაგმენტის მიხედვით, ამაძონელები ცხოვრობდნენ ალოპეში, რომელსაც იმჟამად უკვე ლიკია ერქვა და ქ. ეფესოსთან მდებარეობდა (Ael. Her., I, 28). ჰომეროსის ზემოთ მოყვანილი სიტყვების გათვალისწინებით გამო სტრაბონი კიდევ უფრო მიუღებლად მიიჩნევს შეხედულებას ჰალიძონების ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიაში ლოკალიზების შესახებ, რომელიც გამოთქმული ჰქონიათ ჰეკატეოს მილეტელს, პალეფატს, მენეკრატე ელაიტელს და დემეტრიოს სკეპსისელს (Strabo, XII, III, 22). აღსანიშნავია, რომ თვით სტრაბონი, უარყოფდა რა ამაძონებისა და ჰალიძონების იგივეობას, ამავე დროს ამაძონთა საცხოვრისსაც პონტოში ათავსებდა; მისი ცნობით: „ყველანი უწოდებდნენ თემისკირას, თერმოდონტის მიდამოებში მდებარე დაბლობებს და მათ ზემოთ მდებარე მთებს ამაძონების ქვეყანას და ამბობენ, რომ ისინი აქედან იყვნენ განდევნილნი“ (Strabo, XI, V, 4). თქმულება თერმოდონტზე მოსახლე ამაძონების სამშობლოდან გაძევების შესახებ ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკურ სამყაროში (იხ. მაგ. Herod., IV, 110; Dion. Per., 655; Ps.-Scymn., 880). როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, თერმოდონტის მხარე ითვლებოდა აგრეთვე ლევკოსირებისა და ხალიბების მიწად, ხოლო მთების (ჯანიკის ქედი) გადაღმა უნდა ყოფილიყო მოსხების საცხოვრისი.

ეთნონიმ „ამაძონში“, სავარაუდოა, რომ გამოიყოფა მაძ-ფუძე, ხოლო ონ-სუფიქსის არსებობა დამახასიათებელია ჰანური და ბერძნული ენებისათვის.[335] ეთნონიმ „ჰალიძონში“ შემავალი ონ-სუფიქსის ეთნონიმთა მაწარმოებელ სუფიქსად მიჩნევის შესაძლებლობას იძლევა თუნდაც ჰომეროსის მიერ სატომო სახელის—„ჰალიძონის“ დაპირისპირება ქვეყნის სახელწოდება „ალიბესთან“: „ჰალიძონებს ოდიოსი და ეპისტროფოსი მოუძღოდნენ შორეულ ალიბედან...“ (Hom., Il., II, 856—857). საყურადღებოა, რომ ჰალიძონების (=ჰალიძების?) ქვეყანას, იგივე „ალიბეს“, მდ. ჰალისის აუზში ათავსებენ, როგორც ჩანს, ამ ჰიდრონიმთან მათი სახელწოდების მსგავსების გამო.[336] ამავე საკითხთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, მხედველობაშია მისაღები ხეთების მეფის მურსილის II-ის (ძვ. წ. 1345—1315 წწ.) ანალებში მოხსენიებული აჰი-ჩაიასას ქვეყნის, ზღვის პირას მდებარე ქალაქი—Aripsa (აიგივებენ ქ. კერასუნტთან, თანამედროვე გირესუნი),[337] რომლის სახელწოდებაშიც sa-სუფიქსი გამოიყოფა,[338] გასათვალისწინებელი ჩანს ხეთური წყაროების ალისას ქვეყანაც, რომელიც საკულტო ქალაქ არინნას მახლობლად და დურმითის ქვეყნისა და ქალაქ ჰაქფისს || ჰაკმისს (ქ. ამასია) შორის მდებარეობდა

ცენტრალური ანატოლიის ჩრდილოეთ ნაწილში;[339] არ არის გამორიცხული, რომ ტოპონიმები Alisa და Hakmis ‖ Hakpis (Hagmis, Haggamis, Ha-ag-miš) ქალაქების ამისოსისა და ამასიის სახელწოდებებისა[340] და ეთნონიმ „ამაძონის“ წინამორბედებს წარმოადგენდნენ; ალბათ მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ქ. ამასიის მახლობლად ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში უნდა ეცხოვრათ მოსხებს, რომელთა სახელწოდების არქეტიპს, როგორც ითქვა, მას-ი წარმოადგენდა, საკმაოდ ახლო მდგომი ამაძონთა სახელწოდების სავარაუდო ფუძესთან მაძ, რაც თავის მხრივ, ძალაუნებურად წამოჭრის საკითხს, ხომ არ უნდა იგულისხმებოდნენ მითიურ ამაძონებში რეალურად არსებული მოსხები? იქნებ მათი და აგრეთვე მოსინიკების სახელწოდებათა გარეგნულმა მსგავსებამ ამაძონების სახელთან გამოიწვია ამ ლეგენდარული ტომის სამხრეთ შავიზღვისპირეთში ლოკალიზება?[341] რაც შეეხება ეთნონიმ „ამაძონში“ ა-პრეფიქსის გამოყოფის შესაძლებლობას, გასათვალისწინებელია ანალოგიური მოვლენები, დამახასიათებელი ა-მოსავლეთანატოლიური და კავკასიური გეოგრაფიული სახელწოდებებისათვის. შდრ. მაგ. ჰიდრონიმები, მდ. კინტრიშის ძველი სახელწოდებები „აკინასე“ ('Ακινάσης—Arr., PPE, 7) და „კინასი“ (Κίνασος—Anon., PPE, XLII, 2), მდ. ჭოროხისა—„აფსაროსი“ ("Αψαρος—Ps.-Scyl., 81; Arr., PPE, 7; Anon., PPE, XLII, 2, 7; Plin., NH, VI, 12) და „ფსაროსი“ (Ψάρος)[342]. ქართულ წყაროებში დადასტურებული მდ. არაქსის (არეზი) სახელწოდება—„რაჴსი“ (მაგ. ლეონტი მროველი I, 5, 70). ყურადღებას იმსახურებს ასურულ წარწერებში მუშქებთან ერთად ძვ. წ. XII ს. აღმოსავლეთ ანატოლიაში შეჭრილი ქასქას (ქაშქების) ტომის სახელწოდების სინონიმად გამოყენებული ეთნონიმი „აბეშლა“[343] (იქნებ თავად დაკავშირებული ეთნონიმ „ამაძონთან“), რომელიც, ი. დიაკონოვის აზრით, ქსენოფონტის „ანაბასისში“ ფასიანების (Φασιανοί—Xen., Anab., IV, VI, 4—27; VII, VIII, 25) სახელწოდებით არის მოხსენიებული. თუმცა კი ფასიანებში უპირველეს ყოვლისა მდ. ფასისის პირას (აქ მდ. არეზის ზემო წელი) მცხოვრები მოსახლეობა უნდა იგულისხმებოდეს; შდრ. ამავე ტერმინით (Φασιανοί) აღნიშნული მდ. რიონ-ფასისის მოსახლეობაც (Xen., Anab., V, VI, 36). ეთნონიმებში „აბეშლა“ და „ფასიანი“ ერთმანეთთან ახლომდგომი ბეშ და ფას ფუძეები გამოიყოფა, წარმოდგენილი აგრეთვე აბაზინელების ჩერქეზულ დასახელებაში „ბასხელ“[344], რომელიც თავის მხრივ ეთნონიმ „აბასკს“ უნდა უკავშირდებოდეს. ტერმინი „აბასკი“ ნ. მარის აზრით, „მოსხიდან“ იყო მიღებული.[345] მსგავსი ტრანსფორმაცია, როგორც ფონეტიკური კანონებით, ასევე წერილობითი წყაროების

მონაცემებით, დასაშვები ჩანს; მ~ბ ბგერათმონაცვლეობა დამახასიათებელია ანატოლიური სამყაროსთვის[346] და აგრეთვე შეინიშნება ქართულ და აფხაზურ-აბაზურ ენებს შორისაც, სადაც გარკვეული კანონზომიერებით არის გამოვლენილი ქართ. მ, აფხაზ-აბაზ. ბ ბგერათშეფარდება,[347] ხოლო ანტიკური და მომდევნო ხანების წყაროების შეთანაპირებით შთაბეჭდილება იქმნება, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე, დაახლოებით მერმინდელი აბასკების მიწაზე ('Αβασκοί — Ps.-Orph., 754; Arr., PPE, 11; Anon., PPE, XLII, 10; Proc.,Goth., VIII, 3; Const. Porph., De adm. imp., 42), ძვ. წ. I საუკუნეში მოსხები ბინადრობდნენ (Strabo, XI, II, 14)[348]. ამავე მხარეში, აბასკების მეზობლად ლოკალიზდებიან აფსილებიც ('Αψίλαι—Arr., PPE, 11; Anon.,PPE, XLII, 10; Agath., IV, 15; Proc., Goth., VIII, 2—3; Absilae—Plin., NH, VI, 14), რომელთაც, სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვეულებრივ ასურული წარწერების აბეშლაელებს უკავშირებენ.[349] ნიშანდობლივია, მიუხედავად იმისა, რომ აბეშლაელებიცა და აფსილებიც ერთმანეთისაგან განსხვავებულ ქრონოლოგიურ და სივრცობრივ განზომილებებში ჩანან, ორივე ეს ტომი, როგორც აღმოსავლეთ ანატოლიაში, ასევე ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში გვხვდება იქ, სადაც მუშქი-მოსხებიც[350] არიან დამოწმებული. ყურადღებას იპყრობს ბასიანის ოლქისა, რომელიც, როგორც ფიქრობენ, ფასიანელების ტომის სახელს უნდა ატარებდეს[351], და მოსხური მთების მეზობლობის ფაქტიც[352].

ამავე დროს, თითქოს მოიპოვება ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში მოსახლე მოსხების სავსებით განსხვავებული წარმომავლობის ვარაუდის შესაძლებლობაც. სტრაბონი, მითრიდატეს ომების ისტორიკოსებზე დაყრდნობით, მოსხებს კერკეტებსა და კოლხებს შორის ათავსებდა (Strabo, XI, II, 14), ხოლო ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსის“ მიხედვით, ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ცხოვრობდნენ... კერკეტები, ტორეტები, აქაიები, ჰენიოხები, კორაქსები, კოლები, მელანქლაინები, გელონები, კოლხები... (Ps.-Scyl., 73—81). სტრაბონის მოსხებიცა და ფსევდო-სკილაქსის მელანქლაინებიც თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ლოკალიზდებიან (შდრ. Strabo, XI, II, 14; Ps.-Scyl., 79). ასევე ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში თავსდება პომპონიუს მელას „მელანქლენა“ (Pomp. Mela, I, 19, 110) და პლინიუსისა და ანონიმური „პერიპლუსის“ მელანქლაინები (Anon., PPE, XLII, 3, 18; Plin., NH,VI, 15). ბევრად უფრო შორს ჩრდილოეთით, ისაზღვრება მელანქლაინთა საცხოვრისი ჰეროდოტეს (Herod., IV, 20), დიონისიოს პერიეგეტისა-

(Dion. Per., 309), კლავდიოს პტოლემაიოსის (Cl. Ptol., III, V, 10) და სხვათა ცნობით. კლავდიოს პტოლემაიოსის ტექსტის სხვა ფრაგმენტის მიხედვით ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობდნენ (Cl. Ptol., V, VIII, 21), ჰეკატეოსი მათ სკვითებად თვლის (Hec., fr. 154), ჰეროდოტეს მიხედვით კი, ისინი მიუხედავად იმისა, რომ სკვითური ცხოვრების წესს მისდევენ, სკვითები არ არიან (შდრ. Herod., IV, 20 და 107). საყურადღებოა, რომ მათი მეზობლები, როგორც აზოვის ზღვის ჩრდილოეთით მდებარე მხარეში, ასევე ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთშიც გელონები არიან (Herod., IV, 102; Dion. Per., 309—310; Ps.-Scyl., 80; Amm. Marc., XXII, 8, 31). ჩვენი აზრით, არსებობს შესაძლებლობა ფსევდო-სკილაქსის მელანქლაინებისა და სტრაბონის მოსხების გაიგივებისა, რასაც, გარდა მათი ადგილმდებარეობის თანხვდენისა, უნდა მოწმობდეს ისიც, რომ ფსევდო-სკილაქსთან მელანქლაინელთა მეზობლად დასახელებული გელონების ნაცვლად, სტრაბონს, კერკეტების, მოსხებისა და კოლხების ზემოთ (ანუ მთებში) მცხოვრებლებად ფთეიროფაგები (გირჩისმჭამელები) ჰყავს დასახელებული, ხოლო, როგორც ჰეროდოტეს „ისტორიიდან" ვგებულობთ, ელინების მიერ გელონებთან გაიგივებული ბუდინებიც გირჩისმჭამელებად ითვლებოდნენ (Herod., IV, 109). არიანეს ცნობითაც, პიტიუნტის დასავლეთით ძველად მცხოვრები გირჩისმჭამელთა სკვითური ტომი ის ტომი ყოფილა, რომელსაც ჰეროდოტე სკვითების ქვეყნის აღწერისას იხსენიებდა (Arr., PPE, 18). საყურადღებოა, რომ ფსევდო-სკილაქსთან მოხსენიებული გელონების ნაცვლად ანონიმურ „პერიპლუსში", მელანქლაინებისა და კოლხებს შორის, მაქელონები არიან დასახელებულნი (Anon., PPE, XLII, 18); აქაც, ისევე როგორც ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსში", ერთმანეთის შემდეგ არიან ჩამოთვლილი: ჰენიოხები, კორაქსები, კოლიკები (ნაცვლად ფსევდო-სკილაქსის კოლებისა), მელანქლაინები, მაქელონები (ნაცვლად გელონებისა) და კოლხები. სავარაუდოა, რომ გელონების სახელს ანონიმის ტექსტში დამატებული აქვს, შესაძლოა, ქართველურ ენობრივ გარემოში შეძენილი, ეთნონიმთა მაწარმოებელი m-პრეფიქსი.[353] ამავე დროს, არც ის არის გამოსარიცხი, რომ სტრაბონისეულ „მოსხებს" (Strabo, XI, II, 14) მელანქლაინების სახელწოდების შესატყვისი ქართველური ფორმა დასდებოდა საფუძვლად; მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ჰეკატეოსის, ჰეროდოტეს და სხვათა ცნობით, მელანქლაინებს თავისი სახელწოდება შეერქვათ შავი ფერის ტანსაცმლის ტარების გამო (Hec., 154; Herod., IV, 107), ბერძნულად—μέλας, μέλαινα, μέλαν ნიშნავს „შავს, მუქი ფერისას", ხოლო სვანურ ენაში იგივე მნიშვნელობა

აქვს სიტყვას mešxe.[354] ევსტათი თესალონიკელის მიხედვით, ზოგიერთ ავტორს მიაჩნდა, რომ მელანქლაინებისათვის ასეთი სახელის შერქმევა მათი კანის მუქმა ფერმა განაპირობა (Eust. ad Dion. Per., 309). ეს ცნობა, მელანქლაინთა კოლხეთში ბინადრობის გათვალისწინებით, შესაძლოა უკავშირდებოდეს ჰეროდოტესა და ძვ. წ. VI—V სს. პოეტის პინდარეს შეხედულებას კოლხთა მუქკანიანობისა თუ შავგვრემანობის შესახებ (Herod., II, 104; Pind., Pyth., IV, 212).[355] მელანქლაინებთან მოსხების გაიგივების საკითხთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია ცნობა, რომლის მიხედვითაც მოსხები, ჩრდილოეთში მცხოვრებ ტომებთან, სარმატებთან და გეტებთან ერთად არიან მოხსენიებულნი, როგორც სისხლიანი რძის მსმელი და ჯამების ძარღვებით შემკობის მოყვარული ხალხი (Sidon., Carm., VII, 83—84); საგულისხმოა, რომ ვერგილიუსის მიხედვით გელონებიც, როდოპასა და გეტების უდაბნოს შეხიზნულები, ცხენის სისხლში არეულ რძეს სვამდნენ (Verg., Georg., III, 461—463).

რაც შეეხება საზოგადოდ კავკასიასა და ანატოლიაში ფართოდ გავრცელებული ტერმინის „მოსხი || მესხის“ ეტიმოლოგიას, ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, ალბათ, ზანური (მეგრულ-ჭანური) და ქართული ენების მონაცემები უნდა იყოს გამოყენებული. როგორც აღვნიშნავდით, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ტოპონიმ „მცხეთას“ ეთნონიმ „მესხისაგან“ ნაწარმოებად მიიჩნევდნენ[360]; თუმცა, ამ მოსაზრებას ყველა მეცნიერი არ იზიარებდა. ვფიქრობთ, ტერმინების „მცხეთისა“ და „მესხის“ ურთიერთკავშირის პოსტულირებით, რაც მათი მსგავსების გამო, დასაშვები უნდა იყოს, მოიპოვება იმის შესაძლებლობა, რომ პირიქით, ტოპონიმ „მცხეთის“ სავარაუდო მნიშვნელობის გათვალისწინების საშუალებით შევეცადოთ ეთნონიმ „მესხის“ ეტიმოლოგიის დადგენას. საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, ადგილის სახელწოდების—„მცხეთის“ წარმომავლობის თაობაზე ქართულ-ზანური ერთობის ხანის „ცისის“ აღმნიშვნელი სიტყვიდან *ʒ$_1$ixe[357]. ეს აზრი მით უფრო დამაჯერებელი ჩანს, რომ ანტიკურ ხანაში ქალაქი მცხეთა ცენტრალური ამიერკავკასიის უმთავრესი ფორტიფიკაციული ცენტრი იყო, ქვეყნის ოთხივე მხარის გზაჯვარედინის ჩამკეტი.[358] ლეონტი მროველის ცნობით, მცხეთაში ოთხი ციხე ყოფილა (ლეონტი მროველი, I, 19, 23). აღსანიშნავია, რომ ქართველთა თვითდასახელება არმაზის ციხის ძველი სახელწოდებიდან — „ქართლისაგან“ არის წარმომდგარი, რომელიც თავის მხრივ სემანტიკურად „შემოზღუდულ, გამაგრებულ ადგილს, ციხე-სიმაგრეს, ქალაქს“ აღნიშნავდა, ხოლო მისა თავდაპირველი მნიშვნელობა, მეგრული „ოქართეს“ მსგავსად, ალბათ

„მოღობილი ადგილი, ბაკი“ უნდა ყოფილიყო.[359] ყურადღებას იპყრობს მცხეთის ბებრის ციხის ძველი სახელწოდება „ბელტის ციხეც“,[360] რომელშიც იქნებ, ციხე-სიმაგრის აღმნიშვნელი არამეული სიტყვა birtā[361] იყოს შემონახული. ეთნონიმ „მოსხის“ ეტიმოლოგიზაციისას, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ეს სახელწოდება ძველ ავტორებს ხშირად აქვთ აღრეული ეთნონიმ „მოსინიკთან“; „წარმომავლობის წიგნის“ მიხედვით, მოსინიკები წარმოშობილნი არიან მოსოხისაგან (Cens., LG, 19, 6), მოსხი || მოსოხენების ბიბლიური მამამთავრისაგან, ხოლო ეპიფანე კვიპრელის ცნობით, მოსინიკური ენა წარმოქმნილა მოსოხისაგან, ბიბლიური გოდოლის აგების შემდგომ ხანაში (Epiph., I, 1, 39, 8). იოსებ ფლავიოსის „იუდაებრივ სიტყუადასაბამობის“ კომენტარში, XVII ს. მეცნიერი ლ. ალაციუსი შენიშნავდა, რომ ზოგიერთების აზრით, მესქინები ხალხია, რომელთაც ძველი ავტორები მოსხებსა და მოსინიკებს უწოდებდნენ[362]. ამ ორი ეთნონიმის, „მოსხისა“ და „მოსინიკის“, აღრევას განსაკუთრებული მნიშვნელობა სატომო სახელ „მოსხის“ ეტიმოლოგიზაციისას, ჩვენთვის, იმის გამო ენიჭება, რომ ტერმინი „მოსინიკი“ (μοσσύνοικοι) ბერძნულად ნიშნავს „ხის კოშკში მცხოვრებს“ და ნაწარმოებია სიტყვიდან μόσσυν— „ხის კოშკი“;[363] ეთნონიმ „მოსინიკის“ მსგავს წარმომავლობაზე ჯერ კიდევ აპოლონიოს როდოსელი მიუთითებდა (Apoll. Rhod., II, 379—381), ხოლო ქსენოფონტი იუწყებოდა, რომ მოსინიკების ბელადი, “მოსინში“ ცხოვრობდა (Xen., Anab., V, IV, 26). თ. ყაუხჩიშვილს საეჭვოდ მიაჩნია, რომ მოსინიკების ქართულ ტომს წმინდა ბერძნული ეტიმოლოგიის სახელი ჰქონოდა შერქმეული, მისი აზრით, ბერძნებს მათთვის ცნობილი სიტყვისათვის უნდა დაეკავშირებინათ ადგილობრივი სახელი, ფონეტიკური (შეიძლება, შემთხვევითი) მსგავსების საფუძველზე.[364] ვფიქრობთ, ძვ. წ. I ს. ავტორის, დიონისიოს ჰალიკარნასელის იმ ცნობის გათვალისწინებით, რომ ხის ხიმინჯიან კოშკისებურ ნაგებობებს თვით მოსინიკები უწოდებდნენ მოსინებს (Dion. Hal., Rom., I, 26), ყურადღებას უნდა იპყრობდეს ეთნონიმი „მოსხი || მესხი“, რომელიც, როგორც ითქვა, შესაძლოა მასთან ახლო მდგომ ტოპონიმ „მცხეთის“ მსგავსად, „ციხის“ აღმნიშვნელ ქართულ-ზანური ერთობის ხანის ფუძეს *$ʒ_1$ixe-ს უკავშირდებოდეს. საინტერესოა, რომ სატომო სახელი „მოსხი“ გვხვდება ტერმინ „მოსინიკთან“ უფრო ახლო მდგომი ფორმითაც — „მოსოხენი || მოსხენი“ —Josephus, Antiq., I, 125; Plin., NH, VI, 28);[365] თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ v-ბგერა ტერმინ „მოსინიკში“ თუ მის წინარე-ფორმაში ჯერ კიდევ ამ სატომო სა-

ხელის ბერძნულ გააზრებამდე გაჩენილიყო, ანალოგიური მოვლენა დასტურდება კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ და სტეფანე ბიზანტიონელის „ეთნიკურ ლექსიკონში“, სადაც ზიგები (ზისები) და ბოხები, შესაბამისად, „ზინხებისა“ და „ბონხების“ (Cl. Ptol., V, VIII, 19; Steph. Byz., s. v. Βόνχαι) სახელწოდებით არიან მოხსენიებულნი.[366] რაც შეეხება მოსხებისა და მოსინიკების გაიგივების შესაძლებლობას, ამას ხელს უშლის თუნდაც ის, რომ ორივე ეს ტომი აქვთ დასახელებული ისეთ ძველ ავტორებს, როგორებიც არიან ჰეკატეოს მილეტელი (Hec., fr., 188, 193) და ჰეროდოტე (Herod., III, 94; VII, 78), მეორე მხრივ, მოსხებისა და მოსინიკების მჭიდრო ურთიერთკავშირზე შესაძლოა მოწმობდეს ის გარემოებაც, რომ თუ ადრეულ ხანებში (ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში) მათი ადგილმდებარეობა ცენტრალური ანატოლიის ჩრდილოეთ ნაწილით განისაზღვრებოდა (იხ. ზემოთ), მოგვიანებით, ორივე ეს ტომი, ისევ ერთმანეთის მეზობლობაში, მაგრამ ამჯერად ბევრად უფრო აღმოსავლეთით მდებარე მხარეებში, აღმოსავლეთ ანატოლიაში და სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიაში ჩანან განსახლებულნი; მხედველობაში გვაქვს, უპირველეს ყოვლისა, სტრაბონის ცნობები. ჰეპტაკომეტების, ადრე მოსინიკებად წოდებულების—სკიდისეს მთასა (Σκυδίσης), ხოლო მოსინიკების—ქსერქსენში (Ξερξήνη, იგივე—დერჯანი) ბინადრობის შესახებ (Strabo, XII, III, 18; XI, XIV, 5), აგრეთვე, მოსხების ქვეყნისა (Μοσχική) და მოსხური მთების (Μοσχικὰ ὄρη) ადგილმდებარეობაზე (Strabo, I, III, 21; XI, II, 1, 15, 17—18; XI, III, 17; XI, XII, 4). მოსინიკებისა და მოსხების აღმოსავლეთანატოლიური ადგილსამყოფელის დადგენას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება სამხრეთ-დასავლეთით ქართველ ტომთა განსახლების საკითხთან დაკავშირებით.

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, სკიდისეს მთის სახელწოდება ბერძნულად გადმოცემული „შკვიდიში“ უნდა იყოს, მეგრული „შკვითის“ („შვიდი“) აღმნიშვნელი, რასაც უნდა მოწმობდეს სტრაბონის ცნობაც, სკიდისეს მთის მწვერვალებზე ჰეპტაკომეტების სახლობის შესახებ (Strabo, XII, III, 18), რომელთა სახელწოდებაც ბერძნულად „შვიდი სოფლის მცხოვრებლებსა“ ნიშნავს.[367] ვინაიდან, „შვიდსოფლელთა“ სახელი თანამედროვე ეპოქამდე შემოინახა ქ. რიზეს მახლობელ მთებში მდებარე სანჯაყის არაბულ სახელში „კურა სება“, რაც არაბულ ენაზე „შვიდ სოფელს“ ნიშნავს, ივ. ჯავახიშვილი შესაძლებლად თვლიდა მასთან გაეიგივებინა ჰეპტაკომეტების საცხოვრისი და მიიჩნევდა, რომ როგორც ბერძნული, ასევე არაბული სახელწოდებები ადგილობრივი სახელის თარგმანი უნ-

და ყოფილიყო, თუმცა, აღნიშნავდა, რომ სტრაბონის დროისათვის ჰეპტაკომეტების მეგრულ-ჭანური ტომი, ანუ „შვიდსოფლელი მოსინიკები“, ხალდ-ხალიბებს სამხრეთისაკენ, მთებში უნდა გაერეკათ[368]; სტრაბონის ცნობით, სომხებმა ხალიბებსა და მოსინიკებს ჩამოაჭრეს მცირე არმენიის მეზობლად მდებარე მხარეები, თუ სულაც მისი შემადგენელი ნაწილი, კარენიტი და ქსერქსენე (Strabo, XI, XIV, 5). პ. ინგოროყვაც „შქვითისის“ მთებად მდ. ჭოროხის ხეობისა და ლაზეთის გამყოფ პარხალის მთების სისტემას (თანამედროვე ლაზისტანის ქედს) მიიჩნევს, რომელიც ჭოროხის ხეობას გასდევს და ჭოროხის შესართავიდან ტრაპიზონის ზონამდე ვრცელდება.[369] მისი აზრით, გარდა არაბული ტოპონიმის „კურა სებას“ აქ ლოკალიზების ფაქტისა, ამასვე მოწმობს ჭოროხის ხეობის ზემო ნაწილში ქსენოფონტის მიერ მოხსენიებული ტომის, სკვითინების სახელწოდების (Σκυθινοί—Xen., Anab., IV, VII, 8; IV, VIII, 1) გაიგივების შესაძლებლობა „შქვითენებთან“, იგივე „შვიდსოფლელებთან“ და სტრაბონის ცნობა, რომ „შვიდსოფლელთა“ (ჰეპტაკომეტთა) ერთი ნაწილი იწოდებოდა ბიწერებად (იგულისხმება ბიძერები—Βύζηρες—Strabo, XII, III, 17), რომლებიც ანტიკური ხანის საისტორიო წყაროების მიხედვით, პარხალის ქედის კალთაზე სახლობდნენ ბიწეს (ვიწეს) ხეობიდან აფსარამდე (თანამედროვე სოფ. სარფი) და რომელთა სატომო სახელიც ბიწეს (ვიწეს) თემის სახელთან არის დაკავშირებული.[370]

მიუხედავად სკიდისეს მთისა და ეთნონიმ „სკვითინების“ ქართველური (მეგრული) ენის საფუძველზე ეტიმოლოგიზაციის დამაჯერებლობისა, სტრაბონის მონაცემების მიხედვით, სკიდისეს მთის ლაზისტანის (პარხალის) ქედთან გაიგივება, ვფიქრობთ, ძნელი უნდა იყოს. სტრაბონის მიხედვით, არმენიას დასავლეთიდან ესაზღვრებიან ტიბარენული ხალხები და აგრეთვე პარიადრესა და სკიდისეს მთები, გადაჭიმულნი მცირე არმენიამდე და მდ. ევფრატის ხეობამდე, რომელიც, თავის მხრივ, არმენიას კაპადოკიისა და კომაგენესაგან გამოჰყოფდა (Strabo, XI, XIV, 1); ეს მთები, მისი თქმით, ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ მცხოვრები ტომების—ტიბარანების, ხალდების, სანების (წინანდელი მაკრონების) მიწებსა და მცირე არმენიას კვეთენ, ამასთანავე, სკიდისეს კლდოვანი მთა კოლხეთის ზემოთ მდებარე მოსხურ მთებს უერთდება, ხოლო პარიადრი სიდენესა და თემისკირასთან მდებარე ადგილებიდან მცირე არმენიამდე ვრცელდება და პონტოს აღმოსავლეთ კიდეს ჰქმნის (Strabo, XII, III, 18); ვინაიდან, კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს“ ცნობით, საზღვარი კაპადოკიასა და დიდ არმენიას შორის,

იმ ადგილიდან სადაც ევფრატი ყველაზე ჩრდილოეთით უხვევს აღმოსა-
ვლეთისაკენ (ე. ი. ქ. ბაიბურთის სამხრეთით), მოსხური მთების ხაზ-
ზე გადიოდა (Cl. Ptol., V, VI, 1; V, XII, 2), ხოლო კოლხეთი სტრაბო-
ნისათვის, საკუთრივ კოლხეთის დაბლობის გარდა, ტრაპეზუნტის
აღმოსავლეთით მდებარე მხარემდე ვრცელდებოდა (Strabo, VII,
IV, 3; XI, II, 14; XII, III, 17, 29)[371], სავარაუდო ხდება, რომ სკი-
დისესა და პარიადრის მთები მდ. ევფრატის ჩრდილო ტოტის— კა-
რასუს დასავლეთით და ტრაპეზუნტის სამხრეთით იყვნენ გადაჭიმუ-
ლნი. რაც შეეხება ლაზისტანის (პარხალის) ქედს, საფიქრებელია,
რომ იგი კოლხეთის მთის სახელით იყო ცნობილი. აღსანიშნავია, რომ
ქსენოფონტის „ანაბასისის" მიხედვითაც თვით ტრაპეზუნტი და მის
დასავლეთით მდებარე მხარეც კოლხეთად იწოდებოდა (Xen., Anab.,
IV, VIII, 22; V, III, 2; შდრ. Diod., XIV, 30, 3). სტრაბონის ცნო-
ბით, კავკასიონი, რომელიც გარს ერტყმის ალბანელებსა და იბერებს
და აღწევს არმენიამდე, უერთდება აგრეთვე მოსხურ და კოლხურ
მთებს, გადაჭიმულებს ე. წ. ტიბარანებამდე, ხოლო ტიბარანები, მი-
სივე მონაცემებით, აღმოსავლეთის მიმართულებით მცირე არმე-
ნიამდე ყოფილან გავრცელებულნი (Strabo, XI, XIV, 1).

საყურადღებოა აგრეთვე, რომ აპოლონიოს როდოსელის „არგონავ-
ტიკის" სქოლიონების მიხედვით, პოემაში მოხსენიებული ამარანტუ-
ლი მთები, საიდანაც მდ. ფასისი მომდინარეობს, კოლხეთშია საგულ-
ვებელი (Schol. ad Apoll. Rhod., II, 399; III, 1220),[372] ხოლო ამ
მდინარეში რომ ჭოროხი უნდა იგულისხმებოდეს, მოწმობს მის შენაკა-
დად ლიკოსის, თანამედროვე მდ. ოლთუს დასახელება; ეს თვალსაჩი-
ნოდ ჩანს აპოლონიოს როდოსელის სიტყვებიდან, რომ მჩქუხარე არაქსს
(არეზს) დაშორებული ლიკოსის წმინდა ტალღები ფასისის დინებას
უერთდებიან და უკვე შემდეგ ორივე ეს მდინარე ერთად კავკასიის ზღვა-
ში ჩაედინება (Apoll. Rhod., IV, 132—135). მდ. ჭოროხის სათავე
ლაზისტანის ქედის გადაღმა (სამხრეთით) მდებარეობს, ალბათ აქ,
და არა მდ. რიონის სათავესთან, უნდა იყოს საძიებელი „არგონავ-
ტიკაში" მოხსენიებული ამარანტული მთები, საიდანაც მდ. ფასისი
იღებდა სათავეს (Apoll. Rhod., II, 399; III, 1220).[373] ცნობა კოლ-
ხეთში ამარანტული მთების არსებობის შესახებ, ჯერ კიდევ ძვ. წ. V ს. მეო-
რე ნახევრის ავტორს კთესიოს კნიდელს ჰქონია (Schol. ad Apoll. Rh-
od., II, 339). იქნებ შესაძლებელი იყოს ტოპონიმ „ამარანტში" აღ-
მოსავლეთანატოლიურ-დასავლეთკავკასიური a-პრეფიქსისა და ეგეო-
სურ-ანატოლიური nth || nd სუფიქსის გამოყოფა[374] და მისი ეთნონიმ
„მართან" (Hec., 192; Herod., III, 94; VII, 79) დაკავშირება, მი-
თუმეტეს, რომ, როგორც აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის"

სქოლიასტი და სტეფანე ბიზანტიონელი აღნიშნავდნენ, არსებობდა ამარანტების ტომი (Schol. ad Apoll. Rhod., III, 1220; Steph. Byz., s.v. 'Αμαραντοί), რომელთა სახელის მიხედვითაც ფასისს ეწოდება ამარანტული ფასისი (იხ. Apoll. Rhod., III, 1220). მარების ტომის საცხოვრისიც. თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი მოსინიკების შემდეგ მოიხსენიებიან ხოლმე (Hec., fr. 192; Herod., III, 94), ხოლო სპარსულ არმიაში მათ და კოლხებს საერთო მხედართმთავარი ჰყოლიათ (Herod., VII, 79), მოსინიკებსა და კოლხებს შორის არის საგულვებელი და არ არის გამორიცხული, რომ მდ. ჭოროხის ზემო წელთან თუ მის მახლობლად ყოფილიყო. რაც შეეხება აპოლონიოს როდოსელის მიერ მდ. ფასისის ქვემო წელზე კირკეს ველის ლოკალიზებას (Apoll. Rhod., II, 400; III, 200; შდრ. Dion. Per., 691—692), რომლის მდებარეობას კოლხეთში ძვ. წ. IV—III სს. ისტორიკოსი ტიმეოსიც იუწყებოდა (Schol. ad Apoll. Rhod., II, 399), ვფიქრობთ, არ არის აუცილებელი მასთან მხოლოდ მდ. რიონის დაბლობი გავაიგივოთ,[375] ეს ტოპონიმი წარმოქმნილი უნდა იყოს ჰომეროსის „ოდისეაში“ მოხსენიებული ჰელიოსის შვილისა და აიეტესის დის, კუნძულ აიას მფლობელი კირკეს (Hom., Od., IX, 32; X, 135—139) სახლისა თუ სიმაგრის—კირკეიონის სახელის (Hom., Od., X, 210, 252) მსგავსი ჟღერადობის მქონე ნებისმიერ კოლხურ ტოპონიმთან მიმსგავსების შედეგად. ამ მხრივ მდ. რიონ-ფასისის მხარეში ყურადღებას იპყრობს ეკრეკტიკის (Cl. Ptol., V, IX, 5), კირკეუმის, კეგრიტიკის (Plin., NH, VI, 13—14) და ეგრისის (ლეონტი მროველი I, 5) სახელები, ხოლო მდ. ჭოროხთან ეკეჭერიელებისა (Ps.-Scyl., 83). გასათვალისწინებელია ალბათ სტრაბონის ცნობაც, რომ ფარნაკიასთან, ტრაპეზუნტთან და მცირე არმენიასთან მცხოვრები ტომების მახლობლად ბინადრობდნენ აპაიტები, უწინდელი კერკიტები (Strabo, XII, III, 18). კირკეს დაბლობის მდ. ჭოროხის ქვემო წელთან შესაძლო ლოკალიზების საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ძველი სომხური წყაროების ეგრი || ეგერის ქვეყანა, რომელზედაც მიმდინარეობდა ჭოროხი, კლარჯეთს რომ გასცილდებოდა და ნიგალის ხეობაში შევიდოდა;[376] სავარაუდოა, რომ ეს ტოპონიმი დღეს შემორჩენილია მდ. ჭოროხის ქვემო წელის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფ. ერგეს სახელწოდებაში (იხ. ვახუშტი, 792). ნ. ადონცის აზრით, სახელწოდება „ეგერი“, ხორხისმიერი გ-ს პალატალურ ჭ-ში ჩვეული გადასვლით, შემონახულია ტერმინ „აჭარაში“[377].

საფიქრებელია, რომ ანტიკურ ხანაში გავრცელებული ცნობა მდ. ფასისის სათავის არმენიის მთებში მდებარეობის შესახებ, ამარანტულ მთებთან კონტამინაციით უნდა იყოს მიღებული,

რასაც გარკვეული პერიოდის პოლიტიკური ვითარება, მდ. ჭოროხის სათავის არმენიის ფარგლებში მოქცევაც შეუწყობდა ხელს. ეს ცვლილება განსაკუთრებით კარგად შეიმჩნევა დიონისიოს პერიეგეტის „მსოფლიოს აღწერილობაში", სადაც, ისევე როგორც აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში", მდ. ფასისის შესახებ ნათქვამია, რომ იგი კირკეს დაბლობზე მიედინება და ევქსინის წყლებს უერთდება („არგონავტიკის" ცნობით — კავკასიის ზღვას), ოღონდ მისი სათავე, განსხვავებით აპოლონიოს როდოსელის პოემის— „ამარანტული მთებისა", არმენიის მთებშია მოთავსებული (Dion. Per., 691—694; შდრ. Apoll. Rhod., II, 399, 1220). დიონისიოსთან რომ მდ. ჭოროხზეა საუბარი და არა მდ. რიონზე, მოწმობს ის გარემოება, რომ მდ. ფასისის ჩრდილო-აღმოსავლეთით ნახსენებია კასპიისა და ევქსინის ზღვებს შორის მდებარე ყელი, რომელზედაც იბერთა აღმოსავლური ტომი ცხოვრობს (Dion. Per., 695—699). ნიშანდობლივია, რომ ძვ. წ. III ს. მეორე ნახევრის ავტორის ერატოსთენეს ტექსტის ფრაგმენტში, რომელიც „არგონავტიკის" სქოლიასტს შემოუნახავს, და რომელშიც პირველად გვხვდება მდ. ფასისის სათავედ არმენიის დასახელება, ხაზგასმულია, რომ არმენიიდან მომდინარე ფასისი ზღვას კოლხეთის მიწაზე უერთდება (Schol. ad Apoll. Rhod., II, 399), ე. ი. უკვე ერატოსთენესათვის არმენია კოლხეთთან ყოფილა დაპირისპირებული, როგორც მდ. ფასისის სათავის მხარე, ნაცვლად სხვა ავტორთა კოლხეთში მდებარე ამარანტული მთებისა. ოღონდ ეს ცვლილება, როგორც უკვე ითქვა, თავდაპირველად არა იმდენად იმ ეპოქის რეალური ვითარების ამსახველი იქნებოდა (ვინაიდან ქართველურ ტომებს ეს ტერიტორია და მისი სამხრეთიდან მიმდებარე მხარეები არაუადრეს ძვ. წ. II ს. დამდეგისა უნდა დაეკარგათ),[378] რამდენადაც იგი „ამარანტულ მთებთან" კონტამინაციის შედეგად იყო აღმოცენებული. არსებული მდგომარეობის გამომხატველად არც სტრაბონის ის ცნობა არის ჩასათვლელი, რომლის მიხედვითაც მდ. რიონ-ფასისი (ამ შემთხვევაში ფასისის რიონთან გაიგივების შესაძლებლობა ეჭვს არ იწვევს) სათავეს არმენიაში იღებს (Strabo, XI, II, 17), თუმცა, იგი სხვა ადგილზე ამავე მდინარის სათავეს მართებულად განსაზღვრავს იბერიის ზემოთ მდებარე მთებით (Strabo, XI, III, 4). შეხედულება მდ. ჭოროხ-ფასისის სათავის არმენიაში მდებარეობის შესახებ, სტრაბონის „გეოგრაფიის" ტექსტში მექანიკურად რომ არის გადატანილი მდ. რიონ-ფასისზე, ვფიქრობთ, ნათელი ხდება პლინიუსის იმ ცნობის გათვალისწინების შედეგად, რომლის მიხედვითაც ფასისი (აქაც უეჭველად რიონი იგულისხმება) მოსხთა ქვეყნიდან მომდინარეობდა (Plin., NH, VI, 12—13), ე. ი. იქიდან, სადაც

მდ. ჭოროხს აქვს სათავე; საკუთრივ ჭოროხი პლინიუსისათვის აბსარის სახელით არის ცნობილი (Plin., NH, VI, 12—13). სტრაბონისა და პლინიუსის ტექსტებში მდ. რიონ-ფასისის სათავის ადგილმდებარეობის განსაზღვრისას დაშვებული აღრევის ერთმანეთთან დაკავშირების შესაძლებლობა მით უფრო სარწმუნო ჩანს, რომ პლინიუსთან მოცემული მდ. რიონ-ფასისის აღწერილობა საკმაოდ უახლოვდება სტრაბონისეულს (შდრ. Plin., NH, VI, 13; Strabo, XI, II, 17; XI, III, 4) და ეს ალბათ ორივე ავტორის მიერ ერთიდაიმავე წყაროს გამოყენებით უნდა აიხსნას.[379] პლინიუსისაგან განსხვავებით, სტრაბონი მდ. ჭოროხსაც ფასისს უწოდებს, ხოლო ეს მდინარე არმენიაში მოქცეულად მხოლოდ ნაწილობრივ, მისი ზემო დინების გათვალისწინებით შეიძლება ჩაითვალოს, ისევე, როგორც მასთან ერთად არმენიაში შემავალად მიჩნეული მდ. ლიკოსი (Strabo, XI, XIV, 7); მდ. ლიკოსში რომ მდ. იეშილ-ირმაკის შენაკადი მდ. კელკითი უნდა იგულისხმებოდეს, და არა მდ. ჭოროხის შენაკადი მდ. ოლთუ, მიუთითებს სტრაბონის ცნობა, იმის თაობაზე, რომ ერასტოსთენეს ეს მდინარე შეცდომით თერმოდონტთან ჰქონია გაიგივებული (Strabo, XI, XIV, 7) და აგრეთვე საკუთრივ მისი ინფორმაცია, ქ. ამასიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ფანარეაში, არმენიიდან გამომდინარე მდ. ლიკოსის შეერთების შესახებ მდ. ირისთან, რომელიც შემდეგ თემისკირაზე მიმდინარე, პონტოში ჩაედინება (Strabo, XII, III, 15). მდ. ჭოროხის არმენიის ფარგლებში მდებარეობის შესაძლებლობას ეწინააღმდეგება კლავდიოს პტოლემაიოსის ცნობაც, რომ მდ. აფსაროსი (ჭოროხი) სათავიდან შესართავამდე კაპადოკიის პონტოს ტერიტორიაზე მიედინებოდა, იქვე ჰქონია სათავე, ამავე მდინარის შენაკადს ლიკოსსაც (Cl. Ptol., V, VI, 6).

პარხალის (ლაზისტანის) მთების სკიდისესთან გაიგივება გარკვეულად ეფუძნება ქსენოფონტის ცნობას, რომ ჰარპასოსის (Ἁρπασος) მიღწევის შემდეგ სკვითინების ქვეყანაში მოხვედრილმა ბერძნებმა მათ ტერიტორიაზე დიდ და მდიდარ ქალაქ გვიმნიასამდე 40 ფარსანგი გაიარეს (Xen. Anab., IV, VII, 18—19); ჰარპასოსი მდ. ჭოროხის ძველი სახელია[380], ხოლო გვიმნიასი, მკვლევართა აზრით, თანამედროვე ქალაქ ბაიბურთის დასავლეთით მდებარეობდა[381]. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ბერძენმა მოქირავნეებმა მდ. ჰარპასოსთან მისვლის შემდეგ, ვიდრე სკვითინების სოფლებს მიაღწევდნენ, 20 ფარსანგი გაიარეს სკვითინების ქვეყნის ვაკეზე (Xen. Anab., IV, VII, 18; Diod., XIV, 29,2), ნათელი გახდება, რომ აქ ნაგულისხმევი არ უნდა იყოს მდ. ჭოროხის შუა დინების მარცხენა, მთაგორიანი და ხევებით დასერილი ნაპირი, რომე-

ლიც ლაზისტანის ქედის სამხრეთ კალთებზე მდებარეობდა. მართალია, ქსენოფონტი მხოლოდ მდ. ჰარპასოსთან მისვლას იუწყებოდა და არა მასზე გადასვლას (Xen., Anab., IV, VII, 18; შდრ. Diod., XIV, 29,1), მაგრამ ანალოგიური ფორმულირება „ანაბასისში" გვხვდება იმ მდინარეთა მიმართაც, რომელთა გადალახვა ბერძენთა მიერ ეჭვს არ იწვევს (Xen., Anab., I, IV, 9—11). უფრო დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ ქსენოფონტი არაფერს ამბობს აღნიშნულ მდინარეზე გადასვლის პროცესის შესახებ, მაშინ, როდესაც ჰარპასოსის სიგანე 4 პლეთრონი, ანუ, დაახლ. 120 მ ყოფილა[392], ხოლო „ანაბასისში" ბევრად უფრო მცირე მდინარეთა გადალახვის პროცესი არის ხოლმე აღწერილი (მაგ. Xen., Anab., IV, III; IV, V, 2). სავარაუდოა, რომ მდ. ჰარპასოსი ადიდებული და ნაპირებიდან გადმოსული იყო თოვლის დნობის შედეგად, რომლის დიდი რაოდენობით მოსვლას ქსენოფონტი ჯერ კიდევ დასავლეთ არმენიაში ყოფნისას იუწყებოდა (Xen., Anab., IV, IV, 7—11; IV, V, 3—6, 35) და, ამდენად, შესაძლოა, მასში ჭოროხის ზემო დინება ყოფილიყო ნაგულისხმევი. არც ის არის გამორიცხული, რომ ჰარპასოსის სახელით ქსენოფონტისათვის ცნობილი ყოფილიყო არა მდ. ჭოროხი, არამედ მისი ერთ-ერთი შენაკადი, მაგალითად, მდ. ოლთუ, ანდა, რომელიმე სხვა მდინარე, თუნდაც კარასუ ან სერჩამი; აღსანიშნავია, რომ ქსენოფონტს ხშირად არასწორად აქვს მოყვანილი აღმოსავლეთ ანატოლიის მდინარეთა სახელები (Xen., Anab. I, IV, 19; IV, I, 3; IV, IV, 3)[393], გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბერძენთა მსვლელობა ტაოხების ქვეყნიდან ხალიბების ქვეყანაში და შემდეგ სკვითინებთან (Xen., Anab., IV, VII), ამ ტომების არა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ განფენის მანიშნებელი უნდა იყოს, არამედ უფრო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მათი განსახლების თანამიმდევრობისა. ამავე დროს, ბერძენი მოქირავე ჯარისკაცების მარშრუტის შორს, აღმოსავლეთისაკენ გადაწევას, რის შესაძლებლობას თითქოს იძლევა გზის განვლილი მანძილების ქსენოფონტისეული აღნუსხვა[394], ხელს უნდა უშლიდეს მათი დასავლეთ არმენიაში მოხვედრის ფაქტი (Xen., Anab., IV, IV, 3—4); თავისთავადაც, ქსენოფონტის მიერ ფარსანგების მიხედვით გაზომილი მანძილის გადაანგარიშებით აღმოსავლეთ ანატოლიაში ბერძენთა მიერ გავლილი გზის დადგენის დიდ სირთულეს მოწმობს სპარსული ზომის ერთეულის—ფარსანგის სიდიდის ცვალებადობა, რომელიც დამოკიდებულია გზაში დახარჯულ დროზე[395]. აღმოსავლეთ ანატოლიაში ქსენოფონტის მიერ ფარსანგში ნავარაუდევი მანძილი მნიშვნელოვნად მცირე უნ-

და ყოფილიყო ჩვეულებრივზე (1 ფარსანგი — დაახლ. 5,5 კმ), ძალზე რთული რელიეფისა და იქ მოსული დიდი თოვლის გამო.

სკვითინების ქვეყნის ადგილმდებარეობის განსაზღვრის შესაძლებლობას, უპირველეს ყოვლისა, უწდა იძლეოდეს მათი, როგორც ჩანს, უმნიშვნელოვანესი და ქვეყნის შუაგულში მოთავსებული ქალაქის, გვიმნიასის მდებარეობა ქ. ტრაპეზუნტის სამხრეთით განლაგებული მთების გადაღმა 5 დღის სავალ მანძილზე (Xen., Anab., IV, VII, 19—20, 24)[386] და, როგორც ფიქრობენ, თანამედროვე ქალაქ ბაიბურთის დასავლეთით. სკვითინების ქვეყნის შუაგულში ქ. გვიმნიასის მდებარეობას მოწმობს ისიც, რომ ბერძენთა მსვლელობის გზაზე, როგორც ამ ქალაქის მიღწევამდე, აგრეთვე, მისი გავლის შემდეგაც, სკვითინების ტერიტორია საკმაოდ დიდ ფართობზე იყო გადაჭიმული (Xen., Anab., IV, VII, 18—27; IV, VIII, 1). საყურადღებოა, რომ ქსენოფონტის ცნობას, ჩრდილოეთის მიმართულებით სკვითინების ტერიტორიის მაკრონების სამფლობელომდე გავრცელების თაობაზე (Xen., Anab., IV, VII, 20—27; IV, VIII, 1), ეხმიანება სტრაბონის ცნობა, რომ ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ მცხოვრებ სანებისა, *რომელთაც უწინ მაკრონები ეწოდებოდათ* (ხაზი ჩვენია — გ. ქ.) და სხვა აქაურ ტომების ქვეყნებს, კვეთდა, პარიადრთან ერთად, სკიდისეს მთა (Strabo, XII, III, 18). ს. ჯანაშია სკიდისედ იმ მთებს მიიჩნევდა, რომლებიც გირესუნ-კერასუნტისა და ტრაბზონ-ტრაპეზუნტის ხაზზე გასდევდნენ შავი ზღვის სანაპიროს[387]. მსგავსი შეხედულება გარკვეულად გამომდინარეობდა მოსხური მთების ლოკალიზაციიდან ტრაპეზუნტ-ბაიბურთის ხაზიდან ჭოროხის ქვემო წელამდე[388], ანუ, ლაზისტანის ქედთან მათი გაიგივებიდან; მაგრამ, მოსხური მთების ჭოროხ-არეზისა და ჭოროხ-მტკვრის წყალგამყოფ მთებად მიჩნევამ (იხ. ქვემოთ) საჭირო გახადა სკიდისეს მთის, რომელიც სტრაბონის სიტყვებით, მოსხურ მთებს კოლხეთის ზემოთ უერთდებოდა (Strabo, XII, III, 18), ადგილმდებარეობის განსაზღვრა მოსხურ მთებთან და ამავე დროს, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მცირე არმენიისა და მდ. ევფრატის ხეობის მახლობლად (შდრ. Strabo, XI, XIV, 1). კლავდიოს პტოლემაიოსის ცნობით, მოსხური მთები მდებარეობდნენ მდ. ევფრატის (კარასუ) ჩრდილოეთით, იმ ადგილას, სადაც ეს მდინარე ყველაზე ჩრდილოეთით უხვევს აღმოსავლეთისკენ (Cl. Ptol., V, VI, 1), ანუ ქ. ბაიბურთის სამხრეთით[389]. სავარაუდო ხდება, რომ სკიდისეს მთა უშუალოდ მოსხური მთების დასავლეთით მდებარეობდა და მას, ჭოროხისა და ევფრატის (კარასუ) წყალგამყოფ, თანამედროვე კოპის ქედის რომელიღაც ნაწილში ესაზღვრებოდა. მდი-

ნარეების ჭოროხისა და კარასუს ზემო წელის მახლობლად სკიდისეს მთის მდებარეობასა და ჰეპტაკომეტების ტომის ბინადრობას მოწმობს სტრაბონის ორი სხვა ცნობის ერთმანეთთან შეჯერებაც. სტრაბონი, ერთი მხრივ აღნიშნავს, რომ სკიდისეს მთის მწვერვალებზე მცხოვრებ ჰეპტაკომეტებს ძველები მოსინიკებს უწოდებდნენ (Strabo, XII, III, 18), ხოლო მეორე მხრივ, იუწყება, რომ არმენებმა ხალიბებსა და მოსინიკებს ჩამოაჭრეს მცირე არმენიის მეზობლად მდებარე, თუ სულაც მასში შემავალი კარენიტი და ქსერქსენე (Strabo, XI, XIV, 5). ეს პროვინციები მდ. ჭოროხის ზემო წელს, მდ. კარასუს ზემო წელსა და მცირე არმენიას შორის მდებარეობდნენ[390]; პლინიუსის ცნობით, კარანიტიდან გამომდინარე ევფრატი (კარასუ) დერზენეზე (იგივე ქსერქსენე) მიედინებოდა (Plin., NH, V, 83). ჰეპტაკომეტებისა და მათთან ერთად სკიდისეს მთის დაშორების საშუალებას ამ რეგიონიდან არც სტრაბონის ინფორმაცია უნდა იძლეოდეს, რომლის მიხედვითაც, ჰეპტაკომეტებმა, მათ მთებში გამავალი, პომპეუსის ჯარის სამი რაზმი (გაბრუებული მომწამვლელი თაფლის ზემოქმედებით) ამოხოცეს (Strabo, XI, III, 18)[391]; ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს, კერძოდ, პლუტარქეს ცნობა, რომ მდ. კარასუს დასავლეთ ნაპირზე ქალაქ დასტეირასთან მითრიდატე ევპატორთან მომხდარი ბრძოლის შემდეგ პომპეუსი თავისი ჯარით მდ. არეზისაკენ წასულა (Plut., Pomp., XXXIII), ეს კი სავარაუდოს ხდის, რომ გზად მას სწორედ ქსერქსენეზე (დერჯანზე) უნდა გაევლო. რამდენადმე მოულოდნელია ჩვენთვის სტრაბონის მიერ გამოთქმული შენიშვნა, რომ ზოგიერთი იმ ბარბაროსთაგან (იგულისხმება ჰეპტაკომეტები) იწოდებოდა აგრეთვე ბიძერებად (Strabo, XII, III, 18); ეს გარემოება, შესაძლოა მეტყველებდეს სკიდისეს ლაზისტანის ქედთან გაიგივების სასარგებლოდ, მაგრამ ვინაიდან, გ. მელიქიშვილის აზრით, ბიძერების ცალკეულ ტომებს, გარდა მათი განსახლების ძირითადი მხარის — ჭოროხის შესართავის მიდამოებისა, სკიდისეს მთიან რაიონშიც უნდა შეეღწიათ[392], ვფიქრობთ, დასაშვები უნდა იყოს ბიძერების შეღწევის ვარაუდი უფრო სამხრეთით მდებარე ქსერქსენეში, და ამასთანავე მათი სახელწოდების კონტამინაციაც ტერმინ ქსერქსენე || დერქსენე, სომხურ დერჯანთან, იმის გათვალისწინებით, რომ სომხური ჯ (ճ) ბერძნულში ძ-დ (ζ) გადმოიცემა[393], ხოლო, ბიძერები ჰეკატეოს მილეტელთან დიძერების (Δίζηρες) სახელწოდებით არიან მოხსენიებულნი (Hec., fr., 190).

აღმოსავლეთ ანატოლიაში ქართველური ტომების გავრცელების საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელობა ენიჭება ხოლმე სტრაბო-

ნის ცნობას, არტაქსიისა და ზარიადრის დროინდელი არმენიის (ძვ. წ. II ს. პირველი ნახევარი) მიერ იბერთაგან, გოგარენასთან ერთად, პარიადრის მთისწინეთისა და ხორძენეს წართმევის თაობაზე (Strabo, XI, XIV, 5)[394]. გამოთქმული იყო განსხვავებული შეხედულებები. სამეცნიერო ლიტერატურაში განსაკუთრებით აღიარებულია ი. მარკვარტის, ჰ. ჰიუბშმანის, ნ. ადონცის და სხვ. მოსაზრება სტრაბონისეული „ხორძენეს" (Χορζηνή—Strabo, XI, XIV, 4—5) ჰიპოთეტური „ხოლარძენესაგან" (Χολαρζηνή) შეკვეცის შედეგად მიღებისა და მდ. ჭოროხის ქვემო დინების აუზში მდებარე ქართულ პროვინცია—კლარჯეთთან (სომხურად—*կղարջք*) მისი გაიგივების შესაძლებლობის შესახებ[395]. ეს მოსაზრება, ძირითადად, ემყარებოდა კლავდიოს პტოლემაიოსის ცნობით არმენიაში შემავალი მხარის—კატარძენეს (Καταρζηνή) სახელწოდების (Cl. Ptol., V, XII, 9) ჰ. კიპერტის მიერ კალარძენედ (Καλαρζηνή) ანუ კლარჯეთად ასევე თვითნებურ შესწორებას[396], რაც თვით ამ ავტორების მიერაც იყო გაზიარებული[397]. შეხედულება ხორძენე-კატარძენესა და კლარჯეთის იგივეობის შესახებ, უფრო მოგვიანებით, ზოგიერთი მეცნიერისათვის იმდენად დამაჯერებელი გამოდგა, რომ მათთვის ეს საკითხი საბოლოოდ გარკვეულად იყო მიჩნეული, კერძოდ, კ. თუმანოვმა თავის თავს უფლება მისცა, ძველი ქართული მატიანეების „კლარჯეთი" თავისი ნაშრომის ინგლისურ ტექსტში „ხოლარძენედ" (Cholarzene) ეთარგმნა[398]. ტერმინ „ხორძენეს" „ხოლარძენედ" შესწორების უსაფუძვლობას, თუნდაც ის ფაქტი უნდა მოწმობდეს, რომ სტრაბონის „გეოგრაფიის" ყველა ხელნაწერში გვხვდება ფორმა „ხორძენე", ხოლო „ხოლარძენე" არც ერთხელ არ არის დადასტურებული, ისევე, როგორც არც კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს" არცერთ ხელნაწერში არ იკითხება ფორმა „კოლარძენე"[399]. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ხორძენე" სტრაბონის ტექსტში ორჯერ გვხვდება და ორივეჯერ ერთნაირი დაწერილობით (Strabo, XI, XIV, 4—5). ამ ტოპონიმის კლარჯეთთან დაკავშირებისას ძირითად არგუმენტს წარმოადგენს სტრაბონის შენიშვნა, რომ „ხორძენე და კამბისენა, არმენიის მხარეთაგან ყველაზე უფრო ჩრდილოეთით მდებარენი და ყველაზე უფრო უხვთოვლიანები, ესაზღვრებიან კავკასიონის მთებს, იბერიასა და კოლხეთს" (Strabo, XI, XIV, 4). მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ მდ. ალაზნის მარჯვენა (სამხრეთ) ნაპირზე მდებარე კამბისენეს (ქართული—კამბეჩოვანი, იგივე ქიზიყი) საკმაო მანძილით დაშორების ფაქტს კავკასიონის მთავარი ქედიდან[400], ნათელი გახდება, რომ სტრაბონის ტექსტში საუბარია მხოლოდ ამ მხარეების მიახლოებით ადგილმდებარეობაზე. მხედ-

ველობაშია მისაღები სტრაბონის ის სიტყვებიც, რომ სამ ნაწილად გაყოფილი „მოსხების ქვეყნის“ ერთი ნაწილი კოლხების მფლობელობაში იყო, მეორე—იბერიელების, ხოლო მესამე—არემენიელების (Strabo, XI, II, 18); საფიქრებელია, რომ უპირველეს ყოვლისა, სწორედ „მოსხების ქვეყნის“ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე კლარჯეთი შეიძლებოდა ყოფილიყო ნაგულისხმევი ამ ქვეყნის კოლხურ და არა არმენულ ნაწილში[401]. ამავე დროს, იბერიისა და კოლხეთის მახლობლად სტრაბონისეული „ხორძენეს“ მდებარეობა საშუალებას არ იძლევა იგი ამავე სახელწოდების მქონე დასავლეთ არმენიის კანტონთან (Խորձէն, Χορζανή, Χορζιανηνή, Κορτζηνή) გავაიგივოთ, რომელიც ჰაშტიანქის ოლქის ჩრდილოეთით, მდ. აღმოსავლეთ ევფრატის (მურატი) შენაკადის გაილ-გეტის (თანამედროვე მდ. კელხასი) შუა წელთან მდებარეობ̈და, ქალაქების კოლაბერდისა და არტალესის სექტორში[402], ანუ ხალიბებისა და მოსინიკებისაგან არმენიელების მიერ მითვისებულ კარენიტსა და ქსერქსენეზე უფრო სამხრეთით, რაც, ცხადია, გამორიცხავს იბერთაგან მისი ჩამოჭრის შესაძლებლობას. კ. თუმანოვის დაკვირვებით, აღნიშნული მხარის სახელწოდება წერილობით წყაროებში ახ. წ. V—VI სს. ადრე არ გვხვდება და, ამიტომ, იგი ფიქრობს, რომ სტრაბონის ტექსტში ანალოგიური სახელწოდების გამოჩენა, თუ შემთხვევით დამთხვევას არა აქვს ადგილი, გადამწერის მიერ ხოლარძენესთან მისი აღრევით უნდა გაჩენილიყო[403], თუმცა, არც იმას გამორიცხავს, რომ ამ ტოპონიმს ზეგავლენა თვით სტრაბონზე მოეხდინა, თუკი იგი უკვე არსებობდა მის ხანაში[404]. როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ ახ. წ. III—IV სს., „შესაქმის წიგნის“ დამუშავებისადმი მიძღვნილ თხზულებებში გვხვდება მსგავსი ჟღერადობის მქონე ეთნონიმები: კორზეინი (LG, 6)[405], კორზინი (Euseb., Chron., I, VI), კორძენოი (Κορζηνοί—Epiph., Agk., 113). ამ სახელწოდების მატარებელი ტომის ბინადრობის ადგილი არ არის გარკვეული და, ვინაიდან ეს ტომი კოლებისა (Κόλλοι) თუ ხოლების (Cholli) შემდეგ მოიხსენიება ხოლმე, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მათში ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, აფხაზეთში მოსახლე კორაქსები (Κόραξοι) და კოლები (Κῶλοι) უნდა იგულისხმებოდნენ (შდრ. Hec., fr. 185—186; Ps.-Scyl., 77—78: Ael. Her., VII, 186, 24; Cl. Ptol., V, VIII, 14; Pomp. Mela, I, 19, 110; Plin., NH, VI, 15; Steph. Byz., s. v. Κῶλοι, Κόραξοι), მაგრამ თუ გავითვალისწინებთ კოლის ძველი ქართული პროვინციის არსებობას[406], საიდანაც მდ. მტკვარი გამოედინება (იხ. ლეონტი მროველი, 1, 24; ვახუშტი, 674—675)[407] და შევუთანაპირებთ ამ ფაქტს პლინიუსის ცნობას, მდ. მტკვრის სათავე-

უბის ჰენიოხურ მთებში მდებარეობის შესახებ, რომელთაც, მისივე სიტყვებით, სხვები კორაქსულს უწოდებენ (Plin., NH, VI, 26, 39; შდრ. V, 99) და რომელთაც კოლის მთებად მიიჩნევენ[408], დაუშვებელი აღარ უნდა ჩანდეს აღნიშნული ეთნონიმების მდ. მტკვრის სათავეების ახლომდებარე მხარეებთან დაკავშირების შესაძლებლობა. ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ კოლი || ხოლები და კორზენ || კორძენები — მედების (მიდიელების), ალბანელების, გარგანების (=გარგარების?), არეების თუ ერეების (=ჰერების?), არმენიელებისა და ამაძონების (= მოსხების?) შემდეგ და ბენე(ა)გინების თუ დენაგების, კაპადოკიელების, გალათების, პაფლაგონიელების, მარიანდინების, ტიბარენსების, ტაბარინების (ტიბარენების), ხალიბებისა თუ ხალირების და მოსინიკების წინ არიან დასახელებული (LG, 6; Euseb., Chron., I, VI; Epiph., Agk., 113), ანუ აღმოსავლეთ და ცენტრალურამიერკავკასიურ და ჩრდილოანატოლიურ ტომებს შორის, რაც კარგად ესადაგება სამხრეთ საქართველოში მათი ლოკალიზების ვარაუდს. აღსანიშნავია, რომ მოსინიკების შემდეგ მოხსენიებული არიან ხოლმე უფრო ჩრდილოეთით, როგორც ჩანს, შავი ზღვის აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და დასავლეთ სანაპიროების გაყოლებით მოსახლე ტომები: კოლხები, მელანკენები თუ მელასხენები (მელანქლაინები), სარმატები, მეოთები, სკვითები, ტავრები თუ ტავრინები, თრაკიელები, ბასტარნები, ილურები და სხვ. (LG, 6; Euseb., Chron., I, VI; Epiph., Agk., 113). ვინაიდან ამ თხზულებებში მოცემული ტომებისა და ქვეყნების ამსახველი სიები რამდენადმე მაინც იცავენ გეოგრაფიულ პერსპექტივას, საფიქრებელი ხდება მათში ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე კოლები და კორაქსები რომ ყოფილიყვნენ ნაგულისხმევი, ისინი კოლხებისა და მელანქლაინების შემდეგ იქნებოდნენ დასახელებულნი (შდრ. Ps.-Scyl, 77–81; Anon., PPE, XLII, 3, 18; და სხვ.).

მნიშვნელოვან გარემოებად ტერმინ „კორაქსისა“ თუ „კორძენის“ მდ. მტკვრის სათავის მხარესთან დაკავშირებისათვის უნდა ჩაითვალოს კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს“ ერთ-ერთ ხელნაწერში ტოპონიმ „კორაძენეს“ (Κοραζηνή) არსებობა, რომელიც ძირითადი ტექსტის „კატარძენეს“ (Καταρζηνή) ენაცვლება (Cl. Ptol., V, XII, 9). ტოპონიმი „კორძენე“, ისევე, როგორც სტრაბონისეული „ხორძენე“, იქნებ თვით სტრაბონის მიერ შემონახულ მდ. მტკვრის (Κῦρος) ძველი სახელწოდებიდან — რომელიც მის დროს უკვე აღარ იხმარებოდა — კოროსიდან (Κόρος — Strabo, XI, III, 2) იყოს ნაწარმოები. ამ ჰიდრონიმიდან მიღებული ფორმა

„კოროსული“, სავარაუდოდ მდ. მტკვრის სათავეებთან მდებარე მთების აღმნიშვნელი, იოლად გადაიქცეოდა პლინიუსის ტექსტში „კორაქსულად“ (Plin., NH, V, 99; VI, 26, 39), ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთელი კორაქსებისა და მათსავე ქვეყნის „კორაქსის მთის (Κόραξ ὄρος — Cl. Ptol., V, VIII, 14, 24) სახელწოდებებთან კონტამინაციის შედეგად. სავარაუდოა ისიც, რომ პლინიუსი სკიდისეს მთას „სკვითურ მთას“ უნდა უწოდებდეს (იხ. Plin., NH, V, 99). თუ ეს ვარაუდი სწორია, მით უფრო სარწმუნო უნდა იყოს, იქვე პლინიუსის ტექსტში, ამავე მთასთან და ანატოლიურ და მცირე კავკასიონის შემადგენელ მთებთან ერთად მოხსენიებული „კორაქსული მთების“ (Plin., NH, V, 99) მდ. მტკვრის სათავესთან მდებარე ანალოგიური სახელწოდების მთებთან გაიგივება (Plin., NH, VI, 26), რაც, თავის მხრივ, პომპონიუს მელას მიერ მსგავს კონტექსტში დასახელებული „კორაქსული მთების“ (Pomp. Mela, I, 19, 109) სამხრეთ კავკასიაში ლოკალიზების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს, მითუმეტეს, რომ მისივე განმარტებით, მდ. მტკვარი (Cyrus), მდ. კამბისთან ერთად, კორაქსული მთების ძირთან იღებს სათავეს (Pomp. Mela, III, 5, 41). საკუთრივ კორაქსიკების (Coraxici) ტომს პომპონიუს მელა მათთკის (კორაქსებისათვის) „ტრადიციულ“ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ათავსებს (Pomp. Mela, I, 19, 110), ეს „შეუსაბამობა“ მის მიერ განსხვავებული წარმომავლობის მქონე წყაროების გამოყენებით უნდა აიხსნას. მდ. მტკვრის სათავის მხარეში კორძენე || ხორძენეს ძიების სისწორეს, შესაძლოა, მოწმობდეს, აგრეთვე, სტრაბონის ცნობა, რომ პონტოსა და კოლხეთს იქით გადასახლებული იბერების ადგილებსა და არმენიას შორის საზღვარი, აპოლოდორეს მიერ მდ. არაქსზე გადებული, სინამდვილეში მდ. მტკვარსა და მოსხურ მთებზე გადადიოდა (Strabo, I, III, 21); რადგან მოცემულ კონტექსტში მდ. არაქსის (არეზის) ზემო წელზე და მდ. მტკვრისაგან მის წყალგამყოფ მოსხურ მთებზეა (იხ. ქვემოთ) საუბარი, ნათელი ხდება, რომ „მტკვარში“ (Κῦρος) ამ მდინარის ზემო წელი უნდა იგულისხმებოდეს. ამასვე უნდა მოწმობდეს ის ფაქტიც, რომ სტრაბონი არმენიაში სათავის მქონე მდ. მტკვრის მხოლოდ იბერიისა და ალბანეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობას იუწყება (Strabo, XI, I, 5; XI, III, 2). თუ ჩვენ დავუშვებდით, რომ ძვ. წ. II ს. შუახანებში მოღვაწე აპოლოდორეს ცნობა, იბერთა სამფლობელოებსა და არმენიას შორის საზღვრის მდ. არაქსზე (არეზი) მდებარეობის შესახებ (Strabo, I, III, 21), არტაქსიისა (არტაშეს I) და ზარიადრის (ზარეჰის) დროინდელი არმენიის მიერ იბერთაგან მიწების მითვისების (Strabo, XI, XIV, 5) წინა ხანის, ანუ

ძვ. წ. II ს. პირველ ნახევარზე უფრო ადრეული მდგომარეობის[409] ამსახველია, მაშინ შესაძლებლობა მოგვეცემოდა გვეფიქრა, რომ სწორედ არტაქსიისა და ზარიადრის დროს წართმეული მიწების, კერძოდ კი, მდ. მტკვრის სათავის მხარეში სავარაუდოდ მდებარე იბერიული პროვინციის — „ხორძენეს“ ხარჯზე უნდა მომხდარიყო არმენიის ტერიტორიის მდ. მტკვრამდე გავრცელება. თავის მხრივ, მდ. მტკვრის იბერიისა და არმენიის მიჯნად მიჩნევა, ხორძენეს ადგილმდებარეობას ამ მდინარის ზემო წელის სამხრეთით უნდა განსაზღვრავდეს[410]. ხორძენესათვის დამახასიათებელი მკაცრყინვებიანი ზამთარიც, რომლის დროსაც სტრაბონის სიტყვებით: „მთების უღელტეხილზე მთელი მგზავრები თოვლში იგუდებიან, რადგანაც დიდძალი თოვლი (თუ დიდი ქარბუქი) იცის ხოლმე... თოვლის გროვები იყინებიან და შიგნით როგორც ქიტონში, ისე ინახავენ კარგ წყალს“ (Strabo, XI, XIV, 4)[411], თითქოს უფრო კოლა-არტაანისა და ყარსის მხარეებისათვის დამახასიათებელ ზამთარს ემსგავსება — დიდძალი თოვლით, ქარბუქებით და მდინარეებისა და ტბების გაყინული ზედაპირით გამორჩეულს, ვიდრე კლარჯეთის, მართალია უხვთოვლიან, მაგრამ თბილ ზამთარს[412].

ხორძენეს მდ. მტკვრის სათავის მხარეში ან მის მახლობლად ლოკალიზაციისათვის გარკვეულ მნიშვნელობას იძენს მასთან გაიგივებული არმენიის პროვინციის—კატარძენეს ადგილმდებარეობის გარკვევა. კლავდიოს პტოლემაიოსის ცნობით: „მდინარეებს ევფრატს, კიროსსა (მტკვარი) და არაქსს (არეზი) შორის მდებარე არმენიის ნაწილში შემდეგი ოლქებია: მოსხურ მთებთან—კატარძენე (ვარიანტი: კორაქსენე), ე. წ. ბოხების ზევით“ (Cl. Ptol., V, XII, 9)[413]. პ. ინგოროყვას შენიშვნით, ვინაიდან, კლავდიოს პტოლემაიოსის ტექსტში საუბარია ევფრატს, მტკვარსა და არაქსს (არეზი) შორის მოთავსებულ არმენიის პროვინციებზე და არა მდ. ჭოროხის ხეობაში მდებარე მხარეზე, უნდა გამოირიცხოს პტოლემაიოსისეულ „კატარძენეში“ კლარჯეთის დანახვის შესაძლებლობა[414], რაც, როგორც ზემოთ ითქვა, ჰ. კიპერტისა და სხვათა ნაშრომებში იყო ნავარაუდევი. „კატარძენეს“ ადგილმდებარეობის დადგენისათვის კლავდიოს პტოლემაიოსი კიდევ ორ განმსაზღვრელს ასახელებს — მოსხურ მთებსა და ბოხების ტომის საცხოვრისს. მოსხური მთები, ისტორიულ წყაროთა მონაცემების მიხედვით, მდინარეების ჭოროხის, მტკვრის, არეზისა და ევფრატის წყალგამყოფ მთათა სისტემას წარმოადგენდა[415], ხოლო ბოხებისა თუ ბონხების კარენიტული ტომის ტერიტორია, რომელსაც ჩვეულებრივ ტაოს სამხრეთით ათავსებენ ხოლმე[416], სტეფანე ბიზანტიონელის „ეთნიკურ ლექსიკონში“ შემონახული რომა-

ელი ისტორიკოსის ასინიუს კვადრატოსის (ხ. წ. II—III სს.) ცნობის მიხედვით, ევფრატსა და მტკვარს შორის მდებარეობდა (Steph. Byz., s. v. Βόνχαι)[417]. ამგვარად, კლავდიოს პტოლემაიოსისა და ასინიუს კვადრატოსის ცნობების შეთანაპირებიდან ნათელი ხდება, რომ „კატარძენე" მდებარეობდა ევფრატის, მტკვრისა და არეზის წყალგამყოფ მოსხურ მთებთან და ევფრატსა და მტკვარს შორის მცხოვრები ბოხების თუ ბონხების ზევით. ვინაიდან, კლავდიოს პტოლემაიოსი კატარძენეს ადგილმდებარეობის განსაზღვრისას მდ. ჭოროხს არ მოიხსენიებს, საფიქრებელია, რომ ეს ოლქი მდ. მტკვრის დასავლეთით კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ სამხრეთით; აგრეთვე, იმის გამო, რომ მდ. ევფრატის (კარასუ) ჩრდილოეთით განლაგებული კარენიტი ბოხებს ეკავათ, ისევე, როგორც ამავე მდინარის სათავეების აღმოსავლეთით მდებარე მიწები[418], კატარძენე მდ. მტკვრის სამხრეთით უფრო უნდა ივარაუდებოდეს. კატარძენეს ლოკალიზაციისათვის მნიშვნელოვან გარემოებად პ. ინგოროყვა ურარტულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში მოხსენიებულ Katarza-ს მხარეს მიიჩნევდა, და, როგორც ჩანს, კატარძენესთან ერთად ამ უკანასკნელსაც მდ. აღმოსავლეთ ევფრატის (მურატი) ხეობაში მდებარე პუნქტ კითარიძთან აკავშირებდა[419]; მაგრამ, კითარიძის—მდ. მურატის ხეობაში, აშთიანქის ოლქში მდებარეობამ[420] და აგრეთვე ურარტული წერილობითი წყაროების ქათარზასათვის მიღებულმა ლოკალიზაციამ — დაახლოებით თანამედროვე სომხური ქალაქის ლენინაკანის მხარეში[421], გამორიცხა მათი ერთმანეთთან დაკავშირების შესაძლებლობა და, ამავე დროს, უფრო სარწმუნო გახადა ურარტულ ქათარზასთან კატარძენეს კავშირი, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, მდ. მტკვრის სამხრეთით უნდა ყოფილიყო. გ. მელიქიშვილიც იზიარებს შეხედულებას, რომ ურარტული „ქათარზა" პტოლემაიოსისეული „კატარძენეს" სახელწოდებით იჩენს თავს და აახლოებს მას სამცხისა და აჭარის შემაერთებელ გოდერძის უღელტეხილის სახელთან[422] და სტრაბონის „ხორძენესთან"; ამავე დროს, მისი აზრით, დასაშვები უნდა იყოს აღნიშნულ ტოპონიმებთან კლარჯების დიდი ეთნიკური ჯგუფის სახელწოდების დაკავშირება, ვინაიდან ქართული ისტორიული წყაროები არ იცნობენ მსგავსი სახელწოდების მქონე სხვა ტომებს ამ რაიონში[423].

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, რაც, ვფიქრობთ, უნდა გამორიცხავდეს ქათარზასა და კატარძენე ‖ ხორძენეს კლარჯეთთან გაიგივების შესაძლებლობას, ამავე საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ტექსტში გამოყენებული ტერმინი „კედარი": „პირველ, ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავ-

ჰნი იგი ლოთის შვილთანი წარიქცინა და შეჴადნა იგინი კედარსა მას ქუეყანასა, იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნ-თურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით, ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი: სარკინე-ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრაჴე, და ციხენი მათნი: ციხჱ დიდი სარკინისაჲ, უფლისციხჱ კასპისა, ურბნისისა და ოძრაჴისაჲ" (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 320). ტერმინ „კედარს" ყურადღება ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია და განმარტა, რომ „ქვეყანა კედრად" მტკვრის ხეობის ის ნაწილი იგულისხმება, რომელშიც ქალაქები სარკინე-ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრაჴე მდებარეობდა, ანუ ზემო ქართლი (იგივე—მესხეთი) და შიდა ქართლი[424]. ივ. ჯავახიშვილის შენიშვნით, კედარი რომ მართლაც გეოგრაფიული სახელია, ეს ფსალმუნის ებრაული დედნის ტექსტიდანაც ჩანს: „ვაჲ მე, რომ ვმწირობ მოსოხთან, ვმკვიდრობ კარებსა თანა კედარისათა" (Ps., 119, 5)[425]; ამასვე უნდა მოწმობდეს თვით „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ტექსტის ფორმულირებაც „...შეჴადნა იგინი კედარსა მას ქუეყანასა", ვინაიდან, თუ „კედარში" ვიგულისხმებთ მაგ. ქართულ სიტყვას „კედაროს", მხარის, კიდის მნიშვნელობის მქონეს[426], ხოლო აქ ქვეყნის კიდის აღმნიშვნელს, სიტყვა „ქვეყანა" იდგებოდა ნათესაობით ბრუნვაში და, შესაბამისად, გვექნებოდა ფორმა: „... კედარ(ო)სა მას ქუეყანისასა". როგორც ცნობილია, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ტექსტში „კედარის ქვეყანა" „ბიბლიური" ლოთის შვილებთან დაკავშირებით არის ნახსენები, ეს კი შესაძლებელია მიგვანიშნებდეს, რომ ავტორი ცდილობდა „ბიბლიაში" არაერთგზის მოხსენიებული „კედარი", რომელსაც ასურეთ-არაბეთის უდაბნოს მნიშვნელოვან მომთაბარე ტომად მიიჩნევენ[427], გაეიგივებინა მტკვრის ხეობის მხარესთან. აღსანიშნავია, რომ ტერმინი „კედართა ქვეყანა" როგორც ამიერკავკასიაში მდებარე მხარე, დასტურდება ფსევდო-კალისთენეს „ალექსანდრეს რომანში" შესულ ახ. წ. VII ს. თხზულებაში „მოთხრობაჲ უცდომელი სუფევისათჳს ნათესავთა და უკანასკნელთა ჟამთათჳს" (Ps.-Callisth., lib., III, 29), რომელსაც ახ. წ. III—IV სს. ავტორს მეთოდიოს პატრელს მიაწერენ და რომელიც აშკარა კავშირშია „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ტექსტთან; ფსევდო-მეთოდიოსის თხზულების მიხედვით, როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა „ჩრდილოეთის მასისი" (არარატი) გადალახა და „კედართა ქვეყანაში" აღმოჩნდა, იხილა უწმინდური ტომი, რომელიც გვამებით იკვებებოდა; იქვე ცხოვრობდნენ თურქები და სომხები, რომელთა დიდი ნაწილი მას ამოუწყვეტია[428]. ბუნ-თურქთა შესახებ „მოქცევაჲ ქართლისაჲ" გვამცნობს: „დაუკჳრდა ალექსანდრე და ცნა, რამეთუ იებოსელთა ნათესავნი იყვნეს, ყოველსა ჴორციელსა ჭამდეს და სამარე მათი არა

იყო, მკდუარსა შეშჳამდეს“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 320). ტერმინ „კედარის“ კავშირს ქართველურ სამყაროსთან, როგორც ითქვა, ფსალმუნის ებრაული დედნის მონაცემებიც ადასტურებენ; ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, ებრაული ტექსტი ცხადყოფს, რომ „კედარი“ სწორედ მოსოხის ე. ი. მესხთა ქვეყნის ადგილთაგანის სახელი ყოფილა[420]. აღნიშნულ ცნობას თუ შევუთანაპირებთ იმ ფაქტს, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ კედარის ქვეყანას მდ. მტკვრის ხეობას უწოდებს (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 320), დასაშვები ხდება, რომ მოსხურ მთებთან მდებარე მტკვრის ზემო წელიც ამავე სახელით ყოფილიყო ცნობილი, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, სავარაუდოა კლავდიოს პტოლემაიოსისეული „კატარძენეს“ ლოკალიზებაც. ამრიგად, საფიქრებელია, რომ კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს“ ტექსტის სხვადასხვა ვარიანტში დამოწმებულ მოსხურ მთებთან მდებარე მხარის აღმნიშვნელად გამოყენებული სახელწოდების ორივე ვარიანტს „კატარძენესაც“ და „კორძენესაც“ საფუძველი ეძებნება მდ. მტკვრის ზემო წელთან თუ მის მახლობელ მხარეში ლოკალიზაციისათვის და თუ დ. მუსხელიშვილი ფორმა „კორძენეს“ ანიჭებს უპირატესობას სტრაბონისეულ „ხორძენესთან“ მისი მსგავსების გამო[430], სახელწოდება „კატარძენესაც“ მოეპოვება ამავე მხარეში პარალელი ურარტული Katarza-სა და, შესაძლოა, აგრეთვე მდ. მტკვრის ხეობის აღმნიშვნელად გამოყენებული „კედარის“ სახით.[431].

კიდევ ერთი სახელწოდება, რომელსაც აიგივებენ ხოლმე ხორძენესთან, ახ. წ. II ს. ბერძენი ისტორიკოსის აპიანეს „მითრიდატეს ომების ისტორიაში“ მოხსენიებული „ხოტენეა“ (App., Mithr., 101)[432]; ფიქრობენ, რომ ამ სახელწოდების „ხორძენესაგან“ მიღება უნდა მომხდარიყო ან ბერძნული პალეოგრაფიის ნიადაგზე τ და ζ ასოების აღრევითა და -ορ- ჯგუფის ω-დ ქცევით ან ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი რ-ს დაკარგვა-გაჩენისა და ძ-ს (ან მონათესავე აფრიკატის) ტ-ით შენაცვლების შედეგად[433]. აპიანეს ცნობით, დამარცხებულმა პონტოს მეფემ—მითრიდატე VI ევპატორმა, თავის ამალასთან ერთად თავი შეაფარა სინორექსის ციხე-სიმაგრეს (იგივე სინორია, ქ. ბაიბურთის სამხრეთით)[434], სადაც მას დიდი თანხა ჰქონია შენახული; აქედან კოლხეთისაკენ მიმავალი მითრიდატე მიიჩქარის მდ. ევფრატის სათავეებისაკენ და ეს მდინარე შეუჩერებლად მიმავალმა მეოთხე დღეს გადალახა; მან სამი დღე მოანდომა თავისი რაზმის მოწესრიგებას და ამის შემდეგ შეიჭრა არმენიის ტერიტორიაზე ხოტენეში, სადაც გაარღვია ისრებითა და შურდულებით შეიარაღებული ხოტენელებისა და იბერების ჯგუფები, რომლებიც მის უკუ-

ქცევას ცდილობდნენ და მდ. აფსაროსთან მივიდა (App., Mithr., 101; შდრ. Plut., Pomp., XXXII). ვინაიდან მითრიდატე თავისი რაზმით მხოლოდ მდ. ევფრატის გადალახვისა და იქ ძალების მოკრეფის შემდეგ შეიჭრა არმენიაში (ხოტენეში), სავარაუდო ხდება, რომ ტერიტორია სანორექსა და მდ. ევფრატის სათავეს შორის, ევფრატისა და ჭოროხის შუამდინარეთში მდებარე არმენიის კი არა, არამედ პონტოს შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო მოქცეული; შესაძლოა, ამასვე მოწმობდეს კლავდიოს პტოლემაიოსის ცნობა, რომ მდ. აფსაროსსა და მის შენაკადს მდ. ლიკოსს სათავე კაპადოკიის პონტოში ჰქონდა (Cl. Ptol., V, VI, 6)[435]. რამდენადმე მოულოდნელია მითრიდატეს მიერ ევფრატის დინების გადალახვა, მაშინ როდესაც მას შეეძლო ევფრატის (კარასუ) სათავის აყოლებითა და ე. წ. გურჯი-ბოღაზის გავლით თორთომის ხეობაში შესვლა. მაგრამ, თუ აპიანესეულ ევფრატში ამ მდინარის მარჯვენა შენაკადი მდ. სერჩამი არ იგულისხმება, რომლის სათავეც მდ. ჭოროხის სათავის მახლობლად მდებარეობს, უნდა ვიფიქროთ, რომ ევფრატის გადალახვის შემდეგ მითრიდატე ჯერ აღმოსავლეთისკენ უნდა წასულიყო, დაახლოებით თანამედროვე ქ. პასინლერის მახლობლად ჩრდილოეთისკენ უნდა გადაეხვია და მდ. ოლთისისწყლის სათავისკენ (თანამედროვე მდ. სივრიდერე) გასულიყო. თუმცა, როგორიც არ უნდა ყოფილიყო მითრიდატეს მარშრუტი, აშკარაა, რომ მას ტაოზე უნდა გაევლო და რომ სწორედ ტაოში მასთან შებრძოლებული მოსახლეობა უნდა იგულისხმებოდეს აპიანესთან ნახსენებ ხოტენელებსა და იბერებში.

ტერმინ „ხოტენეს", რომელშიც ხოტ-ფუძე გამოიყოფა, ტ>ჲ ფონეტიკური კანონზომიერების შედეგად, შეეძლო მოეცა ფორმა „ხოჲ"[436]. აღსანიშნავია, რომ დიოდორე სიცილიელის „ბიბლიოთეკაში" გვხვდება ეთნონიმი „ხაოჲ" (Χάοι), გამოყენებული ქსენოფონტის „ანაბასისის" „ტაოხების" (Τάοχοι) ნაცვლად (Diod., XIV, 29; Xen., Anab., IV, VII, 1, 18). ამ ორი ეთნონიმის გაიგივების საწინააღმდეგოდ გამოთქმულია ეჭვი, რომ „ხაოჲ" „ტაოხოჲ"-ს შერყვნილ ფორმას უნდა წარმოადგენდეს, აღმოცენებულს გადამწერთა შეცდომის შედეგად[437], მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჰეკატეოს მილეტელს მოხსენიებული ჰყავს „ხოჲების" (Χοῖ) ტომი (Hec., fr. 190), რომელთა საცხოვრისიც ტაოს მახლობლად უნდა ყოფილიყო, ფორმების ხაოჲ || ხოჲს და ტაოხის ერთიდაიმავე ტომის აღსანიშნავად გამოყენება დასაშვები უნდა ჩანდეს. სტეფანე ბიზანტიონელის „ეთნიკურ ლექსიკონში" შემონახული ჰეკატეოს მილეტელის ცნობის თანახმად, ხოჲები ბექეირიკას (Βεχειρική) მეზობლად ცხოვრობდნენ და მათ აღმოსავლეთიდან დიძერები ესაზღვრებოდნენ (St.

Byz., s. v. Χοῖ., Hec., fr. 190). ფსევდო-სკილაქსის მიხედვით, ბიძერებსა და ბექეირებს (Βεχειροι) შორის ცხოვრობდა ეკექეირიების ტომი (Ps.-Scyl., 83 — 84), რომელსაც პ. ინგოროყვა ჰეკატე მილეტელის „ხოდებთან" აიგივებს[438]. ეკექეირების ტერიტორიაზე დასახელებულია მდინარეები პორდანისი და არაბისი, ქალაქი ლიმნე და ელინური ქალაქი ოდეინიოსი (Ps.-Scyl, 83). ახ. წ. V ს. ანონიმური „პერიპლუსის" განმარტებით, ეკქეირიებად (Ἐχχειριεῖς) წოდებულ ტომს წინათ უცხოვრია მდინარე არქაბისიდან მდინარე ოფიუნტამდე, სადაც უკვე მაქელონები და ჰენიოხები ცხოვრობდნენ (Anon., PPE, XLII, 1); იგულისხმება ლაზისტანის ქედსა და შავ ზღვას შორის მდებარე მხარე. ნ. ლომოურის ვარაუდით, ეკექეირიების ტერიტორია მდ. აბო-ვიწედან (ფურტუნა-სუ) ქ. რიზეს აღმოსავლეთით მდებარე მიდამოებამდე ვრცელდებოდა[439]. თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ ხოდებსა და ბექეირებს ლაზისტანის ქედის გადაღმაც ეკავათ მიწები, შესაძლებელი გახდებოდა მათი დაკავშირება, შესაბამისად, ხაოდ-ტაოხებთან და ბოხებთან[440].

იმ გარემოებას, რომ აპიანეს თხზულების ტექსტში იბერები მდ. ევფრატის სათავის მახლობელ მხარეში ხოტენელებთან ერთად შემთხვევით ან შეცდომით არ უნდა იყვნენ დასახელებულნი, მოწმობს აპიანეს მიერ იქვე მოცემული იბერთა ვინაობის საკმაოდ ვრცელი განმარტება, რომ „ზოგიერთების მიხედვით აზიის იბერები ევროპის იბერების წინაპრები არიან, ხოლო სხვები პირიქით, ფიქრობენ, რომ პირველები უკანასკნელთა ემიგრანტები არიან, კიდევ სხვათა აზრით, მათ მხოლოდ ერთნაირი სახელწოდება აქვთ, რადგან არც ჩვეულებები და არც ენა არა აქვთ მსგავსი" (App., Mithr.. 101). ხოტენესა და იბერთა ურთიერთკავშირზე შესაძლოა მიუთითებდეს იოსებ ფლავიუსის ცნობა დამარცხებული მითრიდატეს იბერიაში გაქცევის შესახებ (Josephus, Antiq., XIII, 16, 4)[441]. აპიანესა და იოსებ ფლავიუსის ცნობათა შეთანაპირება, თითქოს, ხოტენეს ტერიტორიის იბერებისადმი კუთვნილებას უნდა მოწმობდეს, ხოლო ამ მხარის აპიანეს მიერ არმენიად დასახელება, როგორც ჩანს, უკავშირდება ძვ. წ. II ს. პირველ ნახევარში არმენიელების მიერ იბერთაგან მიწების წართმევის ფაქტს (Strabo, XI, XIV, 5); დ. მუსხელიშვილის შეხედულებით, ის გარემოება, რომ „ხოტენეს არმენია" ფაქტიურად იბერიის პროვინცია იყო, მოწმობს ხოტენე ‖ ხორძენეს იგივეობას[442]; მართალია, დ. მუსხელიშვილმა, ჩვენი აზრით, სავსებით სწორად განსაზღვრა, რომ სტრაბონთან დასახელებულ „მოსხების ქვეყნის" არმენულ ნაწილში (Strabo, XI, II, 18) არმენიელების მიერ იბერთაგან ჩამორთმეული მიწები უნდა იგულისხმებოდეს (Strabo, XI,

XIV, 5) და რომ ეს მიწები ტაო, სპერი და კოლაა, მაგრამ, მანვე, იმის გათვალისწინებით, რომ ხორძენე—კოლას უნდა აღნიშნავდეს, ხოლო ხოტენე—ტაოს, ამ ორი სახელწოდების (ხორძენესი და ხოტენეს) იდენტურობის შესახებ არსებული მოსაზრების გაზიარების შედეგად, გამოთქვა ვარაუდი, ხორძენე || ხოტენეში, როგორც ჭოროხის, ასევე მტკვრის სათავეების მდებარეობის თაობაზე და ერთიდაიმავე პროვინციად—ხორძენ-ხოტენედ, ერთდროულად კოლაც მიიჩნია და ტაოც[443]. ერთიან ცნებად წარმოდგენილ ხორძენე || ხოტენეს (რადგან ეს უკანასკნელი პირველის დამახინჯებულ ფორმად განიხილება) ერთდროულად ვრცელი ტერიტორიის გაერთიანება რომ შესძლებოდა, რომელშიც მოქცეული იქნებოდა ორი ისეთი განსხვავებული მხარე, როგორიც ტაო და კოლაა, ერთმანეთისაგან დაშორებული ჭოროხისა და მტკვრის წყალგამყოფი არსიანის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთი განშტოებით სოღანლუღის ქედით, იგი საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური წარმონაქმნი უნდა ყოფილიყო, რისი არავითარი ნიშანიც არ მოგვეპოვება. ვინაიდან, ტერმინები „ხორძენეც" და „ხოტენეც" მხოლოდ ერთი, ცალკეული მხარის სახელწოდებებად ჩანან და რადგანაც ორივე მათგანის ადგილმდებარეობის დადგენა ხერხდება, პირველის — მდ. მტკვრის სათავეების მხარეში, ხოლო მეორისა — ტაოს ტერიტორიაზე, მათი გაიგივება, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს მართებული. რაც შეეხება შეხედულებას, ხორძენეს დაკავშირების შესაძლებლობაზე ტაოსთან—ჭოროხისა და მტკვრის სათავეებითურთ, რასაც თითქოს იქვე დამოწმებული ტოპონიმი „ხორზიანის ველიც" მეტყველებს[444], იგი ალბათ უნდა გავიგოთ, როგორც ხორძენეს მდებარეობის გამომხატველი, კონკრეტულად—მდ. მტკვრის სათავეების მხარეში; ს. ჯანაშიას ცნობით, ტოპონიმი „ხორზიანის ველი", რომელიც მისი აზრით, შესაძლოა „ხორძენეს" ისტორიული გამოძახილი იყოს, მდებარეობდა ქ. არტაანის სამხრეთით, არტაან-ოლთისის გზატკეცილიდან აღმოსავლეთით, მდ. მტკვრის მარჯვენა სათავის ხეობაში[445], ანუ, კოლაში. დამთხვევა იბერებთან დაკავშირებულ, აპიანესეულ „ხოტენეს" არმენიის ნაწილად მიჩნევასა და სტრაბონისეულ „ხორძენეს" არმენიელების მიერ სწორედ იბერთაგან მითვისებას შორის (App., Mithr., 101; Strabo, XI, XIV, 5)[446], საფიქრებელია, რომ უნდა აიხსნას არმენიელების მიერ იბერთაგან ხორძენესთან ერთად აგრეთვე პარიადრის მთისწინეთის ჩამოჭრის შესახებ არსებული ცნობის საფუძველზე (Strabo, XI, XIV, 5), რომელშიც, როგორც ჩანს, სწორედ ტაო (ანუ ხოტენე) უნდა ყოფილიყო ძირითადად ნაგულისხმევი.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ სტრაბონის ცნობების ურთიერთშეთანაპირება ცხადყოფს, რომ პარიადრი ზოგადად სკიდისესაც ეწოდება[447]. როგორც ჩანს, ეს მართლაც ასე უნდა იყოს, ოღონდ, ამ მთებში უპირატესად, არა გიუმიუშჰანეს, ტრაპზონის და ლაზისტანის ქედები უნდა იგულისხმებოდეს[448], არამედ, ევფრატისა და ჭოროხის წყალგამყოფი კოპის ქედი. ამ ქედთან, თუ მის ნაწილთან, სკიდისეს გაიგივების შესაძლებლობას ზემოთ აღვნიშნავდით, ხოლო პარიადრის გავრცელებას ამავე მხარეში მოწმობს სტრაბონის ცნობა, რომ მცირე არმენიის ტერიტორიაზე პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორმა 75 ციხე-სიმაგრე ააგო, სადაც თავისი სიმდიდრის დიდი ნაწილი მოათავსა. ამ ციხე-სიმაგრეთაგან ყველაზე ცნობილნი ყოფილან ჰიდარა, ბასგოიდარიძა და დიდი არმენიის საზღვარზე მდებარე სინორია (აპიანესეული—სინორექსი); აქ, პარიადრის მთიანეთში ციხე-სიმაგრეების აგება გამოწვეული ყოფილა ამისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების არსებობით და პონტოს სამეფოს სწორედ ამ შორეულ ნაწილში შეუფარებია თავი მითრიდატეს, როდესაც მის ქვეყანას პომპეუსის ჯარი შესევია (Strabo, XII, III, 28; შდრ. App., Mithr., 101). პარიადრი აღმოსავლეთით მცირე არმენიამდე რომ ვრცელდებოდა, სტრაბონს სხვა ადგილასაც აქვს აღნიშნული (Strabo, XII, III, 18), მაგრამ იბერებისაგან არმენიელების მიერ ჩამოჭრილ პარიადრის მთისწინეთში (Strabo, XI, XIV, 5), რა თქმა უნდა არა სიდენედან (Σιδήνη) მცირე არმენიამდე გადაჭიმული მთის ქედი იგულისხმება, არამედ მის აღმოსავლეთით მდებარე მხარე. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს თვით სტრაბონის ცნობა, რომ „ევფრატის იქითა მხარეს (აღმოსავლეთით—გ. ქ.), მცირე არმენიის მახლობლად, ანტიტავროსის გადაღმა ჩრდილოეთისკენ, გადაჭიმულია დიდი მთა მრავალი განშტოებებით, რომელთაგან ერთს ეწოდება პარიადრი, მეორეს—მოსხური მთები, მესამეს—სხვადასხვა სახელები აქვს; ამ მთებით არის გარშემორტყმული მთელი არმენია იბერებამდე და ალბანელებამდე“ (Strabo, XI, XII, 4). ევფრატ-ჭოროხის შუამდინარეთში პარიადრის ლოკალიზების შესაძლებლობას ეხმიანება პლინიუსის ცნობა დიდი არმენიის პარიჰედრის მთებიდან (Parihedris montibus) დაწყების თაობაზე; მისი სიტყვებით, დიდი არმენია გამოიყოფა პონტოში ჩამდინარე მდ. აფსაროსით და პარიჰედრის მთებით, რომელთა წიაღიდანაც გამოედინება ეს მდინარე (Plin., NH, VI, 25). ვინაიდან მდ. აფსაროსი იგივე ჭოროხია, ცხადია, პარიჰედრის მთებში — მდ. ჭოროხის სათავეების მხარეში მდ-

ეზარე მთები უნდა იგულისხმებოდეს. კ. თუმანოვის განმარტებით, პლინიუსისეული პარიჰედრის მთები წარმოადგენენ მდ. აკამფსისის (ჭოროხი) მიერ პონტოს ალპების უკიდურესი აღმოსავლური სექტორისაგან (ლაზისტანის ქედი) გამოყოფილ მაღლობს, სადაც თვით აკამფსისი და აგრეთვე ევფრატი იღებენ სათავეს და რომელიც ჩრდილოეთით მცირე კავკასიონამდე ვრცელდება, ხოლო სამხრეთით ევფრატისა და არაქსის (არეზი) წყალგამყოფია;[449] ე. ი. მას პარიჰედრის მთებად მხედველობაში ჰქონია ე. წ. მოსხური მთები (იხ. ქვემოთ). მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ კ. თუმანოვი პლინიუსის პარიჰედრიისის მთებს—პარიადრის მთებად მიიჩნევს, ამავე დროს, სტრაბონის მონაცემებზე დაყრდნობით (Strabo, XI, II, 15; XI, XIV, 1; XII, III, 30) ცდილობს პონტოს ალპების ზოგიერთ აღმოსავლურ განშტოებასაც, რომელშიც, როგორც ირკვევა, იგი ლაზისტანის ქედს გულისხმობს[450], მიაკუთვნოს პარიადრის (Παρυάδρης) სახელი[451]. მაგრამ, პირველ რიგში, სწორედ სტრაბონის ცნობები არ იძლევა ქ. ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით მდებარე ლაზისტანის ქედის პარიადრთან გაიგივების შესაძლებლობას. სტრაბონის მიხედვით, „კავკასიონის ტოტები მიემართება სამხრეთისაკენ და ისინი არა მარტო მოიცავენ იბერიის შუაგულს, არამედ ერთვიან არმენულ და ე. წ. მოსხურ მთებს და აგრეთვე, სკიდისესა და პარიადრს. ყველა ეს მთები ტავროსის ნაწილები არიან, რომელიც არმენიის სამხრეთ კიდეს ქმნის; ტავროსისაგან ისინი როგორღაც მოწყვეტილი არიან ჩრდილოეთისკენ და გრძელდებიან კავკასიონამდე და ევქსინის სანაპიროს იმ ნაწილამდე, რომელიც კოლხეთიდან თემისკირამდე ვრცელდება“ (Strabo, XI, II, 15). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კოლხეთი სტრაბონისათვის დასავლეთის მიმართულებით ქ. ტრაპეზუნტამდე აღწევს, ხოლო პარიადრი უნდა იგულისხმებოდეს იმ მთაში, რომელიც ევქსინის სანაპიროს მოიცავს კოლხეთიდან თემისკირამდე (შდრ. Strabo, VII, IV, 3; XI, II, 14; XII, III, 17, 18, 29). არც სტრაბონის ის სიტყვები უნდა იძლეოდნენ განსხვავებული დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ „კავკასიონი გარს არტყია ალბანელებსა და იბერებს და ემიჯნება არმენიას, აგრეთვე მოსხებისა და კოლხების მთებს ე. წ. ტიბარენებამდე“ და რომ „დასავლეთისკენაც არიან ეს ტომები (ტიბარენული ტომები—გ. ქ.) და პარიადრე და სკიდისე მცირე არმენიამდე და ევფრატის ხეობამდე, რომელიც გამოყოფს არმენიას კაპადოკიისაგან და კომაგენესაგან“ (Strabo, XI, XIV, 1), ვინაიდან, ტიბარენული ტომები, პარიადრე და სკიდისე, მცირე არმენიამდე და ევფრატის ხეობამდე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და არა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ვრცელდებოდნენ (შდრ. Strabo, XII, III, 18,

29). ეს მკაფიოდ ჩანს სტრაბონის იმ ცნობაშიც, რომ „ფარნაკიის მომიჯნავე სიდენესა და თემისკირის ზემოთ (იგულისხმება სამხრეთით—გ. ქ.) მდებარე ფანარეას (Φανάροια) ველს, რომლის შუაგულში ერთმანეთს უერთდებიან არმენიიდან მომდინარე ლიკოსი და ამასიასთან მდებარე ვიწრობებიდან გამოსული ირისი, აღმოსავლეთის მხრიდან ზღუდავს მისივე პარალელურად გადაჭიმული პარიადრი, ხოლო დასავლეთიდან—ლითროსისა და ოფლიმოსის მთები" (Strabo, XII, III, 30; შდრ. XII, III, 15). აქ ფანარეას ველში—ქ. ამასიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ველი, ხოლო პარიადრში—თანამედროვე ჯანიკის ქედის აღმოსავლეთის სექტორი იგულისხმება. ამგვარად, როგორც ვხედავთ, სტრაბონის ზემოთ მოყვანილი ცნობების პარიადრში ის მთები უნდა იგულისხმებოდეს, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროს გასდევენ ქ. ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით მდებარე კოლხეთიდან თემისკირა-სიდენემდე და რომლებიც აღმოსავლეთის მიმართულებით სკიდისესთან ერთად ვრცელდებოდნენ მცირე არმენიამდე და, კაპადოკიისაგან და კომაგენესაგან არმენიის გამომყოფ, ევფრატის ხეობამდე და რომელსაც არაფერი არ უნდა ჰქონდეს საერთო პონტოს ალპების აღმოსავლეთ ნაწილთან—ლაზისტანის ქედთან; შესაბამისად, სტრაბონთან სხვა ადგილას მოხსენიებულ არმენიელების მიერ იბერთაგან წართმეულ პარიადრის მთისწინეთში არა ლაზისტანის ქედთან მდებარე მხარე უნდა იგულისხმებოდეს, არამედ, მდ. ჭოროხის სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მიწები, პლინიუსისეული პარიჰედრის მთების (Plin., NH, VI, 25) შესატყვისი, იგივე ქართული პროვინცია—ტაო. აღსანიშნავია, რომ კ. თუმანოვი ქართული და სომხური ისტორიული წყაროების მონაცემების გათვალისწინებით ცდილობდა ისტორიულ მხარის—პარხალის სახელწოდება მდ. ჭოროხის შუა დინების აღმოსავლეთით მდებარე ტაოსათვის მიესადაგებინა[452], როგორც ჩანს, პლინიუსის პარიჰედრის მთების ლოკალიზაციის გავლენით და მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ პარხალი, ძირითადად, ჭოროხის მარცხენა ნაპირსა და ლაზისტანის ქედს (იგივე პარხალ დაღი) შორის მდებარეობდა[453]. „პარიადრის მთების" სახელწოდებასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს მდ. ოლთისისწყლის (თანამედროვე სივრიდერე) ერთ-ერთი ძველი სახელწოდება „ბოლხა"[454], თავის მხრივ, როგორც ჩანს, დაკავშირებული მდინარეების ოლთისისწყალსა და არეზს შორის მოსახლე ბოლხების, ბოლხარების, ბოხაელებისა თუ ბოხების[455] სატომო სახელთან. ამგვარად, პარიადრის მთების სახელწოდებით, გარდა ჯანიკის, გირესუნისა და გიუმიუშჰანეს ქედებისა, ზოგიერთი მონა-

ცემის მიხედვით, ცნობილი იყო მდ. ჭოროხის სამხრეთით მდებარე კოპისა და ჭოროხის ქედებიც.

პარიადრის მთების სახელწოდებას, საფიქრებელია, ატარებდა აგრეთვე გოგარენეს (სომხური გუგარქი) სამხრეთით, სევანის ტბის ჩრდილოეთ ნაწილის დასავლეთით მდებარე ბამბაკის ქედი. კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს“ მიხედვით, პარიადრის მთის გაყოლებით მდებარეობდნენ სირაკენე და საკასენე (Cl. Ptol., V, XII, 9). სირაკენე, ცხადია, შირაქია, ხოლო საკასენე, რომელიც სტრაბონის მიხედვით ალბანეთსა და მტკვარს ესაზღვრებოდა და გოგარენეს მახლობლად იყო მოთავსებული (Strabo, XI, XIV, 4), გეიანდელი შაკაშენეა[456]. ამავე საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს პლინიუსის ცნობა თასიისა (Thasie) და თრიარის (Thriare), ანუ ტაშირისა და თრიალეთის[457], იბერული ოლქების მდებარეობის შესახებ პარიჰედროს მთებამდე (Parihedros monte.—Plin., NH, VI, 29). პარიჰედროს მთებში აქ ბამბაკის ქედი რომ უნდა იგულისხმებოდეს,[458] მოწმობს ალბანეთისა და იბერიის აღწერისადმი მიძღვნილ პლინიუსის თხზულების მოყვანილ პარაგრაფში ამ მთების ცალი გვერდის კავკასიონის ქედის აღმოსავლეთ ნაწილის შემადგენელი კერავნული მთების საპირისპირო მხარეს განლაგება, მტკვრის (Cyrum) შენაკადის მდ. იბერის (გაიგივებულია იორთან) ქვემოთ საკასენების (Sacasani) დასახელება და, აგრეთვე, ალბანეთის საზღვრებიდან დაწყებული კავკასიონის ფერდობებზე მცხოვრები სილვების, ლუპენების (Lupeniorum), დიდურებისა და სოდების მოხსენიება, რომელთა გადაღმაც „კავკასიონის კარი“ ყოფილა მოთავსებული, პლინიუსის განმარტებით, ზოგიერთის მიერ შეცდომით „კასპიურად“ წოდებული (Plin., NH,VI, 29—30)[459]. თუმცა, გასათვალისწინებელი იქნებ ისიც იყოს, რომ განსხვავებით აფსაროსისაგან არმენიის გამომყოფი პარიჰედრის მთებისა (Plin., NH, VI, 25), ამ შემთხვევაში პლინიუსი რამდენადმე განსხვავებულ ფორმას—პარიჰედროს მთებს ხმარობს (Parihedros montes—Plin., NH, VI, 29). მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ნაკლებად დამაჯერებელია, რომ სტრაბონის ცნობის, არმენიელების მიერ იბერთაგან წართმეულ, პარიადრეს მთიანეთში (Strabo, XI, XIV, 5) ბამბაკის ქედი ყოფილიყო ნაგულისხმევი, ვინაიდან, საკუთრივ სტრაბონთან სახელწოდება „პარიადრით“ ეს მთები არ არის ცნობილი; ამავე დროს, ყურადღებას იპყრობს მისივე ცნობა, რომ იმ მთის განშტოებებს შორის, რომლებიც არმენიას ჩრდილოეთიდან შემოფარგლავენ ევფრატის გადაღმა და მცირე არმენიის მახლობლად მდებარე მხარიდან იბერიელებამდე და ალბანელებამდე, ერთს ეწოდება

პარიადრი, მეორეს—მოსხური მთები, ხოლო მესამეს სხვადასხვა სახელები აქვს (Strabo, XI, XII, 4). ეს მთები ჭოროხ-ევფრატისა და მტკვარ-არეზის შუამდინარეთში არიან ლოკალიზებული, პარიადრი და მოსხური მთები არმენიას ჩრდილო-დასავლეთიდან შემოფარგლავდნენ, ხოლო ის მთა, რომელსაც სხვადასხვა სახელები ჰქონდა, სავარაუდოა, რომ არმენიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა და, შესაბამისად, ალბანელებამდეც აღწევდა; სწორედ იგი უნდა ყოფილიყო ბამბაკის ქედი. სტრაბონის სიტყვები, რომ ამ მთას „სხვადასხვა სახელები აქვს", ალბათ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მისთვის ცნობილი იქნებოდა ამ მთის სახელი „პარიადრი" (შდრ. Cl. Ptol., V, XII, 9). ბამბაკის ქედს „პარიადრის" სახელწოდებით სტრაბონი თუნდაც იმის გამო ვერ მოიხსენიებდა, რომ იმავე წინადადებაში ამ სახელს უწოდებდა მცირე არმენიისა და ევფრატის ზემო წელის მახლობლად მდებარე მთებს (Strabo, XI, XII, 4). ის გარემოება, რომ ტაშირი იბერიის ფარგლებში იყო მოქცეული (Plin., NH, VI, 29), მოწმობს, რომ ბამბაკის ქედზე უნდა გასულიყო არმენიის ჩრდილოეთის საზღვარი.

რაც შეეხება სტრაბონის განმარტებას, რომ არმენიელებმა იბერებისაგან მიითვისეს გოგარენე, რომელიც მდ. მტკვრის გაღმა მდებარეობდა, იგი უნდა გავიგოთ არა როგორც გოგარენეს მდებარეობის გამომხატველი მდ. მტკვრის ან თუნდაც მდ. ჯავახეთის მტკვრის (იგივე ფარავანი), სამხრეთ ნაპირზე[400], არამედ კოლა-არტაანში მიმდინარე მტკვრის აღმოსავლეთით, რაც, რა თქმა უნდა, გამორიცხავს გოგარენეში არა მარტო კლარჯეთის, არამედ შავშეთისა და კოლა-არტაანის გარკვეული ნაწილის მოქცევის შესაძლებლობას. როგორც ცნობილია, VII ს. სომხური გეოგრაფიის „აშხარჰაცუიცის" მიხედვით, კლარჯეთი (*կաղարջիք*) გუგარქის (გოგარენეს) შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა.[401]

აღმოსავლეთ ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხის გარკვევისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს ანტიკური ხანის წერილობით წყაროებში ხშირად ნახსენები მოსხური მთების ლოკალიზაციას. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, დევაბოინუს, ირიჯლუსის, ყალნუს, თორთომის, შიფაქლუსა და ისპირის მთები, მოსხის, ანუ მესხის მთაა (ვახუშტი, 658, 2; 687, 1). მოსხური მთების ადგილმდებარეობის განსაზღვრისას ვახუშტის ანტიკური ხანის წყაროებიც ჰქონია გამოყენებული, იგი შენიშნავს, რომ კრებითი სახელი „მოსხი", ქვეყნის აღსანიშნავად, ალექსანდრე მაკედონელზე ადრინდელი ხანის ძველ გეოგრაფთა თხზულებებში იხმარებოდა (ვახუშტი, 658, 2; 687, 1). ვახუშტი ბაგრატიონი „მოსხის მთების"

სახელით იცნობდა აგრეთვე მთა ღადოს, ანუ ფერსათს, აჭარა-გურიის შორის მდებარე მთას და, როგორც ჩანს, არტაან-კოლასა და ყარსს შორის მდებარე ყარსის მთასაც (ვახუშტი, 659; 659, 1)[462]. პ. ინგოროყვამ, ვახუშტი ბაგრატიონის მონაცემების შეთანაპირებით კლავდიოს პტოლემაიოსის ცნობებთან, ე. წ. ბოხების ზევით, მოსხის მთებთან, კატარძენეს მდებარეობისა და დასავლეთის მიმართულებით მოსხის მთების კაპადოკიის პონტომდე გავრცელების შესახებ (Cl. Ptol., V, VI, 1; V, XII, 2, 9) და აგრეთვე სტრაბონის ცნობასთან, სკიდისესთან მოსხის მთების შეერთების თაობაზე (Strabo, XII. III, 18)[463], მოსხური მთები, ჭოროხ-მტკვრისა და არაქსს (არეზი)-დასავლეთ ევფრატის (კარასუ) ხეობების წყალგამყოფ მთავარ ქედად მიიჩნია და მასვე მიაკუთვნა დასავლეთ ევფრატსა და არეზს შორის მდებარე განშტოების გაგრძელება, რომელიც დევებოინუს მთის გავლით ბინგელის მწვერვალებს ადგება[464]. დ. მუსხელიშვილი, სტრაბონის იმ ცნობის „მოსხურ მთებს", სადაც აღნიშნულია, რომ კოლხეთი მდებარეობს კავკასიონისა და მოსხური მთების ძირას (Strabo, XI, II, 1), დღევანდელ მესხეთის (ანუ აჭარა-იმერეთის) ქედთან აიგივებს[465]; ამასთანავე იგი ყურადღებას ამახვილებს სტრაბონისავე ცნობაზე იბერიასა და არმენიას შორის საზღვრის მტკვარსა და მოსხურ მთებზე გავლის შესახებ (Strabo, I, III, 21) და ამ ორი ორიენტირის, მდ. მტკვრისა და მოსხური მთების ერთმანეთთან დაკავშირებით, რამდენადაც იქვე მტკვრის სათავეებზეა ლაპარაკი, „მოსხურ მთებსაც" მტკვრის სათავეებთან ათავსებს; ეს კი, მისი აზრით, მოწმობს, რომ „მოსხურ მთებში" ის მთაგრეხილი უნდა ივარაუდებოდეს, რომელიც მესხების (მოსხების) ქვეყანას არმენიისაგან საზღვრავდა და რომელთა შესახებაც სტრაბონი იუწყებოდა მოსხების მთები გარს ერტყმიან მთელ არმენიას იბერიამდეო (Strabo, XI, XII, 4)[466]. ვინაიდან, მესხეთის ტერიტორია იმ ხანად მტკვრის ზემო წელსა და ჭოროხის აუზს მოიცავდა, დ. მუსხელიშვილი დაასკვნის, რომ სტრაბონის „მოსხების მთები" ამ შემთხვევაში გულისხმობს ჭოროხ-მტკვრის აუზის, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ევფრატ-არაქსის (არეზი) აუზის წყალგამყოფ მთებს; ამასვე ადასტურებს, მისივე განმარტებით, კლავდიოს პტოლემაიოსის ცნობა, მდინარეებს—ევფრატს, კიროსსა და არაქსს შორის მოთავსებული არმენიის ნაწილებში, ე. წ. ბოხების ზემოთ, მოსხურ მთებთან, კატარძენეს მდებარეობის შესახებ (Cl. Ptol., V, XII, 9), რომელიც, მისი თქმით, ჯერ ერთი, სრულიად მხოლოაზროვნად მიგვითითებს, რომ მოსხური მთებია ის მთები, რომლებიც კიროსს (მტკვარი), ევფრატს და არაქსს (არეზი) შორისაა და ე. ი. აქ იგულისხმება მაინცდამაინც ამ მდინარეთა სათავეების

წყალგამყოფი, ხოლო მეორე მხრივ, ამ მთებთან მდებარე ქვეყანა კატარძენე, უფრო სწორად „კორაძენე“, უნდა იყოს სტრაბონისეული „ხორძენე“, რომელიც მოსხურ მთებთან მდებარეობდა[467]. დ. მუსხელიშვილი მართებულად შენიშნავს, რომ ლაზისტანის ქედის მოსხურ მთებად მიჩნევა[468] არ უნდა იყოს სწორი, ვინაიდან, ეს ქედი არასდროს არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო საზღვარი ივერიასა (იბერიასა) და სომხეთს (არმენიას) შორის, საზღვრავდა რა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მთლიანად ჭანეთს და ყველა ეპოქაში იგი მხოლოდ ჭანეთის და რომელიმე სხვა ქვეყნის საზღვარს წარმოადგენდა[469]. ნ. ხაზარაძეც „მოსხურ მთებს“, ერთი მხრივ, მცირე კავკასიონის დასავლეთ ნაწილში, კოლხეთის სამხრეთ საზღვართან ათავსებს, ხოლო მეორე მხრივ, იბერიისა და არმენიის სასაზღვრო ზონაში, ჭოროხ-მტკვრის, ჭოროხ-ევფრატის და ევფრატ-არაქსის (არეზი) წყალგამყოფი ქედების ადგილას; სტრაბონის ზემოთ მოყვანილი ცნობების გარდა, ნ. ხაზარაძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კლავდიოს პტოლემაიოსის ცნობებს კაპადოკიასა და დიდ არმენიას შორის საზღვრის მოსხურ მთებზე გავლის შესახებ იმ ადგილიდან სადაც ევფრატი ყველაზე ჩრდილოეთით უხვევს აღმოსავლეთისაკენ (Cl. Ptol., V, VI, I; შდრ. V, XII, 2)[470]; კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს“ სხვა ცნობაზე დაყრდნობით, რომ მდ. აფსაროსი (ჭოროხი) სათავიდან შესართავამდე კაპადოკიის პონტოს ტერიტორიაზე მიედინება, სადაც სათავეს იღებს მდ. ლიკოსიც, რომელიც მდ. გლავკოსთან (თანამედროვე მდ. ოლთუ) ერთად ერთვის აფსაროსს (Cl. Ptol., V, VI, 6), ნ. ხაზარაძე კიდევ უფრო აკონკრეტებს მოსხური მთების ადგილმდებარეობას და მათ ჭოროხ-თორთუმის სათავეების სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით ათავსებს[471].

თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ დიდი არმენია კაპადოკიისაგან იმიჯნებოდა, ჯერ დასავლეთით—მდ. ევფრატის დინებით, ხოლო შემდეგ—კაპადოკიის პონტოს ხაზით, მოსხურ მთებზე გადავლით კოლხეთამდე (Cl. Ptol., V, VI, 1; V, XII, 2, 5). ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსხურ მთებზე გამავალი საზღვარი მდ. ოლთუს გადაკვეთით, არსიანის ქედს ებჯინებოდა, ეს კი, თავის მხრივ, შესაძლებლობას მოგვცემდა დავვეშვა, რომ არსიანის ქედის დასავლეთით მდებარე კლარჯეთი კოლხეთის შემადგენლობაში იყო მოქცეული. როგორც ჩანს, კლარჯეთი უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი კლავდიოს პტოლემაიოსის იმ ცნობაშიც, რომლის მიხედვით, დიდი არმენია ჩრდილოეთიდან კოლხეთის ნაწილით ისაზღვრებოდა (Cl. Ptol., V, XII, 1). თუ ჩვენ, ამასთანა-

ვე, კლავდიოს პტოლემაიოსის მიერ, დიდ არმენიასა და იბერიას შო-რის მდ. კიროსის (მტკვარი) გაყოლებაზე გაღებულ საზღვარს (Cl. Ptol., V, XII, 1), განვსაზღვრავდით ისევე, როგორც სტრაბონის ზემოთ მოყვანილი ცნობისას (Strabo, I, III, 21), კოლა-არტაანში მიმდინარე მტკვარზე გამავალად[472], იმის შესაძლებლობაც მოგვეცემოდა, რომ ოლთისისწყალსა და მტკვარს შორის მდებარე არსიანის ქედის სექტორი, ანუ დაახლ. „მოსხური მთების“ შუაგული, წარმოგვედგინა, როგორც ოთხი სახელმწიფოს: პონტოს კაპადოკიის, კოლხეთის, დიდი არმენიისა და იბერიის სასაზღვრო ზონა[473], რასაც სტრაბონის ცნობაც ეხმიანება, „მოსხების ქვეყნის“ სამ—კოლხების, იბერებისა და არმენიელების ნაწილად დაყოფის შესახებ (Strabo, XI, II, 18). საფიქრებელია, რომ ცნებები „მოსხური ქვეყანა“ (Μοσχική) და „მოსხური მთები“ თითქმის მთლიანად ფარავდნენ ერთმანეთს[474]. აღსანიშნავია, რომ დ. მუსხელიშვილი კლარჯეთის კოლხეთის შემადგენლობაში მოქცევის შესახებ ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა, ოღონდ სრულიად სხვა საფუძველზე. კერძოდ, ხოტენე ‖ ხორძენეს გაიგივების შედეგად (იხ. ზემოთ) და სტრაბონის იმ ცნობის გათვალისწინებით, რომ ხორძენე არმენიის უკიდურესი ჩრდილოური თემი იყო და თან კოლხეთის მოსაზღვრე (Strabo, XI, XIV, 4), მან მიიჩნია, რომ კლარჯეთი და არტაან-ჯავახეთი სომხეთს (არმენიას) არ ეკუთვნოდა, თუმცა კი შედიოდა სტრაბონისეული „მოსხიკეს“ ფარგლებში, რომელიც მოიცავდა მტკვრის ზემო წელსა და ჭოროხის აუზს; აქედან სპერი, ტაო და კოლა სომხეთს მიეერთებინა, შავშეთ-კლარჯეთი და აჭარა კოლხეთს, ხოლო არტაან-ჯავახეთი და სამცხე ქართლს (იბერიას) დარჩენოდა[475].

მდ. ჭოროხის ზემო დინებასთან მდებარე სპერის მხარე, ისევე როგორც სხვა ქართული მიწები, ძვ. წ. II ს. პირველ ნახევარზე უფრო ადრინდელ ხანაში ვერ მოექცეოდა არმენიის შემადგენლობაში. რაც შეეხება შეხედულებას, რომ სპერი, გაიგივებული სტრაბონისეულ „სისპირიტისთან“ (Συσπιρῖτις), ძირეული სომხური მხარე იყო[476], იგი დაფუძნებულია სტრაბონის ცნობაზე, რომ იასონის თანამოლაშქრე, სომხთა მითიური ეთნარქ-ეპონიმი არმენოს თესალიელი და მისი თანამგზავრები დასახლებულან აკილისენეში და სისპირიტისში არმენიის გადაღმა მდებარე კალახენემდე და ადიაბენემდე (Strabo, XI, IV, 8; XI, XIV, 12). მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ სტრაბონისავე ცნობას, სპერის სამხრეთით მდებარე მხარეების, კარენიტისა და ქსერქსენეს არმენიელთაგან მხოლოდ არტაქსიისა და ზარიადრის დროს, ანუ ძვ. წ. II ს. პირველ ნახევარში, დამორჩილების თაობაზე (Strabo, XI, XIV, 5), ცხადია, უნდა გამოი-

რიცხოს ამ მხარეთა გადაღმა მდებარე სპერის მათ მიერ უფრო ადრე დაქვემდებარების შესაძლებლობა. უკვე საკუთრივ ის გარემოება, რომ არგონავტ არმენოსის თანამგზავრები, სტრაბონის მიხედვით, იკავებენ ტერიტორიას გადაჭიმულს სისპირიტისიდან ასურეთში მდებარე კალახენემდე და ადიაბენემდე, ანუ ფაქტიურად, თვით მისი დროინდელი არმენიის მომცველს, უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ამ ცნობაში ადგილი აქვს არმენიის პოლიტიკური საზღვრების დასაბუთების ცდას მითიური მამამთავრის შესახებ არსებული ლეგენდარული ცნობის გამოყენების საფუძველზე; მსგავსი შემთხვევები ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკურ ხანაში. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ სტრაბონის „სისპირიტისში“ სპერი კი არ უნდა იგულისხმებოდეს, არამედ კალახენესა და ადიაბენეს ჩრდილოეთით მდებარე მხარე—შუპრია[477], მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, უფრო ადრე, კოლხეთსა და მიდიას შორის, სასპეძრების მდებარეობას (Herod., I, 104), რომელთა ქვეყანაც არმენიის მახლობლადაა სავარაუდო, ტერმინების „სპერი“, „სისპირიტისი“ და „სასპეძრი“ ურთიერთკავშირი დასაშვები უნდა ჩანდეს[478]. გარდა ამისა, მკვლევრები ფიქრობენ, რომ „სუბარ-სასპეძრ-ჰესპერ-სპერ“ ტერმინი შესაძლოა გარდაქმნილიყო „(ი)ბერ“-ად და, რომ ეს დასაშვებია მომხდარიყო, როგორც ქართველური ენების წიაღში, ასევე ძველ სპარსულ ენობრივ სამყაროში[479]. ტერმინების „იბერისა“ და „სპერი-სისპირიტისის“ გაიგივებისათვის დასაყრდენს თითქოს სტრაბონის იმ ცნობების შეთანაპირებაც იძლევა, რომ სისპირიტისში ოქროს საბადოები ყოფილა (Strabo, XI, XIV, 9), ხოლო იბერებს, დასავლელი იბერების მსგავსად, ამ სახელს, მათ ორივე ქვეყანაში (ე. ი., როგორც აღმოსავლეთის იბერიაში, ასევე დასავლეთისაში) ოქროს საბადოების არსებობის გამო უწოდებენ (Strabo, XI, II, 19). შესაძლოა, სპერის მოსახლეობა იგულისხმებოდა ხოტენელებთან ერთად, მებრძოლ იბერებშიც (App., Mithr., 101), თუმცა ცნება „იბერი“, თავისი ფართო მნიშვნელობით, სავარაუდოა, რომ გარდა აღმოსავლეთ საქართველოს (საკუთრივ ქართლის) მოსახლეობისა, მესხეთის, ანუ „მოსხთა ქვეყნის“ და აგრეთვე, მოსხური მთების ბინადართა აღმნიშვნელადაც გამოიყენებოდა; ამ მხრივ, ყურადღებას იპყრობს პლუტარქეს ცნობა, რომ მდ. კირნი (მტკვარი) სათავეს იბერიულ მთებში იღებდა (Plut., Pomp., XXXIV)[480] და აპოლოდორეს აზრი, იბერიასა და არმენიას შორის საზღვრის მდ. არაქსზე (არეზი) მდებარეობის შესახებ (Strabo, I, III, 21). ქსენოფონტის „ანაბასისის“ მონაცემებითაც, თითქოს მდ. ფასისი, რომელიც ამ შემთხვევაში მდ. არეზს აღნიშნავდა, არმენიას ხალიბების ქვეყნისა-

ჟან გამოყოფდა (შდრ. Xen., Anab., IV, V, 34; IV, VI, 4—5); სტრაბონის მიხედვით, ხალიბები კარენიტიში (თანამედროვე ქ. ერზერუმის მხარე) არიან ლოკალიზებულნი, ხოლო მოსინიკები, კიდევ უფრო დასავლეთით, ქსერქსენეში (იგივე დერქსენე) (Strabo, XI, XIV, 5).

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში ქართველური წარმომავლობის ტომები განსახლებულნი ჩანან არა მხოლოდ მოსხური მთების ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით, არამედ სამხრეთით და დასავლეთითაც, რაც საკუთრივ ამ მთების მოსახლეობის ქართველურ კუთვნილებას უფრო სარწმუნოს ხდის.

„ქართლის ცხოვრებაში" შემავალი ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა" გვამცნობს, რომ, ვიდრე ბერძნები ქართველებს მიწებს წაართმევდნენ, პირველი მეფეების დროს, ქართველებს ანძიანძორა ეკუთვნოდათ; ჯუანშერის მიერ გადმოცემული ვახტანგ გორგასლის სიტყვებით: „მიერითგან მიიღეს საზღვარი ესე ბერძენთა ჩუენ, ქართველთაგან, აღმოსავლეთ ზღჳსა ამის. ხოლო წყობა პირველთა მეფეთა იყო ანძიანძორს, სადა უკუე აწ არს საფლავი დიდისა მოძღვრისა გრიგოლისი, და მუნით იოტნეს მეფენი ჩუენნი. ხოლო ჩუენ ათისა დღისა სავალი ჩამოგჳვლია, ჩრდილოთ მოქცეულ ვართ" (ჯუანშერი, 160)[481]; ე. ი. ქართველთა მიწები უწინ შავი ზღვის სამხრეთითაც მდებარეობდა და მათი ამჟამინდელი საზღვარი ადრინდელს ათი დღის სავალით არის დაშორებული. ვინაიდან, ჯუანშერი მანამდე აღნიშნავს, რომ „წარვიდა ვახტანგ პონტოს და მოაოჴრნა გზათა ქალაქნი სამნი: ანძორეთი, ეკლეცი და სტერი" (ჯუანშერი, 160), აშკარა ხდება, რომ ანძიანძორა იგივე ანძორეთია და, რომ სწორედ ეს პუნქტი არის ათი დღის სავალით ქართლს დაშორებული, საიდანაც „იოტნეს მეფენი ჩუენნი". ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთას" მიხედვით ანძიანძორა ეკლეცზე შორს მდებარეობდა: „წარვიდა ფარნავაზ და მოტყუენა საზღვარი საბერძნეთისა ანძიანძორა, და ეკლეცით შემოიქცა, მივიდა კლარჯეთს და დაიპყრა კლარჯეთი, და წარმოვიდა მცხეთად სიხარულითა დიდითა" (ლეონტი მროველი, I, 23). თუ გავითვალისწინებთ, რომ ფარნავაზი აზონის მოკვლის შემდეგ მიდის ანძიანძორს (ლეონტი მროველი, I, 23), რომელშიც ვახტანგ მეფის სიტყვებით იყო „წყობა პირველთა მეფეთა" და რომ „მუნით იოტნეს მეფენი ჩუენნი", სავარაუდო ხდება, რომ ამ მხარეში, სადაც უბრძოლიათ ქართველთა პირველ მეფეებს, უნდა იგულისხმებოდეს „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ცნობის, მცხეთის პირველი მეფის, აზოს სამშობლო — „არიან-ქართლი" (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 320), ვახტანგ მეფისადმი მიწერი-

ლი სიტყვები, იქნებ ეხმიანებიან „ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასტული რედაქციის ავტორის განმარტებას, რომ „ჩვენ ქართველნი შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსრულთანი, და ენაი მათი უწყით, და ყოველნი მეფენი ქართლისანი ამათ მეფეთა შვილის-შვილნი არიან“[482]. სად უნდა ყოფილიყო ანძორეთი ‖ ანძიანძორა? ვინაიდან, ანძიანძორიდან კლარჯეთს მიმავალი ფარნავაზი „ეკლეცით შემოიქცა“, იგი ეკლეცის დასავლეთით ან სამხრეთით იქნებოდა. ეკლეცი, იგივე აკილისენა[483], მდ. ევფრატის (კარასუ) გაყოლებაზე, დერჯანის (ქსერქსენე ‖ დერქსენე) დასავლეთით მდებარეობდა (თანამედროვე ქ. ერზინჯანთან), მისი მეორე სახელწოდება იყო ანაიტიკა, წოდებული ქალღმერთ ანაჰიტას საპატივცემოდ (იხ. Strabo, X, XIV, 16; Dion, XXXVI, 48)[484]. აღსანიშნავია, რომ ქ. ერზინჯანის დასავლეთითაა სომეხთა განმანათლებლის, გრიგოლის მონასტერი, სურბ-ლუსავორიჩი[485], რომლის საფლავიც, ვახტანგ გორგასლისადმი მიწერილი სიტყვებით, ანძიანძორაში ყოფილა (ჯუანშერი, 160), ხოლო, მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიის“ ცნობით, სურბ-გრიგორის საფლავი დარანალის მხარეში მდებარე დაბა თორდანში იყო (Մովս. Խոր., II, 91). ტოპონიმ ანძორეთ ‖ ანძიანძორაში ძორ კომპონენტი აშკარად დაკავშირებულია „ხევის, ხეობის“ აღმნიშვნელ სომხურ სიტყვასთან ձոր. როგორც ჩანს, ამ ტოპონიმებში გამოიყოფა ან-ძირი; „ანძორეთში“ -ეთ დაბოლოება გეოგრაფიულ სახელწოდებათა მაწარმოებელი ქართული სუფიქსია, ხოლო „ანძიანძორაში“, პარალელური ფორმის „ანძორეთის“ გათვალისწინებით, სავარაუდო ხდება ძი-ა სუფიქსის გამოყოფა (ანალოგიური აღნაგობისა ჩანან ტოპონიმები ვარძია, ტანძია და სხვ.) „ანძორეთ ‖ ანძიანძორაში“ ან-ძირის გამოყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გამო, რომ უშუალოდ ეკლეცის დასავლეთით მდებარეობდა დარანალის მხარე, იგივე ანალიბა, რომლის ძირითად განმსაზღვრელ ქალაქსაც ანი (თანამედროვე კემახი, მდ. კარასუზე) წარმოადგენდა[486]; სახელწოდება „ანალიბა“, ნ. ადონცის აზრით, „ანელების, ანის მოსახლეობის“ აღმნიშვნელია და იგი მრავლობითი რიცხვის ქართულ ნიშან -ებ-ს უნდა შეიცავდეს[487]. საყურადღებოა, რომ ტოპონიმ „დარანალშიც“ გამოყოფილ -ali დაბოლოებას, ნ. ადონცი, ქართული -ელი-სა და გრაბარული სომხურის -եղ-ის ეკვივალენტურ, წინაგრაბარულ ადექტიურ ფლექსიად მიიჩნევდა[488]. ანძორეთ ‖ ანძიანძორას დარანალის მხარეში ლოკალიზება სავარაუდოს ხდიდა ამ უკანასკნელის ფუძის „დარანის“ კავშირს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „არ[ი]ან-ქართლთან“ იმ შემთხვევაში, თუკი დასაშვები იქნებოდა სახელწოდება „დარანალში“ თავკიდური დ-ს დაკარგვის შესაძლებლო-

ება[489]. რაც შეეხება ქალაქ სტერს და „ქალაქსა დიდსა ზღჳსა კიდესა“ (ჯუანშერი, 160). მათში ეგებ ნაგულისხმევი იყო ქალაქები ჰიდარა (ან სატალა) და ტრაპეზუნტი.

იმ გარემოებას, რომ ლეონტი მროველი ეკლეცსა და ანძიანძორას ქართლის მოსაზღვრე მხარეებად მოიხსენიებს: „წარვიდა ფარნავაზ და მოტყუენა საზღვარი საბერძნეთისა ანძიანძორა და ეკლეცით შემოიქცა“ (ლეონტი მროველი, I, 23), გ. მელიქიშვილი სავსებით დასაშვებად მიიჩნევს; მისი აზრით, ძვ. წ. III ს. იბერთა მიწები სამხრეთ-დასავლეთით ძალზე შორს ვრცელდებოდა, ეს კი, მისი თქმით, გასაგებს ხდის იმ აქტიურ როლს, რომელსაც, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ფარნავაზის სამეფო ასრულებდა პონტოსა და სელევკიდების სამეფოების (ანუ, საბერძნეთსა და ასურეთს) შორის ურთიერთობაში, რაც დასტურდება ბერძენ-რომაელი ისტორიკოსების ძვ. წ. III ს. პირველი ნახევრის საერთაშორისო მდგომარეობის ამსახველი ცნობებით, სელევკიდების სამეფოსა და პონტოს ინტერესების მკვეთრი დაპირისპირებისა და ჩრდილოურ ოლქებში სელევკიდების მნიშვნელოვანი აქტიურობის შესახებ[490]. გამოითქვა აგრეთვე მოსაზრება, რომ აღნიშნული ეპოქის ისტორიული მოვლენის, მაკედონელთა გაბატონების გამოძახილი გარდა სტრაბონის (Strabo., XI, XIV, 9), პლინიუსის (Plin., NH, IV, 39) და სოლინუსის (Solin., IX, 19) თხზულებებისა და სხვ., ასახულია ქართულ ისტორიულ ნაწარმოებებშიც, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ და ლეონტი მროველის „ცხორება ქართველთა მეფეთაში“, ალექსანდრე დიდის ქართლში ლაშქრობის ამბით (იხ. მოქცევაჲ ქართლისაჲ, 320; ლეონტი მროველი, I, 17—20)[491]. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე არ მოიპოვება ცენტრალურ ამიერკავკასიაში მაკედონელთა ყოფნის დამამტკიცებელი საბუთები, ახლო აღმოსავლეთის ელინისტური სახელმწიფოების დაინტერესება ქართლით, საფიქრებელია, რომ გარდაუვალი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან, ჩრდილოეთის მომთაბარე ტომების გზის ჩამკეტი კავკასიის კარის (იგივე—არაგვისა თუ ოვსთა კარი, „დარიალი“) ეფექტური კონტროლისათვის ამ სახელმწიფოთა ხელისუფალთათვის სასურველი იქნებოდა ქართლში, მცხეთაში, მსგავსი ფუნქციის შესრულებისათვის საჭირო სიძლიერის მქონე პოლიტიკური ორგანიზაციის არსებობა (შდრ. Plin., NH, VI, 30). როგორც ჩანს, აღნიშნული ფაქტორით მნიშვნელოვანწილად იყო განპირობებული ცენტრალური ამიერკავკასიის მომდევნო და უფრო ადრეული ხანების ისტორიული განვითარებაც; შესაძლოა, ამავე მოვლენის ანარეკლს წარმოადგენდა გადმოცემები ახალმოსახლეთა თანმიმდევრული ტალღების აქ გადმოსახლების შესახებ

(იხ. ზემოთ), რაც თავად წარმოადგენს სახელმწიფოს აღმოცენებისათვის საჭირო ერთ-ერთ ხელშემწყობ წინაპირობას[492].

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და „ცხოვრება ქართველთა მეფეთას“ ცნობები ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობის შესახებ დაკავშირებული ჩანს იმ ფართოდ გავრცელებულ შეხედულებასთან, რომელიც მას მიაწერს კავკასიის კარის გამაგრებას; ძველი ავტორები „დარიალს“ ხშირად ალექსანდრეს სვეტების თუ საკეტის სახელით იხსენიებენ (Cl. Ptol., V, VIII, 16; Euseb. Hier., Epist., 77, 8)[493]. ახლო აღმოსავლეთის დაწინაურებულ საზოგადოებაში ჩრდილოელი მომთაბარეების, „გოგისა და მაგოგის უწმინდური ტომების“ (Ezek., 38: 2—6. 14—16; 39: 1—6, 11; Apoc., 20: 7—9) შემოსევის მოლოდინი რომის იმპერიის დაცემისა და მომთაბარეების გააქტიურების ხანაში სულ უფრო აქტუალური ხდება და ალექსანდრე დიდსაც სულ უფრო უმკვიდრდება მათთან მებრძოლის სახელი[494]. მის მიერ ქართლში დალაშქრულად მიჩნეულ „ბუნ-თურქებშიც“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ, 320; ლეონტი მროველი, I, 17 — 18) რომ ჩრდილოური, იმიერკავკასიური მოსახლეობა იგულისხმებოდა, სხვა ნიშნებთან ერთად, ალბათ, „ცხოვრება ქართველთა მეფეთას“ ის ცნობაც მოწმობს, რომ „ბუნ-თურქნი“ ალექსანდრესაგან ქალაქ სარკინეში ალყაშემორტყმულები და შემდეგ კლდეში გაყვანილი ხვრელიდან გაპარულნი, „შეივლტოდეს კავკასიად“ (ლეონტი მროველი, I, 18). ჩრდილოკავკასიიდან გადმოსული მოსახლეობის შესახებ ცნობა შემონახულია მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიაში“: „არშაკის დროს საშინელი არეულობა მოხდა დიდი მთის, კავკასიის მიდამოებში, ბულღართა მხარეში. ბევრი მათგანი აიყარა და ჩვენს ქვეყანას მოაშურა. ისინი დიდხანს მკვიდრობდნენ კოლის ქვემოთ, ნოყიერ მიწებზე, პურით მდიდარ ადგილებში“ (*Մովս. Խոր.*, II, 9)[495]. იმავე თხზულების სხვა ადგილას „ლტოლვილი ბულღარის“ დამკვიდრება კოლის მეზობელ ვანანდის მხარეში არშაკის მამის ვალარშაკის დროს ხდება (*Մովս. Խոր.*, II, 6). ვფიქრობთ, არ არის გამორიცხული, რომ „სომხეთის ისტორიის“ „ბულღარებსა“ და ქართული მატიანეების „ბუნ-თურქებში“ ერთიდაიგივე ტომი იგულისხმებოდეს. მათი ერთმანეთთან გაიგივების შესაძლებლობას თითქოს, „ველური, მოსული ტომის“ შესახებ თხრობა იძლევა, რომელიც მოვსეს ხორენაცის ტექსტში, „ლტოლვილ ბულღარზე“ ადრე, იმავე თავში არის მოხსენიებული და რომელთა დახასიათებაც ემსგავსება „ბუნ-თურქებისას“, ხოლო მათი ბინადრობის მხარისა—შიდა ქართლს; ხორენაცის მიხედვით: „[ვალარშაკმა] მოუხმო ველურ, მოსულ ტომს; იგი ბინადრობდა ჩრდილოეთის ველზე (=შიდაქართლის ველი? გ. ქ.)

და კავკასიის დიდი მთის ფერდობზე, ჭალებსა და გრძელ, ღრმა ხევებში, რომელნიც მთის სამხრეთ კალთებიდან დიდი ველის თავამდე ჩადიოდნენ (=არაგვის, ქსნის, ლიახვის ხეობები? გ. ქ.). [ვალარშაკმა] უბრძანა მათ, მოეშალათ ავაზაკობა და კაცთა ღალატი, დამორჩილებოდნენ ხელმწიფის ბრძანებებს, გადაეხადათ ხარკი" (*Մովս. Խոր.*, II, 6)[406].

იბერიის (ქართლის) სამეფო ხელისუფლება, გარდა იმისა, რომ ზრუნავდა „კავკასიის კარის" თავდაცვისუნარიანობაზე, არცთუ იშვიათად ეფექტურად იყენებდა ამ კარის ხელსაყრელ სტრატეგიულ მდებარეობას და საჭიროების მიხედვით, მისი საშუალებით, ჩრდილოეთიდან გამოყავდა ხოლმე დამხმარე სამხედრო ძალა, მომხდურებთან ბრძოლის მიზნით თუ საკუთარი მტრების დასალაშქრავად[407]. ვინაიდან, „კავკასიის კარი", ფაქტიურად, იბერთა ხელში იყო, გასაგებიხდება მოვსეს ხორენაცის ცნობა, რომ სომეხთა მეფეები „ჩრდილოეთის მთების" გამგებლობას ავალებენ ალექსანდრე მაკედონელის მიერ დადგენილ იბერთა ხელისუფლის მიჰრდატის შთამომავლებს (*Մովս. Խոր.*, II, 8, 11); ამავე დროს, ის ცნობა მიგვანიშნებს, რომ გარკვეული ურთიერთკავშირი არსებობდა იბერიაში სამეფო ძალაუფლების ჩამოყალიბებასა და „კავკასიის კარის" დაცვის საჭიროებას შორის. გ. მელიქიშვილმა შენიშნა, რომ მოვსეს ხორენაცთან დასახელებული, ალექსანდრე მაკედონელის მიერ იბერთა ხელისუფლად დადგენილი მიჰრდატის შთამომავალი, ასევე მიჰრდატი, სომეხთა მეფის არტაშეს I-ის სიძე და ტიგრანის დის ქმარი, რომელსაც არტაშესმა ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს განმგებლობა, ხოლო ტიგრანმა კაპადოკიის მთავარი ქალაქის მაჟაქის მმართველობის უფლება მიანიჭა და რომელიც რომაელთა სარდალს პომპეუსს ებრძოდა (*Մովս. Խոր.*, II, 11, 14—15), პონტოს ძლევამოსილი მეფე მითრიდატე VI ევპატორია, ეს კი, მისი თქმით, აშკარავებს, რომ მოვსეს ხორენაცთან დაცული გადმოცემის მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელს იბერების მმართველად პონტოს ხელისუფალი დაუნიშნავს[408]. გ. მელიქიშვილის შეხედულებით, ქართლის სამეფოს წარმოქმნა მცირე აზიის ელინისტური სახელმწიფოებისა თუ მათი მხარდაჭერით მოქმედ სამხრეთქართული გაერთიანებების მოძალებას უნდა უკავშირდებოდეს[409]. მოვსეს ხორენაცის სიტყვები: „ [სომეხთა მეფემ] მიჰრდატს მიანდო ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს ზღვის განმგებლობა" (*Մովս. Խոր.*, II, 11), ალბათ, შეიძლება გავიგოთ იმის გამოხატულებად, რომ მიჰრდატი, ხორენაცის მიერ, როგორც პონტოს სამეფოს, ასევე იბერიის მმართველად იყო მიჩნეული. რაც შეეხება ხორენაცისეულ მაჟაქს (იგივე მაზაკას),

რომელიც ტიგრანმა გადასცა სამართავად მიჰრდატს და რომელზედაც მიჰრდატის ძე მიჰრდატიც აცხადებს შემდეგ პრეტენზიას (*მოქც. ქართ.*, II, 14—16, 18), იგი დიდ კაპადოკიას (Cappadocia Magna) უნდა გამოხატავდეს (შდრ. Josephus, Antiq., I, 125)[500]. მკვლევართა მიერ გამოითქვა აზრი, რომ მიჰრდატიანთა დინასტიის კავშირი, ერთი მხრივ, კაპადოკიასთან, სადაც ოდესღაც ქართველთა, კერძოდ, მესხთა წინაპრებსაც უნდა ეცხოვრათ, ხოლო, მეორე მხრივ, ქართველთა ქვეყანასთან, იქნებ ამ ორი ქვეყნის რაღაც უძველეს კავშირებზეც მიუთითებდეს[501].

კაპადოკიასა და ქართლს შორის კავშირს, როგორც უკვე აღვნიშნავდით, იბერიის სამეფო კარის ღვთაებათა პანთეონის ანატოლიური ხასიათიც მოწმობს. არმაზს, ზადენს, გაცისა და გას მკვლევარები ანატოლიურ შესატყვისებს უძებნიან არმას, სანთას, ატისისა და კიბელეს სახით. გ. მელიქიშვილის განცხადებით, მცხეთაში ორი უძლიერესი ციხე-სიმაგრის არმაზციხისა და ზადენციხის სახელები მოწმობენ, რომ ამ ღვთაებების კულტი აქ მცირეაზიულ კულტურულ გარემოში მოქცეულ მოსახლეობას უნდა მოეტანა[502]. ქართულ სამყაროში დასტურდება ჰექა-ქუხილის ხათური და ხეთური ღვთაებების Taro-სა და Tarḫunt-ის კულტიც[503]. ქართული არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები ცხადყოფენ, აგრეთვე, „ღმერთების დიდი დედის“ (დინდიმენა, იგივე კიბელა, ქუბაბა) და ხარის კულტის არსებობას, რომლებიც ფართოდ იყვნენ გავრცელებული ძველ სამყაროში და მათი საწყისები ჯერ კიდევ ძვ. წ. VII ათასწლეულის სამხრეთ ანატოლიაში მდებარე, ნეოლითური ხანის ქალაქში ჩათალ ჰუიუქშია წარმოდგენილი[504]. გარკვეულ მსგავსებას ქუბაბა-კიბელეს სახელთან ავლენს სვანურ მითოლოგიაში დადასტურებული ქალი ღვთაების ქალბაბჷრი || ქაბაბუაჲს სახელწოდება[505], ხოლო სვანურ ენაში შემონახული, ქართულ „ცხოვართან“ დაკავშირებული სიტყვა šḫär, გამოყენებული ნიკორა-ხარის, ანუ ღვთაების კუთვნილ „მზის წილიანი ხარის“ აღსანიშნავად, საყურადღებო ჩანს, რამდენადაც, მას თავისი ჟღერადობით უახლოვდება „ღვთაების“ მნიშვნელობის ხათური სიტყვა (a)šḫap/u[506]; გასათვალისწინებელია ისიც, რომ „მზის წილიანი ხარი“ ძვ.წ. III ათასწლეულის ცენტრალური ანატოლიის „სამეფო აკლდამების კულტურაში“ ერთ-ერთ უმთავრეს ღვთაებას წარმოადგენდა[507]. სიახლოვე ქართველურ და ხათურ მსოფლმხედველობას შორის გამოიხატება თუნდაც იმაშიც, რომ ორივე ენაში, როგორც ქართულში, ასევე ხათურში, შეინიშნება „ცხვრის“ აღმნიშვნელი სიტყვის მსგავსი სემანტიკური ხასიათი; ქართულ ენაში ამ სიტყვიდან არის ნაწარმოები სიტყვა „ცხოვრება“, ხოლო ხათურ სიტყვასთან zar-

„ცხვარი“ (რომელიც, იქნებ, თავის მხრივ, საერთოქართველურ *c₁xwar ფუძეს უახლოვდებოდეს) დაკავშირებული ჩანს zari-„ადამიანის, მოკვდავის“ მნიშვნელობის მქონე სიტყვა[508].

აღსანიშნავია, რომ მეცნიერთა მიერ გამოთქმული აზრით, ხათურ ენასთან ენობრივ შეხვედრებს ქართველური ენებიდან ყველაზე მეტად სვანური ენა ამჟღავნებს; მიჩნეულია აგრეთვე, რომ, ვინაიდან ქალაქ ხათუსას მეფის Pii̯uštiš-ის სახელი, რეკონსტრუირებული „ფჲუსტ“-ის ფორმით, ემსგავსება სვანურში „ბატონის, უფლის“ მნიშვნელობით დამოწმებულ სიტყვას ფუსტ(ფუსდ), შესაძლებელია ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრული ხანის ცენტრალური ანატოლიის ჩრდილოეთ რაიონებში, აფხაზურ-ადიღურთან ერთად, ქართველური მოსახლეობის არსებობის დაშვება[509].

ანატოლიაში ქართველური წარმომავლობის მქონე თუ მათი მონათესავე ტომების ბინადრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საბუთს წარმოადგენს ანატოლიურ ტოპონიმებში ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი ელემენტების არსებობა. აღნიშნულ გარემოებას მეცნიერებმა ჯერ კიდევ XIX ს. დამლევსა და XX ს. დასაწყისში მიაქციეს ყურადღება[510]. მართალია, იმ ხანებში გამოთქმული მოსაზრებები დღეისათვის აღარ არის ყველა შემთხვევაში თანაბრად მისაღები, მაგრამ, თავისთავად, ქართველური ენების მონაცემების გამოყენების ცდა ძველი ანატოლიური სახელწოდებების ეტიმოლოგიზაციისას დამახასიათებელია და როგორც ზემოთ ვნახეთ, გამართლებას პოულობს ძველი წერილობითი წყაროების ცნობებში. აღსანიშნავია, რომ XIX ს. დამლევს მოღვაწე მეცნიერის — ფ. კ. ანდრეასის აზრით, ბერძნული, სომხური და ბიზანტიური წერილობითი წყაროები და ჯერ კიდევ შემორჩენილი გეოგრაფიული სახელწოდებები ეჭვგარეშე მოწმობენ იმ ფაქტს, რომ ტერიტორია მოქცეული მდ. აღმოსავლეთ ტიგროსსა (ანტიკური ხანის-კენტრიტი) და ევქსინის პონტოს შორის, სამხრეთიდან ჩრდილოეთით, და მდ. არეზის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე დაბლობსა და მდ. იეშილ-ირმაკს შორის, აღმოსავლეთიდან დასავლეთით, დასახლებული იყო სხვადასხვა ტომებით, რომელთაც ჰქონდათ საერთო სახელი ხალდი (Χάλδος, Χαλδαῖος, *խաղտիք*)[511]. ხალდი-ხალიბების ტერიტორიის სამხრეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით ასე შორს გავრცელება გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ფ. კ. ანდრეასი ურარტელებს ხალდებად მიიჩნევდა, რადგანაც მათი მთავარი ღვთაების სახელი „ხალდი“ იყო, ხოლო ხალხის სახელწოდება, მისი აზრით, უზენაესი ღვთაების სახლის იდენტური უნდა ყოფილიყო[512].

იმავე ხანებში ყურადღება ექცეოდა იმასაც, რომ ძველი სომხური წყაროების მონაცემებით ჭანების (ლაზების) დასავლურქართული ტომი იგივე ხალდები არიან, ხოლო ტრაპეზუნტის იმპერიის არსებობის ხანის ცნობებითა და ბერძნული ეპარქიის შემორჩენილი სახელწოდების მიხედვით „ხალდების ქვეყანა" ქ. ტრაპეზუნტის სამხრეთით, ჭანეთში მდებარეობდა[513]. უფრო გვიან, ურარტული ენის რაობის განსაზღვრამ ცხადყო, რომ მას გენეტური კავშირი არ მოეპოვება ჭანურ ენასთან, და საზოგადოდ ქართველურ ენებთან, ამასთანავე, გაირკვა, რომ ურარტელთა თვითდასახელება „ბია, ბიაინილი" იყო და არა „ხალდი"[514], შესაბამისად, ნათელი გახდა, რომ ძველ ავტორებთან მოხსენიებული ეთნონიმი „ხალდი" ჭანების || ლაზების წინაპრების აღსანიშნავად გამოიყენებოდა და არა ურარტელებისა[515]. ი. დიაკონოვმა ხალდების სახელწოდება დაუკავშირა ურარტული წარწერების „ხალიტუს ქვეყნის" მოსახლეობას და გამოთქვა მოსაზრება, რომ მათში პონტოსპირელი ხალდები იგულისხმება[516]. გ. მელიქიშვილმა, თავის მხრივ, შესაძლებლად მიიჩნია ქვეყნის სახელწოდება „ხალიტუ" ჰომეროსისეული „(ჰ)ალიძონების" სახელთან დაეახლოებინა, რომელთა ქვეყნის სახელწოდებას „ალიბეს" (Hom., Il., II, 852), ჯერ კიდევ სტრაბონი აიგივებდა ეთნონიმ „ხალიბთან"[517]. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ხალიტუს ქვეყანა, ურარტუს მეფის რუსა II-ის წარწერაში, ხათესა და მუშქინის ქვეყნებთან ერთად არის მოხსენიებული[518], როგორც უკვე ითქვა, გარკვეულ შემთხვევებში, სატომო სახელები ხალდი-ხალიბი და მუშქი-მოსხი ერთმანეთს ფარავენ; გარდა ხალიბების ოლქის კარენიტის (Strabo, XI, XIV, 5) და ამავე ოლქის დასავლეთ მიჯნაზე მდებარე ციხე-სიმაგრის ხალდოიარიჰის[519] მდებარეობისა „მოსხური მთების" მხარეში და აღმოსავლეთ ანატოლიის მთიანეთის ხალდი-ხალიბების „აღმოსავლელი მუშქების" საცხოვრისს— ალზსა და მოსხურ მთებს შორის მდებარე მხარეში განსახლებისა (Xen., Anab., IV, VI, 4—5; IV, VII, 15—18; VII, VIII, 25; Cyrop., III, I—3), ყურადღებას იპყრობს ის ზემოთ მოყვანილი დამთხვევები, რომელიც თითქოს შეინიშნება სტრაბონისეული „მოსხიკეს" (მოსხური ქვეყნის) ერთი ნაწილის არმენიის შემადგენლობაში მოქცევასა (Strabo, XI, II, 18) და პლინიუსის თხზულებაში „არმენო-ხალიბების" ტომის მოხსენიებას (Plin., NH, VI, 29) შორის და აგრეთვე ის გარემოება, რომ, თუ ასურელთა სამფლობელოებში მუშქებთან ერთად აბეშლაელები იყვნენ შეჰრილნი[520], ამ უკანასკნელთა მემკვიდრეებად მიჩნეულ ფასიანებს სამხედრო კავშირი, ქსენოფონტის ცნობით, ხალიბებთან ჰქონიათ (Xen., Anab., IV, VI).

ხალდი-ხალიბებისა და მუშქი-მოსხების ერთმანეთთან დაკავშირება, თუკი ეს დასაშვები გახდება, მათი ერთი ეთნიკური წრისადმი კუთვნილების დამადასტურებელი საბუთიც იქნებოდა, ამას კი მუშქების ეთნიკური იდენტიფიკაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს; როგორც ცნობილია, „აღმოსავლელი მუშქების“ (მუსქების) კუთვნილება ფრიგიული სამყაროსადმი ბოლო ხანებში სულ უფრო საეჭვო ხდება[521], ხოლო ი. დიაკონოვის მიერ გამოთქმული შეხედულება მათი სომხურენოვნების თაობაზე, ვფიქრობთ, დამაჯერებლობას მოკლებულია (იხ. ზემოთ). ბერძნულ წერილობით წყაროებში დადასტურებული ეთნონიმი Μόσχοι ფონეტიკური თვალსაზრისით, რომ ზუსტად შეესატყვისება ასურულ-ურარტულ Muški-ს, ამას არც ი. დიაკონოვი უარყოფს[522], მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნავდით, იგი არ ითვალისწინებს, რომ ფორმა mosx>musx-ი, სპეციალისტების აზრით, ქართული ეთნონიმის „მესხის“ ზანური შესატყვისია[523]. მუშქების და მოსხების ერთმანეთთან დაკავშირების შესაძლებლობას ალბათ ანტიკურ და ბიზანტიურ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულებაც უნდა მოწმობდეს კაპადოკიელების, რომლებიც მუშქების მიწაზე სახლობდნენ და, ამდენად, მათ მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ, და მოსხების იგივეობის შესახებ[524].

ყველაზე ადრეული ცნობა მუშქებზე გვხვდება ასურეთის მეფის თიგლათ-ფილესერ I-ის (თუკულთი-აპილ-ეშარა, ზეობის წლები — ძვ. წ. 1115-1077) წარწერაში, საიდანაც ირკვევა, რომ ძვ. წ. XII ს. სამოციანი წლების შუახანებში მუშქებს დაუპყრიათ ასურეთის მოხარკე ალზისა და ფურულუმზის ქვეყნები (მდ. მურატის, იგივე აღმოსავლეთ ევფრატის ქვემო წელზე), ხოლო ძვ. წ. 1115 წ. მათვე, 20 000 კაციანი ლაშქრითა და 5 „მეფის“ წინამძღოლობით მთებიდან ჩამოსულებმა, შეძლეს ქათმუხის (ქუთმუხის) ქვეყნის დაკავება; თიგლათ-ფილესერ I-ს მოულოდნელად გადაულახავს ქაშიარის (ტურ-აბდინის, იგივე მარდინის) მთები, გაუნადგურებია მუშქების ლაშქარი და მათგან გადარჩენილი 6 000 კაცი თავისი ქვეშევრდომების რიცხვისათვის დაუმატებია[525]. ასევე ქვეშევრდომებად იხდის თიგლათ-ფილესერ I, თავისი მეორე ლაშქრობის შედეგად, ასურეთისადმი დაქვემდებარებული ქვეყნის შუბართუს სამოსახლოების მპყრობელ 4 000 ქასქსა (ქაშქსა) და ურუმეელს, რომელთაც იგი ხეთების ქვეყნის დაუმორჩილებელ ხალხებს უწოდებს[526]. ი. დიაკონოვის აზრით, ქასქები და ურუმეელები მუშქებთან ერთდროულად უნდა შეჭრილიყვნენ ძვ. წ. 1165 წ. ალზის მხარეში[527]. აღსანიშნავია, რომ თიგლათ-ფილესერ I-ის ანალებში ურუმეელებთან ერთად ერთ კონტექსტში ქასქების ნაცვლად ზოგჯერ აბეშლაელები არიან ნახსენე-

ბი[528], რაც ქასქებისა და აბეშლაელების იდენტურობაზე უნდა მოწმობდეს[529]; ეს გარემოება ეთნონიმ „აბეშლას“ სავარაუდო კავშირის გამო ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე აფშილების ტომის სახელწოდებასთან, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საბუთად ითვლება ქასქების აფხაზურ-ადიღური წარმომავლობის სამტკიცებლად[530]. მუშქებს, ქასქებისაგან განსხვავებით, ი. დიაკონოვი, როგორც უკვე ითქვა, პროტოარმენულ ტომად მიიჩნევს და ამ შეხედულების დასაბუთებისათვის, უპირველეს ყოვლისა, მუშქების სახელწოდებაში სომხური ენისათვის დამახასიათებელი მრავლობითი რიცხვის -k მორფემს გამოყოფს[531]. ეთნონიმ „მუშქის“ ზემომოყვანილ ქართველურ პარალელებს, რომ არ შევეხოთ, თუნდაც მხოლოდ სატომო სახელების Musku ‖ Mušku და Kaska ‖ Kaška-ს წარმოების ანალოგიური ხასიათისა[532] და ძვ. წ. II ათასწლეულის ჩრდილოეთ მცირე აზიაში მსგავსი ტოპონიმების, მაგ., Ḫuminteška, Tatiška და სხვ. გამოვლენის[533] გათვალისწინების შედეგად, ვფიქრობთ, ძნელად დასაჯერებელი ხდება ი. დიაკონოვის ვარაუდი. ე. შულერს გამოთქმული აქვს, თავის მხრივ, მოსაზრება, რომ ეთნონიმი „მუშქი“, შესაძლოა, დასავლეთ ანატოლიელი მისიების (Herod., I, 28, 36 და სხვ.) სახელწოდების ჩრდილომცირეაზიულ ყაიდაზე გადასხვაფერების შედეგად იყოს მიღებული[534]. სწორედ მუშქებისა და ქასქების სახელწოდებების აღნაგობის მსგავსებისა და ძველაღმოსავლურ ეპიგრაფიკულ მასალებში ასახული, ამ ორ ტომს შორის არსებული, ახლო კონტაქტების გათვალისწინებით შეძლო ე. შულერმა გამოეთქვა ვარაუდი მუშქებისა და ქასქების ერთგვაროვანი წარმომავლობის თაობაზე; მისი აზრით, მუშქები ან უფრო ადრეულ ხანებში პონტოელი ქასქების ნაწილს წარმოადგენდნენ, ანდა, ისინი, თუკი მათ მცირე აზიაში ახალმოსახლეებად მივიჩნევთ, ქასქებისათვისაც მცირე აზიის ფარგლებს გარეთ მდებარე წინარე სამშობლოს არსებობაზე მიგვანიშნებენ;[535] ე. შულერი მნიშვნელოვან პროტოხეთურ (ხათურ) გავლენას ქასქურ ონომასტიკონზე, გრ. გიორგაძესაგან განსხვავებით, არა პროტოხეთებსა (ხათებს) და ქასქებს შორის არსებული მემკვიდრეობითი ან „გენეტური“ კავშირებით ხსნის[536], არამედ ქასქურში ძლიერი პროტოხეთური (ხათური) სუბსტრატის არსებობით[537].

ასურული ანალების მიხედვით მდ. მურატის ქვემო წელსა და მდ. ტიგროსის ზემო წელს შორის მდებარე მხარეში შეჭრილი ქასქები რომ ხეთურ წყაროებში მოხსენიებული ქასქების მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ, ცხადყოფენ საკუთრივ ასურული ანალების მონაცემები. ამ მონაცემებით, ქასქი-აბეშლაელები და ურუმეელები „ხარქაუდებელი (დაუმორჩილებელი) ხეთები“

ყოფილან[538]. ი. დიაკონოვის განმარტებით, ასურეთის მეფის, თიგლათ-ფილესერ I-ის ანალებში ტერმინი „ხეთების ქვეყანა“ მდ. ევფრატის დასავლეთით მდებარე მცირეაზიული ტერიტორიის აღსანიშნავად არის გამოყენებული და არა სირია-პალესტინისა, როგორც, ჩვეულებრივ, ძვ. წ. I ათასწლეულის ტექსტებშია ნაგულისხმევი[539]. აღსანიშნავია, რომ ასურულ სამეფო ანალებში მუშქები, ქასქი-აბეშლაელებისა და ურუმეელებისაგან განსხვავებით, არ არიან ხეთების ქვეყნის ხალხად დასახელებულნი, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ასურელებს ერთსადაიმავე მხარეებში და ერთდროულად უხდებოდათ მუშქებთან, ქასქ-აბეშლაელებთან და ურუმეელებთან ბრძოლა, უნდა ვიფიქროთ, რომ მუშქების საცხოვრისიც „ხეთების ქვეყანაში“ თუ მის მახლობლად მდებარე მხარეში, უნდა იყოს საძებარი.

მუშქების წინასაცხოვრისის ადგილმდებარეობის დადგენისათვის გარკვეული მნიშვნელობა, შესაძლოა, ჰქონდეს უფრო გვიანი ხანების—ძვ. წ. I ათასწლეულის—ცნობებს მოსხების ბინადრობის თაობაზე ცენტრალური ანატოლიის ჩრდილოეთ ნაწილში, ე. ი. სწორედ იმ მხარეში, რომელიც მუშქებთან ერთად აღმოსავლეთ ანატოლიაში მებრძოლი ქასქების ძირითად კერას წარმოადგენდა ძვ. წ. II ათასწლეულში.[540] დარიოს I-ის დროინდელი (ძვ. წ. 522—486 წწ.) აქემენიდური სპარსეთის მეცხრამეტე სატრაპიის შემადგენლობაში ტიბარენებთან, მაკრონებთან და მარებთან ერთად მოქცეულ და დარიოსის მემკვიდრის, ქსერქსე I-ის (ძვ. წ. 486—465 წწ.) არმიაში ტიბარენებთან ერთად გაერთიანებულ მოსხებში (Herod., III, 94; VII, 78) რომ ცენტრალურ ანატოლიაში, და არა მოსხური მთების მხარეში, მოსახლე მოსხები იგულისხმება, გარდა ჰეკატეოსის, ჰეროდოტეს და პომპონიუს მელას მონაცემების (Hec., fr. 188—189; Herod., I, 72; VII, 72; Pomp. Mela, I, 2, 13) შეთანაპირებისა (იხ. ზემოთ), ქსენოფონტის „ანაბასისის“ის ცნობაც უნდა მიგვანიშნებდეს, რომლის თანახმად ტაოხები და ხალდები სპარსეთის მეფეს არ ემორჩილებოდნენ (Xen., Anab., V,V, 17); ვინაიდან ტაოხები და ხალდები, ანუ იგივე ხალიბები,[541] მდ. ფასისის (არეზის) ზემო დინების მარცხენა—ჩრდილოეთ ნაპირის გადაღმა ცხოვრობდნენ (Xen., Anab., V, VI—VII), ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მათზე უფრო ჩრდილოეთით—„მოსხურ მთებში“ მოსახლე ტომი უშუალოდ სპარსული სატრაპიის შემადგენლობაში მოქცეულიყო. მიუხედავად იმისა, რომ სპარსელთა ძალაუფლება კავკასიონის ქედამდე აღწევდა, იგი, ნომინალური ხასიათისა უნდა ყოფილიყო; ჰეროდოტეს ცნობით, კოლხებმა და მათმა მეზობლებმა კავკასიის მთებამდე, სადამდეც ვრცელდებოდა სპარსელთა მმართველობა, ნებაყოფლობით დაიწესეს ყო-

ველ ხუთ წელიწადში სპარსელებისათვის საჩუქრების მირთმევა (*Herod*., *III*, 97).

აღსანიშნავია, რომ ტაოხები და ხალდები || ხალიბები არ არიან მოხსენიებულნი არც დარიის სატრაპიებში შემავალ ხალხთა სიაში და არც ქსერქსეს ლაშქრობაში მონაწილეთა შორის (Herod., III, 89—96; VII, 61—99). მართალია, ქსენოფონტის „კიროპედია“ იუწყება ჯერ კიდევ აქემენიდების სახელმწიფოს დამაარსებლის კიროს II დიდის (ძვ. წ. 558—530 წწ.) მიერ ხალდების დამორჩილებას (Xen., Cyr., III, 2—3), მაგრამ, როგორც ცნობილია, ძირითადად, დიდაქტიკური ხასიათის მქონე ამ თხზულების ისტორიული სიზუსტე „ანაბასისისაგან“ განსხვავებით, ნაკლებად სანდოდ არის მიჩნეული[542]. თუმცა, არც „ანაბასისის“ ის ცნობა არის ქსენოფონტისეულად ჩათვლილი, რომლის მიხედვით, მაკრონებიც, მოსინიკებიც, კოლტებიცა და ტიბარენებიც, კარდუხების, ხალიბების, ხალდებისა და კოლხების მსგავსად, სპარსელთაგან დამოუკიდებლად არიან გამოცხადებულნი (Xen., Anab., VII, VIII,25); სპეციალისტები „ანაბასისის“ ტექსტის ამ ადგილს გვიანდელ ჩანართად თვლიან[543]. როგორც ჩანს, „ანაბასისის“ ეს დანამატი ძირითადი ტექსტის გათვალისწინებით არის შედგენილი და ვინაიდან „ანაბასისში“ აღნიშნული ტომების სპარსელებისადმი დაქვემდებარების შესახებ არაფერია თქმული, ისინიც თავისუფალ ხალხებთან ერთად არიან მოხსენიებულნი. ქსენოფონტი, ძირითადად, ყურადღებას ამახვილებს მისი თანამემამულეების მიმართ გზაზე შემხვედრი მოსახლეობის დამოკიდებულებაზე—აძლევდნენ თუ არა ისინი მათ საჭირო პროდუქტების შეძენის საშუალებას, ეს გარემოება თავის მხრივ განაპირობებდა მოქირავე ბერძენი ჯარისკაცების განწყობას ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ (Xen., Anab., V, V, 13—21). ამავე დროს, რამდენადმე, ყურადღებას იპყრობს სპარსეთის მეფისადმი დაქვემდებარებულ კარდუხებთან, ტაოხებთან და ხალდებთან ბერძენთა შებრძოლებისა და სურსათის წართმევის დაპირისპირება, ამ უკანასკნელთათვის მაკრონების მიერ ბაზრის გახსნასთან, მიუხედავად იმისა, რომ მაკრონები, ქსენოფონტისავე შენიშვნით,—ბარბაროსები იყვნენ (Xen., Anab., V, V, 17, 18); კარდუხების, ტაოხებისა და ხალდების თავისუფლებასთან დაპირისპირებით მაკრონების ბარბაროსობის ხაზგასმაში არ არის გამორიცხული, რომ სპარსელებისაგან მაკრონთა დამოკიდებულების ანარეკლი იყოს ასახული.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ჰეროდოტეს და ქსენოფონტის ცნობების შეჯერება ცხადყოფს, რომ დარიოს I-ის დროინდელი აქემენიდური სპარსეთის მეცხრამე-

ტე სატრაპიის შემადგენლობაში შემავალ ქართველ ტომებს ძვ. წ. V ს. დასასრულისათვის დამოუკიდებულობა მოუპოვებიათ[544]. სავსებით დასაშვებია, აღნიშნულ პერიოდში ზოგიერთ ქართველ ტომს მართლაც მიეღწია დამოუკიდებლობისათვის, ვინაიდან დარიოსის მეფობის მომდევნო ხანაში აქემენიდური სატრაპიების შემცველობაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია მომხდარი[545], მაგრამ დარიოს I-ის დროინდელ მეცხრამეტე სატრაპიაში შემავალი ყველა ტომის მიერ სპარსელებისაგან დამოუკიდებლობის მოპოვების სავარაუდებლად საფუძველი, ვფიქრობთ, არ უნდა გვქონდეს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მეცხრამეტე ოლქზე სპარსელების მიერ შეწერილი იყო სამასი ტალანტი, იმდენივე, რამდენიც სუსელებისა და სხვა კისიელთაგან შემდგარ—მერვე და პართების, ხორასმელების, სოგდებისა და არიების მომცველ—მეთექვსმეტე სატრაპიებზე, ხოლო მეთვრამეტე სატრაპია, რომელიც მატიენებს, სასპეჲრებს და ალაროდიელებს აერთიანებდა[546] კიდევ უფრო ნაკლებს—ორას ტალანტს იხდიდა (Herod., III, 91, 93—94), უნდა ვივარაუდოთ, რომ მეცხრამეტე ოლქი მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ვიწრო სანაპირო ზოლით არ იქნებოდა შემოფარგლული და იგი, ალბათ, პონტოს მთების სამხრეთით, ქვეყნის შიგნითაც ვრცელდებოდა; ეს ოლქი, მნიშვნელოვანწილად, უფრო გვიანი ხანების „პონტოს კაპადოკიის“ (Cappadocia Pontica) მომცველი უნდა ყოფილიყო, თუ არა საკუთრივ „დიდი კაპადოკიის“ (Cappadocia Magna) მიწებისა.[547] აღსანიშნავია, რომ ქსენოფონტის „კიროპედიის“ ცნობით, კაპადოკია ჯერ კიდევ კიროს II დიდის მიერ იყო სატრაპიად ქცეული (Xen., Cyrop., VIII,6), ხოლო, ვინაიდან მისი ძალაუფლების ქვეშ მოქცეული სახელმწიფოს ჩრდილოეთის ზღვარს ევქსინის პონტო წარმოადგენდა (Xen., Cyrop., VIII, 6,8), საფიქრებელია, რომ სწორედ კაპადოკიის დაუფლების ხარჯზე მოხდა აქემენიდთა სახელმწიფოს შავ ზღვაზე გასვლა. დარიოს I-ის დროინდელ მეცხრამეტე სატრაპიაში შემავალი ტომებიდან, რომელთა შორის იყვნენ მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები, მარები (Herod., III, 94)—ქვეყნის შიგნით ყველაზე ღრმად, როგორც ჩანს, მოსხები ვრცელდებოდნენ. ქვეყნის შიგნით მოსხების გავრცელებას იმ ანტიკური და ბიზანტიური ხანის ავტორთა ცნობებიც უნდა მოწმობდნენ, რომლებიც მოსხებისა და კაპადოკიელების იგივეობაზე მიგვითითებენ (იხ. ზემოთ). ცენტრალურ ანატოლიაში თუ კაპადოკიაში (თუნდაც მის ჩრდილოეთ ნაწილში) მოსახლე მოსხებს კი, ძნელი წარმოსადგენია, ძვ. წ. V ს. დამლევს სპარსელთაგან დამოუკიდებლობისათვის მიეღწიათ.

როგორც ცნობილია, კაპადოკიის ტერიტორიის დიდი ნაწილი ალექსანდრე მაკედონელის ხანაში, ჯერ კიდევ ექვემდებარებოდა სპარსეთის მეფეს და მაკედონელთა ხელქვეით მხოლოდ ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ მოექცა, როდესაც მის ერთ-ერთ მხედართმთავარს, ევმენ კარდიელს ერგო კაპადოკია, პაფლაგონია და ევქსინის პონტოს გასწვრივ მდებარე მიწები ტრაპეზუნტამდე, რომლებიც მანამდე სპარსელთა სატრაპისა და კაპადოკიის პირველი მეფის არიარათე I-ის სამფლობელოებს წარმოადგენდნენ (Plut., Eum., III; Curtius, X, 3–10; Strabo, XII, I, 2, 4).

აქემენიდური სახელმწიფოს დაცემის ხანის ნუმიზმატიკური მონაცემები ცხადყოფენ, რომ სპარსეთის ინტერესები სამხრეთ შავიზღვისპირეთში ბევრად უფრო ფართო და მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ჩვეულებრივ აქვთ ხოლმე მეცნიერებს ნავარაუდევი. ძვ. წ. IV საუკუნეში სპარსელთა სახელიანი მონეტები იჭრებოდა ქ. სინოპში და ფიქრობენ, რომ ქ. გაციურაშიც (თანამედროვე ქ. ტურხალთან)[548]; ამ მონეტებზე ლეგენდები, ძირითადად, შესრულებულია არამეულად—აქემენიდების სახელმწიფოს კანცელარიის ენაზე.[549] მიუხედავად იმისა, რომ პაფლაგონიელთა და სირიელთა ტერიტორია, რომელიც ქ. სინოპსაც მოიცავდა, დარიოს I-ის მიერ მესამე სატრაპიაში იყო გაერთიანებული, ჰელესპონტოს ფრიგიასთან, ფრიგიასთან, თრაკიასთან, და მარიანდინების ქვეყანასთან ერთად (Herod., III, 90)[550], ქ. სინოპი, როგორც ირკვევა, ხშირად გადადიოდა ხოლმე კაპადოკიელების ხელში. თუ ქსენოფონტის „ანაბასისის" ცნობით, პაფლაგონიის მიწაზე მდებარე ქ. სინოპი პაფლაგონიელებს არ ექვემდებარეობდა (Xen., Anab., V, V, 12, 23; შდრ. VI, I, 15), ძვ. წ. IV ს. სამოცდაათიან-სამოციან წლებში იქ უკვე იჭრებოდა კაპადოკიის სატრაპის დატამესის მონეტები, იმავე საუკუნის ორმოციან-ოცდაათიან წლებში სპარსელი მმართველების: მითროპასტის, ჰიდარნესის და ორონთობატის არამეულლეგენდიანი მონეტები, ხოლო ოციან წლებში ჩრდილოეთ კაპადოკიის მმართველთა სპარსული დინასტიის წარმომადგენლის—არიარათე I-ის მონეტები[551].

სამხრეთშავიზღვისპირეთის ცენტრალურ ნაწილში ძვ. წ. IV ს. ოცდაათიან წლებში სპარსეთის მყარ ბატონობაზე მიგვანიშნებს ახ. წ. II ს. ბერძენი ისტორიკოსის, არიანეს, თხზულების—„ალექსანდრეს ლაშქრობის" ცნობა, იმის შესახებ, რომ ალექსანდრე დიდს უვნებლად გაუშვია მაკედონელთა მიერ დაკავებული, სპარსეთის მეფესთან გაგზავნილი სინოპის ელჩები, რადგან ბუნებრივად ჩაუთვლია, რომ ისინი თავიანთ პატრონთან მიეშურებოდნენ (Arr., Anab.,

III, 24, 4); ნიშანდობლივია, ამ მხრივ, ახ. წ. I ს. რომაელი ისტორიკოსისა და რიტორიკოსის კურციუსის ცნობაც, რომ სწორედ პაფლაგონია და კაპადოკია გახდნენ, მაკედონელთაგან მათი დამორჩილების რამდენიმე თვის თავზე, სპარსული წინააღმდეგობის უმთავრესი კერები (Curtius, IV, I, 34—35; შდრ. Diod., XVII, 48, 5—6)[552]. პონტოში ხანგრძლივი და ძლიერი სპარსული გავლენის კვალს უნდა წარმოადგენდეს ქალაქ ძელაში ირანული ქალღმერთის — ანაჰიტას ტაძრის არსებობა (Strabo, XII, III, 37)[553] და პონტოს სამეფო დინასტიის — მითრიდატიდების წარმომადგენელთა მიერ მათი სპარსულ-აქემენიდური წარმომავლობის ხაზგასმა (Diod., XIX, 40; Sal., II, 53; Polyb., V, 42, 2; V, 43, 2; App., Mithr., 91, 102).

ამგვარად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძნელად წარმოსადგენია, რომ აქემენიდთა მეცხრამეტე სატრაპიაში შემავალ და ცენტრალური ანატოლიის ჩრდილოეთ ნაწილში მოსახლე მოსხებს აქემენიდების სახელმწიფოს დაცემამდე დაეღწიათ თავი სპარსელთა ბატონობისაგან.

მეცხრამეტე სატრაპიაში შემავალ მოსხებში (Herod., III, 94) რომ უფრო გვიანი ხანების ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის „მოსხურ მთებში“ მოსახლე მოსხები არ იგულისხმებიან, თვით ჰეროდოტესთან მოყვანილი „სატრაპიების ანუ დარიოსის მოხარკეთა სიის“-ის ცნობაც უნდა მოწმობდეს, რომლის მიხედვით, ერთსადაიმავე მეცამეტე სატრაპიაში პაქტიიკესა[554] და არმენიის მოსახლეობასთან გაერთიანებული და არმენიის მეზობლად მცხოვრები ტომები ევქსინის პონტომდე ყოფილან გავრცელებულნი (Herod., III, 93); აშკარაა, რომ არმენიელთა მეზობლად და შავ ზღვამდე მცხოვრებ ტომებში, უპირველეს ყოვლისა, „მოსხური მთებისა“ და მათ გადაღმა მდებარე აღმოსავლეთ პონტოს (ლაზისტანის) ქედის მოსახლეობა უნდა იყოს ნავარაუდევი. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ მეცამეტე სატრაპიის შავიზღვისპირეთამდე გავრცელება ნომინალური ხასიათისა ყოფილიყო; ყოველ შემთხვევაში, ქსენოფონტის „ანაბასისის“ მონაცემების თანახმად, საეჭვოა, რომ ძვ. წ. IV ს. დასაწყისისათვის დასავლეთ არმენიის სატრაპიის ტერიტორია მდ. არეზის ზემო წელის მარცხენა (ჩრდილოეთ) ნაპირს დიდი მანძილით ყოფილიყო დაშორებული (შდრ. Xen., Anab., IV, V, 34; IV, VI, 5)[555]. გარდა იმისა, რომ ტაოხები და ხალდი-ხალიბები სპარსეთის მეფეს არ ემორჩილებოდნენ (Xen., Anab., V, V, 17; VII, VIII, 25), სავარაუდოა, რომ მათ, ამავე დროს, ხალიბების მეთაურობით, ერთი ტომობრივი გაერთიანება უნდა შეექმნათ (შდრ. Xen., Anab., IV, IV, 18; IV, V, 34; V, VI, 5; IV, VII, 1, 15—18; VII, VIII, 25)[556]. ხალი-

ბები და ტაოხები, რომ არ ექვემდებარებოდნენ დასავლეთ არმენიის სპარსელ სატრაპს, მოწმობს ტირიბაზის ჯარში მათი ცალკე—„მოქირავეებად" მოხსენიება, განსხვავებით საკუთრივ ტირიბაზის მეომრებისაგან (Xen., Anab., IV, IV, 18), ვინაიდან, ძნელი წარმოსადგენია დასავლეთ არმენიის მმართველს—ტირიბაზს თავისივე ქვეშევრდომები დაექირავებინა.[567] ხალიბთა ქვეყანა და არმენია აშკარად არიან ერთმანეთს დაპირისპირებული დასავლეთ არმენიის ერთ-ერთი სოფლის მამასახლისის (κώμαρχος) მიერ ქსენოფონტისათვის თქმულ სიტყვებში, რომ წინ — ბერძენთა გზაზე მდებარე არმენიის მეზობელი ქვეყანა ხალიბებს ეკუთვნოდათ (Xen., Anab., IV, V, 34)[568].

მით უფრო არადამაჯერებლად მიგვაჩნია მეცნიერთა შორის გავრცელებული შეხედულება, მდ. ჭოროხის ზემო წელთან მდებარე სპერის ოლქის ძვ. IV ს. დასაწყისისათვის აქემენიდთა სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფნის შესახებ[569]; ეს შეხედულება მნიშვნელოვანწილად ტერმინების—„სპერი", „სასპეჲრი" და „ჰესპერიტი" გაიგივებიდან გამომდინარეობდა[560]; ფიქრობენ, რომ დარიოს I-ის დროინდელ მეთვრამეტე სატრაპიაში გაერთიანებული სასპეჲრები (Σάσπειρες—Herod., III, 94) უფრო გვიან ხანებში დასავლეთ არმენიის სატრაპიაში შემავალი ჰესპერიტების (Ἑσπερῖται) სახელწოდებით იყვნენ ცნობილნი, ვინაიდან „ანაბასისის" დასკვნითი ნაწილის ცნობით, ტირიბაზი ფასიანებისა და ჰესპერიტების მმართველი ყოფილა (Xen., Anab., VII, VIII, 25)[561]. რადგანაც „ანაბასისის" დასკვნით ნაწილში ტაოხები არ არიან დასახელებულნი და აგრეთვე იმ გარემოების პოსტულირებით, რომ, როგორც ტაოხები, ასევე სასპეჲრ-ჰესპერიტ-იბერები აღმოსავლურქართული ტომები უნდა ყოფილიყვნენ, გამოითქვა ვარაუდი, რომ ტერმინ „ჰესპერიტით" დასავლეთ არმენიის სატრაპიისადმი დაქვემდებარებული ტაოხები აღინიშნებოდნენ.[562] თუმცა, თითქოს უფრო მოსალოდნელი იყო გვეფიქრა, რომ „ჰესპერიტებში" ნაგულისხმევი იქნებოდნენ „ანაბასისის" ძირითადი ტექსტის „სკვითინები", რომლებიც აგრეთვე არ არიან დასახელებულნი ამ თხზულების დასკვნით ნაწილში და რომელთა ადგილმდებარეობაც, „ანაბასისის" მონაცემების თანახმად, ყველაზე უფრო უნდა უახლოვდებოდეს სპერის ტერიტორიას; როგორც ვიცით, ქსენოფონტისა და მისი თანამემამულეების გზა, ხალიბების ქვეყნის გავლის შემდეგ—მდ. ჰარპასოსიდან (გაიგივებულია მდ. ჭოროხთან) მაკრონთა ქვეყანამდე (ქ. ტრაპეზუნტის სამხრეთით)—სკვითინების მიწაზე გადიოდა (Xen., Anab., IV, VIII, 18—27). მაგრამ თუ შავიზღვისპირა ხალიბები აღმოსავლეთ ანატოლიის მთიანეთის ხალიბებისაგან განსასხვავებ-

ლად უნდა ყოფილიყვნენ „ანაბასისის“ დასკვნით ნაწილში „კორდუქების“ სახელწოდებით მოხსენიებულნი, გაურკვეველია, რით უნდა აიხსნას თვით ქსენოფონტის თუ „ანაბასისის“ ჰიპოთეტური ექსტრაპოლატორის მიერ, რომელიც კარგად გათვითცნობიერებულ ავტორად არის მიჩნეული, სკვითინების ან ტაოხების მოხსენიება „ჰესპერიტების“ სახელწოდებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ ჰესპერიტებს უნდა ეცხოვრათ ფასიანების სამხრეთით, მდ. ტიგროსის სათავეებთან[563], სადაც, ზოგიერთი ავტორის აზრით, მდებარეობდა სტრაბონისეული „სისპირიტისი“ (Συσπιρῖτις—Strabo, XI, IV, 8; XI, XIV, 12; Ὑσπιρῖτις — Strabo, XI, XIV, 9)[564]. მაგრამ ჰესპერიტების ადგილმდებარეობის განსაზღვრას იმ მხარეში, რომელშიც ქსენოფონტს არ გაუვლია,[565] ეწინააღმდეგება თვით ტერმინ „ჰესპერიტის“ შემცველი, „ანაბასისის“ დასკვნითი პარაგრაფის საწყისი სიტყვები, რომ „მმართველები მეფის იმ ქვეყნებისა, რ ო მ ე ლ ნ ი ც გ ა ვ ი ა რ ე თ (ხაზი ჩვენია—გ. ქ.), იყვნენ...“ (Xen., Anab., VII, VIII, 25)[566]; „ანაბასისის“ ამ ნაწილში ჩამოთვლილია მხოლოდ ის ქვეყნები და ტომები, რომლებიც „ანაბასისის“ ძირითადი ტექსტის მიხედვით, ელინთა გზაზე მდებარეობდნენ, ამდენად, აშკარა ხდება, რომ მათ ჰესპერიტების ტერიტორიაზეც უნდა გაევლოთ. რაც შეეხება სტრაბონისეული „სისპირიტისის“ ლოკალიზაციის საკითხს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მასში სპერი უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი; მხედველობაშია მისაღები, კ. თუმანოვის მიერ შენიშნული ის ფაქტიც, რომ „წმინდა გრიგოლის ცხოვრების“ ბერძნულ ვარიანტში სპერი მოხსენიებულია „სოისპერტისის“ (Σουσπέρτις) სახელით.[567]

ჰესპერიტების ვინაობის დადგენასა და ადგილმდებარეობის განსაზღვრაზე მსჯელობისას, ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელი უნდა იყოს ის გარემოება, რომ „ანაბასისის“ დასკვნით ნაწილში მოხსენიებული ფასიანებისა და ჰესპერიტების მმართველი ტირიბაზი (Xen., Anab., VII, VIII, 25), ძირითადი ტექსტის მიხედვით—დასავლეთ არმენიის სატრაპია (Xen., Anab., IV, IV, 4); ამრიგად, ამ თხზულების დასკვნით პარაგრაფში, ტირიბაზის უმთავრესი მოვალეობა—დასავლეთ არმენიის მმართველობა—შეცვლილია ფასიანებისა და ჰესპერიტების მმართველის წოდებით, ხოლო ტირიბაზის ქვეშევრდომების—ქსენოფონტისა და მისი თანამოლაშქრეების გზაზე მოსახლე—არმენიელების (Xen., Anab., IV, IV—V) ნაცვლად ჰესპერიტები არიან დასახელებულნი. თავისთავად

იბადება კითხვა: „ანაბასისის“ დასკვნითი ნაწილის „ჰესპერიტებში“ დასავლეთ არმენიის მოსახლეობა ხომ არ არის ნაგულისხმევი?

მსგავსი ვარაუდის საფუძვლიანობას უნდა მოწმობდეს ის გარემოება, რომ ბერძნული სიტყვა ἑσπέρα გამოიყენება „დასავლეთის“, ხოლო ἑσπέριος/ἕσπερος — „დასავლურის“ მნიშვნელობით“; საყურადღებოა, რომ სტრაბონი ცნებას „ლიბიელი ჰესპერიტები“ იყენებს დასავლელი ლიბიელების აღსანიშნავად (Strabo, XIV, I, 39)[608]. შესაბამისად ამისა, სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია „ანაბასისის“ დასკვნით ნაწილში გამოყენებული ტერმინი „ჰესპერიტები“, ანუ „დასავლელნი“, დასავლეთ არმენიის მოსახლეობის აღსანიშნავად ყოფილიყო ნახმარი, რაც, ალბათ, ნაკარნახევი იქნებოდა სურვილით, განერჩიათ ისინი აღმოსავლეთ არმენიის სატრაპიაში მცხოვრები არმენიელებისაგან, რომელთა ტერიტორიაც კარდუხების ქვეყნიდან გამოსულმა ბერძენმა მოლაშქრეებმა დასავლეთ არმენიის სატრაპიის მიწაზე მოხვედრამდე გაიარეს (Xen., Anab., IV, III, 1, 3—4, 20; IV,IV, 1—4,). როგორც ჩანს, „ანაბასისის“ დასკვნით პარაგრაფში ტერმინი „ჰესპერიტები“ იმდაგვარადვეა გამოყენებული დასავლელი არმენიელების გამოსარჩევად აღმოსავლელი არმენიელებისაგან, რომელთა სატრაპიც დასავლელთაგან განსხვავებით ორონტე იყო და არა ტირიბაზი (Xen., Anab., III, V, 17; IV, III, 3; IV, IV,4), როგორც შავიზღვისპირა ხალიბების აღმოსავლეთანატოლიელი ხალიბებისაგან განსასხვავებლად— ტერმინი „კოჲტები“. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ „ანაბასისის“ დასკვნითი ნაწილი შინაარსობრივი თვალსაზრისით არ არის დაშორებული ძირითად ტექსტს, უფრო მეტიც, ტომთა განსხვავებული სახელწოდებების („კოჲტები“, „ჰესპერიტები“) გამოყენება თავისთავად განპირობებული ჩანს მოთხოვნილებით, თხზულების შემაჯამებელ ნაწილში აღრევის თავიდან ასაცილებლად დაკონკრეტებულიყო რომელი ტომი (ან მისი ნაწილი) იყო იქ ნაგულისხმევი. აღნიშნული გარემოება მიგვანიშნებს, რომ „ანაბასისის“ დასკვნითი ნაწილი თუ თვით ქსენოფონტის კალამს არ ეკუთვნოდა, ყოველ შემთხვევაში, მისი შინაარსობრივი თანხვედრა ძირითად ტექსტთან, ვფიქრობთ, საეჭვო აღარ უნდა იყოს.

რაც შეეხება საკუთრივ სპერის მოსახლეობის სახელწოდების ასახვას ანტიკური ხანის წერილობით წყაროებში, ყურადღებას იპყრობს ძველ ბერძენ და რომაელ ავტორებთან დამოწმებული ეთნონიმი „საპეჲრები“ (Σάπειρες); სტრაბონის „გეოგრაფიის“ „სისპირიტისი“/„სისპირიტიდა“ მხოლოდ ქვეყნის, მხარის აღმნიშვნელი ტერმინია (Strabo, XI, IV, 8; XI, XIV, 9, 12). აპოლონიოს

როდოსელის „არგონავტიკის“ თანახმად, საპეირები შავიზღვისპირეთში ბეჭირების მრავალრიცხოვან ტომსა და მეომარი კოლხების მეზობელ ბიძერებს შორის ცხოვრობდნენ (Apoll. Rhod., II, 395—397, 1242—1244).[569] ფსევდო-ორფევსის „არგონავტიკის“ მიხედვით, საპეირების მჭიდროდ დასახლებული ქალაქები, სინოპეს კლდოვანი შეერილის აღმოსავლეთით მცხოვრები ტომების—ფილირებისა და ნაპატების გადაღმა და ბიძერების დასავლეთით ყოფილან განლაგებულნი (Ps.-Orph., 750ff). ამიანუს მარცელინუსის „ისტორიის“ ტექსტში საპეირები—ბიძერებსა და ტიბარენებს შორის არიან დასახელებულნი (Amm. Marc., XXII, 8, 21). სტეფანე ბიზანტიონელის განმარტებით, შუაგულ პონტოში მცხოვრებ საპეირების ტომს მის დროს უკვე საბეირები (Σάβειρες) ეწოდებოდა (Steph. Byz., s. v. Σάπειρες). საპეირების ადგილმდებარეობის განსაზღვრა პონტოში, ბიძერებთან და ბეჭირებთან მეზობლობაში, მნიშვნელოვან არგუმენტს წარმოადგენს სპერის მოსახლეობასთან მათი გაიგივებისათვის. ამავე დროს, საპეირებთან და სპერთან ჰეროდოტესეული სასპეირების დაკავშირების შესაძლებლობას იძლევა ელიანუს ჰეროდიანის ცნობა, რომ საპეირები იგივე სასპეირები არიან (Ael. Her, II, 49, 20).

სპერის მოსახლეობასთან სასპეირების გაიგივებაზეა, ძირითადად, დამყარებული შეხედულება, რომლის თანახმადაც სპერის ოლქი მოქცეული უნდა ყოფილიყო მატიენებისაგან, სასპეირებისაგან და ალაროდიელებისაგან შემდგარ დარიოს I-ის დროინდელ მეთვრამეტე სატრაპიაში (Herod., III, 94)[570]. მაგრამ, თვით ჰეროდოტეს „ისტორიის“ მონაცემები ცხადყოფენ, რომ სასპეირების ტომს სპერის ოლქზე ბევრად უფრო ვრცელი ტერიტორია უნდა სჭეროდა; ჰეროდოტეს მიხედვით, კოლხეთიდან მიდიამდე მხოლოდ ერთი ტომი ცხოვრობდა—სასპეირებისა (Herod., I, 104); მისივე ცნობით, სამხრეთის ზღვიდან ჩრდილოეთის ზღვამდე (იგულისხმება სპარსეთის ყურე და შავი ზღვა),[571] სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით მოსახლეობდა ოთხი ტომი: სპარსელები, მიდიელები, სასპეირები და კოლხები (Herod., IV, 37). აღსანიშნავია, რომ ჰეროდოტე სასპეირებს სხვა დროსაც, თითქმის ყოველთვის, კოლხებთან ან მიდიელებთან ერთად იხსენიებს (Herod., I, 110; IV, 40; VII, 79), ეს კი მიგვანიშნებს, რომ მას მკაფიოდ ჩამოყალიბებული წარმოდგენა უნდა ჰქონოდა სასპეირების ადგილმდებარეობაზე. სასპეირთა ქვეყნის ლოკალიზაციისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს ცნობას, რომ სასპეირებისა და მიდიელთა ქვეყნის სასაზღვრო მხარე მდებარეობდა მიდიელთა დედაქალაქის ეკბატანის (თანამედროვე ირანულ

ქალაქ ჰამადანთან) ჩრდილოეთითა და ევქსინის პონტოს მიმართულებით (ანუ ეკბატანის ჩრდილო-დასავლეთით—გ. ქ.) და, რომ ამ მხარეში მიდიელთა ქვეყანა ძალიან მთიანია, მაშინ, როდესაც, მისი დანარჩენი ნაწილი დაბლობს წარმოადგენდა (Herod., I, 110). თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებდით იმ გარემოებასაც, რომ სასპეჲრებთან ერთად, ერთ სატრაპიაში გაერთიანებულ აღმოსავლეთის მატიენებსა და ალაროდიელებს დაახლოებით ვანისა და ურმიის ტბებს შუა მდებარე მხარეში უნდა ეცხოვრათ[572], ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა, რომ სასპეჲრებში, მხოლოდ ჭოროხის ზემო წელთან მცხოვრები სპერის მოსახლეობა ყოფილიყო ნაგულისხმევი, ხოლო ჭოროხის ზემო წელსა და ვანის ტბის აღმოსავლეთით მდებარე მხარეს შორის განლაგებული ყოფილიყო პაქტიიკესა და არმენიის მომცველი აქემენიდთა მეცამეტე სატრაპია, რომელიც, ამასთანავე, ევქსინის პონტომდე მოსახლე ტომებამდე ვრცელდებოდა (Herod., III, 93). როგორც ჩანს, სასპეჲრთა საცხოვრისი არა იმდენად კოლხეთის სამხრეთითა და მიდიის დასავლეთით არის საძებარი, რამდენადაც კოლხეთის აღმოსავლეთითა და მიდიის ჩრდილოეთით—ცენტრალურ ამიერკავკასიაში. ვინაიდან ჰეროდოტესათვის კავკასიაში მცხოვრები იბერები უცნობია, გამოითქვა აზრი, რომ სასპეჲრებში მას იბერები უნდა ჰყოლოდა ნაგულისხმევი[573]. სასპეჲრებისა და კოლხების მეზობლობის (Herod., I, 104; IV, 37, 40) გარდა, ამ ვარაუდს მხარს უნდა უჭერდეს ის გარემოება, რომ სასპეჲრები (და, აგრეთვე, ალაროდიელები) ისევე ყოფილან შეიარაღებულნი, როგორც კოლხები (Herod., VII, 79)[574]. მიდიის მეზობლად მცხოვრებ სასპეჲრებს, როგორც ჩანს, ისტორიული აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მხარეები ეკავათ. არც ის არის გამორიცხული, რომ სპერი (ან მისი ნაწილი) სასპეჲრთა დიდი გაერთიანების[575] შემადგენლობაში ყოფილიყო მოქცეული, ანდა სულაც, სპერის მოსახლეობის ექსპანსიის შედეგად ჩამოყალიბებულიყო ეს გაერთიანება; როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, წერილობითი წყაროების მონაცემებით თითქოს შეინიშნება ამიერკავკასიაში სამხრეთ შავიზღვისპირელი ტომების გადმონაცვლების კვალი.

ამრიგად, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ აქემენიდთა სპარსეთის მეცამეტე და მეთვრამეტე სატრაპიების გავრცელების ფარგლებს, უნდა ვიფიქროთ, რომ მეცხრამეტე სატრაპიაში შემავალ მოსხებში ნაგულისხმევი იქნებოდნენ არა „მოსხური მთებისა“ და ისტორიული მესხეთის ბინადარნი, არამედ ცენტრალური ანატოლიის ჩრდილოეთ რაიონებში, ტიბარენების მეზობლად მოსახლე მოსხები. ვი-

ნაიდან მოსხების ადგილსაცხოვრისი, მათ შესახებ არსებული ყველაზე ადრეული — ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანების — ცნობების თანახმად, ცენტრალურ ანატოლიაში მდებარეობდა (იხ. ზემოთ), უფრო ადრე, ძვ. წ. II ათასწლეულის გვიან ხანებში, ტიგროსის ზემო წელსა და ევფრატს შორის მდებარე მხარეში — ალზი-ფურულუმზიში, „ხეთური ქვეყნის“ ხალხებთან — ქასქ-აბეშლაელებთან და ურუმელებთან ერთად შეჭრილი მუშქებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაძლოა, შემდეგდროინდელი მოსხების კერიდან — ცენტრალური ანატოლიიდან — ყოფილიყვნენ გადმოსახლებულები. ამ ტომების წინასაცხოვრისის ლოკალიზების შესაძლებლობას ცენტრალური ანატოლიის ჩრდილოეთ ნაწილში, გარდა ხეთური წერილობითი წყაროების მონაცემებისა (რომელთა მიხედვით ეს მხარე ქასქების სამშობლოს წარმოადგენდა), ალბათ უნდა მოწმობდეს ის გარემოებაც, რომ ალზი-ფურულუმზის მხარეში მდებარეობდნენ ერგანი-მადენის სპილენძის საბადოები,[576] ამას კი ჩრდილოეთ ანატოლიის მეტალურგი ტომების მისაზიდად გარკვეული მნიშვნელობა ექნებოდა.

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ ანატოლიის დასავლეთ ნაწილში და ჩრდილოეთ სირიაში გვიანხეთურ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებში (მელიდი, კარქემიში) ლუვიურად-მოლაპარაკე მოსახლეობის გამოჩენა ანატოლიის ცენტრალურ ზეგანზე ჩრდილოეთ ანატოლიიდან შემოსული ქასქებისა და მუშქების აქტიობას მიეწერება.[577] ზოგიერთი მეცნიერის აზრით, აღმოსავლეთ ანატოლიაში ასურელებთან მებრძოლი მუშქები სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპიდან ანატოლიაში შეჭრილი ფრიგიელების ნაკადს წარმოადგენდნენ[578]. მაგრამ, გარდა იმ გარემოებისა, რომ წინაფრიგიული ხანის იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში დადასტურებულია ეთნონიმი Muska-, რაც ამ ეთნონიმის ფრიგიულ კუთვნილებას უნდა გამორიცხავდეს,[579] არც არქეოლოგიური მასალა შეიცავს რაიმე მინიშნებას ამდენად შორეული კავშირების სამტკიცებლად;[580] ჯ. მაქქვინი აღნიშნავს, რომ არქეოლოგიური მონაცემები უფრო მოწმობენ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მოსახლეობის გადანაცვლებაზე, ვიდრე პირიქით[581]. შედარებით უფრო გვიან ხანებში — ძვ. წ. VIII ს. დამლევს ფრიგიის დედაქალაქის გორდიონის განათხარ მასალებში ძლიერი აღმოსავლური (სამხრეთაღმოსავლურ ანატოლიური, სამხრეთსირიული) გავლენის უეცარ გამოჩენას, ჯ. მაქქვინი მუშქების გადმოსახლებას უკავშირებს ტიგროსის ზემო წელსა და ევფრატს შორის მდებარე მხარიდან, სადაც ისინი, მისი აზრით, ოთხი საუკუნის განმავლობაში ცხოვრობდნენ, ვიდრე ასურელთა შემოტევას არ გამოექცნენ.[582] თუმცა, არსებობს სრულიად სხვაგვარი შეხედუ-

ლებაც მდ. ევფრატის აღმოსავლეთით მოხვედრილი მუშქების შემდგომი ბედის თაობაზე.[583] როგორიც არ უნდა ყოფილიყო მუშქების შემდგომი ისტორია, ნიშანდობლივია, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის გვიანი ხანებისა და I ათასწლეულის პირველი ნახევრის ძველაღმოსავლურ წყაროებში მოხსენიებულ მუშქებს, ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანების ძველ ბერძენ ავტორთა თხზულებებში ენაცვლებიან ცენტრალური ანატოლიის ჩრდილოეთ ნაწილში მოსახლე მოსხები (Hec., fr. 188—189; Herod., I, 72; III, 94; VII, 72, 78), რომლებიც, თავის მხრივ, ძვ. წ.—ახ. წ. მიჯნაზე უკვე ისტორიული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე არიან დადასტურებულნი (Strabo, I, III, 21; XI, II, 1, 15, 18; XI, XII, 4; XI, XIV, 1; XII, III, 18; Cl. Ptol., V, VI, 1; V, XII, 2,9).

მუშქი-მოსხების იგივეობისა და განსაკუთრებით მუშქების წარმომავლობის საკითხების კვლევის თანამედროვე ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა არქეოლოგიური მასალის მონაცემებს უნდა მიენიჭოს. მეტად ხელსაყრელ გარემოებას ამ მხრივ, ჩვენი აზრით, წარმოადგენს მდ. მურატის ქვემო წელზე, თანამედროვე ქალაქ ელიაზიგის ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით—აშვანისა და ალტინოვის ველებზე—ქებანის კაშხლის აგებასთან დაკავშირებით ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები (როგორც ცნობილია, მკვლევართა დიდი ნაწილის ვარაუდით, ალზის ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვარი მდ. მურატის ქვემო წელის მარცხენა ნაპირამდე აღწევდა).[584] განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ აქ მოპოვებული ადრეული რკინის ხანის მასალის გამოჩენა, ძვ. წ. XII ს. დათარიღებული, წინამორბედი ფენის მასალისაგან სავსებით განსხვავებული კულტურული ტრადიციების შემოტანით ხასიათდება (როგორც კერამიკის, ასევე არქიტექტურის მხრივ).[585] ამ კულტურის მატარებელი მოსახლეობის უცხო წარმომავლობას განსაკუთრებული რელიეფურობით წარმოაჩენს ის გარემოება, რომ მისთვის დამახასიათებელი კერამიკა ხელითნაძერწია, მაშინ, როდესაც წინამორბედი, გვიანბრინჯაოს ხანის II პერიოდის ჭურჭელი სწრაფმბრუნავ ჩარხზე იყო დამზადებული;[586] ნიშანდობლივია აგრეთვე, ერთსადაიმავე კულტურულ ფენებში—ადრეული რკინის ხანის ადრეული მასალისა და გვიანბრინჯაოს ხანის II პერიოდის მასალის ერთად გამოვლენა, რაც ახალმოსული და ავტოქტონური მოსახლეობის თანაარსებობაზე უნდა მიგვანიშნებდეს.[587]

ქ. ელიაზიგის აღმოსავლეთით მდებარე ალტინოვის ველის ადრეული რკინის ხანის ძეგლებზე—ნორშუნთეფეში (ჰორიზონტი II), კორუჯუთეფეში (ფაზა K), თეფეჯიქში, დეღირმენთეფეში და სხვ.

გამოვლენილ მასალას[588] პარალელები, ძირითადად, ვანისა და ურმიის ტბებისა და მდ. ევფრატის მარჯვენა ნაპირზე მდებარე მალათიის მხარეებთან ეძებნება.[589] რაც შეეხება ამ კულტურის წარმომავლობის საკითხს, იგი სავსებით გაურკვეველია; მკვლევრები აღნიშნავენ მხოლოდ, რომ ადრეული რკინის ხანის კულტურის აღმოსავლეთ ანატოლიაში ჩამოყალიბება პოსტხეთური ხანის ანატოლიისათვის დამახასიათებელ მოვლენებს—ახალ პოლიტიკურ ძალათა გამოჩენას—უკავშირდება და მიიჩნევენ, რომ ეს კულტურა იმ ტომების (ფრიგიელებთან დაკავშირებული მუშქების, ურუმეელების თუ სხვათა) კუთვნილება უნდა ყოფილიყო, რომლებმაც უფრო გვიან ურარტუს სახელმწიფოს სუბსტრატი შეადგინეს.[590]

ასურული წყაროების მონაცემებით, მუშქები „ხეთური ქვეყნის ხალხებს“ განეკუთვნებიან—ქასქი-აბეშლაელებისა და ურუმეელებისაგან განსხვავებით, ხოლო საკუთრივ მათი ქვეყნის („მუშქუს ქვეყანა“) არსებობა საგანგებოდ მოიხსენიება.[591] მიუხედავად ამ გარემოებისა, მუშქების კავშირი ჩრდილოანატოლიური წარმომავლობის მქონე ქასქებთან, უნდა მიგვანიშნებდეს, რომ მათ მსგავსად მუშქებიც—მდ. ტიგროსის სათავის მხარეში, მდ. ევფრატის მარჯვენა ნაპირიდან იქნებოდნენ გადასულები. ასურელებთან მებრძოლი მუშქები, ქასქ-აბეშლაელებთან და ურუმეელებთან შედარებით ბევრად უფრო მნიშვნელოვან სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ[592]; და, როგორც ჩანს, სწორედ ისინი იყვნენ ანტიასურული კოალიციის მოთავეები. ძვ. წ. 1165 წლისათვის მუშქების შეჭრა აღმოსავლეთ ანატოლიაში დაკავშირებული უნდა იყოს ცენტრალურ ანატოლიაში დაახლ. ძვ. წ. 1200 წ. ქასქების მიერ ხეთური ქალაქების ხათუსას (თანამედროვე ბოღაზქიოი), თაპიგას (მაშათ ჰოიუქი) და სხვ. განადგურებასთან[593] და საფიქრებელია, რომ ორივე ამ ტომს შორის კავშირს ჯერ კიდევ მუშქების მდ. ევფრატის მარცხენა ნაპირზე გამოჩენამდე უნდა ჩაყროდა საფუძველი.[594] ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეულ ყურადღებას იპყრობს ელიაზიგის მხარის ადრეული რკინის ხანის ფენებში მოპოვებული რკინის ინვენტარის მსგავსება უფრო ადრეულ, ცენტრალურანატოლიურ რკინის ნივთებთან.[595] რაც შეეხება აღნიშნული რეგიონის კერამიკულ ნაწარმს — რომელიც ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს ამა თუ იმ კულტურის სხვა მხრიდან შემოტანის სამტკიცებლად,—მართალია, მას ზუსტი ანალოგიები ცენტრალური ანატოლიის უფრო ადრეულ და თანადროულ მასალებში არ ეძებნება,[596] მაგრამ ამ ნაწარმის ცალკეული ორნამენტული სახეების სიახლოვე, საზოგადოდ, შავიზღვისპირეთისათვის დამახასიათებელ კერამიკასთან, საგრძნობია.[597] სამ-

ხრეთ შავიზღვისპირეთის მხარეთა შორის—საიდანაც ლაშქრობდნენ ხოლმე ქასქი ტომები ცენტრალურ ანატოლიაზე—აღმოსავლეთი ნაწილი, არქეოლოგიური თვალსაზრისით, ფაქტიურად შეუსწავლელია;[598] სავსებით მოსალოდნელია, სწორედ ამ მხარის ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის არქეოლოგიური მასალის მეტი რაოდენობით გამოვლენამ შუქი მოფინოს ძვ. წ. XII ს. აღმოსავლეთ ანატოლიაში მოხვედრილი მუშქების წარმომავლობის ბუნდოვან საკითხს.

იმ ხუთ საუკუნეზე მეტი ხნის მომცველ პერიოდში, რომელიც ხეთური სახელმწიფოს დაცემას აქემენიდთა სპარსეთის მიერ ანატოლიის დაპყრობისაგან აშორებს, სამხრეთშავიზღვისპირული წარმომავლობის ტომთა მნიშვნელობა ცენტრალური და აღმოსავლეთ ანატოლიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც ჩანს, საკმაოდ დიდი იყო და, სავარაუდოა, რომ მუშქი-მოსხების ვრცელი განსახლება აღმოსავლეთ და ცენტრალურ ანატოლიაში დროის ამავე მონაკვეთში უნდა მომხდარიყო.[599]

# ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

ანტიკური ხანის წერილობითი წყაროების ცნობებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ანატოლიის ჩრდილოეთი ნაწილი ძვ. წ. I ათასწლეულში, უპირატესად, ქართველური წარმომავლობის ტომებით იყო დასახლებული. ამ ტომთაგან ზოგიერთი, უფრო ადრეული — ხეთური და ასურული ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემებით, შედარებით სამხრეთით მდებარე მხარეებში — ცენტრალური და აღმოსავლეთ ანატოლიის შიდა ნაწილში — განსახლებული ტომების შთამომავლები უნდა ყოფილიყვნენ. როგორც ჩანს, ანატოლიის შიდა რაიონებში სამხრეთშავიზღვისპირელი ტომების „მოქცევა“ — „უკუქცევა“, იქ არსებული პოლიტიკური სიტუაციით იყო განპირობებული.

ძვ. წ. II ათასწლეულის ცენტრალურ ანატოლიაში ან მის მახლობლად მდებარე მხარეში ქართველური წარმომავლობის ტომების ბინადრობაზე უნდა მიგვანიშნებდეს ის მორფოლოგიური და ლექსიკური დამთხვევები, რომლებიც შეინიშნება ქართველურ ენებსა, ერთი მხრივ, და ცენტრალურ ანატოლიაში გავრცელებულ, ხათურ (პროტოხეთურ) და ანატოლიურ (ინდოევროპულ-ხეთურ) ენებს შორის, მეორე მხრივ. აღსანიშნავია, რომ ქართველურ და ანატოლიურ ენებს შორის არსებულ მთელ რიგ ლინგვისტურ პარალელთა ინდოევროპული ხასიათი საეჭვოა; ეს დამთხვევები ან ანატოლიურ ენებში ქართველური ენების ზეგავლენის შედეგად გაჩენილად უნდა ჩაითვალოს, ანდა, როგორც ანატოლიური, ასევე ქართველური ენების მიერ რომელიღაც საერთო წყაროდან შეთვისებულად. ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ ქართული სამყაროსთვის დამახასიათებელია მცირე აზიის, ბალკანეთისა და აპენინის ნახევარკუნძულზე გავრცელებული და უკანასკნელ ხანებში წინაინდოევროპული სუბსტრატის კუთვნილად მიჩნეული -s(s)-, -nth-/-nd-სუფიქსებიანი ტოპონიმები.

კავკასიის დასავლეთით მდებარე მხარეებში და, პირველ რიგში, ანატოლიაში — ქართველური ტომების განსახლების შესაძლებ-

ლობაზე გარკვეულად მიგვანიშნებს ქართველური ენების სიახლოვე წინაბერძნულ (პელასგურ) და, საზოგადოდ, ძველმედიტერანულ ენებთან.

სამხრეთ კავკასიაში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა, ხანგრძლივი განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე—ადრებრინჯაოს ხანიდან ანტიკური ხანის ჩათვლით—ანტოლიასთან მჭიდრო კულტურული ურთიერთობის კვალს ავლენს; განსაკუთრებით შესამჩნევია ანატოლიური ზეგავლენა დასავლეთ ამიერკავკასიაზე, რომელიც, როგორც ჩანს, ძველთაგანვე ანატოლიური და ეგეოსისზღვისპირეთული კულტურების გავლენის სფეროში იყო მოქცეული. არქეოლოგიურ ლიტერატურაში ხშირად აღინიშნება მცირე აზიიდან და ეგეოსიდან მომდინარე კულტურული იმპულსების მნიშვნელობა კავკასიისა, და კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საზოგადოებების განვითარებისათვის.

ჩვენი შეხედულებით, გარკვეული მემკვიდრეობითი კავშირი შეიმჩნევა ჩრდილოეთ და ცენტრალური ანატოლიის ადრებრინჯაოს ხანის კულტურებსა და საქართველოში გავრცელებულ უფრო მოგვიანო ხანების კულტურების შორის; აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შუა- და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურები უფრო მეტი მსგავსების ნიშნებს ავლენენ შედარებით ადრეულ ანატოლიურ კულტურებთან, ვიდრე ამავე მხარის თანადროულ მასალასთან. ძვ. წ. IV—III ათასწლეულების ჩრდილოეთ და ცენტრალური ანატოლიის ძეგლებზე (ალაჯა ჰუიუქი, იქიზთეფე, ბუიუქ გიულიუჯექი და სხვ.) გვხვდება საქართველოს არქეოლოგიური მასალისათვის ხანგრძლივი დროის განმავლობაში დამახასიათებელი ისეთი განმსაზღვრელი ნიშნები, როგორიც ჭურჭლის ზოომორფული და რქისებურშვერილიანი ყურებია; ბევრია საერთო კერამიკის შემკულობის მხრივაც.

აღსანიშნავია, რომ იმ ანატოლიურ მასალას, რომელიც ყველაზე მეტად უახლოვდება საქართველოში მოპოვებულს, თავის მხრივ, პარალელები ეძებნება სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის თანადროულ და კიდევ უფრო ადრეულ ზოგიერთ კულტურასთან. ეს გარემოება, ანგარიშგასაწევი ჩანს ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხთა კვლევის თვალსაზრისით; კერძოდ, მას, შესაძლოა, მნიშვნელობა მიენიჭოს ბასკურ-კავკასიური, ქართველურ-ეგეოსური და ქართველურ-ინდოევროპული ენობრივი თანხვედრებისა თუ ნათესაობის საკითხთა გადაწყვეტისას. წინარექართველური ერთობა, ვფიქრობთ, უნდა ჩამოყალიბებულიყო ანატოლიაში, ადგილობრივი—ანატოლიელი და ახალმოსული—ევროპელი ტომების შერწყმის

შედეგად, ხოლო უფრო გვიან, სწორედ ანატოლიიდან უნდა მომხდარიყო ქართველური წარმომავლობის ტომების ერთმანეთის მომდევნო ნაკადების პერიოდული შეღწევა ამიერკავკასიაში. სავარაუდოა, სამხრეთ ევროპიდან მომდინარე ზეგავლენას მტკვარ-არეზის კულტურის აღმოსავლურანატოლიური ვარიანტის ჩამოყალიბებაშიც მიეღო მონაწილეობა; ამ მხრივ საგულისხმოა, თუნდაც, დასავლეთ ბულგარეთის ენეოლითურ ძეგლ ჩარდაკოში (სოფ. სლატინოსთან) მოპოვებული კერა, შემკული აღმოსავლეთ ანატოლიის ადრებრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი ორნამენტებით და საკულტო მნიშვნელობის არსებათა ქანდაკებებით (შდრ. ერზურუმის ფულურის მსგავსი ქანდაკებები); გასათვალისწინებელია აგრეთვე სამხრეთაღმოსავლურევროპულ და ჩრდილოდასავლურანატოლიურ არქეოლოგიურ მასალასთან საერთო ნიშნების მქონე, ცენტრალურ ანატოლიაში გავრცელებული „ბუიუქ გიულიუჯექის კულტურის" ორნამენტაციის მსგავსება აღმოსავლეთ ანატოლიის „მტკვარარეზული" კერამიკის შემკულობასთან.

როგორც ჩანს, ანატოლიისა და ამიერკავკასიის ტერიტორიული სიახლოვე გარკვეულ პერიოდებში მათი ეთნიკური ხასიათის მსგავსების წინაპირობასაც წარმოადგენდა. ეს გარემოება თავისთავად ცხადს ხდის იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც ანატოლიის არქეოლოგიის შესწავლას აქვს ქართველ ტომთა უძველესი ისტორიისათვის.

# შენიშვნები

1. მოქცევაჲ ქართლისაჲ. — წგნ.: შატბერდის კრებული X საუკუნისა. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ვლ. გიუნაშვილმა. თბ., 1979.

2. ლეონტი მროველი I, იხ. ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა.—წგნ.: ქართლის ცხოვრება, ტომი I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955, გვ. 1—71.

3. იხ. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, I. თბ., 1950, გვ. 132—133; ჯანაშია ს. თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი.—აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 239; Toumanoff C. Studies in Christian Caucasian History. Georgetown, 1963, p. 55 n. 49; Дьяконов И. М. Малая Азия и Армения около 600 г. до н. э. и северные походы вавилонских царей.—Вестник древней истории, 1981, № 2, с. 50—51, 53, 60.

4. ინგოროყვა პ. გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან. თბ., 1954, გვ. 81—82.

5. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I. ალ. გამყრელიძისა და ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი და გამოცემა. თბ., 1961, გვ. 271.

6. იხ. კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. თბ., 1941, გვ. 286—287.

7. გეორგიკა, გვ. 34, შენ. 3, გვ. 272—273. იხ., აგრეთვე, Migne J. P. Patrologiae cursus completus, series Graeca, vol. XXVIII, 998.

8. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. V. ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი და გამოცემა. თბ., 1963, გვ. 3—4.

9. გეორგიკა, ტომი I, გვ. 35; Migne J. P. Op cit., vol. XXVIII, 753b.

10. იხ. ხინთიბიძე ე. ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი. თბ., 1969, გვ. 79; მისივე. ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის. თბ., 1982, გვ. 233.

11. ქართველ ტომთა ანატოლიაში განსახლების შესახებ იხ.: ჩუბინაშვილი დ. ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა. — გაზ. „ივერია“, 1877 წ., № 14 — 17; Хаханов А. С. Древнейшие пределы расселения грузин по Малой Азии. Тифлис, 1903; ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, I. ტფილისი, 1913; Сванидзе А. Материалы по истории алародийских племен. Тб., 1937; ჯანაშია ს. დასახ. ნაშრ.; Меликишвили Г. А. К истории древней Грузии. Тб.,

1959; გოზალიშვილი გ. მითრიდატე პონტოელი. თბ., 1962; მიქელაძე თ. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ. წ. II—I ათასწლეულები). თბ., 1974; და სხვ.

12. ჰეკატეოს მილეტელისეული ფრაგმენტების ნუმერაცია მოცემულია თ. მიულერის გამოცემის მიხედვით (Mülleri Th. Fragmenta historicorum graecorum, vol. I. Paris, 1885). ბერძნულ-ლათინური წყაროების ნუმერაცია, ძირითადად, აღებული გვაქვს ვ. ლატიშევის ნაშრომიდან, იხ. Латышев В. В. Известия древних писателей о Скифии и Кавказе.—Вестник древней истории, 1947, № 1—4; 1948, № 1—4; 1949, № 1—4.

13. ხაზარაძე ნ. ჰეროდოტე და მატიენების ლოკალიზაციის საკითხი.—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1971, № 2, გვ. 123—132; Хазарадзе Н. В. Гекатеевы матиены.—В кн.: Вопросы древней истории (Кавказско-ближневосточный сборник, IV). Тб., 1973, с, 111—119; её же. К вопросу о локализации матиенов в свете древнегреческих источников VI—V вв. до н. —Историко-филологический журнал. Ереван, 1973, № 2, с. 200—210; её же. Античная письменная традиция и вопрос о расселении мосхов в VI—V вв. до. н. э.—В кн.: Проблемы античной истории и культуры (доклады XIV международной конференции античников социалистических стран «Эйрене»), т. I. Ереван, 1979, с. 308—312. ა. იესენი, ჰეროდოტეს ცნობების გათვალისწინებით (Herod., III, 94—97), გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ მოსხებში უნდა იგულისხმებოდეს კავკასიის მთებიდან კოლხებზე უფრო დაშორებული და შავიზღვისპირეთში მცხოვრები ტომი (Иессен А. А. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе.—В кн.: Из истории древней металлургии Кавказа. М—Л., 1935, с. 197). მოსხების შედარებით შორს, დასავლეთით განსახლებაზე, ის გარემოებაც უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ისინი მეცხრამეტე აქემენიდურ სატრაპიაში შემავალ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტომებიდან — ტიბარენებიდან, მაკრონებიდან, მოსინიკებიდან და მარებიდან (Herod., III, 94)—ყველაზე უფრო დასავლეთით მოსახლე ტიბარენებთან ერთად ერთი მხედართმთავრის წინამძღოლობით იყვნენ გაერთიანებულნი სპარსულ ლაშქარში (Herod., VII, 78).

14. Хазарадзе Н. В. Гекатеевы..., с. 115. её же. К вопросу о локализации..., с. 207.

15. v. Migne J. P. Op. cit., 998.

16. ბაგრატიონი თ. ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოისა. სანკტ-პეტერბურღი, 1848, გვ. 10, 23; Иосселиани Пл. Туземные города, существовавшие и существующие в Грузии.—Журнал министерства народного просвещения, № 6, 1845, с. 408; St.-Martin V. Recherches sur les populations primitives et les plus anciens traditions du Caucase. Paris, 1847, p. 50 ff; Хаханов А. С. Ук. соч., с. 37—39. თუმცა, ტერმინები „მცხეთა“ და „სამცხე“ ერთმანეთთან დაკავშირებული ჰქონდა ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონს, იხ. ქვემოთ შენიშვნა 357.

17. Меликишвили Г. А. Ук. соч., с. 112, 229.

18. Там же, с. 229—230; მელიქიშვილი გ. სკვითებისა და კიმერიელების შემოსევები, ძველი კოლხური სამეფოს განადგურება. — წგნ.: საქართვე-

ლოს ისტორიის ნარკვევები, ტომი I, საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე. თბ., 1970, გვ. 395—396.

19. Budge E. A. W., King L. W. Annals of the Kings of Assyria, vol. I. London, 1902 p. 35; Дьяконов И. М. Ассиро-вавилонские источники по истории Урарту.—Вестник древней истории, 1951, № 2, с. 270.

20. Меликишвили Г. А. Ук. соч., с. 112, 229—230; მელიქიშვილი გ. დასახ. ნაშრ., გვ. 396; Toumanoff C. Op. cit., p. 100—101 n. 151.

21. Болтунова А. И. К вопросу об Армази. — Вестник древней истории, 1949, № 2, с. 228—240.

22. წერეთელი მ. ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა. კონსტანტინეპოლი, 1924, გვ. 84; Tsereteli M. The Asianic (Asia Minor) elements in national Georgian paganism.—Georgica, vol. I, no. 1. London, 1935, p. 45—50.

23. Tsereteli M. Op. cit., p. 50—54.

24. გარგარეველების (Γαργαρεῖς) სახელწოდებას აახლოებენ ჩეჩნების თვითდასახელებასთან—„გალგაი" (Прим. ред.—В.В. Латышев. Ук. соч., Вестник древней истории, 1947, № 4, с. 222, прим. 4).

25. გორდეზიანი რ. „ილიადა" და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები. თბ., 1970, გვ. 217—241; Furnée E. J. Beiträge zur Georgischen Etymologie. Fasz. I. Georgisch-vorgriechische, georgisch-vorromanische und Georgisch-vorindogermanische Materialien. Leuven, 1982.

26. გორდეზიანი რ. ეტრუსკული და ქართველური. თბ., 1980; ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა (არნ. ჩიქობავას წინასიტყვაობითა და რედაქციით). თბ., 1976; ბრაუნი ი. ბასკური და კავკასიური.—იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, VIII. თბ., 1981, გვ. 201—208; კინტანა შ. ზოგი ბასკური და ქართველური სიტყვის მსგავსების შესახებ.—იბერიულ-კავკასიური..., VIII, გვ. 216—221; ტოვარი ა. ბასკური და კავკასიური ენები: ტიპოლოგიური მაჩვენებლები.—იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, X, 1983, გვ. 363—376; Dzidzigouri Ch. Basques et Géorgiens. Tbilissi, 1983.

27. Mellaart J. The Neolithic of the Near East. London, 1975, p. 281—282.

28. Pontus.—Encyclopaedia Britannica, 1964, vol. 18, p. 213; Puhvel J. Anatolian languages.—Encyclopaedia..., vol. 1, p. 864.

29. Еремеев Д. Е. Этногенез турок (происхождение и основные этапы этнической истории). М., 1971, с. 224.

30. იხ. ურუშაძე ა. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. თბ., 1964, გვ. 166; ჯანაშია ს. ხეტების ისტორიისა და ენის საკითხისათვის.—წგნ.: ჯანაშია ს. შრომები, ტ. III. თბ., 1959, გვ. 193; Toumanoff C. Op. cit., p. 301 n. 99.

31. Поуп М. Линейное письмо А и проблема эгейской письменности.— В кн.: Тайны древних письмен. Проблемы дешифровки (Сборник статей). М., 1976, с. 89—90; Перуцци Э. Структура и язык минойских надписей.—Вопросы языкознания, 1960, № 3, с. 26; Чэдуик Дж. Дешифровка линейного письма Б.—В кн.: Тайны..., с. 248; Packard D. W. Minoan Linear A. London, 1974, p. 26—27

32. см. Климов Г. А. Этимологический словарь картвельских языков. М., 1964, с. 106, 116.

33. Перуцци Э. Ук. соч., с. 26.

34. Чэдуик Дж. Ук. соч., с. 248.

35. см. Климов Г. А. Ук. соч., с. 106.

36. Поуп М. Ук. соч., с. 90.

37. см. Климов Г. А. Дополнения к этимологическому словарю картвельских языков.—В кн.: Этимология, 1971, М., 1973, с. 346; ღლონტი ალ. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. თბ., 1984, გვ. 578.

38. ღლონტი ალ. დასახ. ნაშრ., გვ. 764; აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბ., 1973, გვ. 564; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), ტ. VIII. თბ., 1964- გვ. 1489.

39. Packard D. W. Op. cit., p. 27; Neumann G. Weitere myke: nische und minoische Gefäßnam.—Glotta, Bd XXXIX, H. 3/4, 1960/1961, S. 172—178; Чэдуик Дж. Ук. соч., с. 219.

40. Neumann G. Op. cit., см. Деянов А. Ф. Комментарий.—В кн. (Тайны ..., с. 99—100).

41. см. Климов Г. А. Этимологический..., с. 113; იხ., აგრეთვე, ღლონტი ალ. დასახ. ნაშრ. გვ. 297.

42. Gordon C. H. Evidence for the Minoan language. New Jersey, 1966; Packard D. W. Op. cit., p. 27.

43. см. Климов Г. А. Этимологический..., с. 31; მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის (ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით), ტ. II, ნაწ. I, მეჭურჭლეობა. თბ., 1979, გვ. 190, სურ. 114; ღლონტი ალ. დასახ. ნაშრ. გვ. 561; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II. თბ., 1951, გვ. 1465; აბულაძე ი. დასახ. ნაშრ., გვ. 94.

44. Перуцци Э. Ук. соч., с. 25; Поуп М. Ук. соч., с. 91.

45. ანალოგიური სიტყვა დადასტურებულია პალეკასტროს საკურთხეველზეც Pugliese Carratelli G. Sulle epigrafi in lineare A di carattere sacrale. —Minos, vol. V, no. 2, 1957, p. 171; Перуцци Э. Ук. соч., с. 25).

46. Pope M. Cretan axe-heads with Linear A inscriptions.—The Annua of the British Schooll of Archaeology at Athens, vol. LI, 1956, p. 132—135, fig. 76; Перуцци Э. Ук. соч., с. 25.

47. см. Климов Г. А. Этимологический..., с. 94.

48. Hutchison R. W. A Tholos Tomb on the Kephala.—The Annual..., p. 76—77, fig. 10; см. Перуцци Э. Ук. соч., с. 25, прим. 21.

49. Gordon C. H. Minoica.—Journal of Near Eastern Studies, vol. XXI, 1962, p. 207—208.

50. см. Климов Г. А. Этимологический..., с. 198.

51. Gordon C. H. Evidence..., p. 28; Packard D. W. Op. cit., p. 27; Поуп М. Ук. соч., с. 90.

52. см. Климов Г. А. Этимологический..., с. 185.

53. Поуп М. Ук. соч., с. 90.

54. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. 1, V-X საუკუნეების ძეგლები (გამოსცა და ტაბულები და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა). თბ., 1953, გვ.

313; Shanidze A. Grammatik der Altgeorgischen Sprache. Tbilissi, 1982, S. 35—49.

55. Нойман Г. О языке критского линейного письма А.—В кн.: Тайны..., с. 98—99; Деянов А. Ф. Ук. соч., с. 99—100; его же. Линейное письмо А.—В кн.: Тайны..., с. 84.

56. см. Климов Г. А. Этимологический..., с. 116.

57. см. Там же, с. 127.

58. см. Гордезиани Р. В. Кавказ и проблемы древнейших средиземноморских языковых и культурных взаимоотношений. Всесоюзная конференция «Античные, византийские и местные традиции в странах Восточного Черноморья». Тб., 1975, с. 21. ი. ბრაუნი, ქართულ მარწყვთან (←* მარწყ) აკავშირებს ბასკურ martu-ts-ს, martsu-ka-ს—„თუთა", „მაყვალი" (ბრაუნი ი. დასახ. ნაშრ., გვ. 205.).

59. ღლონტი ალ. დასახ. ნაშრ., გვ. 88, 499.

60. см. Климов Г. А. Дополнения..., с. 365.

61. სულხან-საბა ორბელიანი. თხზულებანი, ტომი IV² (ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ). თბ., 1966, გვ. 87; აბულაძე ი. დასახ. ნაშრ., გვ. 388; Климов Г. А. Этимологический..., с. 156.

62. Benselers Griechisch-Deutsches Wörterbuch. Bearbeitat von A. Kaegi. Leipzig, 1981, S. 450. როგორც ჩანს, აღნიშნული სიტყვის არაკეთილხმოვანებასაც უნდა ჰქონოდა გარკვეული მნიშვნელობა მდ. მტკვრის ძველი სახელწოდების—*Κόρος*-ის ახლით—*Κύρος*-ით შეცვლისას (შდრ. Strabo, XI, III, 2).

63. см. Климов Г. А. Этимологический..., с. 209.

64. Packard D. W. Op. cit., p. 114; გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ. სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია. თბ., 1965, გვ. 367; Гордезиани Р. В. Ук. соч., с. 15—16.

65. Paradissis Al. Fortresses and castles of Greece, vol I. Athens—Thessaloniki, 1972, p. 8, fig. 1.

66. Idem. Fortresses and castles of Greece, vol. II. Athens, 1972, p. 134—135, fig. 43.

67. იხ. ურუშაძე ა. დასახ. ნაშრ., გვ. 49—50, 294. იგივეს იუწყებოდა ახ. წ. I ს. ისტორიკოსი და გრამატიკოსი კანონიც (იქვე, გვ. 144).

68. აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა (თარგმანი და შესავალი წერილი ა. გელოვანისა. რედაქცია, ნარკვევი, შენიშვნები და საძიებელი ა. ურუშაძისა). თბ., 1975, გვ. 70.

69. ურუშაძე ა. დასახ. ნაშრ., გვ. 132, შენ. 66.

70. იქვე, გვ. 129, 133, 135; შდრ. ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. თბ., 1976, გვ. 23, შენ. 1.

71 Eust. ad Dion. Per., 765, იხ. ჯავახიშვილი ივ. ქართველთა სხვადასხვა სატომო სახელები, სამშობლო და უძველესი ბინადრობა.—წგნ.: ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, I. თბ., 1960, გვ. 404—405; ურუშაძე ა. დასახ. ნაშრ., გვ. 128; ყაუხჩიშვილი თ. დასახ. ნაშრ., გვ. 94, 99—100.

72. ურუშაძე ა. დასახ. ნაშრ., გვ. 136—139.

73. იქვე, გვ. 137.

74. Benselers..., S. 104; ურუშაძე ა. დასახ. ნაშრ. გვ. 139.

75. Paradisss Al. Fortresses..., vol. II, p. 134.

76. მიქელაძე თ. დასახ. ნაშრ., გვ. 91—92; ურუშაძე ა. დასახ. ნაშრ., გვ. 139, შენ. 98.

77. შდრ. Plin., NH, VI, 5. პლუტარქეს ცნობით, რომი ან ბალკანეთიდან ლტოლვილ პელასგებს—თუ გადარჩენილ ტროელებს—დაუარსებიათ, ანდა კოლხთა მეფის აიეტესის დის კირკესა და ოდისევსის ვაჟს—რომანოსს (Plut., Rom., I—II). უკანასკნელი ვარიანტი, როგორც ჩანს, სათავეს იღებს ჰესიოდეს „თეოგონიიდან", სადაც ნაუწყებია, რომ ჰელიოსის ასულს კირკეს ოდისევსისგან ეყოლა აგრიოსი, ლატინოსი და ტელეგონე, რომლებიც ტირსენელების (იგივე ეტრუსკების) წინაპრები და გამგებლები გამხდარან (Hes., Theog., 1011—1016).

78. გორდეზიანი რ. „ილიადა"..., გვ. 262. ვ. ალენის აზრით, სახელწოდება „ენეტში", პონტო-ხმელთაშუაზღვის სამყაროში არცთუ იშვიათად შემონახული, ადგილის აღმნიშვნელი ქართული ეთ-სუფიქსი გამოიყოფა (Allen W. E. D. Trivia Historiae Ibericae, 3. Sonskaya Zemlia.—Bedi Kartlisa, revue de kartvélologie, vol. XVII—XVIII, № 45—46, Paris, 1964, p. 172).

79. მიქელაძე თ. დასახ. ნაშრ., გვ. 78.

80. იხ. იქვე; ურუშაძე ა. დასახ. ნაშრ., გვ. 499, შენ. 32; ინაძე მ. ფსევდო-სკილაქსის ცნობათა დათარიღების საკითხისათვის.—კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ., 1966, გვ. 52.

81. ინგოროყვა პ. დასახ. ნაშრ., გვ. 135.

82. ურუშაძე ა. დასახ. ნაშრ., გვ. 499, შენ. 32.

83. იხ., მაგ., Орбели И. А. Город близнецов Διοσκουριάς и племя возниц Ἡνίοχοι.—В кн.: Орбели И. А. Избранные труды. Ереван, 1963, с. 494—511; მიქელაძე თ. დასახ. ნაშრ., გვ. 103—110.

84. მიქელაძე თ. დასახ. ნაშრ., გვ. 78, 118.

85. Доватур А. И. Политика и Политии Аристотеля. М.—Л., 1965, с. 134, 137; ყაუხჩიშვილი თ. ჰერაკლიდე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ.—წგნ.: აღმოსავლური ფილოლოგია, I, 1969, გვ. 189—191; Инадзе М. П. Причерноморские города древней Колхиды. Тб., 1968, с. 58—69.

86. იხ. ჯავახიშვილი ივ. ექსკურსები და ამონაწერები.—წგნ.: ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორიის შესავალი, გვ. 264—265; Прим. ред.— В. В. Латышев. Ук. соч., Вестник древней истории, 1948, № 1 с. 267; ყაუხჩიშვილი თ. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I. თბ., 1967, გვ. 33, შენ. 51.

87. ჰელანიკესა და პალეფატის ცნობათა სანდოობის შესახებ საწინააღმდეგო აზრებია გამოთქმული, იხ. მიქელაძე თ. დასახ. ნაშრ., გვ. 21—22; Хазарадзе Н. В. Античная..., с. 311—312.

88. Меликишвили Г. А. Ук. соч., с. 87, прим. 190.

89. Ушаков Н. П. К походам урартийцев в Закавказье в IX и VIII вв. до н. э.—Вестник древней истории, 1946, № 2, с. 37—38; Меликишвили Г. А. Ук. соч., с. 93, прим. 202; ინაძე მ. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ისტორიისათვის (ჰენიოხები).—მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32. თბ., 1955, გვ. 13—20.

90. ყაუხჩიშვილი თ. კავკასიის ტომების საკითხისათვის ანტიკური წყაროების მიხედვით, 2. ჰენიოხები.—მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1980, № 4, გვ. 74—76.

91. მისივე. კავკასიის ტომების საკითხისათვის ანტიკური წყაროების მიხედვით, I. აქაები.—მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1980, № 3, გვ. 33—36. სხვა ადგილას სტრაბონი აქაიელებად ორქომენელ (ბეოტიელ) კოლონისტებს მიიჩნევს, რომლებიც პონტოში ტროის დაცემის შემდეგ გადმოსახლებულან (Strabo, IX, II, 42) (იქვე, გვ. 34).

92. Орбели И. А. Ук. соч., с. 509—510; Марр Н. Я. К истории термина абхаз.—Известия императорской Академии Наук, 1913, с. 327; Меликишвили Г. А. Ук. соч., с. 91—92; მიქელაძე თ. დასახ. ნაშრ., გვ. 18, შენ. 46, გვ. 72.

93. ჯავახიშვილი ივ. ქართველთა სხვადასხვა..., გვ. 410; ჯანაშია ს. დასახ. ნაშრ., გვ. 190, 197; ინგოროყვა პ. დასახ. ნაშრ., გვ. 135; ინაძე მ. შავი ზღვის..., გვ. 20; მისივე. ანტიკური ხანის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპიროს მოსახლეობა.—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1960, № 2, გვ. 150—151.

94. Анчабадзе З. В. История и культура древней Абхазии. М., 1964, с. 134—137, 169—176; Инал-ипа Ш. Д. Вопросы этно-культурной истории абхазов. Сухуми, 1976, с. 187—188.

95. Орбели И. А. Ук. соч., с. 509; ი. ორბელი, hēn-ფუძის პარალელურ ფორმად, h~s ბგერათმონაცვლეობის დაშვებით, sēn-ს მიიჩნევდა და ამ უკანასკნელს სანებისა თუ სვანების სახელწოდებასთან აკავშირებდა (там же).

96. გიგინეიშვილი ბ. ეთნონიმ ჰენიოხის წარმომავლობისათვის.—მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1975, № 1, გვ. 115—124.

97. ყაუხჩიშვილი თ. კავკასიის ტომების..., 2, გვ. 73—74, 76.

98. მიქელაძე თ. დასახ. ნაშრ., გვ. 20. შდრ. Plin., NH, XXXIII, 52.

99. იქვე; ყაუხჩიშვილი თ. კავკასიის ტომების..., 2, გვ. 68, შენ. 11.

100. ი. ორბელის აზრით, ცხენის აღმნიშვნელი ძველი ქართული სიტყვა hun-e, resp. hon-e, un-e ბერძნებს შეეძლოთ დაეკავშირებინათ დიოსკურიადის ოლქში მცხოვრები ჰენიოხების სახელწოდებასთან და ეს უკანასკნელნი გაეაზრებინათ დიოსკურების მეეტლეებად (Орбели И. А. Ук. соч., с. 508, 510; მიქელაძე თ. დასახ. ნაშრ., გვ. 105).

101. ყაუხჩიშვილი თ. კავკასიის ტომების..., 2, გვ. 59.

102. მაგ., ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს...; გვ. 139, 222; Меликишвили Г. А. Ук. соч., с. 87, 308, 365.

103. Меликишвили Г. А. Ук. соч., с. 82.

iochi-Aea-Hayasa.—Bedi Kartlisa, № 34—35). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხეთურ წყაროებში ხაიასას სინონიმად გამოყენებულ Azzi-ს (Garstang G., Gurney O. R. Op. cit., p. 36) სახელწოდება შემონახულია მდ. კარა-სუს (დასავლეთ ევფრატის) ზემო წელზე დადასტურებულ სომხურ ტოპონიმებში: ერეზი, ერზურუმი, ერზინკა, არწნი (Safrastian A. The Ḫurri-lands.—Georgica, nos. 4—5, p. 276). თუმცა, გრ. ღაფანციანის აზრით, სომხურ ტოპონიმებში, დადასტურებული Ariza || Eriza, შესაძლოა, უკავშირდებოდეს „თავშესაფარის" მნიშვნელობის მქონე მეგრულ სიტყვას „ორენჯი" (Капанцян Гр. Хайаса..., с. 44, прим. 1). რაც შეეხება ქვეყნის სახელწოდებას—ხაიასა-აზი, გრ. ღაფანციანის აზრით, მისი შემადგენელი ტომების პერსონიფიცირებულ სახელებს წარმოადგენენ სომხური და ქართული ტრადიციების ჰაჲკი და აზო (Капанцян Г. А. О взаимоотношении..., с. 342—343).

საკუთრივ ტერმინ „ჰაჲქის" წარმომავლობის საკითხი დაკავშირებული ჩანს აღმოსავლეთ ანატოლიაში არმენიელების მოსვლის თარიღთან; თუ ეს, ი. დიაკონოვის აზრით, უნდა მომხდარიყო ძვ. წ. XII ს. (Дьяконов И. М. Малая Азия..., с. 52 сл.), კ. თუმანოვის შეხედულებით, ფრიგიელები—არმენიელების ინდო-ევროპელი წინაპრები, მიდიის გაძლიერებამდე და კიმერიელთა შემოსევებამდე უნდა გამოჩენილიყვნენ არმენიის ზეგანზე (Toumanoff C. Op. cit., p. 54 n. 49).

268. მელიქიშვილი გ. აღმოსავლეთ მცირე აზიის..., გვ. 109.

269. Otten H. Ḫalipinu.—In: Reallexikon..., Bd 4, Lief. 1, 1972, S. 59. შდრ., აგრეთვე, ტოპონიმი Ḫalenzuwa || Ḫatenzuwa (von Schuler E. Op. cit., S. 101).

270. ფიქრობენ, რომ ტერმინ „ხალიბში" მოცემული ib-სუფიქსი შეესაბამება ეთნონიმ „ხალდის" d-სუფიქსს (Адонц М. Ук. соч, с. 58; Марр Н. Я. Надпись Русы II..., с. 41; Меликишвили Г. А. К истории..., с. 71). ხალიბებისა და ხალდების იგივეობას ჯერ კიდევ სტრაბონი აღნიშნავდა (Strabo, XII, III, 19—20).

271. ср. Иессен А. А. Ук. соч., с. 199; Иванов Вяч. Вс. Древние культурные..., с. 27—28, прим. 76; его же. Анатолийские языки, с. 134; Камменхубер А. Ук. соч., с. 32; Frisk H. Griechisches etymologisches Wörterbuch, Lief. 22. Heidelberg, 1970, S. 1071.

272. Адонц Н. Ук. соч., с. 59; კეკელიძე კ. (რეც.)—რ. მიმინოშვილი. ბერძნული პოეზიის საწყისები.—წგნ.: კეკელიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, X, 1968, გვ. 265.

273. Иванов Вяч. Вс. Древние культурные..., с. 28, прим. 76; его же. Анатолийские языки, с. 134—135; ср. Камменхубер А. Ук. соч., с. 32. ანტიკურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, ხალიბები ეწოდება ხალხებს, რომელთა წიაღშიაც რკინა იბადება (Serv. in Verg. Aen., VIII, 421, 466).

274. Иванов Вяч. Вс. Древние культурные..., с. 28, прим. 76; его же. Анатолийские языки, с. 134; ср. Откупщиков Ю. В. Ук. соч., с. 69. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ კოლხებს ქასქებთანაც აიგივებენ (იხ. ჯავახიშვილი ივ. ქართველთა სხვადასხვა..., გვ. 405; Toumanoff C. Op. cit., p. 60 n. 58).

275. см. Максимова М. И. Примечания.—В кн.: Ксенофонт. Анабасис. Перевод, статья и примечания М. И. Максимовой, М—Л., 1951, с. 286,

прим. 33; მ ი ქ ე ლ ა ძ ე თ. ქსენოფონტის „ანაბასისი“ (ცნობები ქართველი ტომების შესახებ). თბ., 1967, გვ. 128, 145; ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი თ. საქართველოს..., გვ. 58.

276. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი თ. საქართველოს..., გვ. 59. შდრ. *Κυταΐδες* (Apoll. Rhod., II, 399). პლინიუსი იხსენიებს აგრეთვე ფრიგიულ ქალაქს—კოტაიონს და მდ. პართენიოსის მახლობლად მდებარე მთა კიტორუსს (Plin., NH, V, 145; VI, 5).

277. იხ. გ ე ო რ გ ი კ ა, ტ. I, გვ. 13. ამავე თხზულებაში კითიები (Cithii/Cythii/Kilh) რომაელებისა თუ ლათინების წინაპრებად არიან მიჩნეულნი (ი ქ ვ ე, გვ. 12). ხომ არ ეხმიანება ეს ცნობა ჰეროდოტეს შეხედულებას ეტრუსკების (ტირსენების) მცირე აზიიდან (ლიდიიდან) გადასახლების შესახებ (Herod., I, 94). აღსანიშნავია, რომ ჰომეროსის მიერ ნახსენებ „კეტეიებს“ (Hom., Od., XI, 521)—მისიაში მცხოვრებ ტომსა თუ სულაც მისიელთა მეტსახელს—ხეთების სახელწოდებასთან აკავშირებენ (G l a d s t o n W. E. Homeric synchronism. London, 1876, p. 169; A n d r e u s P. B. S. The Mycenaean name of the land of Achaiens.—Revue hittite et asianique, t. XIII, fasc. 56, 1955, p. 18). საგულისხმოა კლავდიოს პტოლემაიოსის ცნობაც, რომ კეტისი (*Κῆτις*) Cilicia Tracheia-ს მხარე იყო (Cl. Ptol., V, VIII, 3). როგორც ჩანს, ხეთები უნდა ჰყავდეს ნახსენები ახ. წ. I ს. ეპიკოს-პოეტს—ვალერიუს ფლაკუსს, როდესაც კოლხთა წარმომავლობის შესახებ თხრობისას, იუწყება, რომ გეტებთან (? ხეთებთან) დამარცხებულმა ეგვიპტის მეფემ, სესოსტრისმა თავისი ჯარის ნაწილი ფასისთან დაასახლა და კოლხები უწოდა (Val. Flac., V, 418—421). ეს ცნობა ეხმიანება ჰეროდოტეს ანალოგიურ ცნობას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ჰეროდოტესთან, გამარჯვებული სესოსტრისი, მცირე აზიიდან ევროპაში გადასვლისა და სკვითებისა და თრაკიელების დამორჩილების შემდეგ, უკან დაბრუნებისას აღწევს ფასისს (Herod., II, 102—103). ფლაკუსის ცნობაში რომ ხეთები უნდა იყვნენ დასახელებული, მოწმობს ის გარემოებაც, რომ ჰეროდოტეს მიერ სესოსტრისისათვის მიწერილი გამარჯვების აღმნიშვნელი წარწერიანი სვეტები, დამახასიათებელი იყო ეგვიპტის ფარაონისათვის—რამსეს II-ისათვის (ძვ. წ. 1290—1224 წწ.), რომელსაც დიდი ბრძოლა ჰქონდა გადახდილი ხეთებთან ქალაქ ქადეშის (სირია) მახლობლად. აღსანიშნავია, რომ საკუთრივ ჰეროდოტეს ქრონოლოგიური მონაცემების მოწმობით, სესოსტრისი აიეტესზე უფრო ადრე მცხოვრები არ არის (შდრ. Plin., NH, XXXIII, 52); ორივე მათგანს ტროის ომთან (ძვ. წ. XIII ს. შუა ხანები) ორ-ორი თაობა აშორებს (იხ. გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი რ. ჰეროდოტეს ცნობა კოლხთა წარმომავლობის შესახებ.—არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტინისტიკა. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 162. თბ., 1975, გვ. 35—36). ეს გარემოებაც მოწმობს, რომ ჰეროდოტესთან მოხსენიებული სესოსტრისი ვერ იქნებოდა ეგვიპტის ფარაონი სესოსტრის (სენუსრეტ) III (ძვ. წ. 1878—1843 წწ.) და რომ იგი ქადეშის ბრძოლის თანამედროვე (ძვ. წ. 1285 წ.) უნდა ყოფილიყო. რ. გორდეზიანის ვარაუდით, ჰეროდოტესეული ცნობის, მდ. ფასისთან დასახლებულ სესოსტრისის ჯარისკაცებში უნდა იგულისხმებოდნენ კავკასიაში გადმოსახლებული—ქადეშის ბრძოლაში რამსეს II-ის ლაშქრობის მონაწილე, ე. წ. „ზღვის ხალხებში“ შემავალი—შარდანელები, რომელთა სახელწოდებაც, პ. კრეჩმერის აზრით, ასახულია ჰეროდოტესთან დამოწმებულ კოლხური სელის აღმნიშვნელ ბერძნულ ტერმინში *σαρδονικός* (Herod., II, 105), რაც „სარდონულს, შარდანებთან დაკავშირებულს“ უნდა აღნიშნავდეს (K r e t s c h m e r P. Das sardonische Lachen.—Glotta, Bd XXXIV, fasc. 1—2, S. 1—9; გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი რ. ჰეროდოტეს..., გვ. 35—

43). შარდანელთა ანუ სარდინიელთა (შარდანისა და კუნძ. სარდინიის გაიგივების შესაძლებლობის შესახებ იხ. Barnett R. D. The Sea Peoples.—In: The Cambridge Ancient History (3rd edition), vol. II, pt. 2. History of the Middle East and the Aegean region c. 1380 — 1000 B. C. Cambridge, 1975, p. 368) კავკასიაში გამოსახლების საკითხთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელი ჩანს ის გარემოება, რომ ქადეშის ბრძოლის ამსახველ ელ-ამარნას (ეგვიპტე) რელიეფურ სცენაზე აღმოსავლურქართული ბრინჯაოსტარიანი სატევრები, რომლებიც ამ ხანიდან იჩენენ თავს ცენტრალურ ამიერკავკასიაში, გამოსახულია ხეთებთან მებრძოლი შარდანელების ხელშიც (იხ. ქავთარაძე გ. საქართველოს ენეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე. თბ., 1981, გვ. 131—132, ტაბ. VIII, 15—17).

278. v. Garstang J., Gurney O. R. Op. cit., p. 32, 50.

279. см. Дьяконов И. М. Предыстория..., с. 193, прим. 11; его же. Малая Азия..., с. 52.

280. შავიზღვისპირეთში ლიბიის არსებობის შესაძლებლობის თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობენ ის ძველი ბერძნული თქმულებები, რომლებიც ლიბიისა და კავკასიის სიახლოვეზე მიუთითებენ. მაგ., აპოლოდორეს მიხედვით, არაბეთიდან ლიბიაში ჩასული ჰერაკლე ნავით საპირისპირო ნაპირზე—კავკასიაში გადადის (Apollod., II, 5, 11), ხოლო ესქილეს ცნობით, ჰერაკლე კავკასიიდან ლიგიაში მიდის (Aesch., Prom. vinct., 199); სტრაბონი ამ ლიგიას ლიგურების ქვეყანასთან აიგივებს (Strabo, IV, I, 7), მაგრამ, გასათვალისწინებელია ძველ წყაროებში „ლიბისტიკესა" და „ლიგისტიკეს" აღრევის შემთხვევები (იხ. ზემოთ, გვ. 52—56). ლიბიისა და კავკასიის სიახლოვის შესახებ არსებული წარმოდგენის ანარეკლი შესაძლოა ჩანდეს „არგონავტების მითშიც", როდესაც სამშობლოში უკან დაბრუნებისას არგონავტები ჯერ ლიბიაში აღმოჩნდებიან; თუმცა, აპოლონიოს როდოსელი ამ გარემოებას ძლიერი ქარის მიერ ხომალდის გატაცებით ხსნის (Apoll. Rhod., IV, 1225—1314). საყურადღებოა, ისიც, რომ აპოლოდორეს მიხედვით, კავკასია მდ. თერმოდონტსა და კოლხების მიწაზე მიმდინარე ფასისს შორის მდებარეობდა (Apollod., I, 9, 23), ანუ აღმოსავლეთ პონტოს მთების ადგილას.

281. Sommer F., Falkenstein A. Die hethitisch-akkadische Bilingue des Ḫattušili I (Labarna II). München, 1938, S. 20 ff.; Starke F. Labarna.—In: Reallexikon..., Bd 6, Lief. 5—6, 1983, S. 405. იხ., აგრეთვე, ზემოთ შენიშვნა 269.

282. v. Heubeck A. Linear B und das ägäische Substrat.—Minos, vol. 5, 1957, S. 149—153; Packard D. W. Op. cit., p. 116; Откупщиков Ю. В. Ук. соч., с. 68; Марр Н. Я. Основые таблицы к грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими. С. Петербург, 1908, с. 7—9; Орбели И. А. Simitose в идалийской надписи и σεμίδαλις, Simila, Similago. — В кн.: Орбели И. А. Избранные труды, с. 489.

283. v. Garstang J., Gurney O. R. Op. cit., p. 22—25, 50, 101; Güterbock H. G. The north-central area of Hittite Anatolia.—Journal of Near Eastern Studies, vol. XX, 1961, p. 95—96. აღსანიშნავია, რომ ქასქური ხანის ჩრდილოდასავლეთანატოლიური ტოპონიმებისათვის დამახასიათებელია a∼e(i) ხმოვანთა მონაცვლეობა (von Schuler E. Op. cit., p. 101; იხ; აგრეთვე, ზემოთ შენიშვნა 64).

284. იხ., მაგ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია: მიქელაძე თ. დრილები, ტ. 3, 1978, გვ. 639; მელიქიშვილი გ. მაკრონები, ტ. 6, 1983, გვ. 376—377; მისივე. მოსინიკები, ტ. 7, 1984, გვ. 134; მისივე. მოსხები, ტ. 7, გვ. 146; მისივე. კოლხეთი ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში.—წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 400; მისივე. აღმოსავლეთ მცირე აზიის...; Меликишвили Г. А. К истории...; მიქელაძე თ. სამხრეთ-აღმოსავლეთი...; მისივე. ძიებანი...; მისივე. ფასიანების სატაერობისა და ადგილსამყოფელის გარკვევის საკითხისათვის.—მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, გვ. 23—25.

285. ხალიტუს ადგილმდებარეობა დაახლოებით განისაზღვრება მდინარეების დასავლეთ ევფრატის (კარა-სუ), ელმალისა და არეზის ზემო დინებებს შორის (см. Атлас Армянской ССР. Ереван—Москва, 1961, карта: Государство Урарту и сопредельные страны в VIII—VII вв. до н. э).

286. მელიქიშვილი გ. აღმოსავლეთ მცირე აზიის..., გვ. 99—101.

287. Максимова М. И. Античные..., с. 28—29, 35; ლომოური ნ. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ.—მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35, გვ. 18. მ. მაქსიმოვას აზრით, განსხვავება ხალიბთა დაჯგუფებებს შორის ჯერ კიდევ სტეფანე ბიზანტიონელს უნდა შეენიშნა (Максимова М. И. Античные..., с. 29).

288. გამყრელიძე ალ. პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ.—წგნ.: ქართული წყაროთმცოდნეობა, I. თბ., 1965, გვ. 29.

289. см. Хазарадзе Н. В. К вопросу о локализации..., с. 203—204.

290. см. Страгановский Г. А. Примечания.—В кн.: Геродот. История в девяти книгах. Л., 1972, с. 516. სირიელთა ლოკალიზაციის თვალსაზრისით გასათვალისწინებელია ჰეროდოტეს კიდევ ერთი ცნობა, რომლის თანახმადაც, პაფლაგონიელთა მსგავსად აღჭურვილი სირიელები მარიანდინებთან და ლიგიებთან ერთად ყოფილან გაერთიანებული აქემენიდთა ლაშქარში (Herod., VII, 72). აღსანიშნავია, რომ პლინიუსის ცნობით მდ. რებასსა და მდ. სანგარიუსს შორის მოედინებოდა სირისი (Plin., NH, VI, 4).

291. см. Максимова М. И. Античные..., с. 55.

292. Дьяконов И. М. Малая Азия..., с. 56—57, прим. 104: cf. Toumanoff C. Op. cit., p. 56—57.

293. Дьяконов И. М. Малая Азия..., с. 57, прим. 106.

294. Там же; его же. Фригийский язык.—В кн.: Древние языки..., с. 362—363.

295. Дьяконов И. М. Предыстория..., с. 223, прим. 87; его же. Малая Азия..., с. 58; ср. Георгиев В. И. Ук. соч., с. 38.

296. Дьяконов И. М. Малая Азия..., с. 58. ტერმინების Μόσχοι და Muški-ს იდენტურობას ი. დიაკონოვი ადრე უარყოფდა, ვინაიდან ამ სახელწოდებებში ასახული ხ და კ დაბოლოებების შესატყვისობა საეჭვოდ მიაჩნდა (его же. Предыстория..., с. 223—224). აღნიშნული ეთნონიმის ქართული, ბერძნული, ასურული და ებრაული ფორმების შესატყვისობის შესახებ იხ. წერეთელი კ. ქართული ეთნიკური..., გვ. 111—118; მიქელაძე თ. მესხთა საკითხისათვის.—წგნ.: ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ., 1976, გვ. 113—116; Меликишвили Г. А. К истории..., с. 105, прим. 231; Хаханов А. С. Ук. соч., с. 2—3.

297. см. Марр Н. Я. История термина „абхаз“.—В кн.: Марр Н. Я. О языке и истории абхазов. М.—Л., 1938, с. 44—52; ჯავახიშვილი ივ. ქარ-

თველთა სხვადასხვა..., გვ. 401—402; მიქელაძე თ. მესხთა..., გვ. 114—115; თოფურია გურ. ქართულ-ქართველური ეთნონიმიკის ლინგვისტური საკითხები, I, მესხ-ეთნონიმის ისტორიისათვის. — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVII. თბ., 1970, გვ. 118—122.

298. იხ. შენიშვნა 210, იხ., აგრეთვე, Schwarz F. Sintflut und Völkerwanderungen. Stuttgart, 1894; Дирр А. М. Современные названия кавказских племен.—В кн.: Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 40, отдел. 3. Тифлис, 1909, с. 4.

299. Дьяконов И. М. Предыстория..., с. 299.

300. Его же. Малая Азия..., с. 58.

301. იხ. მიქელაძე თ. ძიებანი..., გვ. 9—75; მისივე. მესხთა..., გვ. 117—119; თოფურია გ. ერთი ჰიპოთეტური ფორმის რეალურობისათვის ზანური ენის არეალიდან (სამცხის ტოპონიმიკიდან).—მაცნე, 1968, № 6, გვ. 167—171; მისივე. ქართულ-ქართველური..., გვ. 118—122.

302. Дьяконов И. М. Малая Азия..., с. 58.

303. Там же; ср. его же. Предыстория..., с. 218.

304. იხ. მუსხელიშვილი დ. საქართველოს..., გვ. 75.

305. იხ. ინგოროყვა პ. გიორგი მერჩულე, გვ. 467; Меликишвили Г. А. К истории..., с. 104. ივ. ჯავახიშვილი პლინიუსის regio Thasie et Thriarie-ს თეზთან და თრიალეთთან აიგივებდა (ჯავახიშვილი ივ. ქართველთა სხვადასხვა..., გვ. 431). საფიქრებელია, ხომ არ იგულისხმება პლინიუსისეულ კოლხურ უდაბნოში—კოლი?

306. საკასენე (შაკაშენე) გოგარენეს ალმოსავლეთით მდებარეობდა (იხ. მელიქიშვილი გ. საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის. თბ., 1955, გვ. 94; Тревер К. В. Ук. соч., с. 49, 52). ეს სახელი ამ მხარეს საკების (სკვითების) აქ დაფუძნების შემდეგ შერჩენია (Strabo, XI, VIII, 4).

307. см. Меликишвили Г. А. Клинообразная надпись урартского царя Русы II из Адылджеваза.—Сообщения Академии Наук Грузинской ССР, т. XI, 1950; его же. Урартские..., с. 341—342; Дьяконов И. М. Заметки..., с. 111—112.

308. Дьяконов И. М. Малая Азия..., с. 58.

309. v. Yakar J. Hittite involvement in Western Anatolia.—Anatolian Studies, vol. XXVI, 1976, p. 121; de Jesus P. S. The development of prehistoric mining and metallurgy in Anatolia. Oxford, 1980, p. 98; Wertime T. A. Op. cit., p. 1—24. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტერმინი „ხალიბი" ზოგად მნიშვნელობასაც იძენდა—მელითონეთა დახელოვნებული ჯგუფის აღსანიშნავად (см. Шмидт Р. В. Металлическое производство в мифе и религии античной Греции.—Известия Государственной Академии истории материальной культуры, т. IX, вып. 8—10, 1931, с. 30—31). ლევკოსირებისა და ხალიბების ერთმანეთთან დაკავშირების შესაძლებლობის თვალსაზრისით, საყურადღებოა ის გარემოება, რომ ლევანტელი ხალიბები სირიელებად არიან მიჩნეულნი. გ. სტრატანოვსკის კომენტარით, ჰეროდოტესთან მოხსენიებული, ხმელთაშუაზღვისპირას მცხოვრები პალესტინელი სირიელები (Herod. II, 104; III, 5; VII, 89), იგივე ქალაქ ალეპოს (ხალების) მახლობლად მცხოვრები სემიტი ხალიბები არიან (см. Стратановский Г. А. Примечания, с. 588).

310. იხ. ზემოთ გვ. 67—68.

311. იხ. ყაუხჩიშვილი თ. ჰეროდოტეს ზოგიერთი ცნობის შესახებ. —წგნ.: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, გვ. 6; მისივე. ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1960, გვ. 34; შდრ. მიქელაძე თ. ძიებანი..., გვ. 145—146, შენ. 147.

312. Stein H. Herodotos, Bd I. Berlin, 1883, S. 33.

313. Ломоури Н. Ук. соч., с. 121.

314. იხ. ყაუხჩიშვილი თ. ჰეროდოტე და მისი „ისტორია“.—წგნ.: ჰეროდოტე. ისტორია, ტ. I. თბ., 1975, გვ. 17.

315. გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ მაკრონები, რომლებიც დამატებით არიან სირიელებთან ერთად მოხსენიებულნი, კოლხებისაგან წინადაცვეთის წესის გადმოღებასთან დაკავშირებით (Herod., II, 104). ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ პარაგრაფში, ჰეროდოტე—შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ტომთაგან—მხოლოდ სირიელებს, მაკრონებს და კოლხებს იხსენიებს.

316. Lehmann-Haupt C. F. Op. cit., p. 63, 65.

317. იხ. გოზალიშვილი გ. დასახ. ნაშრ., გვ. 62; მისივე. პონტოს სამეფოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის საკითხისათვის.—მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1980, № 3, გვ. 176.

318. იხ. ლომოური ნ. კვლავ პონტოს სამეფოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის საკითხისათვის.—მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1982, №1, გვ. 168, შენ. 4, გვ. 171.

319. იხ. გამყრელიძე ალ. დასახ. ნაშრ., გვ. 28—29.

320. Томсон Дж. О. История древней географии. М., 1953, с. 321—322. ადრეულ ხანებში ხალიბთა შედარებით ფართო განსახლებაზე, შესაძლოა მიგვანიშნებს, აპოლონიოს როდოსელის სიტყვებიც, რომ პოლიფემს აღსასრული უწერია ხალიბთა ვრცელი ქვეყნის მიწაზე (Apoll. Rhod., I, 1323).

321. იხ. გამყრელიძე ალ. დასახ. ნაშრ., გვ. 12; Хазарадзе Н. В. К вопросу о локализации..., с. 203. პომპონიუს მელას თხზულება, ძირითადად, დაფუძნებულია ძველიონიურ წყაროებზე, რომლებიც მნიშვნელოვანწილად შევსებულია უფრო გვიანი ხანების, თუ სულაც მელას თანადროული, ცნობებით (см. Прим. ред.—В. В. Латышев. Ук. соч., Вестник древней истории, 1949, № 1, с. 270).

322. Ломоури Н. Ук. соч., с. 124—125: ლომოური ნ. კვლავ..., გვ. 172.

323. იხ. გამყრელიძე ალ. დასახ. ნაშრ., გვ. 22—25.

324. ს. ერემიანის შეხედულებით, პირველწყაროები მოწმობენ, რომ დასავლეთ კასპიისპირეთში, ისევე როგორც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ერთდაიმავე წარმომავლობის ტომებს უნდა ეცხოვრათ (Еремян С. Т. Ук. соч., с. 58). იხ. ზემოთ გვ. 49.

325. Марр Н. Я. Кавказские племенные названия и местные параллели.—Труды комиссии по изучению племенного состава населения России, 5. Петроград, 1922, с. 35—36.

326. Дирр А. М. Ук. соч., с. 9.

327. გამყრელიძე ალ. დასახ. ნაშრ., გვ. 16.

328. იხ. იქვე, გვ. 14.

329. см. Марр Н. Я. Кавказские..., с. 33.

330. см. Дирр А. М. Ук. соч., с. 9.

331. იხ. ყაუხჩიშვილი თ. სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1957, გვ. 220.

332. ლომოური ნ. კვლევ..., გვ. 172.

333. ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს..., გვ. 147.

334. მისიევ ე. ბერძენი მწერლების..., გვ. 65. აღსანიშნავია, რომ სინოპის მახლობლად ნახევარკუნძულია განსაზღვრა თითქოს მოცემულია ჰეროდოტეს „ისტორიაში“ (Herod., IV, 12).

335. შდრ. მელიქიშვილი გ. აღმოსავლეთ მცირე აზიის..., გვ. 114; ურუშაძე ა. ძველი ბერძნული ენა. თბ., 1969, გვ. 294. ამაძონების ლევკოსირებთან და კაპადოკიელებთან მეზობლობის თაობაზე იხ. Strabo, XII, III, 27.

336. მიქელაძე თ. ძიებანი..., გვ. 120. თუმცა პლინიუსი ჰალიძონების საცხოვრისს პროპონტიდის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან ათავსებდა და თვლიდა, რომ ამ ტომის სახელწოდება „ზღვით შემოზღუდულებს“ ნიშნავდა (Plin., NH, V,143).

337. v. Garstang J., Gurney O. R. Op. cit., p. 37—39.

338. Гиоргадзе Г. Г. Ук. соч., с. 208. -sa სუფიქსის გამოყოფის შესაძლებლობა საეჭვოს ხდის შეხედულებას, რომ „არიფსაში“ და ანალოგიურად ნაწარმოებ სხვა ანატოლიურ ტოპონიმებში ჩრდილოდასავლურკავკასიური ენების ჯგუფისათვის დამახასიათებელი psa/pśa დაბოლოებაა წარმოდგენილი (ср. Меликишвили Г. А. Наири..., с. 84; Дьяконов И. М. Предыстория..., с. 84). აღნიშნული დაბოლოება არც Takkupśa-ში უნდა იყოს წარმოდგენილი, ვინაიდან ეს ტოპონიმი Takkumiša-ს სახითაც არის დადასტურებული და მასში p- ბგერა, m∼p ბგერათმონაცვლეობის შედეგად ჩანს გაჩენილი (v. von Schuler E. Op. cit., S. 101). ხომ არ წარმოადგენს „არიფსას“ ქართველურ გახმოვანებას სახელწოდება „აფსარი“? აღსანიშნავია, რომ ტერმინ „არიფსასაგან“ ნაწარმოებად მიიჩნევს გრ. ღაფანციანი მსგავსი ჟღერადობის მქონე მთელ რიგ სომხურ ტოპონიმებს (Капанцян Гр. Хайаса..., с. 55—57).

339. v. Garstang J., Gurney O. R. Op. cit., p. 9, 19; Goetze A. The roads of Northern Cappadocia in Hittite times.—Revue hittite et asianique, t. 15, fasc. 61, 1957, p. 92.

340. v. Garstang J., Gurney O. R. Op. cit., p. 6, 8, 14, 18—19, 21, etc; Dinçol A. M., Yakar J. Op. cit., p. 574. ამავე დროს, თითქოს, მოიპოვება ჰეკატეოს მილეტელთან მოხსენიებული ლევკოსირების ქალაქის ხადისიის (Steph. Byz., s. v. *Χαδισία*; შდრ. Apoll. Rhod., II, 1000) ალისასთან დაახლოების შესაძლებლობა (ხადისიის ადგილმდებარეობისათვის იხ. Plin., NH, VI, 9).

341. აღსანიშნავია, რომ ძვ. წ. IV ს. ბერძენი ფილოსოფოს-ათეისტის, ევჰემეროსის პრინციპებზე დაფუძნებულ თხზულებაში—„დაუჯერებელთა შესახებ“, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამაძონები ლეგენდარული ქალები კი არ იყვნენ, არამედ წვერგაპარსული მეომარი ბარბაროსები, რომლებიც ამასთანავე, გრძელ თმებსა და ქიტონებს ატარებდნენ (იხ. ურუშაძე ა. ძველი კოლხეთი..., გვ. 71). ფიქრობენ აგრეთვე, რომ მითიურ ამაძონებში ხეთები უნდა ყოფილიყვნენ ნაგულისხმევი (v. Barnett R. D. Phrygia and the peoples of Anatolia in the Iron Age.—In: The Cambridge Ancient History (3rd edition), vol. II, pt. 2, p. 418 n.2).

342. იხ. ჯანაშია ს. ფასიდი, გვ. 271—272; ინგოროყვა პ. გიორგი მერჩულე, გვ. 223—224.

343. იხ. ქვემოთ შენიშვნა 528.

344. см. Дирр А. М. Ук. соч., с. 1.

345. Марр Н. Я. История термина «абхаз», с. 44—52.

346. см. Гиоргадзе Г. Г. Ук. соч., с. 208, прим. 186; von Schuler E. Op. cit., S. 101. ჩრდილოანატოლიურ ტოპონიმებში m~p ბგერათშენაცვლეობის ახსნა ხურიტული ენის ზეგავლენით (v. Friedrich J. Hethitisches Elementarbuch, I (2. Auflage). Heidelberg, 1960, §14a) საეჭვოდ არის მიჩნეული (von Schuler E. Op. cit., S. 101).

347. ლომთათიძე ქ. ქართ. მ-სა და აფხაზურ-აბაზური ბ-ს ბგერათფარდობისათვის.—იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, VII. თბ., 1980, გვ. 56—58. აღსანიშნავია, რომ მ~ბ ბგერათშენაცვლეობას ადგილი აქვს საკუთრივ ქართველურ სამყაროშიც, კერძოდ, იგი ვლინდება ქართულ და მეგრულ ენებს შორის (იხ. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 125).

348. გ. მელიქიშვილის აზრით, მოსხების გამოჩენა ჩრდილოეთ კოლხეთში უნდა აიხსნას ძვ. წ. I ს. პირველ მეოთხედში მომხდარი ტომთა გადაადგილებით (Меликишвили Г. А. К истории..., с. 87—88).

349. Его же. Наири..., с. 76; его же. К истории..., с. 120, 168; Дьяконов И. М. Малая Азия..., с. 52—53.

350. მეშქებისა და მოსხების იგივეობაზე იხ. ზემოთ გვ. 69 და შენიშვნა 296.

351. იხ. მიქელაძე თ. ფასიანების..., გვ. 30—31, შენ. 3; შდრ. Меликишвили Г. А. К истории..., с. 218.

352. „მოსხის მთის“ ადგილმდებარეობის შესახებ, იხ. ქვემოთ გვ. 110—113.

353. შდრ., მაგ., ჯანაშია ს. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე.—წგნ.: ჯანაშია ს. შრომები, II, გვ. 419; მისივე. თუბალ-თაბალი..., გვ. 189; Сванидзе А. Ук. соч., с. 133; ურუშაძე ა. ძველი კოლხეთი..., გვ. 136. აღსანიშნავია, რომ ანონიმურ „პერიპლუსში“ მაკრონები კიდევ ერთხელ არიან დასახელებულნი, უკვე თანამედროვე ვითარების აღწერის დროს, ჰენიოხებთან ერთად, ტრაპეზუნტელი კოლხების ზევით (ე. ი. აღმოსავლეთით) და ძიდრიტების დასავლეთით (Anon., PPE, XLII, 8, 10); შესაძლოა, ამ შემთხვევაში, მათში მაკრონები იყოს ნაგულისხმევი.

354. v. Benselers..., S. 501—502; Климов Г. А. Этимологический..., с. 231.

355. მელანქლაინების კავშირს კოლხურ სამყაროსთან უნდა მოწმობდეს ის გარემოებაც, რომ ანტიკური ხანის ავტორებისა და მათი სქოლიასტების ცნობით, აიეტესის ქალიშვილის ქალკიოპესა და ფრიქსეს შვილი, არგოსთან, ფრონტისთან და კიტისორესთან ერთად, მელასიც ყოფილა (Apollod., I, IX, 1(6); Val. Flac., V, 460; Schol. ad Apoll. Rhod., II, 1122; Schol. ad Pind., Pyth., IV, 212). გამოთქმულია ვარაუდი, რომ მელანქლაინების სახელით მანრალები (Cl. Ptol., V, IX, 4) ანუ მეგრელები უნდა ყოფილიყვნენ ცნობილნი (Mülenhoff. Deutsche Altertumskunde, II, 1892, S. 96; см. Прим. ред. —В. В. Латышев. Ук. соч., Вестник древней истории, 1948, № 2, с. 248, прим. 12). მელანქლაინთა განსახლების საკითხთან დაკავშირებით, იხ. ყაუხჩიშვილი თ. ფსევდო-სკილაქსის ზოგიერთი ცნობის შესახებ.—წგნ.: ქართული წყაროთმცოდნეობა, I, გვ. 5—9.

356. იხ. ზემოთ გვ. 10.

357. см. Климов Г. А. Этимологический..., с. 239. *ძიხე>ციხე განვითარება აიხსნება ქართული ენისათვის დამახასიათებელი თავკიდური მჟღერი თანხმოვნის დისტანციური დაყრუებით მომდევნო ხ სპირანტის გავლენით (იხ. გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ. დასახ. ნაშრ., გვ. 119, შენ. 4). ყურადღებას იპყრობს ამ სიტყვასთან გარეგნული მსგავსებით „ხის“, „ტყის“, „შეშის“ აღმნიშ-

ენელი ხათური სიტყვა ziḫar (v. Friedrich J. Helhithisches Wörterbuch. Heidelberg, S. 319; см. Гиоргадзе Г. Г. Ук. соч., с. 207. თუმცა, შდრ. საერთოქართველური ṭqe(n)—„ტყე“, „ხე“, см. Климов Г. А. Этимологический..., с. 184). აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, სახელწოდება „სამცხე“ ნაწარმოებია „მცხეთისაგან“ ან „ციხისაგან“: „...აწ ოძრახოს წილს გურიის მთამდე და არსიანის მთამდე, უწოდებენ სამცხეს, მცხეთოსისა და ქალაქის მცხეთის გამო, პირველვე წოდებულს მცხეთის მორჩილებისათჳს [კუალად იტყჳან: ოდეს აღაშენა სუმბატ ბივრიტიანმან ციხე დემოთს, სამთა ციხეთათჳს ლომ(ს)ისა, ოძრახესა მეპირისპირედ, ესე იგი არს სამციხეთა, ამით იწოდა სამცხე]... მესხნი, იგივე ძუელი სახელი სამცხეთოსი, და სიმოკლისათჳს მესხნი ითქმის“ (ვახუშტი, 657—658, იხ. ქართლის ცხოვრება, ტომი, IV: ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973). შეხედულება სახელწოდება „სამცხის“ „სამი ციხიდან“ წარმომავლობის შესახებ გვხვდება XVIII ს. მეორე ნახევარში საქართველოში ნამყოფი ფრანგი აბატის დე ლა პორტის წიგნშიც (იხ. Аббат де ла Порт. Всемирный путешестователь, или познание Старого и Нового Света, т. II. Санктпетербург, 1800, с. 88). საყურადღებოა, რომ ჰ. კლარკი ქართულ სიტყვას—„ციხე“ გამოყოფდა კაპადოკიურ ტოპონიმში—„მაზაკა“ (Clarke H.—In: Ausland, № 51, 1870, см. Сборник сведений о Кавказе, т. I, Тифлис, 1871, с. 328), რომელსაც იოსებ ფლავიუსი „მოსოხენ/მესხინების“ სახელწოდებასთან აკავშირებდა (Josephus, Antiq. I, 125). იხ. ზემოთ გვ. 8. „მოსხის მთების“ შესახებ ვახუშტი აღნიშნავს: „ამით საჩინო არს, მცხეთოსისა და მცხეთისაგან იწოდა სახელი ესე, და არს ძველითვე ვითარცა იწოდა ბაგრატიონობასა შინა“ (ვახუშტი, 658, 2). ვახუშტი იქვე განმარტავს, რომ ჯერ კიდევ მაკედონელამდისაც, „ძველსა გეოგრაფიასა შინა“, „მესხის“ აღმნიშვნელად გამოიყენებოდა ტერმინი „მოსხი“.

358. იხ. აფაქიძე ა. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I. თბ., 1963, გვ. 159—221.

359. იხ. მელიქიშვილი გ. საქართველოს, კავკასიისა..., გვ. 237—240; მისივე. ქართლი (იბერია)..., გვ. 427—429. ამავე ძირიდან ნაწარმოები მსგავსი შინაარსის მქონე სიტყვები ფართოდ არიან გავრცელებული ინდოევროპულ ენებში, გ. მელიქიშვილი ფიქრობს, რომ ეს სიტყვა ქართულ-ინდოევროპულ ლექსიკურ პარალელს უნდა წარმოადგენდეს (მისივე. საქართველოს, კავკასიისა..., გვ. 239—240). თუმცა, გასათვალისწინებელია წინაბერძნულ სამყაროსა და ეთრურიაში ანალოგიური ტოპონიმების არსებობა (см. Гиндин А. А. Язык древнейшего населения юга Балканского полуострова. М., 1967, с. 156—158); მათ უკავშირებენ აგრეთვე ბ-ხაზოვან პილოსურ ტექსტებში გამოვლენილ ტოპონიმურ ძირს ko-tu (შდრ. ზემოთ გვ. 62—63). ქართული ენის დასავლურ დიალექტებში „საქონლის სადგომის“ მნიშვნელობის მქონე „ქართა“ სიტყვა დასტურდება „ქალტა“ ფორმითაც (ღლონტი ალ. ქიზიყის ტოპონიმია /ტოპონიმიკური ძიებანი, IV/. თბ., 1982, გვ. 6, შენ. 13), რომელიც უახლოვდება ეთნონიმს—ხალდი || ქალდი (Χαλδαῖοι). ეს გარემოება მხოლოდ ლინგვისტური თვალსაზრისით არ უნდა იყოს საინტერესო, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია მისი მნიშვნელობა „ქართებისა“ და „ხალდების“ ერთმანეთთან დაკავშირების შესაძლებლობის მხრივ (შდრ. ზემოთ გვ. 47—48; იხ., აგრეთვე, Меликишвили Г. А. Наири..., с. 411, прим. 3). ალბათ, „ხალდ“ ძირს უკავშირდება პროკოპი კესარიელის მიერ მოხსენიებული „ოკე-

ჩიტი ჰანების“ დაბაც—ხარტონი (Proc., Aed., III, 6), დღევანდელი ხართი, ტრაპიზონის ქედის სამხრეთით და ქ. ბაიბურთის ჩრდილო-დასავლეთით.

360. იხ. ბელტის ციხე.—მოგზაური, 1901, №1, გვ. 34—36.

361. см. Дьяконов И. М. Малая Азия..., с. 39, прим. 48. აქადურად „ციხე-სიმაგრეს“ birtu ეწოდება (Ebeling E. Birtu.—In: Reallexikon der Assyriologie, Bd II. Berlin, Leipzig, 1938, S. 32). ამავე დროს გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გრ. ღაფანციანი—ასურული birt-u-დან ციხე-სიმაგრის აღმნიშვნელი სომხური „ბერდის“ (բերդ) ნასესხობის შესახებ გავრცელებული შეხედულებისაგან მიუხედავად—გამოთქვამდა ვარაუდს, როგორც სომხური, ასევე ასურული, „ბერდ—ბირტუ“ სიტყვების ურარტული, ან რომელიმე „ალაროდიული“ ენიდან შეთვისების თაობაზე და ამ ტერმინებს უკავშირდება ლიკიურ Patara-ს, ურარტულ patari-ს, კაპადოკიურ Pteria-ს, დასავლურქართულ პეტრა-ციხისძირის (Капанцян Г. А. Историко-лингвистическое..., с. 145—146). კ. ლემან-ჰაუპტი ურარტულ patari-ს ლიკიელების მიერ შემოტანილ ტერმინად თვლიდა (Lehmann-Haupt C. F. Op. cit., p. 72 п. 2).

362. იხ. ზემოთ შენიშვნა 15.

363. v. Benselers..., S. 524; cf. Strabo, XI, III, 18; Eust. ad Dion. Per., 760 ff; Steph. Byz., s. v. *Μελάγχλαινοι*. საყურადღებოა, რომ ზოგიერთი ავტორი ამ ტომს „მოსინებს“ ან „მასინებს“ უწოდებს და არა „მოსინიკებს“ (იხ. მაგ., Ruth., VI, 4, 17; Pomp. Mela, I, 19, 106; Plin., NH. VI, 11).

364. ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს..., გვ. 133.

365. იხ. ზემოთ გვ. 7—8, შენიშვნა 5. სტრაბონისეულ მოსინიკებს (Strabo, XII, III, 18) დიუბუა დე მონპერე მესხ-მოსხებად თვლიდა, ხოლო ა. ხახანაშვილის აზრით, მოსხებისა და მოსინიკებისათვის განსხვავებული სახელწოდებები, ერთიდაიმავე ტომის დანაწევრების შედეგად უნდა წარმოქმნილიყო (dé Montpéreux D. Voyage autour du Caucase, t. IV. Paris, 1844, p. 339; Хаханов А. С. Ук. соч., с. 2—3, прим. 10, с. 121).

366. ალსანიშნავია, რომ მეგრულ-ჭანურში შეიმჩნევა ნ-ბგერის განვითარება უკანაენისმიერი ხშულების წინ (იხ. ჟღენტი ს. ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა. თბ., 1953, გვ. 99—101). სიტყვის შიგნით ნ-ბგერის სუსტი არტიკულაცია დამახასიათებელია ხეთურისათვის, შდრ. Haḫana || Hanḫana, Taḫatarija || Taḫantarija (v. von Schuler E. Op. cit., S. 101).

367. ჯავახიშვილი ივ. ქართველთა სხვადასხვა ..., გვ. 419.

368. იქვე, გვ. 419—420.

369. ინგოროყვა პ. გიორგი მერჩულე, გვ. 484.

370. იქვე. ალსანიშნავია, რომ ბიძერების სახელწოდება, რომელიც, ალბათ, საფუძვლად უნდა დასდებოდა ელინთა ქართულ სახელწოდებას „ბერძენს“ (იხ. მელიქიშვილი გ. ალმოსავლეთ მცირე აზიის..., გვ. 97—99: ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს..., გვ. 84, შენ. 1), როგორც ჩანს, მხოლოდ სუფიქსური გაფორმებით განსხვავდება ბოსფორის სრუტის ევროპულ ნაწილზე ძვ. წ. VII ს. შუახანებში დაარსებული მეგარული კოლონიის—ბიზანტიონის (*Βυζάντιον*) სახელწოდებისაგან.

371. შდრ. ინგოროყვა პ. გიორგი მერჩულე, გვ. 202—215, 225.

372. სქოლიასტის ცნობით, „ამარანტული მთები“ იგივე კოლხური მთებია (Scholl. ad Apoll. Rhod., III, 1220); ამავე დროს, სქოლიასტი აღნიშნავს, რომ „ამარანტოსი“ ქალაქია პონტოში (Schol. ad Apoll. Rhod., II, 399).

373. თუმცა, საყურადღებოა აკაკი წერეთლის მოსაზრება, რომ აპოლონიოს როდოსელი ამარანტების მთებად გულისხმობდა ფასის-რიონის სათავეს—რაჭის კავკასიონის ფასის მთას, რომელსაც ზეპირსიტყვაობა ამირანმთას უწოდებს (იხ. ურუშაძე ა. შენიშვნები.—წგნ.: აპოლონიოს როდოსელი, გვ. 208, შენ. 9).

374. იხ. გორდეზიანი რ. ეგეოსური კულტურა ბრინჯაოს ხანაში.—მიმომხილველი, 4—5. თბ., 1968, გვ. 199—200; მისივე. „ილიადა"..., გვ. 226—228; იხ., აგრეთვე, ზემოთ გვ. 81. ხომ არ იძლევა მარიანდინების სახელის „მარებთან" დაკავშირების საშუალებას „ორფიკული არგონავტიკის" სტრიქონები (Ps. Orph., 740 ff.), რომ ამაზონების, ხალიბების, ტიბარენების, ბექირებისა და მოსინების ნაპირების გავლის შემდეგ—კოლხეთისაკენ მიმავალი არგონავტები, მცირე ხნის ცურვის შემდეგ იმ ნაპირებს მიადგებიან, სადაც მარიანდინების მეზობელი მაკრონები (Μάκρωνες, ვარიანტში: Μακριέες) ცხოვრობდნენ (იხ. ორფიკული არგონავტიკა (ძველბერძნულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო ნ. მელაშვილმა, რედაქცია, შენიშვნები და საძიებელი ა. ურუშაძისა). თბ., 1977, გვ. 104, 120, შენ. 11). შდრ. ტოპონიმი მაკრიალი (სარფსა და ხოფას შორის). საკუთრივ მარიანდინები, როგორც ცნობილია, ბითინიაში, ქ. ჰერაკლეიას მახლობლად ცხოვრობდნენ (შდრ. Apoll. Rhod., II, 347—352).

375. აღსანიშნავია, რომ ამავე სახელწოდებას ატარებდა მთა თუ კუნძული იტალიაში (Strabo, V, III, 6; Diod., XLV, 5; Schol. ad Hom. Od., X, 135).

376. იხ. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, II. თბ., 1965, გვ. 63; Адонц Н. Ук. соч., с. 26, прим. 1.

377. Адонц Н. Ук. соч., с. 26.

378. იხ. ქვემოთ გვ. 94—95, შენიშვნა 394.

379. მოსხებს მდ. რიონ-ფასისის ხეობაში სხვა ავტორებიც ათავსებენ (იხ., მაგ., Ann. Luc., III, 270; Solin., XV, 19). აღსანიშნავია, რომ პლინიუსთან და სტრაბონთან მდ. რიონ-ფასისის შენაკადად მიჩნეული გლავკოსი (Plin., NH, VI, 13; Strabo, XI, III, 4), კლავდიოს პტოლემაიოსის ცნობით, აფსაროსის ანუ ჭოროხის შენაკადია (Cl. Ptol, V, VI, 6) (იხ. ლომოური ნ. კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო", ცნობები საქართველოს შესახებ.—მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, გვ. 51, შენ. 16; შდრ. ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს..., გვ. 164, შენ. 1). იხ. ქვემოთ შენიშვნა 401.

380. ამ სახელწოდებამ დღევანდლამდე შემოინახა თავი „პარპაზონის მთის" სახით; მდ. ჭოროხის ხეობაში მდებარე ეს მთა მდ. წყალგველას გასდევს (იხ. ლორთქიფანიძე ო., მიქელაძე თ. მასალები ბათუმის რაიონის არქეოლოგიური შესწავლისათვის.—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXIV, 1960, გვ. 763; მიქელაძე თ. ქსენოფონტის..., გვ. 52).

381. მიქელაძე თ. ქსენოფონტის..., გვ. 42; Максимова М. И. Примечания, с. 274—275, прим. 32; ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს..., გვ. 55.

382. v. Benselers..., S. 636, 869.

383. см., напр., Максимова М. И. Примечания, с. 271, прим. 14—15.

384. см., напр., Манандян Я. А. О некоторых проблемах истории древней Армении и Закавказья, с. 50 и сл.; см. Максимова М. И. Примечания, с. 275, прим. 32.

385. v. Benselers..., S. 597, 869; მიქელაძე თ. ქსენოფონტის..., გვ. 26—29. ნიშანდობლივია, რომ დიოდორეს „ბიბლიოთეკაში" ბერძენ მოლაშქრეთა გზა გაზომილია არა მანძილის არამედ დღეების მიხედვით (Diod., XIV, 19—31).

386. იხ. მიქელაძე თ. ქსენოფონტის..., გვ. 42—45; მისივე. სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიისათვის (სკვითინები).—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIX, 1957, გვ. 634—635.

387. ჯანაშია ს. პარიადრი, სკიდისი, მოსხური მთები.—წგნ.: ჯანაშია ს. შრომები, II, გვ. 266.

388. იქვე.

389. см. Хазарадзе Н. В. К вопросу о локализации..., с. 151—153; ინგოროყვა პ. გიორგი მერჩულე, გვ. 485; იხ. ქვემოთ გვ. 110—113.

390. см. Алонц Н. Ук. соч., с. 52—54; Меликишвили Г. А. К истории..., с. 301.

391. ქსენოფონტი მსგავსი თვისებების მქონე თაფლის არსებობას იუწყება ქ. ტრაპეზუნტის სამხრეთით მდებარე მთებში მცხოვრები კოლხების სოფლებში (Xen., Anab., IV, VIII, 20—21;, შდრ. Diod., XIV, 30,1—3), ხოლო პლინიუსის ცნობით, „ცოფიანი“ თაფლი მოიპოვებოდა პონტოსპირეთში მცხოვრები სანების ქვეყანაში (Plin., NH, XXI, 77). როგორც ჩანს, მომწამლავი თუ ცუდი თაფლი დამახასიათებელი იყო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისათვის, მწარე თაფლის არსებობას სტრაბონი რიონ-ფასისის კოლხეთშიც აღნიშნავს (Strabo, XI, II, 17).

392. Меликишвили Г. А. К истории..., с. 115.

393. იხ. ინგოროყვა პ. გიორგი მერჩულე, გვ. 431.

394. см. Меликишвили Г. А. К истории..., с. 50, 291, 299.

395. Marquart J. Eranšahr nach der Geographie des Ps. Moses Xorenaci.—Abhandlungen der königlichen Gesellschaft der Wissenschaften zu Göttingen, Phil.-hist. Klasse, N. F. Berlin, 1901, S. 116, 168—169; idem. Südarmenien und die Tigrisquellen, nach griechischen und arabischen Geographien.—Studien zur Armenischen Geschichte, Bd 4, 1930. Vienna, S. 21*—22*; Hübschmann H. Die altarmenischen Ortsnamen (mit Beiträgen zur historischen Topographie Armeniens).—Indogermanische Forschungen, Bd 16, Strassburg, 1904, S. 211—213, 354; Adontz N. Histoire d'Arménie. Les origines, du Xe siècle au VIe (av. J. C.). Paris, 1946, p. 207—208).

396. Kiepert H. Manuel de géographie ancienne, traduit par Ernault. Paris, 1887.

397. თუმცა, ნ. ადონცს ორივე ეს ფორმა, „ხოლარძენეც“ და „კატარძენეც“ ურარტულ წარწერებში მოხსენიებული პროვინციის Katarza-ს სახელწოდებიდან გამოჰყავდა (Адонц Н. Дионисий Фракийский и его армянские толкователи. Петроград, 1915, с. CLXXII; Adontz N. Op. cit., p. 207—208).

398. e. g. Toumanoff C. Op. cit., p. 103 n. 159, 322 n. 76, 345, 381, 383, 401, 413, 444, 446, 472 n. 152, 486 n. 215. 217, 488 n. 228.

399. ინგოროყვა პ. გიორგი მერჩულე, გვ. 432.

400. კამბეჩოვანი—მოიცავდა ტერიტორიას ალაზნის ქვემო წელსა და მდ. მტკვარს შორის (იხ. მუსხელიშვილი დ. კამბეჩოვანი.—ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5. თბ., 1980, გვ. 343).

401. „მოსხების ქვეყანას“ სტრაბონი განსაზღვრავს მდინარეების ფასისის (იგულისხმება რიონი), გლავკოსის და ჰიპოსის ზემოთ (Strabo, XI, II, 17); მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ფასისის სათავე სტრაბონს არმენიაში აქვს ლოკალიზებული, ხოლო ერთ-ერთი შენაკადის სახელი—გლაუკოსი იმეორებს

კლავდიოს პტოლემაიოსთან დასახელებულ მდ. აფსაროს-ჭოროხის შენაკადის სახელს (Cl. Ptol., V, VI, 6), სავარაუდო ხდება, რომ სტრაბონს ერთმანეთში აღრეული აქვს რიონ-ფასისისა და ჭოროხ-ფასისის შესახებ არსებული ცნობები და, ამდენად, სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია, რომ სტრაბონის სიტყვები, „მოხსენიებულ მდინარეების ზემოთ მოსხების ქვეყანაში მდებარეობს ლევკოთეას სამლოცველო, ფრიქსეს მიერ აგებული და მისი სამისნო, სადაც ვერძს არ სწირავენ მსხვერპლად. ოდესღაც ის მდიდარი იყო, ხოლო ჩვენს დროს იგი ფარნაკეს მიერ და, ცოტა მოგვიანებით, მითრიდატე პერგამონელის მიერ იქნა გაძარცვული“ (იხ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი თ. სტრაბონის..., გვ. 124), ეხებოდეს ჭოროხის აუზში მდებარე მოსხების ქვეყანას. წინამდებარე ნაშრომი უკვე დაწერილი გვქონდა, როდესაც გამოქვეყნდა ნ. ხაზარაძის სტატია, რომელშიც მოცემულია სტრაბონის აღნიშნული ცნობის კრიტიკული ანალიზი, ნაჩვენებია მისი წინააღმდეგობრივი ხასიათი და გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფარნაკესა და მითრიდატე პერგამონელის საბრძოლო ოპერაციების არეალში მდებარე და ფრიქსეს თქმულებასთან დაკავშირებული მოსხების ქვეყანა ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზეა საძიებელი (ხ ა ზ ა რ ა ძ ე ნ. სტრაბონის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის /„გეოგრაფია“, XI, 2, 17/.—მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1984, № 1, გვ. 105—115). ფრიქსეს თქმულებისა და მოსხების ქვეყნის კავშირი გვაფიქრებინებს, რომ სტრაბონთან მოხსენიებული ფრიქსოპოლისიც—იბერიაში, კოლხეთის საზღვარზე მდებარე კარგად გამაგრებული პატარა ქალაქი, რომელსაც მის ხანაში იდეესა ეწოდებოდა ('Ιδήεσσα—Strabo, XI, II, 18), მოსხების ქვეყნის იბერიულ ნაწილში მდებარეობდა. ფრიქსეს ქალაქის მოსხების ქვეყანაში განსაზღვრის საშუალებას სტრაბონის იმ ცნობის გათვალისწინებაც უნდა გვაძლევდეს, რომლის მიხედვით, ფრიქსეს სამლოცველო კოლხეთისა და იბერიის საზღვართან მდებარეობდა (Strabo, I, II, 39), ალბათ იმ ადგილას, სადაც იყო ფრიქსეს ქალაქი, სტრაბონის ხანაში იდეესად წოდებული (Strabo, XI, II, 18), ხოლო, როგორც უკვე ითქვა, ლევკოთეას სამლოცველო, ფრიქსეს მიერ აგებული და მისივე სამისნო—მოსხების ქვეყანაში მდებარეობდა (Strabo XI, II, 17—18). ამრიგად, სტრაბონის ცნობების ურთიერთშეჯერება საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ფრიქსოპოლისი-იდეესა საძიებელი უნდა იყოს მოსხების ქვეყნის იბერიულ ნაწილში, ამავე ქვეყნის კოლხური ნაწილის მახლობლად. ყურადღებას იპყრობს ამასთან დაკავშირებით პარხალში, ტაოსკარში, ჭოროხის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარე დიდი დაბის სახელწოდება—იდი; იქვე ყოფილა მთაც—იდი (ვახუშტი, 684). იდის მთა, როგორც ცნობილია, იყო აგრეთვე ტროადაში და კრეტაზე; ამ მთებზე, ლეგენდის თანახმად, ცხოვრობდნენ დაკტილები, რეა-კიბელას თანამგზავრები. ანატოლიაში ფართოდ გავრცელებული ტოპონიმური ფუძე ida-, ითვლება წინაბერძნულ-მცირეაზიული წარმომავლობის მქონედ და „ტყიანი მთის“ თუ „მთიანი ტყის“ აღმნიშვნელად (იხ. Г и н д и н Л. А. Ук. соч., с. 132—138). აღსანიშნავია, რომ პ. ინგოროყვა სტრაბონისეულ იდეესას აიგივებდა აღმოსავლეთ ტაოში, ბასიანის ჩრდილოეთით, მდ. ოლთისის წყლის ზემო წელზე მდებარე ქალაქ იდთან (ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ. გიორგი მერჩულე, გვ. 433, 438—439, 487).

402. სტრაბონისეული „ხორძენეს“ ასეთი ინტერპრეტაციისათვის იხ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ. გიორგი მერჩულე, გვ. 433.

403. T o u m a n o f f C. Op. cit., p. 442 n. 22.

404. I b i d.

405. გამოთქმულია მოსაზრება, რომ Corzini-ს ნაცვლად აქ უნდა იკითხებოდეს Chorzeni (см. П р и м р е д.— В. В. Латышев. Ук. соч., Вестник древней истории, 1949, № 3, с. 249).

406. ივ. ჯავახიშვილს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ შესაძლოა ეს ტოპონიმი კოლხების ტომის სახელწოდებისაგან წარმოსდგებოდეს (ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი ვ. საქართველოს, კავკასიისა..., გვ. 12).

407. კოლის ოლქი მოხსენიებულია მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიაშიც“ (Մովս. Խոր..., II, 6, 9).

408. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ. საქართველოს, კავკასიისა.., გვ. 259. მდ. მტკვრის სათავეების ადგილმდებარეობის პლინიუსისეული განსაზღვრა შეესატყვისება პომპონიუს მელას ცნობას, მდ. მტკვრის (Cyrus) კორაქსული მთების მეზობლად მდებარე მხარიდან გამომდინარეობის შესახებ (Pomp. Mela, III, 5, 41). ეს გარემოება მელას მიერ სხვა ადგილასაც მოხსენიებული „კორაქსული მთების“ (I, 19, 109) ლოკალიზების საშუალებას იძლევა ასევე მცირე კავკასიონის მთიანეთში—მდ. მტკვრის სათავეებთან. პ. ინგოროყვას ვარაუდით, თვით მდ. მტკვრის სახელწოდება „დ*-კორი“ (>მდ-კორი), „კორი“-ს მდინარე, დაკავშირებულია პროვინციის სახელთან „კოლა“ || „კორა“ (ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ. გიორგი მერჩულე, გვ. 438, შენ. 1).

409. იხ. ჯ ა ნ ა შ ი ა ს. იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში.—წგნ.: ჯანაშია ს. შრომები, II, გვ. 253—255. მიჩნეულია, რომ აპოლოდორეს ცნობის არაქსში, მდ. არეზის ზემო წელია გათვალისწინებული (М е л и к и ш в и л и Г. А. К истории..., с. 291).

410. ср. М а н а н д я н Я. А. Маршруты понтийского похода Помпея и путь отступления Митридата в Колхиду.—Вестник древней истории, 1940, № 3—4, с. 98—100. აღსანიშნავია, რომ პლუტარქეს მიხედვით, მტკვარი იბერთა მთებიდან გამოედინებოდა (Plut., Pomp., XXXIV), ხოლო ქსენოფონტის ცნობით, დასავლეთ არმენიის სპარსული სატრაპიის საზღვარი მდ. არეზის ჩრდილოეთით დიდ მანძილზე აღარ ვრცელდებოდა (Xen., Anab., IV. V, 34). იხ., აგრეთვე, ქვემოთ გვ. 114—115.

411. იხ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი თ. სტრაბონის..., გვ. 188.

412. см. М а с а л ь с к и й В. М. Карсская область.—Энциклопедический словарь, т. XIVA (28). Издатели: Ф. А. Брокгауз, И. А. Ефрон. С.-Петербург, 1895, с. 601.

413. იხ. ლ ო მ ო უ რ ი ნ. კლავდიოს პტოლემაიოსი..., გვ. 49, შენ. 1.

414. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ. გიორგი მერჩულე, გვ. 429.

415. იქვე, გვ. 429—430, 484—485; Х а з а р а д з е Н. В. К вопросу о локализации..., с. 150—153.

416. см. А д о н ц Н. Армения..., с. 25; T o u m a n o f f C. Op. cit., p. 204, 458 n. 93. ეთნონიმი „ბოხი“, როგორც ჩანს, უახლოვდება მდ. ჭოროხის სომხურ სახელწოდებას Ճոխ (ср. А д о н ц Н. Армения..., с. 25; M a r q u a r t J. Eranšahr..., S. 116; H ü b s c h m a n n H. Op. cit., S. 212).

417. იხ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ. გიორგი მერჩულე, გვ. 429; Х а з а р а д з е Н. В. К вопросу о локализации..., с. 152.

418. იხ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ. გიორგი მერჩულე, გვ. 429, 518—519.

419. იქვე, გვ. 430—431.

420. см. А д о н ц Н. Армения..., с. 13—15, 21—22; T o u m a n o f f C. Op. cit., p. 174, 457—458 n. 93.

421. см. М е л и к и ш в и л и Г. А. Наири..., с. 61; Х а р у т ю н я н Н. В. Биаинили ([illegible] [illegible]ван, 1979, с. 1[illegible]6 и сл.; S a l v i n i M. Katarza.—In: Re[illegible]lexikon der Assyri[illegible]..., Bd 5, Lief. 7—8, S. 4[illegible]6—487.

422. Меликишвили Г. А. К истории..., с. 114; ср. Адонц Н. *Дионисий...*, с. CLXXII; ინგოროყვა პ. გიორგი მერჩულე, გვ. 427—428.

423. Меликишвили Г. А. К истории..., с. 114.

424. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს, კავკასიისა..., გვ. 59—60; იხ., აგრეთვე, მიქელაძე თ. მესხთა...., გვ. 118—119.

425. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს, კავკასიისა..., გვ. 60. ფსალმუნის ბერძნულ, ლათინურ, სომხურ და ქართულ ტექსტებში ეს ადგილი მცდარად არის ნათარგმნი—„დავემკვდრე მე მყოფთა თანა კედარისათა",—მოსოხის სახელი მათში გამოტოვებულია (იხ. იქვე, 59—60). ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" შემადგენელს ან რომელიმე ძველი ქართული წყარო უნდა გამოეყენებინა, როდესაც „კედარსა მას ქუეყანასა" საქართველოს გარკვეულ ადგილად მიიჩნევდა, ანდა ფსალმუნის ებრაული დედანი, ან ებრაულიდან ნათარგმნი ქართული ტექსტი უნდა ჰქონოდა ხელთ (იქვე, გვ. 60). გარდა იმისა, რომ კედარი ფსალმუნის ბერძნულ, ლათინურ და სომხურ ტექსტებში გეოგრაფიულ სახელად არის მიჩნეული (*Κηδάρ*, Cedar, կեդարի), სიტყვა „კედარის" საბასთან მოცემული განმარტების— „ბნელი საჰმუნავისაგან" განსხვავებით (იქვე, გვ. 59; შდრ. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, წიგნი I, გვ. 361), ვფიქრობთ, მხედველობაშია მისაღები ურარტულ ლურსმულ წარწერებში მოხსენიებული ქვეყნის სახელწოდება „კი(ნ)დარი", მდ. ევფრატის ჩრდილოეთითა და შავი ზღვის მიმართულებით ლოკალიზებული (см. Дьяконов И. М. Ассиро-вавилонские..., с. 273, 277, прим. 45), რომლის მეფეც თიგლათ-ფილესერ I-ის წარწერაში, ქართული ქლერადობის მქონე „თუალის" ქვეყნის მეფის შემდეგ არის მოხსენიებული (там же, с. 273).

426. იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 1120; ღლონტი ალ. ქართულ..., გვ. 278; შდრ.: „...არღარა მიუშვა მრავალგზამ სჯად და დაჰკირვად სამსხემოსა ამას კედარსა შინა მკვდრობითა..." (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი.— წგნ.: ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 362).

427. იხ. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს, კავკასიისა..., გვ. 59—60.

